



ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ყველა დეტალი — რეალური ურთ. რომელიც „გზაში“ დაიწყო

N35 (325) 31/VIII-6/IX.7


ზღვაში
შეჭრილი
პოდოშვი და
კვარცხელი
ქართველებს
ჩასუბაბული
უსხოელი
მოდალი
ალესია

1168
2006


„საყვარელი
ადამიანისთვის რას არ
გააკეთებ?!“



რაში უსილაბა ნინი
ბადურაშვილი
უსწოვსა და მის ქვას



„ჯიოგარაღმა“ ნიკაშ უყვარებული
ქიბაშე დაანარცხა



ნაწამები მწარალი და საკუთარი
თავისთვის გამოტანილი განაწანი

მაგთის ვიდეოზარი

3G პირველად საქართველოში



სამყაროს ახლებური ხედვა

სერვისი მაგთის ვიდეოზარი გაქვით საშუალებას, მოგიღწეოთ საუბრისას ხედავდეთ ერთმანეთს ტელეფონის ეკრანზე, აპარატში არსებული ვიდეოკამერის საშუალებით.

სერვისით სარგებლობა შეუძლია მაგთის ნებისმიერ აბონენტს, რომელსაც აქვს მისაღებ თაოზის ტელეფონი, გააქტიურებული შესაბამისი სერვისით.

მაგთის ვიდეოზარის სერვისის ჩართვა:
აკრიფთ 44300031, OK.

სერვისის გააქტიურება უფასოა. უფასოა თვეში პირველი 30 წუთი, მათი ამონაწერის შემდეგ კი წუთის ღირებულებაა 50 თეთრი. ღირის აღრიცხვა/დაანგარიშება — 1 ნაგისსიზუსტით.

☎ 25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge



...კავშირი თქვენს სამყაროსთან

მაგთის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი

3G პირველად საქართველოში



იხსოვრა თანამედროვე ტემპით

ეს უკვე რეალურაა თქვენს ტელეფონში — ინტერნეტი 384 კბ/წმ-მდე სიჩქარით!

მაგთის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობისას თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, მისაღებ თაოზის ტელეფონის, ან კომპიუტერ/ლექტონს მიერთებული მოგიღწეოთ საშუალებით შეხვიდეთ ინტერნეტში და ათვალიეროთ სასურველი ვებ-გვერდები იმაზე გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე.

სერვისით სარგებლობა შეუძლია მაგთის ნებისმიერ აბონენტს, რომელსაც აქვს მისაღებ თაოზის ტელეფონი, გააქტიურებული შესაბამისი სერვისით.

მაგთის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ჩართვა:
აკრიფთ 44300041, OK.

სერვისის გააქტიურება უფასოა. უფასოა თვეში პირველი 30 მიგაბაიტი მიღებული ან მაგზავნილი ინფორმაცია, მათი ამონაწერის შემდეგ კი ერთი მიგაბაიტი ინფორმაციის მიღება/მაგზავნის ღირებულებაა 1 ლარი.

☎ 25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge



...კავშირი თქვენს სამყაროსთან



№35 (325)
31 აპრილი — 6 მაისი
2006 წ.
ფასი 60 თეთრი

მინიატურები

იღბალი უნდა ყველაფერს ანუ რატომ გვებრძვის ღილ-პატარა შრინველი-მწერი?! 3

ინფორმაცია

საემოქმედო ბათონებისას, 29 ღაკავებული და „ბულშემატიკარი“ გეგობლები 4

ერთი კითხვა

უხსოური პრესა 5

სანახევრო თავისუფლება

6

ქურაწლისტის რაღვი

რა გეგეები აქვთ ალანა ბაბლოვას და ააკი გოგიჩაიშვილს 8

რეპორტაჟი

„იანი“ და „უთარ“ ავტობუსი, კოგოსტოჟამია გეული და რუსთავერი „ნაგაფართი“ 10

პრობლემა

„სამუშაო აღბილებე პროფესიული მოგებაღის პრობლემა“
– ღასაქმების რეალური შანსი თუ აღამიანების ბეღი თაგაში? 12

კრიკინალი

ორი შვილის ღეღა აღამიანებით ვაჭრობღა 13

ონღანი-ერთიერთობა

შეაბი.გე პარაღელურ სამყაროში 17

ავტოფანები

წყნეთის ტრასაზე რაღინილი სიბიჟეები, ბატახეული ავტოგოიღები ღა... 20

ანტიღეპრესანტი

22

ღღე სნოგიღთან ერთაღ

ნეკას სიღღარეგე 22

გზავნიღები

ვალში ბასვიღილი სოღი ღა „გვამის“ მესიღი... 24

თინეიჟარული პონტაჟი

ბურკვეველი სქესის აღამიანები, ბასვრეტიღი ჟიჟი ღა თეთრი ყვავის პირველი მესღოგა 28

შთამოგავლოგა

როგორ ღაიბრუნა ნოე რაღიშვილის გვარგა ერთაღღართი ღაკარგული მემკვიღრე 31

სეხსეასესურის ინტორიღღან

საიღღეღოღ შენახული სენსახია 33

ნემღვიღი აგავი

შესევეღრა... კარაღაში! 35

ტიღ-აუტი

36

როგანი

გაგა ვარნაგე. ვეღური წახლის ხეივანი (ბაბრეღეღე) 38



პირტუღური წევილის რეღური აგგავი გეგრეღეღეღი

პანღორა: ნუ მომკალი, სიციღ-ოთ...

ზურა: რა, არა? რასაყლაბი ხარ,

აბა არ ხარ?

პანღორა: თითქოს ჭკვიანი ღა მიამიგი აღამიანი ჩანხარ, მაგრამ ეგყობა, მაგარი შემბმელი ხარ...

ზურა: ნაგალი, ნუ მიხურებ, რაააა... იცი, რა მაინტერესებს?

პანღორა: ვიცი...

ზურა: იცი? აბა, მითხარი, რა იცი...

პანღორა: შენ გაინტერესებს, ჩემი თჯახური მღგომარეობა...

ზურა: ვა! შენ როგორც ჩანს, პროფესიონალი ფსიქოლოგი ხარ... როგორ მიხვიღი?

28



წყნეთის ტრასაზე რაღინილი სიბიჟეები

იმღენს კი მიეხვიღი, რომ „გაგს“ ფეხი მოეაციღე... მანქანამ სეღა შეანეღა, მეგონა, გაჩერ-ღებოღა, მაგრამ... რომ არ გაჩერღა, ჟიჟი ხის მიმა-რთუღებით წავიყვანე ღა მას ღავეჯახე...

30



საიღღეღოღ შენახული სენსახია

ხანგრძლივი ძიების შემღეგ „კაგეღეშ“ სენსაციური ინფორმაცია შეიგყო. თურმე ამერიკელი ქიმიკოსი კაროზერსი, სინამღვიღეში ქართველი ემიგრანტი, ბათუმელი თურ-მანიღე გახღღათ, რომელსაც სამშობლო ნოე ჟორღანიასა ღა მის თანამოაზრეღებთან ერთაღ ღაუტოვეღია.

23



ესოფლიოს გერგე სონრეგა

1993 წელს, პოღიციამ ამიყვანა ღა სასტიკაღ მცემა, იმიგომ, რომ ნარკომანი ვეგონე, რაღ-გან ტურებზე სიღღურჯე მაქეს. ისე მცემეს, 6 თვე უგონოღ ვიყავი, ცნობიერეღა მქონღა ღაკარგული...

21

ჯანვარი

- *როლის ვიდეორეალიტი ვიდეორეალიტი?
- *ქრონიკული დაავადების სინდრომი
- ახალგაზრდა კარინისტთა ბრძოლა 42
- *მეორეული ტყე 43

ნოემბერი

- მსოფლიო მერვე საოსტოვო: ბული
- მარჯვნივ, ბრმა ნაწილი 44
- მარცხნივ!

პირველი პაეანი

- შეფარებაზე თანადასაღება
- ინდი შერაფინის სიყვარული
- ლექსით აუხსნა 45

მინდობა ვიღაც

- * „ჩელსი“
- ლონდონელი არისტოკრატები 46
- * დიდი „ფრანგოვა“ საქართველოში 48

ქართული დეტაქტივი

- ბონა მანველიძე.
- თეთრი სიკვდილი (ბაბრქაძე) 50

ტაქარი

- საპანა, რომელიც XX საუკუნეში
- ხელახლა იქნა აღმოჩენილი 54

აღვიანი

- პირველი ქართველი ტრაქტორისტი
- ქალი კოლმეცაროვი 55

ლეგენდა

- შაბრძე - ანტიკვარიატის ჩაღოქარი 56

ვარსკვლავები

- რაფაელიძე უნდობი შაქტი ვახტანგ
- ჭაბუკიანის ცხოვრება 60

ავტო

- 62

ბოროტური მოზაიკა

- 64

პროსოპო

- კვირის (7-13 სექტემბერი)
- ასტროლოგიური პროგნოზი 66

ოგნიქტივი

- ფოტობრაფის ალბომიდან 67

ხუთხეობა

- 68

ტესტი

- 70

სქანოვანი

- 71

...და ბოლოს

- 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტიანი კოლაჟი
 საფორმალური-პოლიტიკური ფორნალი „გზა“
 ბამბის კვირაში მრთხვლ, სუთვაბათობით
 ბაჭყალი „კვირის პალიტრის“ ღამათმბა
 ფორნალი ზღმმღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავთია
 მენეჯერი: მათე კბილაძე
 მისამართი: თბილისი, იოსებოძლის ქ. №49
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

პირველი ქართველი ტრაქტორისტი ქალი კოლმეცაროვი ნსოვრისტი



მართალია, სამსახურში გრაქ-ტორისტის სპეცგანსაცმელი მეცვა, მაგრამ ყოველთვის მოწესრიგებული ვიყავი, პომადაც მიყვარდა და ფერ-უმარილიც.

8



კომუნისტოქაქია მეელი და რუსთაველი „ნაგავ-ფართი“ ...

იქვე, დღელ-მამალი მაიმუნი ცხოვრობს – თამილა და კო-ლია, რომლებსაც, თუ ზოპარკის თანამშრომელს დავეჯერებთ, სექსი აქვთ, მაგრამ შთამომავლობას ვერ იძლევიან. სამაგი-ეროდ, საკმაოდ მადისაღმძვრელად გამოიყურება 2 ჩაუტკუნე-ული ღორი, რომლებსაც საახალწლოდ ალბათ, ისევე გააქრობენ

55

„...ჩემი გულიდან არაფერს ვაპყრობ, მიმიტოვებს და დღემდე დავიწყდა...“



„ბალიან დავეახლოვდი და გავუგეთ ერთმანეთს, „თბილისი, თბილისზე“ მუშაობის დროს. მერე მეუბნებოდა – შენთვის როლი მაქვს ახალ სცენარშიცო. სამწუხაროდ, არ დასცალდა სცენარზე დეგალური საუბარი...“

62

თეთრი სიკვდილი



– შეგნებულად წახვედი ციხე-ში?
 – არა, რემო. მე არაფერი მო-მიპარავს, – თავი გაიქნია გზამ.
 – მაშ, რისთვის გაგასამარ-თლეს? – გაიკვირვა რემომ.
 – იცი, რას ნიშნავს სიგვეა „გა-ჩალიჩება“? – ჰკითხა გზამ.
 – ვიცი.
 – მაშინ თავადაც მიხვდები, როგორაც აღმოვჩნდი „სროკზე“ ...

– ჩალიჩაპარაკა გზამ.
 – „გაგიჩალიჩეს“... – დამცინავდა ისროლა რემომ.
 – ჰო.

50

საარჩევნო ცაიციხე ოპოზიციურად ანუ "კამპანიას გაუმარჯოს!..



როგორც იქნა, გადავაგორეთ ეს ურთულესი ზაფხული. აუტანელი იყო პირდაპირი! სიცხესა და უწყლობას კიდევ გაუძლებ, მაგრამ ეს ოხერი გაურკვეველობა განადგურებს ადამიანს: როგორია — კაცი ცოცხალი იყო და არ იცოდე, როდის ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შენს ქვეყანაში?! ასეთ სიცოცხლეს სიცოცხლე ჰქვია?! ერთი გაფიქრება, ისიც კი ვიფიქრე — ისეა ჩვენი პრეზიდენტი გართული ბავშვებისთვის ბოროტ ასლანზე ზღაპრების მოყოლითა და ბავთიანი მაკრატლით წითელი ლენტების გაჭრით, საერთოდ არ აპირებს არჩევნების ჩატარებას-მეთქი... არა, ამით ბევრი არაფერი დაშავდებოდა: რა მნიშვნელობა აქვს, არჩევნების შედეგად დარჩებიან იგივე მერ-გამგებლები თუ უარჩევნოდ?! მაგრამ პროცესია თვითონ სახალისო:

მიდისარ გამოპრანჭული, საარჩევნო უბანში, ეძებ სიაში საკუთარ თავს. რა თქმა უნდა, ვერ პოულობ, ან თუ პოულობ, აძლევ ხმას შეცვლილი სახელით, შეცვლილი გვარითა და შეცვ-



ალა? — არაფერი... საერთოდ რომ გამოაცხადა იმ კაცმა არჩევნების თარიღი და გამოუცხადებლად არ ჩაატარა არჩევნები, მადლობელი არ ხართ?! ამით კი პრეზიდენტმა ერთგვარი გამოცდა მოგიწოთ — პოლიტიკური ოპერატიულობა შეგიმონშათ და მივიღეთ კიდევ შედეგი: 7 პარტია ანუ „შესანიშნავი შვიდეული“ — ბიულეტენზე. გახსოვთ ალბათ, ამ ფილმის გმირები ისეთი დახელოვებული არიან სისწრაფეში, რომ შიშველი ხელით იჭერენ თევზს წყალში. ხომ საოცარი მსგავსება?! „თევზის ჭერა“ ჩვენებს რომ ეხერხებათ, ისეთი უნდა, ოღონდ — წყალი უნდა იყოს ამღვრეული(!).

რაც შეეხება თვითონ საარჩევნო კამპანიას, — ხომ სრული „ბაირამობაა“ ოპოზიციისთვის: ხელისუფლება უსაშველო მაცუთს ხარჯავს, მაგრამ გზებსაც აგებს, სკოლებსაც არემონტებს და საავადმყოფოებსაც ხსნის; ოპოზიცია ლანძღავს — ეს საარჩევნო ქულების ჩასაწერად ხდებაო! — და ერთი თეთრიც არ ეხარჯება.

ისე, სადღაც, მართალიცაა: არჩევნებში ხმების მოსაგროვებლად გახსნილ არც სკოლაში მიიყვანოთ ბავშვი სასწავლებლად, არც „სამარიაოოდ“ გახსნილ საავადმყოფოს მიმართოთ სამკურნალოდ, თორემ, როგორც კი გაიმარჯვებს არჩევნებში, მიადგება უროთი მთავრობა და სულ აგურ-აგურ დაშლის, რომ მერე, საპარლამენტო არჩევნების წინ, ისევ ააგოს და ხმებიც ისევ მოიპოვოს. მერე საპრეზიდენტო არჩევნებს მოიგებენ და ა.შ. რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ოპოზიციური ბომონდი ასე ამბობს და ხომ უნდა დავიჯეროთ!.. ისე, თუ „მართლა ასეა“, ამდენი საშენი მასალისა და ფულის ხარჯვას არ სჯობია, სკოლები და საავადმყოფოები კარვებში გახსნან?! იოლად გაშლიან და დაკეცავენ...

სახელისუფლებო რეკლამებმა კი მართლაც, წალეკა ეთერი, რაც საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, კანონის დარღვევას წარმოადგენს. მაგრამ საქმე თუ არ აკეთე, ვინ დაგიჯერებს?! მართო რეკლამით რომ ტყუვდებოდეს ჩვენი მოსახლეობა, ახლა პრეზიდენტად „ბამბუჩა“ გვეყოლებოდა და თბილისის მერად — „სელპაკის პრინცი“...

P.S. თათბირი ნაციონალური მოძრაობის ოფისში:
— რაც შეიძლება ადრე უნდა დაიწყოთ საარჩევნო კამპანია. ხომ გაგიგონიათ — ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაენევა მწვეარიო...

- ვითომ რატომ ვერ დაენევა?
- იმიტომ, რომ კურდღელი ადრე ადგა დილით.
- კი, მაგრამ იქნებ, ის მწვეარი საერთოდ არ დაწოლილა წუხელ?..
- ოოო, ეგ აღარ მიფიქრია...

პროპოკატორი

ლილი მისამართით. ამაზე ოპოზიციონერი დამკვირვებელი ყვირის — სამჯერ მისცა ხმაო და იწყება „ცოცხალი შოუ სრული იმპროვიზაციით“... ჰოდა, როგორია, ასეთ სიამოვნებას რომ წაგართმევს ვინმე?! მაგრამ — ნურას უკაცრავად. კამპანიას გაუმარჯოსო! — დასჭექა პრეზიდენტმა, რითაც საარჩევნო კამპანია გახსნილად გამოაცხადა და წავიდა უშგულში, მაქვეინთან ერთად, სვანური „ფერსულის“ საცეკვაოდ.

აქეთ კი, ცხადია, ოპოზიციამ ატეხა ნიოკი: ცაიტნოტში ვართ და რეგისტრაციისთვის ერთი დღე გვაქვს დარჩენილიო!.. რა მნიშვნელობა აქვს, გვეითებით? რა მერე, თუნდაც ორი თვე გქონდეთ?! თქვენი ამბავი რომ ვიცი, იმ ორ თვესაც მოლაპარაკებებში დახარჯავდით — საერთო მონინალმდგის დასამარცხებლად ხომ არ გავერთიანდეთო?.. რა თქმა უნდა, განხეთქილება მოხდებოდა და მინც ბოლო დღეს შეიტანდით განაცხადებს... რა შეიცვ-

„ხელისუფლება“ „რუსთავი 2“-ს ვერ იყოფს“

— თქვენი აზრით, „რუსთავი 2“-ზე მიმდინარე პროცესები სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლაა თუ შიდასახელისუფლებო დაპირისპირების შედეგი?

დავით ზურაბიშვილი,
„დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერი:

— „რუსთავი 2“ რომ დამოუკიდებელი ტელეკომპანია არ არის, ყველამ მშვენივრად ვიცით. მას ხელისუფლების ადვოკატის ფუნქცია აქვს დაკისრებული და „მზრუნველის“ მოვალეობას ასრულებს. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ ტელევიზიაში საკადრო ცვლილებებით რაიმე გადასხვაფერდება. პროტესტი, რომელიც ნიკა ტაბატაძის გათავისუფლებას მოჰყვა, უურნალისტების მხრიდან სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლას არ უკავშირდება. მათ ახალი ხელმძღვანელის პირობებში საკადრო გადაადგილების ეშინიათ, ამიტომ არიან გალიზიანებული. სამწუხაროდ, უურნალისტთა გარკვეული ჯგუფი მშვიდად შეეგუა იმ ფაქტს, რომ აზრის თავისუფლად გამოთქმა და მიუხედავად მასალების მომზადება ცენტრში მოექცა. ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელი ცდილობს, სხვადასხვა ხერხით დაამყაროს პირდაპირი კონტროლი ტელევიზიაზე, მაგრამ თავად ხელისუფლებაც რამდენიმე ჯგუფად არის დაყოფილი და შიგნით ხდება ინტერესთა შეჯახება. ამ კონკრეტულ სიტუაციაში, როგორც ჩანს, ვილაცამ ჩათვალა, რომ არხზე მისი ინტერესები სათანადოდ არ არის წარმოჩენილი და შედეგად „რუსთავი 2“-ში მორიგი სკანდალი აგორდა. როცა ხელისუფლების ინტერესების დამცველ ტელეკომპანიაში წინასწარჩენოდ ასეთი გადაადგილებები ხდება, ეს ნიშნავს, რომ უკიდურესად გამწვავებულია ხელისუფლების შიგნით პიროვნული დაპირისპირება. ამ შემთხვევაში, რომელი ჯგუფი გაიმარჯვებს, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ყველა მხარეს საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება უნდა. თავის დროზე, ნიკა ტაბატაძეს კონფლიქტი ჰქონდა კინმარიშვილთან, მაგრამ არხზე არაფერი შეცვლილა.

უპირობოაზრე წყალდიდობა და ქარიშხლებია მოსალოდნელი

— აფრიკაში თოვს, საქართველოში კი აფრიკული სიცხეები. არის თუ არა ეს გლობალური დათბობის შედეგი, როდის დაიწვეს ტემპერატურა და რა გველის მკვეთრი აცივების შემთხვევაში?

ჯანაბა შონია, მეტეოროლოგი:

— სექტემბრის პირველი რიცხვების ჩათვლით, საქართველოს ძირითად ნაწილში, დღის საშუალო ტემპერატურა 38, 39 გრადუსი იქნება. წინასწარი პროგნოზით, აგვისტოს ბოლო დღეებში აგრილებას ველოდით, მაგრამ ახალი მონაცემების თანახმად, სიცხე კვლავ შენარჩუნდება. ამ პერიოდში ნალექების მომატებაც არ არის მოსალოდნელი. რაც შეეხება აფრიკის თოვს — კალენდრის მიხედვით, იქ იანვარია, ამიტომ აცივება არ უნდა გაგვიკვირდეს. ევროპასა და საქართველოში გაუსაძლისი სიცხეები გარკვეულწილად, გლობალურ დათბობასაც უკავშირდება. ჩვენ პრაქტიკულად, სათბურის პირობებში ვცხოვრობთ: ამდენი გამონახოლქვი ცისკვ

მიემართება და დედამიწას გარს ეკვრის, როგორც ცელოფანის ტომარა. მკვეთრი დათბობის პროცესი თანდათან უფრო საგრძნობი გახდება. მოსახლეობა ამ ფაქტს თანდათან შეეჩვევა. კლიმატის ცვლილებასთან ერთად, გარემო პირობებთან ადაპტაციაც მოხდება. ამ ეტაპზე მთავარია, ორმოცგრადუსიანი სიცხეების შემდეგ, უცბად მკვეთრად არ აცივდეს. ტემპერატურის ასეთი ვარდნა გამოიწვევს ძლიერ ქვეა-ქუხილს, ქარიშხალს, სეტყვას, კოკისპირულ წვიმას, რაც წყალდიდობების მიზეზი გახდება. სასურველია, ტემპერატურამ ეტაპობრივად, ნელ-ნელა დაინიოს და შემოდგომის პერიოდი სტიქიების გარეშე დამთავრდეს. მაგრამ წყლის დონის მომატება გარდაუვალია, რადგან ძალზე დიდი მოცულობის სითხე აორთქლდა და ის ნალექის სახით დაგვიბრუნდება. ხელისუფლებამ პრევენციული ზომები დღესვე უნდა მიიღოს, თორემ, მდინარეები ჯებირებს რომ გაანგრევს, შემდეგ სტიქიასთან ბრძოლა უფრო გაჭირდება.

„კოდორში ჯარი უნდა შევიდეს“

— რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ კოდორში გამუდმებით ისვრიან. რა ხდება ხეობაში და დატოვებს თუ არა კოდორს ადგილობრივი მოსახლეობა?

პაბაბა დავითიანი, პოლიტიკური გაერთიანების — „ჩვენ თვითონ“ თავმჯდომარე:

— ჩემი ინფორმაციით, კოდორის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თბილისისკენ გამოემართა. ეს ალბათ, შიშის გამო ხდება. არის უნდობლობის მომენტიც. თვით ხეობაში კი, სიმშვიდეა. მე მუდმივ კონტაქტი მაქვს კოდორელებთან და ისინი ადასტურებენ, რომ იქ არ ისვრიან. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ცრუობენ, მაგრამ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის ბოლო თხუთმეტწლიანი გამოცდილება გვაძლევს ეჭვის საფუძველს, რომ მათი ინფორმაცია შესაძლებელია, სინამდვილედ იქცეს... ცხინვალში სიტუაცია დაიძაბა — აცხადებდნენ და ორი კვირის შემდეგ, შეიარაღებული დაპირისპირების წინაშე აღმოვჩნდით. სოხუმის დაცემაც 10 დღით ადრე გვამცნეს —

ანუ, რისი გაცემებაც სურთ, იმის შესახებ წინასწარ ავრცელებენ ინფორმაციას, თანაც, იმ სახით, რომ ყველაფრის ინიციატორად ქართული მხარე გამოიყვანონ. ამჟამად კოდორის ხეობაში ძირითადად, პოლიციელები არიან. ისინი სიტუაციას ბოლომდე აკონტროლებენ, მაგრამ მეექვსეა, რომ ასე დიდხანს გაგრძელდება. აფხაზებმა 250 ჩრდილოკავკასიელი შემოიყვანეს და სოხუმში შუქურის ტერიტორიაზე დააბინავეს; კოდორიდან 15 წუთის სავალზე, „გრადის“ ტიპის დანადგარებს ამონტაჟებენ. შაბბა ღიად აცხადებს, რომ აფხაზეთის „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა“ და კოდორის აღებას აპირებს. ასეთ ვითარებაში, სრულიად ვეთანხმები ირაკლი ოქრუაშვილს, რომ მისი სტრატეგიის წარმომადგენლები კოდორში უნდა ავიდნენ. აფხაზეთი თუ შეტევაზე გადმოვლენ, მათ პოლიცია ხომ ვერ მოიგერიებს?! პოლიციურ ძალებს საბრძოლო მოქმედების გამოცდილება არც აქვთ, სახიფათო ვითარებაში ისინი ვერაფერს შეძლებენ. ჩვენი სამხედროები კოდორის ხეობაში უნდა განლაგდნენ, ეს აუცილებელია.

გაქჟინის მიზიგა რუსეთი დაახნია

— სააკაშვილმა ჯონ მაქკეინს აშშ-ის პრეზიდენტობა უწინასწარმეტყველა. ცოტა ნაადრევი ხომ არის მისი პროგნოზი და რაზე მიუთითებს გავლენიანი სენატორის ვიზიტი საქართველოში?

კოტი გაბაშვილი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:

— სააკაშვილის პროგნოზი ნამდვილად არ არის ნაადრევი; აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კანდიდატი სწორედ არიზონელი სენატორი ჯონ მაქკეინია. როგორ განვითარდება მოვლენები, ამაზე მსჯელობა საჭირო არ არის... მისი საქართველოში ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი რომ არის — ფაქტია, ამას რუსეთის რეაქციაც მოწმობს. მათთვის მაქკეინის ვიზიტი მოულოდნელი იყო. კრემლში დღემდე ვერ გაიგეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანაბანა და ვერც ის, თუ საიდან უნდა ელოდონ დარტყმას. გასაგებია, რომ მათთვის გამაღიზიანებელია, ცოტა ხნის წინ ლუგარის, ახლაკი — მაქკეინის ვიზიტი. მითუმეტეს, რომ ეს უკანასკნელი, ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამერიკის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. რუსეთში ჯერ ისევ ჰგონიათ, რომ საქართველოს ხელისუფლება ომის გზით შეეცდება სეპარატისტული რეგიონების დაბრუნებას — მაშინ, როდესაც ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვახორციელებთ დეკლარირებული გეგმის რეალიზაციას. მაქკეინის ვიზიტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აშშ მხარს უჭერს და ხელს უწყობს საქართველოს სამშვიდობო ინიციატივის განხორციელებას. ვისაც ამის გაგება არ სურს, დარჩეს „გაუგებრობაში“. ჩვენ ორივე რეგიონში თითქმის პარალელურად და ძალიან მალე დავამყარებთ სიმშვიდეს. რუსეთი კი, რევანშისტული მოძრაობის ხელშეწყობისა და სამშვიდობო პროცესის ხელის შეშლის შემთხვევაში, რაც მას უკვე ჩვევად ექცა, მოვლენების მიღმა დარჩება.

„მოსახლეოვა შეიძინა წინასწარმეტყველდა, სოლო შეიქმნა — იმედახრა“

„უფროსები ისევ წუნუნებენ, მაგრამ მე მათ აზრს არ ვიზიარებ...“

პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარესთან მოითათბირა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამართვის თარიღიც გამოაცხადა — 5 ოქტომბერი. ოპოზიციის უმეტესი ნაწილისთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა და მათ ერთხმად ყიჟინა დასცეს. არ არის გამორიცხული, კონკრეტულმა პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნებს, პროტესტის ნიშნად, ბოიკოტი გამოუცხადონ. ხელისუფლების წევრებს პოლიტიკური ოპონენტების პროტესტი სულაც არ აღელვებთ და მიიჩნევენ, რომ დარჩენილი დრო წინასწარმეტყველო კამპანიისთვის სასეებით საკმარისია.

ოპოზიციისგან განსხვავებით, არჩევნების თარიღი ნაკლებად მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის. როგორც ცნობილი ქართველებს, აგრეთვე, რიგითი მოქალაქეები მიიჩნევენ — მნიშვნელობა არა აქვს, არჩევნები 5 ოქტომბერს ჩატარდება თუ 5 დეკემბერს; თარიღზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ რას მოუტანს ეს არჩევნები ჩვენს ქვეყანას.

თამარ როსტიაშვილი

„ახალი მემარჯვენეების ლიდერი **დავით გამყარაშვილი** მიიჩნევს, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ ოპოზიციის კანდიდატად ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი დასახელდება:

— ვფიქრობ, რომ ჩვენი გამარჯვების შანსი ბადრი პატარკაციშვილს უკავშირდება, თუმცა პოლიტიკურ პარტნიორებთან ერთად, სხვა ვარიანტებსაც განვიხილავთ — იმ კანდიდატურებს, რომლებსაც არჩევნებში გამარჯვების მიღწევა შეუძლიათ.

გამყარაშვილის ამ განცხადებამ უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი — **რატი საგუარაშვილი** გააღიზიანა. მისი თქმით, თბილისის მერის პოსტზე ოპოზიციის ერთიან კანდიდატად პატარკაციშვილის დასახელება მის „დიდ ფულს“ უკავშირდება:

— „ახალი მემარჯვენეები“ უარს ამბობენ თავიანთი პრინციპების დაცვაზე და ისინი

ბაზარზე საეჭროდ გამოაქვთ. როგორც ჩანს, დათო გამყარაშვილს — ექიმს, ლიდერს და მენარმეს — პოლიტიკა და მენარმეობა ერთმანეთში ერევა. პრინციპით — მომეცი ფული და მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას — მათ შეუძლიათ, თბილისის მერის კანდიდატად ბატონი ბერეგოვსკივი კი დასახელონ...

გამოცხადებული არჩევნები „კონსერვატორებმა“ მსოფლიო დონის თაღლითობად შეაფასეს. „რესპუბლიკელებმა“ კი, პრეზიდენტი „მზაკვრულ ქმედებებში“ დაადანაშაულეს.

თინა ხიდაშელი, რესპუბლიკური პარტია:

— მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ატრაქციონით ერთობოდა და ბავშვებს ბოროტი ბაბუის შესახებ ზღაპარს უყვებოდა, ამდენად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მას მიღებული ჰქონია და ეს არ გაამყარებდა ანუ საზოგადოებას დაუმალა ამდენად მნიშვნელოვანი ინფორმაცია...

პარასკევს! 1 სექტემბერს!



სიასლა
ჩარიხსულ

აგიგუჩიანთა **სტია**
გაზეთში „ყველა სიასლა“

„კონსერვატორი“ კობა დავითაშვილისა და „რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილის თქმით, იმის გამო, რომ არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა, მათ თბილისსა და ბათუმში საკუთარი კანდიდატურების წარდგენის საშუალება არ ეძლევათ.

კობა დავითაშვილი:

— ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ არც მე და არც დავით ბერძენიშვილს არ გვქონდეს თეორიულ შანსიც კი, მონაწილეობა მივიღოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

არჩევნების გამოცხადებულ თარიღს შედარებით მშვიდად შეხვდნენ „მრეწველები“. ისინი თბილისის მერის კანდიდატის პოსტზე გოგი თოფაძის წარდგენას აპირებენ.

ოპოზიციის შენიშვნებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მიხეილ მაჭავარიანი** ეხმაურება და კობა დავითაშვილსა და დავით ბერძენიშვილს საქართველოს კონსტიტუციისა და რეგლამენტის გადახედვისკენ მოუწოდებს: — თუ მათ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი აქვთ, ამის არანაირი პრობლემა არ არსებობს. ის, რასაც ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები ამბობენ, თითქმის გამონოვლილი ტყუილია. თუ ბერძენიშვილსა და დავითაშვილს პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნა სურთ იმისათვის, რომ თბილისისა და ბათუმის მერის კანდიდატობაზე თავი წარადგინონ. ეს პარლამენტისთვის არანაირი სიძნელეს არ წარმოადგენს.

მსგავსი მოსაზრება აქვს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს **სათუნა ზოგორიშვილს**. ის ამბობს, რომ 5 სექტემბერს, როცა პარლამენტის საშემოდგომო სესიები დაიწყება, გაიმართება რიგგარეშე სხდომა, რომელზეც კოლეგებს, მათი სურვილისამებრ, უფლებამოსილება შეუნყდებათ.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი **გალვა ნათელაშვილი** ოპოზიციურ პარტიებს არჩევნების ბოიკოტირებისკენ მოუწოდებს:

— მოუწოდებ ოპოზიციურ პარტიებს, ერთად გამოვაცხადოთ ბოიკოტი და არ მივცეთ საშუალება ამ ხელისუფლებას, კიდევ ერთხელ მოატყუოს ქართველი ხალხი და ჩაატაროს ე.წ. მრავალპარტიული არჩევნები.

ლეიბორისტთა მონოდებას ჯერჯერობით, მხოლოდ პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია იზიარებს. გამსახურდიასგან განსხვავებით, **სალომე ზურაბიშვილი** ამის წინააღმდეგია. ის იმედოვნებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებას მოიპოვებს.

გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა არჩევნებს უნდობლობას უცხადებს. მათი თქმით, არჩევნების გამართვა აუცილებელი ფორმალობაა და ამის შემდეგ კვლავ შენობების შეღებვა, გზების დაგება და შადრევნების გახსნა გველის. სამუშაო ადგილების, პენსიებისა და ხელფასების გაზრდაზე კი არავინ ფიქრობს.

დავით ციხაძურიძე, 56 წლის:

— თარიღზე მეტად მნიშვნელოვანი ისაა, თუ რას მოუტანს ეს არჩევნები ჩვენს ქვეყანას. უკვე მერამდენედ ვიღებ არჩევნებში

მონაწილეობას, იმ იმედით, რომ ქვეყანაში ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება. სამწუხაროდ, ყოველთვის იმედგაცრუებული ვრჩები. დაუნასავი ნამდვილად არა ვარ და ვხედავ, რომ ქალაქი თანდათანობით ლამაზდება, ქუჩები, ფასადები, შადრევნები... მაგრამ ისიც თვალში საცემია, რომ გაჭირვებული ადამიანების რაოდენობა არათუ შემცირდა, არამედ — პირიქით. ვწუხვარ, როდესაც გავივლი და ვხედავ, რომ ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანი ხელგანვედლი დგას სამათხოვროდ. როგორც მახსოვს, დღევანდელი ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირება, სამუშაო ადგილების შექმნა იყო. ეს არის დანაპირების შესრულება?! ხალხს ლამისაა, შიმშილისგან სული ამოსძვრეს. მხოლოდ არჩევნების გამართვა არაფერია, თუ ამას ქვეყანაში სასიკეთო ძვრები არ მოჰყვება.

გიორგი ზიბილური, 47 წლის:

— მოსახლეობა იმდენად შეეჩვია წინასაარჩევნო დაპირებების მოხმენას, ხოლო შემდეგ — იმედგაცრუებას, უკვე თითქოს წესად იქცა, რომ საქართველოში ასე უნდა ხდებოდეს. არც ახლა მაქვს იმედი, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება. შევარდნაძის მმართველობისგან განსხვავებით, მისხაროდა, რევოლუცია რომ მოხდა, მიტინგებზე შვილებთან ერთად დავდიოდი, დღევანდელი პრეზიდენტის საქომადგომ, მაგრამ რა მელოდა წინ, არ ვიცოდი. ერთ-ერთ საინისტროში ვუშაობდი ელექტროინჟინრად. საკადრო რეორგანიზაციის მოტივით, სამსახურის გარეშე დავრჩი. ახლა კი, ვირტყამ თავში ხელს, მაგრამ უკვე გვიანაა... არც ამ ადგილობრივი თვითმმართველობის იმედი მაქვს. თბილისის საკრებულოს ახალი შემადგენლობა და მერი მოუტანს ვითომ რამეს ამ გაჭირვებულ ხალხს?! **ნათია ლუმაბაძე**, 19 წლის:

— ჩვენი ქალაქი ძალიან მომწონს, დღითი დღე ლამაზდება. არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ და მხარს გიგი უგულავას დავუჭერ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სიმპათიური მამაკაცია და მეორეც — სტუდენტური სამუშაო პროგრამა განახორციელა. მართალია, უფროსები ისევ ჩივიან და წუწუნებენ, მაგრამ მე მათ აზრს არ ვიზიარებ...

ჩვენ დავინტერესდით, რას ფიქრობენ არჩევნებზე ცნობილი ადამიანები.

გიან ზურაბაძე, მსახიობი:

— იმ საარჩევნო კოდექსით, რომლითაც ჩვენი ხელისუფლება ხელმძღვანელობს, მიმანია, რომ არჩევნების გამართვა, სისულელეა. რაც არ უნდა გვარწმუნოს ხელისუფლებამ, ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები დემოკრატიული ვერ იქნება, რადგან ის არადემოკრატიულ საარჩევნო კოდექსზე არის აგებული. ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს ეთამაშება, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ თამაშის შედეგს მოსახლეობა იძვის.

ნანი ზრუბაძე, მომღერალი:

— საქმის კურსში არა ვარ და სიმართლე გითხრათ, დიდად არც მაინტერესებს. საინფორმაციო საშუალებებს იზვიათად ვუყურებ. ასე რომ, როდის და რისთვის იმართება ეს არჩევნები, ვერ გეტყვით. ■

„ჩვეოლუსიით“ უოგილი



სააკაშვილი და რუსეთი

რუსულან ლებანიძე

ნამდვილად ვერ ვიტყვი, უცხოური და განსაკუთრებით, მრავალნაცადი რუსული პრესის მიმოხილვაში ისე გავინაფე, რომ თვალის ერთი გადავლებითაც ვხვდები, „ძალის თავი“ სად მარნია და საქართველოზე დანერვილი ამა თუ იმ სტატის ავტორი ჩვენი ფარული მტერია თუ აშკარა მოყვარე და კეთილმისურველი-მეთქ. მაგრამ სააგენტო Regnum-ის მიერ შემოთავაზებული, სამხრეთ კავკასიის პრობლემების ექსპერტის, ვიქტორ იაკუბიანის ნაზრების გაცნობის შემდეგ (თანაც — ამ გაგანა სიცხეში!) ლამის მთლად იმ გზაბნეულ მგზავრს დავემგავსე, რომელსაც გზაჯვარედინთან მისულს, ასეთი წარწერა დახვდება: საითაც არ უნდა წახვიდე, მაინც დაილუპები და აბა, შენ იცი, არჩევანში არ შეცდები!

თავად ბატონი იაკუბიანი დღევანდელ საქართველოს არჩევანს თითქოს, არ უნდა უწუნებდეს. მეტიც: ვარდების რევოლუციის შემდგომ მიღწევებს ისეთი გულმოდგინებითაც კი აღწერს და, რუსული გამოთქმისა არ იყოს, „თაროებზეც“ ისე თანმიმდევრულად „ალაგებს“, რომ მისი, თვით „ვარდების

რეგოლაციის“ შემოქმედთა კი შემურდებოდათ. მაგრამ როცა საქმე დასკვნაზე მიდგება, ის მაინც ტენდენციურად უარყოფითი გამოდის. ანუ, თუ პატივცემულ ექსპერტს დაუფურცლებთ, საქართველომ რუსეთის გარეშე რასაც არ უნდა მიაღწიოს, საბოლოოდ მაინც მარცხისთვისაა განწირული. ერთი სიტყვით, ბატონი იაკუბიანი თავისი ანალიზით გარეთ მტერს უბრმავეს თვალს და შიგნით — მოყვარეს. თანაც, ამას ისე ოსტატურად აკეთებს, რომ ხშირ შემთხვევაში, ქართველებმა მტყუან-მართლის გარჩევა საერთოდ ვეღარ შევძლოთ.

თუმცა, ვერ დავიწყებ — მაინცდამაინც ჩემი შთაბეჭდილება მართალი და ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია-მეთქი და საბოლოო დასკვნების გაკეთება მკითხველისთვის მიმინდვია...

„საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის 3 წლის მანძილზე, არა მარტო თავად საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაშიც არსებითი ტრანსფორმაციები მოხდა. ალბათ, დიდ გაზვიადებად არ ჩაითვლება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში სიტუაციის ნებისმიერი შეცვლა არ შეიძლება, პირდაპირ ან ირიბად, დიდი კავკასიის ყველა ხალხის ბედსაც არ შეეხოს. შესაბამისად, ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია რუსეთის, როგორც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ, მეოთხე კავკასიური ქვეყნის ინტერესებთანაც.“

საქართველო სულ უფრო აქტიურ რეგიონალურ პოლიტიკას ატარებს და მნიშვნელოვან საერთაშორისო პროცესებსა და ინიციატივებში მონაწილეობის სულ უფრო აშკარა პრეტენზიასაც აცხადებს. სააკაშვილის გუნდის მოსვლის შემდეგ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ხაზის სულ უფრო და უფრო მზარდმა გააქტიურებამ რუსეთის წინაშე მთელი რიგი საკითხები დააყენა. ეს საკითხები, მათი ხასიათიდან გამომდინარე და იმის გამოც, რომ რუსეთს მათზე პასუხები სულ უფრო ნაკლებად ან საერთოდ აღარ აქვს, დიდ გამოწვევად იქცევა ხოლმე. იძულებული ვარ, დავაფიქსირო, რომ რუსული პოლიტიკური ელიტა და ანალიტიკური აზრი ასეთი გამოწვევებისთვის მზად არ აღმოჩნდნენ.

ცალკეული ქართველი პოლიტიკოსებისა და მათი მეთოდებით გაღიზიანებული კომენტარების მიუხედავად, რომლებიც მოსკოვიდან სულ უფრო ხშირად გაისმის, სააკაშვილის მთავრობის მოღვაწეობის შედეგები, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, აშკარაა. ყოველ შემთხვევაში, მათი ჩამოთვლა ნამდვილად შეიძლება:

1. თბილისმა აჭარა თავის უპირობო კონტროლს დაუქვემდებარა. ბათუმში და ავტონომიის სხვა რაიონებში ფინანსური მოცულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები ხორციელდება, რომლებშიც უცხოური კაპიტალიც მონაწილეობს. ამ რეგიონში აქტიურობით ყაზახური კომპანიები და ბანკები გამოირჩევიან. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც თბილისი დღეს აღნიშნულ რეგიონთან მიმართებაში ანგარიშს უწევს და მომავალშიც გაუწევს, თურქეთია.

ბათუმში 1878 წელს დაწყებული რუსული გავლენის პერიოდი კი უკვე დასრულდა.

2. საერთაშორისო პრესინგის პირობებში, საქართველომ საკუთარი ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას მიაღწია. ამჟამად იარაღი, საბრძოლო მასალა და პირადი შემადგენლობა რეგიონული დონის ორი სტრატეგიული ნერტილიდან — ბათუმიდან (თურქეთის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მყოფი შავი ზღვის პორტი) და ახალქალაქიდან (სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრების შევირაპირების ნერტილი) გაშვავდა. სომხური გიუმრის გარდა, ახალქალაქიც ამიერკავკასიის „გასაღებს“ წარმოადგენს და სწორედ ამ პუნქტზეა დაგეგმილი ყარაი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზის გატარებაც. აღნიშნული პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც, რუსეთისა



და მისი სტრატეგიული პარტნიორის — სომხეთის, შუა აზია-მცირე აზიის ტვირთის ნაკადისგან მოკვეთა, რუსული ბაზის არსებობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ქართულმა მხარემ არა მარტო საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნის, არამედ მოსკოვის რეგიონულ სამხედრო-სტრატეგიულ პოზიციებთან დაკავშირებული ბევრად უფრო მაღალი დონის საკითხის თავის სასარგებლოდ გადაჭრაც მოახერხა.

3. მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, საქართველომ საერთაშორისო ფინანსური პროცესის ორბიტაში დაბრუნება მოახერხა. ედუარდ შევარდნაძის დროს, დეფოლტების მთელი რიგის შემდეგ, საქართველო პრაქტიკულად ამოვარდა იმ ქვეყნების სიიდან, რომლებიც ისეთი ფინანსური ინსტიტუტების ნდობით სარგებლობენ, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. ამჟამად ორივე ამ სტრუქტურამ თავისი საკრედიტო და პუმანიტარული პროექტები კვლავ აღადგინა.

4. საქართველომ არსებითად გაზარდა და სრულყო საკუთარი სამხედრო-ტექნიკური პოტენციალი. იმისდა მიუხედავად, თუ შეიარაღება რომელი წყაროდან — თურქეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, უკრაინა, აშშ — მოდიოდა, არმიას ინსტრუქტირებას ვინ (თურქეთი, საფრანგეთი, აშშ) უწევდა და რა მიზანს მოემსახურება მოცემული პოტენციალი,

— ის უკვე არსებობს; რუსეთის გარეშე შეიქმნა და ლიადა მიმართული რუსეთის მეურვეობის ქვეშ მყოფი იმ რეგიონების წინააღმდეგ, რომელთა ტერიტორიებიც კომპაქტურადაა დასახლებული რუსეთის მოქალაქეებით. სამხედრო ბიუჯეტი, რომლის ქონის უფლებაც და შესაძლებლობაც თბილისს აქვს, განუხრელად იზრდება. საქართველოს სამხედრო ძალები დღეს, რეგიონულ მასშტაბში, იმ რეალურ ძალას წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნის ხელმძღვანელობის დავალებების შესრულება შეუძლია. არსებითად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურეთა და სამართალდამცავი სტრუქტურების ხელფასები. წარმატებით ჩამოყალიბდა რეზერვისტების გამლა-გაფართოების სისტემა.

5. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის გეგმაზომიერი გაზრდის გზით, ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ რეგიონიდან ოსების გადინების პროცესი დააჩქარეს, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო პოზიციები უშუალოდ კონფლიქტის ზონაში და პოლიტიკური პოზიციები — საერთაშორისო არენაზე. საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში ამჟამად დგას და საფუძვლიანადაც ანალიზდება არა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ან თუნდაც მისი მოსახლეობის უსაფრთხოების, არამედ მხოლოდ რუსეთის სამშვიდობო მისიის ეფექტურობის საკითხი. ამ მიზანს ქართულმა მხარემ უშრომელად როდი მიაღწია. თვით თბილისის დასავლელ პარტნიორებსაც კი, შესანიშნავად მოეხსენებათ, რომ სანამ საქართველო სამხრეთ ოსეთს თავის შემადგენლობაში ჩართავს, იქ მასობრივ ეთნიკურ წმენდას მოახყობს და აუღიარებელი რესპუბლიკიდან ოსური მოსახლეობის ძირითად მასას გამოდევნის.

6. თბილისმა ყველასთვის სრულიად მოულოდნელად განახორციელა ოპერაცია კოდორის ხეობაში. რეგიონი, რომელიც ყველას მიერ დე იურე აფხაზეთის ტერიტორიადაა აღიარებული და რომელსაც დე ფაქტო ვერც თბილისი და ვერც სოხუმი ვერ აკონტროლებდნენ, საქართველოს მხარის სრულ კონტროლს დაექვემდებარა.

შეტიც, აფხაზეთის ომის დამთავრების შემდეგ პირველად, ენ. „აფხაზეთის დევნილ მთავრობას“ შეიძლება სინამდვილეშიც ასე ეწოდოს. რა თქმა უნდა, ეს ტრიუმი და ტერიტორიებით შუღერული თამაში... მაგრამ, ისიც კიდევ ერთხელ უნდა შეგახსენოთ, რომ ამ მთავრობამ ფეხი დადგა მინაზე, რომელიც ყველას მიერ აფხაზეთადაა აღიარებული. ჯერ კიდევ გუშინ, ასეთი მთავრობა, თბილისის გარდა, არავისთვის არსებობდა, დღეს კი ის ადგილობრივი თამაშის პატარა, მაგრამ რეალურ ფაქტორად იქცა. კოდორის მოვლენების დროს რუსეთი დამკვირვებლის როლით შემოიფარგლა, რასაც საქართველოს მხრიდან მეცხეული რეაქცია მოჰყვა: ბრძოლების დამთავრებისთანავე საქართველომ დაბეჯითებით მოითხოვა იმ ჯგუფიდან რუსეთის წარმომადგენელთა გარიცხვა, რომელიც მალე ხეობის მონიტორინგს განახორციელებს. თბილისისთვის ერთგვად არასაიმედო სფერო ფაქტორის აღმოფხვრის კვალდაკვალ,

გაგრძელება იხ. გვ. 68

ლალი შანიბა

ქარნალისტი – კრისტი
რასპონოვსკი – ალესია

— ალესია, როგორ გაცნობდი შენს თავს ქართველ საზოგადოებას, მეთხველს?

— ეროვნებით სუფთა სისხლის რუსი ვარ. დავიბადე მოსკოვთან ახლოს, ქალაქ რიბინსკში. 3 წლის ვიყავი, როცა ჩემი ოჯახი საცხოვრებლად ლატვიაში გადავიდა, კერძოდ, ზღვისპირა ქალაქ ლიეპაიაში. თითქმის ზღვის ნაპირას ვარ გაზრდილი. ვგიჟდები ზღვაზე. შეიძლება ითქვას, რომ ზღვა ჩემი მეორე „დედა“ა. როდესაც მისი ხმა მესმის, შთაბეჭდილება მექმნება, რომ მე და ის ერთი მთელი ვართ, რაც საოცრად თბილი და კარგი გრძნობაა. ლატვია ჩემი მეორე სამშობლოა, რადგან იქ გავიზარდე. რუსეთს არ ვიცნობ, იქაურობა ძალიან პატარამ დავტოვე. დავამთავრე გიმნაზია, 12 წელი ვსწავლობდი. სხვათა შორის, საუკეთესო მოსწავლე ვიყავი. 18 წლის რომ გავხდი, წავედი გერმანიაში. იქ წასვლა და განათლების მიღება ჩემი ბავშვობის ოცნება იყო.

— რა მიმართულებით გინდოდა სწავლის გაგრძელება?

— რალაც, მოდის სფერო მიზიდავდა. მასსოვს, ბავშვობაში, საკერავი მანქანა მიყიდეს და დავინწყე თოჯინებისთვის კაპების შეკერვა. მოდელიერობა მინდოდა. ყველას უკვირდა, რომ სრულიად პატარა გოგონას ასეთი სურვილი მქონდა. მართლაც, 18 წლის რომ გავხდი, გერმანიაში წავედი. გამიმართლა, მოხვდი შესანიშნავ ოჯახში. ძიძა ვიყავი, მაგრამ ოჯახს შვილად მივანძი. ერთი წლის შემდეგ, საკმარისი გამოცდილება დავაგროვე ბრწყინვალედ შევისწავლე გერმანული ენა, სერტიფიკატიც ავიღე. იმ პერიოდში გერმანიაში აღმოვაჩინე სკოლა, სადაც მოდისა და დიზაინის განხრით შეიძლებოდა სწავლა. საოცარ კონკურსში მოიმინა მონაწილეობამ. იქ დაახლოებით 2000 კაცი აბარებდა, მისაღები კი, სულ 20 იყო. 4 ტურს გავუძელი და კონკურსს გამოვეთიშე. ეს ჩემთვის ტრაგედია აღმოჩნდა. უდიდესი იმედგაცრუება ვიგრძენი, რადგან ვერ შევძელი ჩემი ოცნების ასრულება. მერე სხვა მიმართულებით დავინწყე საკუთარი ძალების მოსინჯვა. არაერთ სფეროს შევეხე — ფსიქოლოგიას, ეკონომიკას, არქიტექტურას, მაგრამ არაფერმა მიმიზიდა, გარდა ერთისა: უცხო ენების შესწავლამ. დავინწყე სწავლა. მაგრამ ერთ წელიწადში გავთხოვე და ბავშვი შემეძინა. ახლა მყავს შესანიშნავი მუშა — გიორგი, პატარა დავითი და ბედნიერი ოჯახიცმაქვს.

— ქმარ, როგორც ვიც, ქართველი გყავს. სად და როგორ გაიცანი?

— საკმაოდ საინტერესო ვითარებაში გავიცანი ერთმანეთი. როდესაც გერმანელთა ოჯახიდან წამოვედი (სხვა ქალაქშიც გადავედი), ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო. სანამ სწავლას შევუდგებოდი, დროებითი სამსახური უნდა მომეძებნა, რომ საარსებო მინიმუმი მქონოდა. მეგობარმა შემომთავაზა, ერთ-ერთ დისკოთეკაზე დამეწყო მუშაობა, რად-

სამოდელი სააგენტო „ნატალის“ მშვენიერი მოდელები არასდროს მოკლებია, ახლა კი მათ რიგებს ერთი უცხოელი მოდელი — მომზიბველი ალესიაც შეემატა. მისი დებიუტი საქართველოში ორი კვირის წინ, კვარიათში, ზღვაში შეჭრილ პოდიუმზე შედგა, რითიც თავადაც კმაყოფილია და სააგენტოც. ინტერვიუ ალესიას ქართველი ჟურნალისტებისთვის ჯერ არ მიუცია. ისე მოხდა, რომ პირდაპირ რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლი“ აღმოჩნდა, „ნატალის“ ყველაზე სტაჟიან მოდელ კრისტისტან ერთად.

„ნატალი“ უცხოელი მოდელი უაიკინა



ახსია სააგენტოში ქარნალისტი

გან იქ თავისუფალი ადგილი იყო. იმ გასართობი ცენტრის უფროსთან მე მიგიყვან, ჩემი ნაცნობიაო, — მითხრა.

— და გასართობი ცენტრის უფროსი შენი მომავალი მეუღლე ხომ არ აღმოჩნდა?

— ასეც იყო (იციინის). იმ პერიოდში, არანაირ სიყვარულსა და ურთიერთობაზე არ მიფიქრია, ერთადერთი მიზანი მქონდა, მესწავლა... ჩვენ ერთხელ შეხვედით ერთმანეთს. მან ამისხნა, თუ რა მოვალეობები მეკისრებოდა. მეორე შეხვედრისას, მოიტანა ბარათი, სადაც სასმელების სია იყო ჩამოწერილი, რომელიც უნდა დამემასხვებინა, რომ შემდეგ მოვმასხვებოდი კლიენტებს. მესამედაც რალაც შეხვედრა გვექონდა და მიუხედავად ჩემი საოცარი სურვილისა, რომ სხვაზე არაფერზე მეფიქრა, გარდა ჩემი მიზნისთვის საჭირო გზის ძიებისა, ჩვენ შორის გრძნობა გაჩნდა...

— ერთი ნახვით შეგიყვარდა ერთმანეთი?

— დიახ, შეგიყვარდა. სულ სხვანაირად დატრიალდა ჩემი ცხოვრება. მანაც ვერ ჩავაბარე იქ, სადაც მინდოდა.

— ოცნება ოცნებად რჩება დღემდე? — ასეა.

— ვიც, რომ მოდელად მუშაობის გამოცდილებაც გაქვს. ის სად მიიღე — გერმანიაში თუ ლატვიაში?

— ლატვიაში. პროფესიონალი მოდელი ვიყავი, სპეციალური სასწავლებელი მაქვს დამთავრებული. ყველაფერი დაიწყო მაშინ, როდესაც 13 წლის ვიყავი, როცა ლიეპაიაში სამოდელი სკოლაში ჩავაბარე. იქ ჩვენს მრავალმხრივ განვითარებაზე ზრუნავდნენ: გვასწავლიდნენ პოდიუმზე სიარულს, კოორდინაციას, ეტიკეტს, ვიზაჟს — ყველაფერს, რაც ქალს და მოდელს სჭირდება. ჩემი დებიუტი პოდიუმზე დიპლომის დაცვის დღეს შედგა. თვითონ შევექმენი კოსტიუმი, რომელიც ყურადღების ცენტრში მოექცა და თავადაც წარმოვადგინე ის. შემდეგ, რამდენიმე ჩვენებაში ვმონაწილეობდი. ერთხელ, ხელით ნაქსოვი კოსტიუმები იყო, შემდეგ — ბუნებრივი, ქურქები...

— გერმანიაში პირველად რომ ჩახვედი, თავიდანვე რატომ არ მიხვედი რომელიმე სამოდელი სააგენტოში? მოდელად მუშაობის გამოცდილება ხომ გქონდა...

— გერმანიაში ბაზარი ამ მხრივ, ძალზე გადატვირთულია. ამიტომ, ჩემთვის ძნელი იყო იქ შესაფერისი ადგილის მოძებნა. ეს

ვიცი და არც მიცდია, ამ მიმართულებით მომეტენა საქმე. თან, იმ პერიოდში, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვი ვიყავი — გამოცდილება მაკლდა.

— ძელია ლატვიაში მოდელია?

— ბაზარი იქაც მრავალფეროვანია. იქ ძალიან ბევრია კარგი, ლამაზი, წარმოსადეგი გოგონა. ასევე რთულია, გახადე რომელიმე სააგენტოს მუდმივად აქტუალური სახე.

— **გეთანხმები, მოდის სამყაროში არ არის ადვილი კარიერის აწყობა. ახლა იმის შესახებ მოგიყვები, როგორ აღმოჩნდი ქართულ სამოდელო სააგენტო „ნატალი“.** თან, გაგვიზიარე შენი შთაბეჭდილება პირველი ჩვენების შესახებ, რომელიც საქართველოში გქონდა.

— პასუხს კითხვის მეორე ნაწილიდან დავიწყებ. ჩემი პირველი ჩვენება კვარიათაში, ზღვის სანაპიროზე შედგა. რაღაც საოცარი განცდა დამეფულა. დასაწყისში აღვნიშნე, რომ ზღვა ჩემი მეორე „დედაა“. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, როდესაც ზღვაში შეჭრილ პოდიუმზე გავივლიდი! თითქოს მეორედ დავიბადე, ისეთი განცდა მქონდა... სანამ საქართველოში ჩამოვიდოდი (პირილში ვწვივო აქაურობას პირველად), საერთოდ არ მეგონა, თუ აქ გოგონები სამოდელო ბიზნესით იყვნენ დაკავებული. როდესაც საპირისპირო დამხვდა, გაოცებული, აღფრთოვანებული და კმაყოფილი დავრჩი... მე მიყვარს ჩემი საქმე. როდესაც კამერასთან ვმუშაობ, ფოტოგრაფი ან ოპერატორი მუშაობს ჩემთან ერთად. თბილისში რომ ჩამოვდივით, გამიჩნდა სურვილი, აქ მოდელოდ მემუშავა. ამიტომ, ჩემმა ქმარმა ტელეფონების ცნობარში იპოვა სამოდელო სააგენტო „ნატალის“ ნომერი და შემომთავაზა — მივსულიყავი და იქ მომესინჯა ჩემი ძალები. გამიკვირდა. კიდევ ვიმეორებ: საქართველოში რომ მოვდიოდი, არ მეგონა, თუ სამოდელო ბიზნესი არსებობდა. არ ვიცი, რატომ მქონდა ქართველებზე ასეთი შეხედულება, მაგრამ ქართველ ქალს პოდიუმზე გავლა თუ შეეძლო, არ მეგონა... ჩემი აზრი და შეხედულება რადიკალურად შეიცვალა, რადგან საქართველოში ლაღად და თავისუფლად ვიგრძენი თავი.

— რატომ ჩამოხვედით საქართველოში?

— ჩემი ქმარი გერმანიაში 12 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. მერე ის საბოლოოდ, ნოსტალიგიამ შეანუხა და საყვარელი ადამიანის გამო, მეც ბევრ რამეზე ვთქვი უარი. რას არ გააკეთებ საყვარელი ადამიანის გულისთვის?! ჰოდა, მასთან ერთად ჩამოვედი საქართველოში. როდესაც აქ სამოდელო სააგენტოშიც მოვხვდი, თითქოს ღრუბლებში აღმოჩნდი. ძალზე თბილი ქალბატონია მისი ხელმძღვანელი — ნატალი, ამას გულით ვამბობ. გოგონებიც კარგად შემხვდნენ.

— ვეროპელი გოგონასთვის ქართველი ქმარი როგორია? აზიანი ხომ არ არის?

— მინდა ვთქვა, რომ ამ მხრივ გამიმართლა. ჩემს ქმარზე ეტყობა, გავლენა იქონია

ვეროპაში ხანგრძლივად ცხოვრებამ: მენტალურად შეიცვალა... გამიმართლა ასევე იმაშიც, რომ მის ირგვლივაც არაჩვეულებრივი ხალხია. საოცარი მენობლებიც მყავს...

— სად ცხოვრობთ?

— ვარკეთილში. ყველა ერთმანეთს იცნობს. ისე შემყვარა ყველამ თავი, რომ რა გითხრათ?! ასე მგონია, აქ მაქვს გატარებული მთელი ცხოვრება. იცით, როგორი სასიამოვნოა, ყოველ დღით გარეთ გამოსვლა, როცა თითოეული ადამიანი „გამარჯობას“ გეუბნება, ბავშვს ეფერებიან... საქართველოში ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე.

— კარგი დიასახლისი ხარ? გემოვნად კერძებს ამზადებ?

— თავს არ ვიქებ, მაგრამ ეს საქმე გამომდის. გურმანი ვარ და ქართული სამზარეულო მომეწონა. მიყვარს „ბაუე“, ბადრიჯნისგან დამზადებული კერძები. აღფრთოვანებული ვარ ქართული ლავაშითა და შოთებით. ასეთი, ცხოვრებაში არაფერი მიჭამია.

— ხინკალი არ მოგეწონა?

— კი, მაგრამ სოკოს ხინკალი უფრო მომწონს.

— საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები თუ დაათვალიერებ?

— ბევრი რამ ენახე, ბევრიც სანახაო მაქვს, მაგრამ აღფრთოვანდი მცხეთითა და ჯვრის მონასტრით. იქ რომ შევედი, თითქოს რამდენიმე საუკუნით უკან გადავინაცვლე...

— დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.

— პირიქით, მადლობა — შენ.

ჟურნალისტი — ალესია რეპაონლეტი — კრისტინა

— დასაწყისში, როგორც წესია, მინდა მოგესალმო. იმედი მაქვს, მკითხველი უკვე კარგად გიცნობს. ვეცდები, მეც გაგიცნო. დღეს ტელევიზიით ძველ კადრებს რომ ვუყურებ — იმის შესახებ, თუ რა გადაიტანა

გოგონებიც კარგად შემხვდნენ



სცენის, პოდიუმის, ობიექტივის გარეშე აღარ შემიძლია



საქართველომ ბოლო 10-15 წლის მანძილზე — ვითარუნები. მინტერესებს, საერთოდ, როგორ მუშაობდი, ცხოვრობდი იმ პერიოდში?

— მოდელობა 1994 წელს დავიწყე. სააგენტო „ნატალი“ 1995 წელს დაარსდა. საქართველოში ომის შემდგომი პერიოდი იყო. ყველაფერი, ფაქტობრივად, მკვდარი გახლდათ ქვეყანაში. არც სინათლე გქონდა, არც გაზი. იმ დროს ნატალმა, ჩვენმა ხელმძღვანელმა შეგკვირბა გოგონები და დავგარქვა „ომის შემდგომი ბავშვები“... დიდი ენთუზიაზმით დავიწყეთ მუშაობა და ეს ენთუზიაზმი დღემდე გრძელდება. მოდელობა იმდროს დავიწყე, რომ მომწონდა ეს საქმე პარალელურად, ინსტიტუტში ვსწავლობდი. ამიტომ თავიდან, ეს საქმე ჩემთვის მხოლოდ ჰობის წარმოადგენდა. მერე იქ ხელფასიც ავიღე და ხალხმა გამიცნო, პოპულარული გახდი. თანდათან მივხვდი, რომ ჰობი პროფესიად მექცა.

— ისე, რა პროფესია გაქვს?

— უცხო ენების ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. დიპლომი მინერია — ინგლისური ენის სპეციალისტი. მაგრამ ჩემი ეს პროფესია რაღაც, მეორე პლანზე გადავიდა, მოდელი გახდი. ცხოვრებამ ასე მოიტანა. მოდელობა ჩემი განუყოფელი ნაწილი გახდა. მის გარეშე აღარ შემიძლია. რომ ამბობდნენ — მსახიობები სცენის მტვრით ინამლებიანო, — არ მესმოდა, რას ნიშნავდა და ასეთი რამ თუ შესაძლებელი იყო. სანამ მეც ამის მსგავსი რამ არ დამემართა, ვერ მივხვდი. ახლა სცენის, პოდიუმის, ობიექტივის გარეშე აღარ შემიძლია.

— მოდელი რომ გახდი, ამას მამაშენი როგორ შეხვდა?

— ჩემსა და ჩემს მშობლებს შორის ასაკობრივი სხვაობა 19 წელია (ისინი ტოლები არიან). მათ მანცინდამინც დიდი თავისუფლება თავიდან არ მოუნიჭებიათ ჩემთვის, მაგრამ მენდობოდნენ. ყოველთვის მშვიდი ბავშვი ვიყავი, არაფერში ვწინააღმდეგებოდი ხოლმე, დამოუკიდებელი არ ვყოფილვარ. ჩემი დებიუტი პოდიუმზე 16 წლის ასაკ-

ში შედგა, რასაც მშობლები ძალზე მშვიდად, აუღელვებლად შეხვდნენ.

— უკვე რამდენი წელია, რაც მოდელი ხარ?

— 12. მალე 13 წელი გახდება.

— თუ გეონა ამ ხნის მანძილზე რაიმე პროფესიული უსამოვნება?

— უკონფლიქტო ადამიანი ვარ. ყოველთვის კეთილგანწყობილად ვუყურებ ადამიანებს. შეიძლება იმიტომ, რომ ჩემზე მოთხოვნა მუდმივად იყო. უსამოვნება რომელიმე კოლეგასთან არასდროს მქონია.

— შენს პროფესიას ცოტა ხნით თავი რომ დაგანებოთ და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, პოლიტიკურ სიტუაციას შევხვდეთ?.. რას ფიქრობ იმაზე, რაც ახლა ქვეყანაში ხდება?

— პოლიტიკური შეფასებებისგან ყოველთვის თავს ვიკავებ. თუმცა, ძალიან მანუშებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ვცდილობ, ამ თემაზე არ ვილაპარაკო. ისე, რა თქმა უნდა, ოპტიმისტი ვარ, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

— გეთანხმები. ისე, ახლა ქვეყანაში ამდენი რამ რომ კეთდება, ხომ მოგწონს?

— კი, ყველაფერს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. უცბად ვერ ამენდება ქვეყანა. ნელ-ნელა ალბათ, მდგომარეობა გამოსწორდება.

— ახლა ის მითხარი — ფორმას როგორ იწარმოებენ? ყველაფერს ჭამ? განსაკუთრებით რა გიყვარს?

— შენ წარმოიდგინე, ძალიან მიყვარს რესტორანში ჭამა. შეიძლება, სახლში მთელი დღე ვიყო და არაფერი ვჭამო, განსაკუთრებით — ზაფხულში. მეც კარგი მზარეული ვარ, დედაც გემრიელ კერძებს ამზადებს, მაგრამ სახლში ჭამა სიამოვნებას არ მანიჭებს.

— რომანტიკოსი ხარ?

— „მთლიანად“ — არა: 50%-ით რეალისტი ვარ. რომანტიკოსი ზღვაზე ვხდები, ყოველდღიურ ცხოვრებაში ამისთვის დრო ნაკლებად მრჩება...

— მე რომ მკითხე შთაბეჭდილება, კვარათის ჩვენებასთან დაკავშირებით, თავად რას იტყვი?

— ულამაზესი ჩვენება იყო, კოლექციაც — ძალიან კარგი და მსუბუქი. ძალიან უხდებოდა ერთმანეთს პოდუმი, ზღვა, მოდელები, კოლექცია, ფერები. საოცარი სინაზისა და ჰეროიკების შეგრძობის ტოვებდა. ზღვაში შეჭრილი პოდუმიზე რომ გამოვდიოდი, მეგონა, თითქოს უსასრულობას ვუერთდებოდი... კარგად იყო მოფორმებული ყველაფერი. დიზაინერ თეონა თავართქილაძეს ვულოცავ, მშვენიერი იდეა და კოლექცია წარმოადგინა. საოცარი შარში ჰქონდა ყველაფერი.

— შენს შვილზე რას გეუბრები?

— ჩემი შვილი უკვე 5 წლისაა, დამოუკიდებელი და ჭკვიანი გოგოა. უჩემოდ ყოფნა არ უჭირს. ახლა დედაჩემმა და ჩემმა დამ ის ზღვაზე წაიყვანეს. იქიდან მირეკავს და მეჭორავება ხოლმე (იცინის)..

— გმადლობ საუბრისთვის.



მართალია, ბიძაჩემი წარსულში კომუნისტ-ფუნქციონერი გახლდათ, მაგრამ საბჭოთადროინდელი შეგონება — „როდესაც ვჭამ, ყრუ და მუნჯი ვარ“, — მის ხასიათში არ ზის. როგორც ნამდვილმა ქართველმა, კარგი ღვინის ფასი იცის, ამიტომ სუფრასთან ზომიერადაც მიერთმევს და ლაპარაკის ხასიათზეც დგება. როგორც გითხარი, კომუნისტურ მთავრობაში მაღალი თანამდებობის პირი იყო-მეთქი, ამიტომაც, მაშინდელი მნიშვნელოვანი მოვლენების უშუალო მონაწილეს მოსაყოლიც ბევრი დაუგროვდა...

პურმარტი გოგდა დეონიძესთან და ათწლეულების შემდეგ შემდგარი უცარი შეხვედრა

ემა ტუხიაშვილი

— ახლაც გაუგებარია ჩემთვის, რატომ კრძალავდა საბჭოთა იდეოლოგია ჩვენი მოქალაქეებისთვის უცხო ქვეყნების მონახულებას. დახატავდნენ ლიბიან კაპიტალისტებს და ზიზლით იშვერდნენ თითხ მათი მისამართით, თითქოს ჩვენ ცოტა გვყავდა ლიბიანი კომუნისტი. ერთხელ ეს ლიბიანი კომუნისტები ტურისტული საგზურით ეგვიპტეში გაგვიშვეს. რა ნახა ჩემმა თვალებმა! ქუჩის ერთ მხარეს მდიდრული სასახლე რომ იდგა, მეორე მხარეს, შუაგულ ქალაქში ნაგვის დიდი გროვა აღმართულიყო. შორიდან რომ შევხედე, შემეშინდა, რადგან ნაგვის მთა თითქოს მოძრაობდა, მაგრამ ახლოს მისულმა დავინახე, რომ შიგ „ნაგვისფერი“ ბავშვები ფუთფუთებდნენ. იქაურებს სამოსის ნაცვლად, ჯვალოს ტომრები ჰქონდათ ჩამოცმული. ამოაჭრიდნენ თავისა და ხელების გასაყრელ ადგილებს და მიმოდოდნენ არხეინად. კულტურასა და სირცხვილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი, ყველას დასანახავად შეეძლოთ, შუა ქუჩაში მოესაქმებინათ. ენახა, ბატონო, ეს ცხოვრება საბჭოთა მუშა ხალხს და იმასაც დავინახავდით, თუ მონიდომებდა კაპიტალიზმში ცხოვრებას.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს კაპიტალისტური, განვითარებული

ქვეყნები არ გინახავს...

— რა თქმა უნდა, „კარგი“ ქვეყნებიც მინახავს და ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიებიც, რომლებისაც იმხანად არაფერი გაგვეგებოდა. ერთხელ საბჭოთა სპორტმენები მეხიკოში წაიყვანეთ შეჯიბრებაზე. მაღალი დონის სასტუმროში დაგვამინავეს, ხოლო ჩვენი ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს განსაკუთრებული პატივი სცემს და ღამის საპრეზიდენტო აპარტამენტები დაუთმეს. აღფრთოვანებული დარჩა ქართველი კომუნისტი სასტუმროს კომფორტით, მაგრამ სანოლი ვერსად დაღანდა და პირდაპირ ხალიჩაზე წამოკოტრილადა. ოთახის კარი არ ჩაკეტა: შეიძლება, ბიჭებმა შემომირბინონო და ფშვინვა ამოუშვა. ბიჭებმა — არა, მაგრამ მალე მის კარს სუფთა პირსახოცებით ხელდამშვენიებული, სასტუმროს თანამშრომელი მიადგა. კაკუნზე რომ არავინ უპასუხა, ღია კარში შეუხედავს და შემინებულს განგაში აუტყავს: „რუსო ტურისტო“ მოკვდაო!.. რას წარმოიდგენდა, რომ საპატიო სტუმარი, კედელზე დამაგრებულ, სანოლის გასაშლელ ლილავს ვერ მიაგნებდა და იატაკზე გაიშლართებოდა?! ასე გვაჭამა სირცხვილი სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ.

— ეი. ქართველი მამაკაცები უცხოეთში ყოფნისას „რუსო ტურ-

ისტოს“ სახელით სარგებლობდით...

— რუსებს კი გვეძახდნენ, მაგრამ თავგამოდებულ კომუნისტთა რიგებშიც იყვნენ ისეთები, რომლებმაც ერთი ღერი რუსულიც არ იცოდნენ. მახსოვს, ერთხელ რაღაც ანკეტების შევსება დაგვაგვალეს, სადაც ერთ-ერთ გრაფაში სქესი უნდა მიგეთითებინა. რა თქმა უნდა, ანკეტები რუსულად იყო შედგენილი და შესაბამის გრაფასაც ეწერა: „ПОЛ“ ერთ-ერთი ჩემი კოლეგა ცოტა კი შეიშმუშნა: ნეტავი, რა ჯანდაბად აინტერესებთო? — და იქვე მიანერა — **ПАРКЕТНЫЙ**“. ერთხელ ამხანაგური მსვლელობა მოვანყვეთ რამდენიმე საბჭოთა ქალაქში. ქართულ დელეგაციას პლაცკარტის ტიპის ვაგონი გვერგო. ერთი ჩემი ტანმსხვილი კოლეგა საწოლზე ვერაფრით გაიმართა და იძულებული გახდა, ფეხები ვაგონის კორიდორში გაეყო. მოკლედ, ისე ვერავინ გაივლიდა ჩვენ მახლობლად, მის ფეხებს რომ არ წამოსდებოდა და მაშინვე მოუბოდიშებდა — **ПРОСТИТЕ, ИЗВИНИТЕ** -ო. რაკი სიტყვა, **ТЕ**“-ზე მთავრდებოდა, ამ ჩემს კოლეგას ეგონა, მესალმებინაო და ყველას ომხანადად პასუხობდა: **ЗДРАВСТВУЙТЕ, ЗДРАВСТВУЙТЕ**-ო! თან გაკვირვებას გამოხატავდა: რაჲა ყველა მიცნობსო?!



გოგლა სკამიდან წამოხტა და მოხუცს ჩაეხუტა

ამ დროს, ბიძაჩემმა კოლოფიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო, მოფშენიდა, მუნდშტუკში კოხტად მოათავსა და მოუკიდა. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ საუბარს გაცილებით საინტერესო და სერიოზული თემით განაგრძობდა...

— ახლა რასაც გიამბობ, ცნობილი ქართველი პოეტის, გიორგი ლეონიძის ბიოგრაფიის ნაწილია, მაგრამ ამ ამბავმა წერილობითი ასახვა ჯერ ვერსად პოვა. მას შემდეგ, მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ის დღე რომ მახსენდება, ტანში ჟრუნტელი დღესაც მივლის. სამწუხარ-

ოდ, ზუსტი თარიღი არ მახსოვს, მაგრამ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი იყო. ქალაქ გორში მწერალი ვანო ურჯუშელაშვილი ცხოვრობდა. სწორედ მასთან მეგობრობდა გიორგი ლეონიძე. ერთხელ ვანო ლეონიძე თავისთან დაპატიჟა და არნახული პურმარილი დაახვედრა. იმხანად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, შოთა ეცადაშვილი გახლდათ და ვანო ურჯუშელაშვილი მისი სიძე იყო, მე კი — შოთას



ძველი შენობების გვერდით ახალი, აგურით აშენებული სახლებიც იდგა და გვეგონა, რომ ლეონიძე სწორედ ერთ-ერთი ასეთი სახლის ჰიშკარს შეაღებდა

მეგობარი. ასე მოცხვდი იმ სუფრაზე, სადაც ლეონიძეს ელოდნენ. მართალია, სტუმარს გამზადებული პურმარილი ძალზე მოეწონა, მაგრამ მასპინძელს სთხოვა: ქალაქში ქეფი მობეზრებული მაქვს და სადმე ბუნებაში გავიდეთო. ლეონიძეს უარს ვინ ეტყოდა? პურმარილი კალათებში მოათავსეს და ავტომობილებით ვანო ურჯუშელაშვილის სოფელში — ყელქცეულში გავემგზავრეთ. გიორგი ლეონიძემ სოფელში ფეხით გასეირნება მოინდომა. მახსოვს, თვითონ წინ მიდიოდა და მასპინძლის სტატუსით მყოფნი უკან მივყვებოდით. ნაწვიმარი იყო და სოფლის ტალახი ფეხსაცმელზე გვეკვროდა. ეს განსაკუთრებით დამამახსოვრდა, ვინაიდან იმ დროს ძალიან მოდური, წვრილცხვირიანი ფეხსაცმელი, ახალთახალი მოკასინები მეცვა და ვუფრთხილდებოდი. ლეონიძეს სოფლის სკოლა აჩვენეს, კულტურის სახლი, მან კი უეტყრად თქვა — მოდიო, ვინმეს მოულოდნელად ვესტუმროთო. ძინმეს შენობების გვერდით ახალი, აგურით აშენებული სახლებიც იდგა და გვეგონა, რომ ლეონიძე სწორედ ერთ-ერთი ასეთი სახლის ჰიშკარს შეაღებდა. მაგრამ პოეტმა შარვლის ტოტები აიკვცა და სოფლის ორღობეს გაუყვა. სხვა რა გზა გვექონდა — ჩვენც უკან გავყვეით. სოფლის ბოლოს, ერთი მინუტი გამოჩნდა. სახლი, რომელიც მხოლოდ ერთი ოთახისგან შედგებოდა, ძველი ქართული კრამიტით იყო გადახურული და ეს სახურავიც სიძველისგან ჩაზნექილიყო.

ლეონიძე სწორედ ამ სახლის ღობესთან შეჩერდა და ბოხი ხმით შესძახა: მასპინძელოო! სახლის კარი ჭრიალით გაიღო და მოხუცებულმა ქალმა გამოგვხედა. ლეონიძემ ისევ გასძახა: სტუმრებს მიიღებო? ქალმაც ძლივს გაგვაგონა: მობრძანდითო. მოხუცი ქალი შავებში იყო ჩაცმული და ეს ძაძებიც ისე გახუნებოდა, რომ მონითალო ფერი დაჰკრავდა. რამდენიმე კაცი ლეონიძესთან ერთად, სისმაგიდას შემოევსხედით. ღარიბულად მონყობილი ოთახი შევათვალეერთ: ორი რკინის საწოლი, დაბალი კარადა, „ფეჩი“ და სკივრი — სულ ეს იყო ჩვენი მასპინძლის ავლადიდება. მოხუცი არ დაიბნა, საიდანლაც შუშის გრაფინით ნითელი ღვინო გამოიტანა და სუფრაზე დადგა, რამდენიმე კვერცი ქვაბში ჩაანყო მოსახარშად და „ფეჩზე“ შედგა. შემდეგ ღვინო, პური, ყველი და მწნილიც შემოუწყო... ლეონიძე სიტყვაძუნ ქალბატონს უამრავ კითხვას უსვამდა, მოხუცი კი, ჩვენი ვინაობით არც კი დაინტერესებულა. ამ ქალის პასუხებიდან გავიგეთ, რომ

ქვრივი იყო. ქმარი და ხუთი ვაჟი დაუკარგავს ომში და ძაძები მას შემდეგ არ გაუხდია. ბევრი კითხვა-პასუხის შემდეგ მასპინძელი, გიორგი ლეონიძეს დააცქერდა და აკანკალებული ხმით ჰკითხა: შენა, შვილო, გოგლა ხომ არა ხარო?... ცრემლმორეული გოგლა სკამიდან წამოხტა და მოხუცს ჩაეხუტა. რამდენიმე წუთი ორივე ქეთინებდა. შემდეგ კი გაირკვა, რომ ეს მოხუცი ქალი ახალგაზრდობაში, ლეონიძესთან პატარძელში მოსამსახურედ მუშაობდა. პატარა გოგლას ისე ჰყვარებია ახალგაზრდა მოსამსახურე, რომელიც. მისთვის გადიობასაც სწევდა, რომ სულ თან დასდევდა. შემდეგ, ბატონებს ქალი თბილისში გაუთხოვებიათ, ომის დაწყებამ კი, ის მეუღლის სოფელში, ყელქცეულში ჩაიყვანა. მახსოვს, გიორგი ლეონიძემ გვითხრა, რომ ამ ქალს მთელი ცხოვრება ეძებდა და რას წარმოიდგენდა, რომ შემთხვევით ერთ ღარიბულ ქოხში იპოვიდა?! აღსანიშნავია ისიც, რომ ლეონიძე ამ სოფელში პირველად იყო... არ ვიცი, შემდეგ როგორ განვითარდა ამ ორი ადამიანის ურთიერთობა. მახსოვს გიორგი ლეონიძემ უსაყვედურა კიდევ სოფლის ხელმძღვანელობას: ამ ქალის ქმარ-შვილმა ქვეყნისთვის თავი განჩარა და მოხუცი ასე უპატრონოდ უნდა გყავდეთო?! მე კი პირველად მაშინ დავფიქრდი, ღმერთის არსებობის შესახებ: მამ, რა ძალამ მიიყვანა გოგლა ლეონიძე, წლების განმავლობაში უნახავ გადაიასთან?..

ხინუს ნუსტალინგი



ლალი შახია

ხინუს ნუსტალინგი, საწარმოს დამფუძნებელი:

— ნელინად-ნახევარია, რაც საქართველოში ვიმყოფებით და ვმუშაობთ. პირადად შევხვედრივართ ქალბატონ სანდრას. ჩვენს საქმეზე გვილაპარაკია. მას ძალიან მოსწონს ჩვენი იდეა და მიზანი. საქართველოში ბევრი კარგი მენაღე გავიცანით. თავიანთი საქმის ოსტატები, ნამდვილი ხელოსნები არიან, საუცხოოდ კერავენ ფეხსაცმელს. გვინდოდა, მათთვის გვესწავლებინა, თუ როგორ იკერება ორთოპედიული ფეხსაცმელი, ამიტომ 3 ხელოსანი სტაჟირებაზე ჰოლანდიაში წავიყვანეთ.

— მერე, დაუფლნენ საქართველოდან წაყვანილი ოსტატები ჰოლანდიური მეთოდებით მუშაობას?

— კმაყოფილი ვარ. მათ ოსტატობა, ვიმეორებ, არც მანამდე აკლდათ, მაგრამ ბევრი ახალი რამ შეიძინეს. ახლა ისინი შეკვეთის მიღებიდან 3 კვირაში აბარებენ შემკვეთებს თავიანთ ნახელავს.

— ვინ არიან შემკვეთები?

— ჰოლანდიელები. ვისაც ორთოპედიული პრობლემები აქვთ (მაგალითად, შესაძლოა, ცალი ფეხი ჰქონდათ დიდი). მათ ამ ფეხსაცმელს ექიმი გამოუწერს, შემდეგ ჩვენ მოგვმართავენ. შემკვეთებს შორის ქალებიც არიან, ბავშვებიც და მამაკაცებიც.

პასიკ დულაფილი, ფეხსაცმლის კონსტრუქტორ-დიზაინერი:

— სანამ ჰოლანდიაში სტაჟირებაზე ჩავიდოდი, მანამდეც ვიცოდი ფეხსაცმლის კონსტრუქცია, მაგრამ იქ მითხრეს — დაივიწყე, რაც აქამდე იცოდი და თავიდან დაიწყეო. მეც ყველაფრის თავიდან სწავლა დავიწყე. ის ბაზა, რომელიც ჩვენ გვქონდა, ცუდი არ იყო, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ ასეთი სახეობის ფეხსაცმელი შეგვეკერა. დღეს

ჰოლანდიანი ინჟინერის ფეხსაცმელი თბილისში იკარება

პირველი ლედი, ქალბატონი სანდრა რულოვსი, გარკვეული პერიოდულობით, თავისი სამშობლოს რადიოს, საქართველოდან სხვადასხვა საინტერესო ინფორმაციას გადასცემს, რადიონამყვანის როლში უწევს ყოფნა, რაც მას თურმე საკმაოდ კარგად გამოდის. ცოტა ხნის წინ, მორიგი რეპორტაჟის გადაცემისას, საქართველოში მოღვაწე იმ ჰოლანდიელებზე ისაუბრა, რომლებმაც თბილისში ორთოპედიული ფეხსაცმლის საწარმო — „ნედერლანდს ჯორჯია ორთოპედიკს“ გახსნეს. მნიშვნელოვანი ის არის, რომ შემკვეთები, ჰოლანდიელები არიან — სპეციალური ფეხსაცმელი ჰოლანდიური ბაზრისთვის იქმნება.

საქართველოში უკვე არსებობს 3 ადამიანი, რომელიც ამ საქმის სპეციალისტია. ის პრაქტიკა, რომელიც მათ ჰოლანდიაში გაიარეს, საქართველოდან ჯერ არავის გაუვლია.

— ადრე ჩვენთან არ არსებობდნენ ინვალიდთა ფეხსაცმლის ხელოსნები?



რომანი: თითქმის თავიდან მასწავლეს ყველაფერი — როგორ იწყობა და იკერება ფეხსაცმელი

— იყვნენ, მაგრამ — თვითნასწავლები. ჰოლანდიაში კი, ასეთი საწარმო ბევრია, ხელობაც ძვირი ღირს.

ხინუს ნუსტალინგი:

— გვინდა, ახლა ეს საქმე საქართველოში მასობრივად დაგვრგოთ. აქ ჰოლანდიიდან ორთოპედიული ფეხსაცმლის წარმოების სპეციალური ტექნიკა შემოვიტანოთ და ამ საქმეში, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩავრთოთ.

— თქვენ ვინ ხართ პროფესიონალი?

— ორთოპედიული ფეხსაცმლის მენაღე. 20 წელი ვიმუშავე ამ სფეროში.

— რა მასალას იყენებთ?

— იტალიური, ფრანგული, გერმანული წარმოების უმაღლესი ხარისხის ტყავს. აქაც ვიძინებ კარგი ხარისხის მასალას.

რომანი, „ნედერლანდს ჯორჯია ორთოპედიკს“ წარმოების მენაღე:

— აფხაზეთიდან ვარ, კერძოდ სოხუმიდან. იმის გამო, რომ ლტოლვილი ვარ, ჩემი სპეციალობით სამსახური ვერ ვიშოვებ. 10 წელია, ამ

საქმისთვის ხელი არ მომიკიდია. რალაც-ნაირად დაუუკავშირდი ამ ადამიანებს, მათ სტაჟირებაზე ჰოლანდიაში წამიყვანეს. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის თავიდან მასწავლეს ყველაფერი — როგორ იწყობა და იკერება ფეხსაცმელი. ჰოლანდიაში არაერთ საწარმოში მიგვიყვანეს, გვანახვეს ეს პროცესი. თბილი ხალხია, დიდი ყურადღება გამოიჩინეს ჩვენ მიმართ.

— რას განიცდით, როდესაც ფეხსაცმელს ინვალიდებისთვის კერავთ?

— რა თქმა უნდა, ეს უდიდესი სიყვითაა.

ბარბური, აღნიშნული საწარმოს მენაღე:

— 25 წლის სტაჟი დამიგროვდა, მაგრამ ახლა განსაკუთრებული გრძობა მაქვს, როდესაც ინვალიდებისთვის საკუთარი ხელით ვკერავ ფეხსაცმელს. მათაც უნდათ გარეთ გამოსვლა, მუშაობა, სიარული, ჩვენ ამაში ხელს ვუწყობთ. იქაური ხალხი ასეთ ხელოსნებს ძალიან აფასებს, დიდ პატივს სცემენ.

— საწარმოში ვინ რას აკეთებთ, ფუნქციები როგორ გაქვთ განაწილებული? პასიკი:

— მე ფეხსაცმლის კონსტრუქციას ვაკეთებ, ხანდახან — დიზაინსაც. მერე არტურს გადავცემ. ის ამუშავებს ტყავს, რომანი კი — კრავს. გყავს წარმოების ხელმძღვანელი — დავითი. ამიერკავკასიაში ამ საქმეში პირველები ვართ, რადგან აქამდე ყველაფერი თვითნასწავლ ხელოსანთა ხელში იყო, ახლა პროფესიონალთა ხელში გადავიდა.



ბესიკი: ამიერკავკასიაში ამ საქმეში პირველები ვართ

"შემომავალი, ფილტვები დამიხვრიტასო! — და უბონოდ დაეცა"

ყველაზე სისხლიანი ზანდის ერთი ყვერი შეურაცხადი აღმოჩნდა

საქართველოში მოქმედი ყველაზე სისხლიანი ზანდის წევრებს, სხვადასხვა მიმე დანაშაულისთვის წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ პირებს ბოლოს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა სასჯელი 2004 წელს შეუფარდეს. სასჯელი უმკაცრესი იყო. ზანდის ლიდერი და დანაშაულების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორს სამუდამო პატიმრობა, ხოლო დაჯგუფების აქტიურ წევრებს — 20-20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. აქედან პირველი 5 წელი, საბოლოო განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულებმა საპრობილეში უნდა გაატარონ. არაერთ ყაჩაღობასა და მკვლელობაში ბრალდებულ პირთაგან ერთ-ერთი, შეურაცხადი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ზანდის მიერ განხორციელებულ სადისტურ დანაშაულებში ეს წევრი აქტიურად მონაწილეობდა და როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, განსაკუთრებულ აგრესიასაც იჩენდა. უკვე დაპატიმრებულ ზანდისტებს ამ წევრის ფსიქიკური დაავადების შესახებ სამართალდამცველებისთვის არაფერი უთქვამთ, სასამართლოზე კი, მასთან ნაცნობობა საერთოდ უარყვეს...



დროისთვის ბევრი მათგანი უკვე მრავალჯერ ნასამართლევია გახლდათ, ბევრზე კი ძებნა იყო გამოცხადებული. ზანდისტების დაკავება პოლიციელებმა სპეცოპერაციის შედეგად მოახერხეს, ზოგ მათგანს უშუალოდ დანაშაულის ფაქტზე წაასწრეს და ისე აიყვანეს, ორი წევრი კი, გაანადგურეს. ამ ბოროტმოქმედთა დაკავებას არც სამართალდამცველებისთვის ჩაუვლია უმტიკივინულოდ. შეტაკებას ყველა შემთხვევაში ორმხრივი სროლა და სისხლის ღვრა მოჰყვა. შედეგად, ორი პოლიციელი დაიღუპა. საბრალდებო დასკვნაში დაფიქსირებულია ზანდის მიერ განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმების დროს მოკლულთა და დაზარალებულთა გვარეხი...

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის მ მუხლით აღიძრა: ზანდისტობაში, ყაჩაღობა, ქურდობა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარება-გადაზიდვა, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შექმნა-შენახვა, პოლიციელთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის განწევა, რასაც თან ერთვოდა ძალადობის მუქარა, ასევე, განზრახ მკვლელობის მცდელობა (არაერთგზის) და განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა (არაერთგზის)...

ბრალდებულებმა გამოიძიებას აღიარებითი ჩვენებები მისცეს, მაგრამ საქმის სასამართლო განხილვისას, ყველაფერი უარყვეს და თავი სრულიად უდანაშაულებად გამოაცხადეს. აღიარებითი ჩვენებები მათ, სამართალდამცველების მხრიდან განხორციელებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლით ახსნეს...

ზანდის დამფუძნებელი და ლიდერი — გელა მამფორია (გვარები შეცვლილია) ამ საქმემდე, წარსულში, სხვა დანაშაულებებისთვის სამჯერ გახლდათ ნასამართლევია. პირველად ის 1987 წელს გაასამართლეს და ჩადენილი ყაჩაღობებისთვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სამხედრო საბჭოს ბრძანებულების საფუძველზე, მამფორია სასჯელის მოხდისგან 1992 წელს გაათავისუფლეს. მაგრამ გაათავისუფლებიდან არ გასულა დიდი ხანი, რომ მორიგი დანაშაულისთვის ის კვლავ გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ციხიდან ახალგაათავისუფლებულ მამფორიას ოჯახის შექმნა მოუსურვებია, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება მან რატომღაც, დანაშაულებრივი გზით გადაწყვიტა. მამფორიამ თავისი რჩეული მოიტაცა და ამისთვის ციხეში 9 თვე დაყო. 1996 წელს ის ძარცვისთვის, ასევე — ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერების უკანონოდ შენახვისა და ტარებისთვის გაასამართლეს.

რაც შეეხება ზანდის მეორე, ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ წევრს — ახალკაცს, 1997 წელს ის პირველად როსტოვის ოლქის, ქალაქ ნოვოშახტინსკის სასამართლომ გაასამართლა და ჩადენილი ძარცვისთვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელის მოხდის შემდეგ, ახალკაცი სამშობლოში დაბრუნდა და თბილისში დასახლდა. ცოტა ხანში, ქართველი სამართალდამცველების ყურადღების ცენტრში მოექცა და 2001 წელს, ორთაჭალის ციხეში აღმოჩნდა. ჰეროინის უკანონოდ შენახვისთვის მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

მამფორიამ და ყაჩაღობისთვის ნასამართლევმა ღვინიაშვილმა — ზანდის მესამე წევრმა — ერთმანეთი ციხეში გაიცნეს. სასჯელის მოხდისგანაც ერთ-სა და იმავე პერიოდში გაათავისუფლდნენ. ციხიდან გამოსულებმა არ დააყოვნეს და მაშინვე „საქმეზე“ ზრუნვას შეუდგნენ. „საჭირო“ ხალხს დაუკავშირდნენ და ყველანაირი პირობა შეიქმნეს მორიგი კრიმინალური მიზნების განსახორციელებლად...

ბელა მამფორია:

„...ბოლო ნასამართლეობის შემდეგ,“

ზანდა, ძირითადად, 1998-2000 წლებში მოქმედებდა. ამ ხნის განმავლობაში ბოროტმოქმედებმა 20-მდე სხვადასხვა მიმე დანაშაულის ჩადენა მოასწრეს. თუმცა, ეს მხოლოდ ოფიციალურად დაფიქსირებული რიცხვია. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ არსებობს გამოუვლენელი და გაუხმაურებული ფაქტებიც. ზანდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი, მჭიდროდ შეკრული და კარგად ორგანიზებული გახლდათ. მისი თითოეული წევრი კბილებამდე შეიარაღებული იყო. პოლიციის მიერ ამოღებულ არსენალში ცეცხლსასროლი იარაღის — ავტომატების, პისტოლეტებისა და რევოლვერების გარდა, იყო ასაფეთქებელი საშუალებები — ხელყუმბარებიც, უცხოური წარმოების საბრძოლო დანებიც, ასევე — ნიღბები და რაციები... ბოროტმოქმედთა საცხოვრებელი სახლებიდან სამართალდამცველებმა დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა და ნარკოტიკული ნივთიერებაც ამოიღეს... საქმის მასალებში აღნიშნულია იმის შესახებაც, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ზანდის წევრები სწორედ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. იმ

მშობლებთან დაებრუნდი, გარკვეული პერიოდი მათ სახლში ვცხოვრობდი. გორის რაიონში ერთი ჩემი ნათესავი ცხოვრობდა — მერაბი. მასთან დაკავშირება გადავწყვიტე, რადგან ვიცოდი, რომ იარაღთან ჰქონდა შეხება და შესაბამის ხალხსაც იცნობდა. ვთხოვე, იარაღის ყიდვაში დამხმარებოდა. ღვინიაშვილმა მითხრა, რომ მასაც სურდა იარაღის შეძენა. უნდოდა, რუსული ნარმოების, დასაკეცკონდახიანი ავტომატი ყვიდა და ამისთვის 300 დოლარიც ჰქონდა. ჩემს ნათესავს ამის შესახებაც ვუთხარი. დაახლოებით ერთ კვირაში მერაბმა დამირეკა და მაცნობა, რომ ყველაფერი მზად ჰქონდა. მე ფული მივეცი, მან კი, ტომარაში ჩადებული იარაღი გადმომცა. სახლში რომ მივედი, მერე ვნახე, რომ ავტომატი რუსული კი არა, რუმინული ნარმოების იყო. გავტარაზდი და ღვინიაშვილს ვუთხარი, ახლავე დავბრუნებ-მეთქი, მაგრამ მან იარაღის დატოვება გადაწყვიტა. ავტომატს თავისსავე სახლში ინახავდა. იმ დროიდან თბილისში, ნაჭირავებ ბინებში დავინყეო ცხოვრება. საცხოვრებელ ადგილს ხშირად ვიცვლიდით...“

სხვათა შორის, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მამფორია ცეცხლსასროლი იარაღით თავის ბანდას სხვა გზითაც, კერძოდ, ქურდობის შედეგადაც აპარაგებდა. დაზარალებულები კი, ამ შემთხვევაში, თავისივე მეგობრები და მეზობლები იყვნენ. მაგალითად, ერთ-ერთ თავის ბავშვობის მეგობარს სოფელში მან „მაკაროვის“ უკანონოდ შექმნილი იარაღი ხორბლის სათავსიდან, ხოლო მეორე მეგობარს, „აკს“-ის სისტემის, ასევე უკანონოდ შექმნილი ავტომატი სხვენიდან მოჰპარა. ამის შესახებ დაზარალებულმა მეგობრებმა გამოძიებას ჩვენებებიც მისცეს.

ბანდა 1998 წელს შეივსო. 2000 წლიდან მასში გაწვრდა ახალკაციც. მათ ძირითად საქმიანობას უცხოური მარკების ძვირად ღირებული ავტომანქანების გატაცება, ასევე სანარმოებსა და ორგანიზაციებზე ყაჩაღური თავდასხმები წარმოადგენდა. წარმატებით დასრულებული „საქმის“ შემდეგ, ბოროტმოქმედები შემოსავალს ერთმანეთში ინაწილებდნენ.

პირველი დანაშაული, რომელიც საბრალდებო დასკვნაში ფიქსირდება, 1998 წელსაა ჩადენილი. საქმე ავტომანქანის გატაცებას ეხება. ავტომატებითა და პისტოლეტებით, ასევე დანაშაულის განსახორციელებლად საჭირო სხვა ხელსაწყოებით აღჭურვილი ბოროტმოქმედები ღამით, წინასწარ შეთვალერებულ ავტოფარეს მიადგნენ. ბოქლომი ქანჩითა და რკინის საჭრელი მაკრატლით გატეხეს და ასე შეაღწიეს ავტოფარესში. იქიდან „უაზის“ მარკის ავტომანქანა გამოიყვანეს, ელექტროსადენების

გადაერთების შედეგად, ძარა აამუშავეს და წაიყვანეს.

„დღით ადრე, ჩვეულებრივად, სამსახურში წასასვლელად მოვემზადე. ეზოში ჩავედი, რათა მანქანა გამომეყვანა. სადარბაზოდან გავედი თუ არა, მაშინვე შევნიშნე, რომ ჩემი ავტოფარესის კარი შეღებული იყო. შიგნით შევვარდი. მანქანა აღარ დამხვდა...“ — წერს ჩვენებაში **დაზარალებული**. სამართალდამცველებმა მოპარული ავტომანქანის მისთვის დაბრუნება ვერ შეძლეს.

„საქმის“ დასაგვირგვინებლად, ბანდის ლიდერმა კვლავ თავის ნათესავს, ზემოთ სხენებულ მერაბს მიმართა. „მართალია, მერაბი მხოლოდ იარაღის საკითხში მეხმარებოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ მანქანის გასაღებსაც შეძლებდა. თუმცა, ნაჭურდადი ნივთებს ხელს არახდროს ჰქვიადა. ამიტომ გადავწყვიტე, მისთვის სიმართლე დამემალა და არ მეთქვა, რომ მანქანა მოპარული იყო. იმასაც დაეპირდი, მანქანის დოკუმენტებს მოგვიანებით მოგაწვდი-მეთქი“, — წერს **მამფორია**. მისმა ნათესავმა კი, სამართალდამცველებს განუცხადა, რომ აღნიშნული ავტომანქანა მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში დასხვდა დატოვებული. „წარმოდგენა არ მქონდა, თუ მოპარული იყო. ეჭვიც არ შემპარვია, რადგან ჩემს ნათესავს ვენდობოდი“, — აღნიშნა მან. გამოძიებაშიც გადაწყვიტა, მის სიტყვებში ეჭვი არ შეეტანა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „უაზი“ მან დაშალა და ნაწილებად გაყიდა, რეალიზაციის შედეგად ალებული თანხა — 1.600 დოლარი კი, მამფორიას გადასცა.

საბრალდებო დასკვნაში ავტომანქანის ქურდობისა და გატაცების კიდევ ათამდე ფაქტია დაფიქსირებული. 1999 წელს ჩადენილ, სწორედ ერთ-ერთ ასეთ დანაშაულს სისხლის ღვრა მოჰყვა. იმ დღეს ბანდის წევრები ალავერდაშვილების ოჯახის დაყაჩაღებას, მათთვის ფულისა და ძვირფასეულობის წართმევას, მათი კუთვნილი ავტოფარესიდან კი, ავტომანქანის გატაცებას გეგმავდნენ. ოჯახიდან ძვირფასეულობის გატანის შემდეგ, ხელფესზე რული დაზარალებულები ბინაში დატოვდნენ, თავად კი ავტოფარესს მიაშურეს. დაზარალებულისთვის წართმეული გასაღებების საშუალებით, ავტოფარესშიც შეაღწიეს და იქიდან, იმ დროისთვის 7.500 ლარად ღირებული „ნივაც“ გამოიყვანეს. ვიდრე გზას დაადგებოდნენ, მანქანას სანომრე ნიშნები გამოუცვალეს...

მომხდარის შესახებ პოლიციამ შეტყობინება მიიღო. საღამოს, დაახლოებით 9 საათისთვის, სამართალდამცველებმა საეჭვო ავტომანქანა საგარეჯოსკენ მიმავალ ტრასაზე შენიშნეს. პოლიციის თანამშრომლებმა მანქანის

მძღოლს გაჩერება უბრძანეს, მანქანაში მსხდომთა ვინაობის გადამოწმების მიზნით. ბოროტმოქმედნი, რა თქმა უნდა, პოლიციელთა ბრძანებას არ დაემორჩილნენ. გაჩერების ნაცვლად, ავტომატები მოიმარჯვეს და 9-კაციანი ოპერატიულ ჯგუფს ცეცხლი გაუხსნეს, ააფეთქეს ხელყუმბარაც. ერთი პოლიციელი ადგილზევე გარდაიცვალა, სასიკვდილო ჭრილობა მან თავის არეში მიიღო. სხვა ოთხმა პოლიციელმა კი, ხელყუმბარის აფეთქების შედეგად მიიღო მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები. ბოროტმოქმედთა ასეთ ქმედებას ოპერატიული ჯგუფის მხრიდანაც მოჰყვა სროლა. მანქანა, რომელშიც ბანდის წევრები ისხდნენ, გაჩერდა. სამართალდამცველთა სროლის შედეგად, ბანდის ერთ-ერთი წევრი — ლაშხია ადგილზევე გარდაიცვალა, ღვინიაშვილი კი გულმკერდის არეში დაიჭრა და უგონოდ დაეცა პოლიციელების წინ. დანარჩენმა ბანდიტებმა დასხლტომა და შემთხვევის ადგილიდან გაქცევა მოახერხეს. ასე რომ, ოპერაციამ სრული კრახი განიცადა. საკმაოდ მრავალრიცხოვან ოპერატიულ ჯგუფს ღონისძიების შედეგად, გარდაცვლილი და მძიმედ დაჭრილი პოლიციელები, ერთი — ლიკვიდირებული და ერთიც — მომაკვდავი ბანდიტი შერჩა ხელში. ბანდის აყვანა მათ ვერ შეძლეს. მხოლოდ ღვინიაშვილის გადარჩენისა და მისგან საჭირო ინფორმაციის მიღების იმედილა ჰქონდათ.

ღვინიაშვილი მართლაც დააუარჩა სიკვდილს. გამოძიებას მან აღიარებითი ჩვენებაც მისცა, სადაც დაასახელა კიდევ უკლებლივ თანამზრახველისა და ბანდის აქტიური წევრის გვარი, ასევე, რამდენიმე დანაშაული, რომელიც ბანდამ მანამდე ჩაიდინა. მოგვიანებით, სასამართლოზე ღვინიაშვილმა ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ აღნიშნულ ჩვენებას გამოძიებლის კარნახითა და პროკურატურის სხვა თანამშრომელთა ზეწოლის შედეგად წერდა. მოსამართლემ მისი სიტყვები სარწმუნოდ არ მიიჩნია, რადგან ჩვენება საკმაოდ დეტალური იყო. მოსამართლის თქმით, გამოძიებელს ასეთი დეტალები არ ეცოდინებოდა და მისი დანერა მხოლოდ ჩვენების ავტორს თუ შეეძლო.

გაქცეულმა ბანდიტებმა მორიგი დანაშაული დაახლოებით ერთ კვირაში ჩაიდინეს. სამართალდამცველებს ემალებოდნენ და თავს პანკისის ხეობას აფარებდნენ. იმის გამო, რომ ფული შემოაკლდათ, გადაწყვიტეს, ნებისმიერი მოქალაქე დაეყაჩაღებინათ და მისთვის ავტომანქანა წაერთმიათ, რეალიზაციის შედეგად ალებული თანხა კი, ერთმანეთში გაენაწილებინათ. დანაშაულის ჩადენის ადგილად მცხეთა აირჩიეს. შესაფერისი ადგილი დღის 2

სათათისთვის შეათვალერეს და შეარჩიეს, საღამოს კი, როცა უკვე საკმაოდ ბნელოდა, წინასწარ შერჩეულ ადგილზე ჩასაფრდნენ. გადანყვეტილი ჰქონდათ, პირველსავე შემხვედრ ავტომანქანას დასხმოდნენ თავს. მაგრამ ვიდრე ტრასაზე მანქანა გამოჩნდებოდა, ბოროტმოქმედებმა სიბნელეში გაჩერებული „ფოლკსვაგენ-პასატი“ შენიშნეს. მაშინვე იქითკენ გაემართნენ და როცა მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ მანქანაში ორი ადამიანი იჯდა. იარაღშემართული ყაჩაღები მძღოლს თავზე დაადგინეს და მანქანიდან დაუყოვნებლივ გადმოსვლა უბრძანეს. ცეცხლსასროლი იარაღი — ტაბელური „მაკაროვი“ მძღოლსაც აღმოაჩნდა, ის პოლიციის თანამშრომელი იყო. მან ბოროტმოქმედთა მიმართულებით გაისროლა, მაგრამ ის საღამო მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა: ბანდიტის მიერ ნასროლი ტყვიები მას გულმკერდის, მუცლისა და ბარძაყის არეებში მოხვდა და სამედიცინო დახმარების მიუხედავად, მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. მასთან ერთად მყოფ პიროვნებას დაზიანება არ მიუღია. ის მოგვიანებით, სამართალდამცველებმა დაპკითხეს. გამოძიებას მან ასეთი ჩვენება მისცა:

„უკვე საკმაოდ ბნელოდა და გზაზე არავინ შეგვიჩინებდა. დაახლოებით 9-ის ნახევარი იქნებოდა. მოულოდნელად, მსხვერვის ხმა გავიგონე. უკან მივიხედე და დავინახე, რომ მანქანის უკანა საქარე მინა ჩამოიმსხვრა. ვაჟამ (მძღოლი. — ავტ.) მაშინვე თავის „მაკაროვს“ დაავლო ხელი, გადაატყნა, შეტრიალდა და ისროლა. მაშინვე გაისმა საპასუხო სროლებიც. ვაჟა მანქანიდან გადავიდა. მაშინ ვნახე, რომ იმ ადგილას, სადაც ის იჯდა, სისხლის გუბე იყო. სროლები ერთ-ორ წუთს გაგრძელდა. რაღაც მომენტში მარჯვნივ გავიხედე, მოშორებით, ბუჩქებთან მამაკაცის სილუეტი შევნიშნე. თეთრი პერანგი და მუქი შარვალი ეცვა. მაშინვე ავარიდე თვალი, რადგან შემეშინდა. სროლის ხმა მანქანის უკანა მხრიდან ისმოდა. მერე უცებ შეწყდა და მე მანქანიდან გადავედი. ვაჟა იქვე იყო ჩაკეცილი, შემომძახა — ფილტვები დამიხვრიტესო! — და უგონოდ დაეცა...“

აღნიშნული დანაშაულის ჩადენა განსასჯელებმა სასამართლო პროცესზე უარყვეს. ბრალდების მხარე აცხადებდა, რომ ბრალის დასადასტურებლად, უამრავი მტკიცებულება არსებობდა, მათ შორის, ჩვენებების გარდა, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვიის მასრებიც. მასრები იმ იარაღის იყო, რომელიც ბანდის წევრთა საცხოვრებელი ბინების ჩხრევისას ამოიღეს. განსასჯელებს ამაზეც ჰქონდათ პასუხი. ამბობდნენ, რომ მტკიცებულებები გაყალბებული იყო, იარაღი კი — პოლიციელების მიერ ჩადებული.

ამას გარდა, არსებობს ახალკაცის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება, სადაც ის წერს:

„მამფორიას ავტომობილი ზურგჩანთაში ედო. მე „მაკაროვის“ პისტოლეტი მომცა და მითხრა — რაც გამოივლის, თავს დავესხათო. ამ დროს დავინახეთ „ფოლკსვაგენ-პასატი“... მამფორია მანქანის წინ დადგა და რაღაც შეჰყვირა მასში მსხდომებს. მე მანქანის უკან ვიდექი. ამ დროს გაისმა სროლის ხმაც. მეც ვისროდი პისტოლეტიდან მანქანის მიმართულებით, მჭიდი მთლიანად დავცალე. ამის შემდეგ გავიქეცი და 40-50 მეტრის მოშორებით დავდექი, ბუჩქებში. ერთმანეთს ესროდნენ მამფორია და ის მამაკაცი. სროლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მერე შეწყდა. მამფორია ჩემთან კოჭლობით მოვიდა. ფეხში იყო დაჭრილი. მითხრა — დამეხმარეო, თუშეცა გადაადგილება მაინცდამაინც არ უჭირდა. იარაღი ისევ ზურგჩანთაში ჩავდე და იქიდან წავედი. ახლობლის სახლში მივედი. იქ ვთქვი, რომ მამფორიას ვილაც ბიჭებთან ჩხუბი მოუხდა და ამის შედეგად დაიჭრა. იმ ოჯახში დავხმარდნენ და ჭრილობა დაუმუშავეს...“

ამ ჩვენებით ირკვევა, რომ დანაშაულში მხოლოდ ბანდის ორი წევრი მონაწილეობდა. ჩვენება სასამართლო პროცესზე ახალკაცმა კატეგორიულად უარყო და თქვა, რომ ის გამოძიებლის კარნახით დანერა. სასამართლომ ეს არ გაიზიარა.

საქმის მასალებში აღნიშნულია ისიც, რომ ბანდის ლიდერი — მამფორია ხშირად, ბანდის სხვა წევრებთან შეუთანხმებლად გეგმავდა თავდასხმას და მის მიერ შერჩეულ, რომელიმე წევრთან ერთად ახორციელებდა მას. შესაბამისად, ყაჩაღობის ან ძარცვის შედეგად აღებულ თანხასაც მხოლოდ ისინი ინაწილებდნენ ერთმანეთში. ამის გამო, ბანდის წევრებს ხშირად მოსდოდათ უთანხმოება. ხშირი იყო მათ შორის სისხლიანი გარჩევაც...

მათი ერთ-ერთი თანამზრახველის და დანაშაულებში თანამონაწილის — ბეჟუაშვილის მიმართ პროკურატურამ იმავე მუხლებით აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რაც ბანდის დანაშაულებზე წევრებს მიუყენა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბეჟუაშვილი ბოროტმოქმედთა მიერ ჯგუფურად განხორციელებულ 3 ყაჩაღურ თავდასხმასა და რამდენიმე ქურდობაში მონაწილეობდა. იყო ნარკოტიკების სისტემატური მომხმარებელი. მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას სამართალდამცველებმა დიდი რაოდენობით ჰეროინი ამოიღეს... ყოველივე ამის მიუხედავად და ყველასთვის მოულოდნელად, სამართალდამცველებმა ბეჟუაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტეს და გამოაცხადეს, რომ ის პასუხისმგებლობისგან უნდა

გათავისუფლებულიყო. სასამართლოს ამ გადანყვეტილებას განსაკუთრებული აგრესიით შეხვდნენ დაზარალებულები. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ ბრძანების შეცვლასა და კანონის მთელი სიმკაცრით ბეჟუაშვილის დასჯას. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან სასამართლოს ასეთი გადანყვეტილება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნას ემყარებოდა.

ბეჟუაშვილის მიმართ ჯერ ამბულატორიული, ხოლო შემდეგ — სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაინიშნა. ექსპერტთა თქმით, იმ მომენტისთვის ბეჟუაშვილს აუცილებლად სჭირდებოდა იძულებითი მკურნალობა შესაბამის საავადმყოფოში, რადგან ის საკუთარ ქმედებებს კონტროლს ვერ უწევდა და ვერ აცნობიერებდა. „მას არ შეუძლია, მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში და მისცეს სწორი ჩვენება. იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ სოციალურ საშიშროებას“, — წერია დასკვნაში. ბეჟუაშვილი მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, ექსპერტებმა მისი ფსიქიკური მდგომარეობა ხელახლა გამოიკვლიეს. ამჯერად განაცხადეს, რომ ის ქრონიკული ფსიქიკური სენით — ორგანული ბოღვითი აშლილობით იყო დაავადებული. ექსპერტთა თქმით, ფსიქიკური აშლილობის პირობებში, ინკრიმინირებული ქმედების დროს, მას არ შეეძლო, გაეცნობიერებინა საკუთარი ქმედებები, ეხელმძღვანელა მათთვის და გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგები. ექსპერტებმა ბეჟუაშვილი შეურაცხადად გამოაცხადეს.

ამ მხრივ საინტერესოა ბანდის დანაშაულის წევრების ჩვენებები. წინასწარი გამოძიების პერიოდში, აღიარებითი ჩვენებების მიცემისას, ისინი ბეჟუაშვილს ასახელებდნენ, როგორც ერთ-ერთ თანამზრახველს და თანამონაწილს, მაგრამ მისი უცნაური ხასიათის ან საქციელის შესახებ არაფერს აღნიშნავდნენ. სასამართლო პროცესზე კი, მაშინ, როცა გამოძიებისთვის მიცემული ყველა ჩვენება ერთხმად უარყვეს, ასევე ერთხმად გადაწყვიტეს, ბეჟუაშვილი ყოველგვარი ნაცნობობაც უარყოთ.

მაგრამ სასამართლომ არც ამ ნაწილში გაიზიარა განსასჯელთა ჩვენებები. განაჩენის მიხედვით, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება მყარი და უტყუარი გახლდათ. განსასჯელები ყველა მუხლში დამნაშავეებად ცნეს და კანონით გათვალისწინებული სასჯელიც შეუფარდეს. აღნიშნული განაჩენი, გასაჩივრების მიუხედავად, ძალაში დარჩა.

"საკუთარი დედა მოვკალი და ჩადენილ დანაშაულს ვინანობ..." 57 წლის მამაკაცმა დედის მკვლელობა აღიარა

ცნობა ამ შემზარავი დანაშაულის შესახებ ვანის რაიონში გავრცელდა. 57 წლის მამაკაცი საკუთარი დედის მკვლელობისთვის დააკავეს. აღსანიშნავია, რომ მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ის თავად მივიდა პოლიციის განყოფილებაში. ჩვენების მიცემის შემდეგ კი, სამართალდამცველებმა მისი დაკავებისა და მისთვის ბრალდების წაყენების გადაწყვეტილება მიიღეს.

ემზარ ბუცხრიკიძე (გვარ-სახელები შეცვლილია) ცოლშვილიანი გახლავთ. წარსულში ნასამართლევ არ ყოფილა. თავის ოჯახთან და მოხუც დედასთან ერთად ვანის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, დედასთან მას საყოფაცხოვრებო პრობლემებზე კამათი ხშირად მოსდიოდა. იმ დღესაც ეწიუბა. დაახლოებით საღამოს 10 საათი იქნებოდა. დავა-კამათის დროს, განაწყენებულმა და წონასწორობიდან გამოსულმა ბუცხრიკიძემ, როგორც ეს გამოძიების მასალებშია აღნიშნული, საკუთარ დედას დანა მოუღერა, შემდეგ, მოუქნია კიდეც და მუცლის არეში ძლიერად ჩაარტყა...

ჭრილობა იმდენად ღრმა და მძიმე აღმოჩნდა, რომ უშნეო, მოხუცი ქალბატონი ადგილზევე გარდაიცვალა. საქმის მასალებში წერია, რომ ბუცხრიკიძემ საშინელი დანაშაული წინასწარი განზრახვით ჩაიდინა, სამძიმარზე მისულ მეზობლებს კი გამოუცხადა, რომ დედა მალალი წნევისგან გარდაიცვალა...

არც მეზობლებს, არც ოჯახის ახლობლებს გარდაცვლილის შვილის სიტყვებში ეჭვი არ შეჰპარვიათ და ალბათ, მომავალშიც არაფერი დააეჭვებდათ, რომ არა დასაფლავების დღეს მოულოდნელად გამოაშკარავებული, შემზარავი სიმართლე. მიცვალებულის გაპატიოსნების დროს, მეზობლებმა აღმოაჩინეს, რომ გვამს მუცლის არეში ჭრილობა ჰქონდა. ეს ერთადერთი დაზიანება როდი იყო. ძალადობის კვალი მიცვალებულს თავის არეშიც ეტყობოდა...

როცა ამის შესახებ ოჯახის წევრებსა და გარემო მყოფებს შორის ხმა გავრცელდა, ემზარ ბუცხრიკიძემ გაქცევა და მიმალვა განიზრახა. ბუცხრიკიძეების ოჯახში იმ დღეს პოლიციაც მივიდა, მაგრამ მათ გარდაცვლილის შვილი იქ აღარ დახვდათ... რამდენიმე დღის შემდეგ, ბუცხრიკიძე მეუღლეს დაუკავშირდა, მომხდარის შესახებ დაელაპარაკა და თავისი გადაწყვეტილებაც აცნობა. პოლიციის განყოფილებაში ცოლქმარი ერთად მივიდა.

„საკუთარი დედა მოვკალი და ჩადენილ დანაშაულს ვინანობ... იმ მომენტში გონება დამებინდა და რას ჩადიოდი, ვერ ვაცნობიერებდი... წონასწორობიდან გამოსულმა, მაგიდაზე დადებულ დანას ხელი დავავლე და მისკენ მოვიქნიე... ვიგრძენი, რომ სხეულში მოხვდა. ის წაიქცა და რამდენიმე წუთში გარდაიცვალა...“ — უთხრა სამართალდამცველებს დაკავებულმა. როგორც გაირკვა, მომხდარის დროს, სახლში ის დედასთან ერთად, მარტო იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, მომხდარ ფაქტს არავინ შესწრებია. არც მეზობლებს გაუგონიათ იმ დღეს ბუცხრიკიძეების ოჯახიდან ყვირილის, კივილის ან სხვა რაიმე საეჭვო ხმა. ირკვევა ისიც, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ბუცხრიკიძემ კვალის დაფარვაზეც იზრუნა: მოწმინდა სისხლი, გარეცხა დანაშაულის იარაღი — დანა, გაანადგურა მოკვლის დასისხლიანებული ტანსაცმელი. ერთი სიტყვით, ყველაფერი მოაწესრიგა და მხოლოდ ამის შემდეგ აცნობა მეზობლებსა და ნათესავებს დედის გარდაცვალების შესახებ. თუმცა, ეს მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით გაკეთებულ, ლოგიკურ ვარაუდს წარმოადგენს. ყოველივე ამას მონშე და უშუალო თვითმხილველი არ ჰყოლია. დანაშაული, მომხდარიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოვლინდა და შესაბამისად, გამოძიებამ ვერც ნივთმტკიცებები მოიპოვა...

საქმე განსახილველად რაიონულ სასამართლოს გადასცეს. სასამართლომ ბრალდებული ემზარ ბუცხრიკიძე დამნაშავედ ცნო და მას სასჯელის ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა, ყველაზე საინტერესო რამ სწორედ ამ განაჩენის შემდეგ მოხდა...

მსჯავრდებულმა ემზარ ბუცხრიკიძემ და საქმეზე დაზარალებულად ცნობილმა მისმა ძმამ — ზაურ ბუცხრიკიძემ რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ერთად გაასაჩივრეს და ორივემ მისი გაუქმება მოითხოვა. მსჯავრდებული საჩივარში, მის მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას კატეგორიულად უარყოფდა და მის მიმართ საქმის შეწყვეტას მოითხოვდა, დაზარალებული კი ეთანხმებოდა მის მოთხოვნას და ისიც მის გამართლებას მოითხოვდა...

განაჩენი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ განიხილა. საჩივრის პარალელურად, აღნიშნულ სასამართლოში შევიდა რაიონული პროკურორის შესაგებელი, რომლითაც ის, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის უცვლელად

დატოვებას მოითხოვდა. პროკურატურა კვლავ მთელი პასუხისმგებლობით აცხადებდა, რომ ემზარ ბუცხრიკიძემ ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინა — საკუთარ დედას განზრახ, დანის დარტყმის შედეგად მოუსწრაფა სიცოცხლე.

სააპელაციო პალატამ ყველასთვის მოულოდნელი, მაგრამ, როგორც მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ მიიჩინა, საესებოთ კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო. მოსამართლეებმა განაჩენი გააუქმეს. განაცხადეს, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ბრალეულობის დამამტკიცებელი რეალური და უტყუარი საბიძგები არ მოიპოვეოდა — არ არსებობდა თვითმხილველი, რომელიც ჩადენილ დანაშაულთან და ბრალთან დაკავშირებით გამოძიებას მნიშვნელოვან ჩვენებას მისცემდა, არ არსებობდა არც ნივთმტკიცება... იყო მხოლოდ ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება, კანონმდებლობის მიხედვით კი, მხოლოდ ეს, პიროვნებისთვის ამა თუ იმ ბრალის დასამტკიცებლად და მისი დამნაშავედ გამოსაცხადებლად, საკმარისი არ არის. სააპელაციო პალატამ ბუცხრიკიძე უდანაშაულოდ გამოაცხადა.

ბრალდების მხარე აცხადებდა, რომ სასამართლომ შოკის მომგვრელი გადაწყვეტილება მიიღო. პროკურატურის თანამშრომელთა თქმით, დანაშაულს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც ადასტურებდა. მკვლელობის ჩადენა კი, მოცემული ვითარების გათვალისწინებით, მხოლოდ და მხოლოდ ემზარ ბუცხრიკიძეს შეეძლო და მან ეს წინასწარი გამოძიების პერიოდში, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი ნებით აღიარა კიდეც. პოლიციის განყოფილებაშიც საკუთარი ფეხით მივიდა და ჩადენილი დანაშაული საკუთარი მეუღლის წინაშე და მისი თანდასწრებითაც დაადასტურა. მაგრამ როგორც ჩანს, ყოველივე ამის შემდეგ, მსჯავრდებულმა ადვოკატისგან კარგი დარიგება მიიღო. გაიცნობიერა ის, რომ კანონის მიხედვით, პასუხისმგებლობისგან მისი გათავისუფლების რეალური შანსი არსებობდა. ბრალდების მხარის მტკიცებით, მსჯავრდებულის მიერ ჩვენების შეცვლაც მხოლოდ ამით აიხსნება.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომაც ძალაში დატოვა. მოსამართლეების თქმით, პირველი განაჩენი კანონიერად გაუქმდა, რადგან პროკურატურამ ბრალის დამამტკიცებელი საბუთები მართლაც, ვერ წარმოადგინა...



სულენი ნაბიჯი

ჭრელი „ნიფხვის“ ამბავი ანუ აწუხებით თუ არა ქმრებს რქები?

მარი ჯაფარიძე

სწორად ადამიანები სისულელეს ისე ჩავდივართ, რომ ამბზე არც კი ვფიქრობთ და ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება ხოლმე. თუმცა, ხანდახან საჭიროა განგებ ჩაიღინო რალაც სისულელე, რომ ცხოვრება გაიხალისო და ყოველდღიური ერთფეროვნება დაარღვიო. თუ სისულელის ჩადენას გადაწყვეტთ, გაითვალისწინეთ, რომ ძალზე დიდ კონკურენციას უნდა გაუძლოთ და ისიც გაითვალისწინოთ, რომ სულელი ყოველთვის ამტკიცებს, რომ ჭკვიანია, ხოლო ჭკვიანი დუმს, რომ ის სულელია.

სტუდენტი ტარაკანები

„4 წლის წინ ავიხდინე ოცნება და წავედი ამერიკაში. მაშინ 22 წლის ვიყავი და ჩემი სურვილი — სწავლის გაგრძელება გახლდათ, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ინგლისური ენა საერთოდ არ ვიცოდი. ამიტომ, საჭირო იყო, რომ ჯერ ენა მესწავლა და სწავლის გაგრძელებაზე მერე მეფიქრა. იქ ჩემს ახლობლებთან, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი. ისინი უკვე დიდი ხნის ჩასულები იყვნენ და ენასაც კარგად ფლობდნენ. ერთ დღეს, ყველანი ლექციებზე წავიდნენ. შინ მხოლოდ მე დავრჩი. ყოველი შემთხვევისთვის, ერთი ფრაზა დამაზებებინეს. თუ ვინმე დააკაკუნებდა, კარი უნდა გამეღო და მეთქვა, რომ ყველანი ლექციებზე იყვნენ წასულები. გულმოდგინედ დავიზებირე ეს ფრაზა და ტელევიზორს მივუჯექი. რამდენიმე საათის შემდეგ, კარზე დააკაკუნეს. ფურცელზე დანერვილ გაბუპირებულ ფრაზას გადავხედე, რომ არ შემშლოდა და კარი გავაღე.

იქ 2 შუახნის ქალი იდგა. რა მკითხეს, ვერ გავიგე, მაგრამ ომახიანად ვუპასუხე — ყველანი ლექციებზე არიან-მეთქი. იმდენი იცინეს იმ ქალებმა, რომ ლამის გული წაუვიდათ. რალაც ფურცელი დამიტოვეს და წავიდნენ. როდესაც ჩემი მასპინძლები დაბრუნდნენ, ყველაფერი მოვუყვიე და ის ფურცელიც ვაჩვენე. ახლა ისინი ახარხარდნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი სანიტარიული სამსახურიდან ყოფილან და თურმე, უკითხავთ — ტარაკანები ან თავგები ხომ არ გყავთო? ჰოდა, იცინებდნენ, აბა, რას იზამდნენ, როცა მე სერიოზულად ვუთხარი, რომ ყველანი ლექციებზე იყვნენ წასულები... აი, ჩემი სულელური ნაბიჯი, მაგრამ რა ჩემი ბრალი იყო?“

მუშა

„საერთოდ, ძალიან დაბნეული ადამიანი ვარ და ათასგვარ უხერხულ სიტუაციაში ვვარდები ხოლმე. ახლა მინდა, 2 ამბავი მოგიყვებო. ერთ დღეს, სოფლიდან ჩამოვედი. მთელი 7 საათი ვიმგზავრე „მარშრუტკით“ და ძალიან

დავიღალე. თან მცხელოდა და ერთი სული მქონდა, როდის მივალნევი სახლამდე. როდესაც, სადგურამდე მივალნევი და ჩემი ბარგი გადმოვალაგე, აღმოჩნდა, რომ საკმაოდ დატვირთული ვყოფილვარ და გზის მეორე მხარეს ბარგის გადატანას მართო ვერაფრით მოვახერხებდი. იქვე ხანში შესული, საკმაოდ ცუდად ჩაცმული მამაკაცი შევნიშნე, რომელსაც თავზე გახუნებული ცილინდრი ეხურა, ბორდიურზე იჯდა და ხელში არყის ბოთლი ეჭირა, რომლიდანაც დროგამოშვებით არაყს სვამდა. მასთან მივედი და ვთხოვე, რომ ბარგის გადატანაში დამხმარებოდა. უარი არ უთქვამს. წამოავლო ჩემს ჩანთებს ხელი და გზის მეორე მხარეს წამში გადაიტანა. მაღლობა გადავუხადე და 2 ლარი გავუწოდე, მომსახურების გასამრჯელოდ. მან უცნაურად შემომხედა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და რალაც ფურცელი გამომიწოდა, თვითონ კი ისევ თავისი ადგილისკენ წავიდა. როდესაც ტაქსიში ჩავალაგე ბარგი და მეც მოვკალათდი, მხოლოდ მაშინ დავხედე ხელში შერჩენილ ფურცელს, რომელიც სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა და თეთრზე შავით ეწერა, რომ ის უნივერსიტეტის პროფესორს ეკუთვნოდა. ლამის გადავირიე, მაშინვე უკან მივაბრუნე ტაქსი და იმ მოხუცთან მივედი. გამიღიმა. უამრავი ბოდიში მოვუხადე. აღმოჩნდა, რომ თურმე, სათევზაოდ მიდიოდა და ასეთ ფორმაში იმიტომ იყო გამოწყობილი. არყის ბოთლში კი წყალი ჰქონია ჩასხმული და დასიცხულ ორგანიზმს იგრძობდა. ძალიან განვიცადე, მაგრამ ბოლოს ისევ თვითონ დამამშვიდა. მეორე ამბავი ბაზრობზე გადაამხდა, მაგრამ ამჯერად უკვე ჩემზე კი არა, სხვის შესახებ უნდა მოგიყვებო. ბაზრობიდან გამოსვლისას, წვრილმანების დახლთან მივედი და ტუალეტის ქალაღი ვიყიდე. უეცრად, ზურგს უკან მესმის ხმა: ქალბატონო, ეს რბილია? — თავი ვერც კი მივაბრუნე, ისე დავიბენი და ნაჩქარევად ვუპასუხე, რომ რბილი იყო. — თუ რბილია, კარგი იქნება, რადგან ამის წინათ რომ ვიყიდე, ისეთი უხეში იყო, რომ სულ სისხლები დამადინაო. თვალში გამოფართოვდა და გამყიდველ ქალს შევხედე. ის სიცილს ძლივს იკავებდა. მერე, როგორც იქნა, უკან მიხედვაც გავხედე, რომ მოსაუბრე დამენახა და რას ვხედავ? ვილაც კაცს ხელში კბოლის ჯაგრისი უჭირავს და თითოთი ამოწმებს, უხეშია თუ არა. ყველამ ბევრი ვიცინეთ და დღემდე ხშირად ვყვები ამ ამბავს. ნაია“.

პრიზი

ძალიან მაკვარანცხი ვინმე ვარ და თვალი სულ იქით მიჭირავს, ვის რა მოვატყუო, გავუჩალიჩო, ვიკაიფო და ვიცინო... „პივის“ ბარს თუ სტუმრობთ, გეცოდინებათ, რომ როდესაც ლუდი მოაქვთ, მიმტანი ლუდის ბოკალს ქვეშ სპეციალურ, მრგვალი ან ოთხკუთხედი

ფორმის მყარ საფენს უდებს ხოლმე. ერთხელ მშვენიერი იდეა მომივიდა და ერთი ასეთი საფენი, რომელზეც ერთ-ერთი ქართული წარმოების ლუდის საფირმო ნიშანი და სახელი ეწერა, შინ წამოვიღე. ის მრავალფენიანი მუყაოსგან არის დამზადებული და თუ მოინადინებთ, იოლად შეძლებთ, მის ფენებად დაშლას. მეც, ასე ფრთხილად გავყავი 2 ფენად, შუაში 20-ლარიანი მოვთავსე და ისევ შევანებე. ბარში მორიგი სტუმრობის დროს, როდესაც ასე, 10 კაცი ერთად წავედი, ჩემი ბოკალის ქვეშ შეუშინევილად დავდე ჩემ მიერ გამზადებული საფენი. ამის შემდეგ, წამოვიწყე საუბარი იმაზე, რომ თურმე, ლუდის მწარმოებელი სარეკლამო აქციას აწარმოებდა და ყოველ მეხუთე საფენში 20 ლარი იდო. ამას იმდენად ხმამაღლა ვამბობდი, რომ ყველას ესმოდა და კამათშიც თითქმის მთელი ბარი ჩავითრიე. თვალსაჩინოებისთვის, რამდენიმე საფენი დავშალე, სადაც არაფერი აღმოჩნდა. ხალხი ირონით მიყურებდა და ალბათ, გიჟად მთვლიდნენ, მაგრამ ჯერი ჩემს საფენზე რომ მიდგა და იქ მართლაც აღმოვაჩინე „ტვიცინა“ 20-ლარიანი, უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა. მთელი საფენების მარაგი იმ დღეს გაანადგურეს ბარის სტუმრებმა და რომ ვერაფერი იპოვეს, ლუდის მწარმოებლებს დაუწყეს ლანძღვა იმისათვის, რომ ხალხს ატყუებდნენ და ყოველ მეხუთეში კი არა, ალბათ ყოველ მეხუთასეში დებენ ფულს...”

მასხარა

„ისსულელე, რომელიც ახლა უნდა მოგიყვებ, ამ ზაფხულს ჩავიდინე. 28 წლის, უცოლო ბიჭი ვარ და მშობ-

ლებთან ერთად ვცხოვრობ. ისინი სოფელში წავიდნენ და შინ მარტო დავრჩი. ხომ იცით, როგორ ცხელოდა. ჰოდა, შინ „ტრუსიკიანი“ დავდიოდი ხოლმე. ერთ დღეს, მეგობარს დავურეკე, ვისვენებ, მთელი დღე შინ ვიქნები, ლუდი მაქვს ჩაცივებული და მოდი, ერთად უფრო იოლად გადავიტანთ სიცხეს-მეთქი. დათო სისარულით დამთახმდა. დაბადების დღეზე მეგობრები გამეხუმრნენ და უზარმაზარი, ჭრელი, ყვავილებიანი „ნიფხავი“ მაჩუქეს. ვიფიქრე, დათოს გაუხარდება, თუ იმ „ნიფხავით“ დავხვდები ცოტას ვიხალისებთ-მეთქი და სასწრაფოდ ჩავიცვი, მის მოსვლამდე. ასე გამოვეწყვე და კარზეც დააკაკუნეს. უფრო კარგად რომ გვეხალისა, კისერზე ჰალსტუხი ჩამოვიკიდე და თავზე მაშაჩემის ცილინდრი ჩამოვიფხატე. კარი „არტისტული“ პოზით გავაღე, ცილინდრი მოვიხადე და — ალექსეეე ჰოპ! დავიძახე. იქ კი უცნობი გოგონა შემრჩა ხელთ, რომელსაც გაცოცხლებს პირი დაედო და ცდილობდა, წელს ქვევით არ შემოეხედა, თუმცა, ვერ ახერხებდა და თვალი მაინც ჭრელი „ნიფხვისკენ“ გაურბოდა. გავშეშდი. კართან ულაშახესი გოგონა იდგა და მე, უცოლო კაცი, რომელსაც ცოლის ხსენებაზე ხასიათონო ურუხანტელი დამივიღის ხოლმე ტანში, ასეთ ფორმაში ვდგავარ მის წინ.

— სოციოლოგიურ გამოკითხვას ვაწარმოებ, თუ შეიძლება, რამდენიმე შეკითხვაზე მიპასუხეთო. შემოვიპატიჟე შინ, მაგრამ აბა, რას შემოვიდოდა? — ერთი ნუთით-მეთქი, ვუთხარი, ბოდიში მოვუხადე და შინ შევედი. სასწრაფოდ ჩავიცვი, იმ სიცხეში კოსტიუმიც შემოვიცივი, ჰალსტუხიც გავიკეთე და გოგონას ისე გამოვეცხადე. რამდენიმე კითხვა დამისვა და მერე დაინტერესდა: — კარი ვინც გამიღო, ის ბიჭი არ მიპასუხებს შეკითხვებზეო? არ დავიბენი, ჩემი სავიზიტო ბარათი გავუწოდე და ვუთხარი: — ის ბიჭი აქ არ ცხოვრობს-მეთქი. ამაზე სულ მთლად დაიბნა. ალბათ, ვერ მიხვდა, რატომ იყო სტუმარი ისეთ ფორმაში, მასპინძელი კი ასე გამოწყობილი... კიბეზე რომ ჩადიოდა, მივაძახე, დამირეკე-მეთქი, მაგრამ დღემდე არა ვარ დარწმუნებული, რომ დარეკავს... არადა, როგორ მომეწონა! იქნებ ახლა მაინც წაიკითხოს და ყველაფერს მიხვდეს...”


კვალიფიციური რჩევა

„მინდა, გაამბოთ იმის შესახებ, როგორ გადაარჩინა ერთმა გოგონამ მეორე, სულელური ნაბიჯის გადადგმისგან. ერთ-ერთ სამინისტროში ვმუშაობ. „სვეტსკი“ სამსახური მაქვს, სადაც „სვეტსკი“ გოგონები და ბიჭები მუშაობენ. ერთ დღეს,

ასეთი საუბრის მოწმე გავხდი. 2 მოკლეკაბიანი თანამშრომელი ნებივრად გადწოლილიყო სავარძელში, ყავას სვამდნენ, სიგარეტს აბოლებდნენ და ათას საჭირობოროტო საკითხზე საუბრობდნენ. უეცრად, ერთმა თქვა: მანქანის ყიდვას ვაპირებ და ვერ გადავწყვიტე, რუსული მანქანა ვიყიდო თუ სხვა, რომელიმე უცხოურიო. მეორემ ჭკვიანური მზერით შეხედა და უთხრა: — რუსული არავითარ შემთხვევაში არ იყიდო, ხომ გახსოვს, „07“ რომ მყავდა? ყიდვიდან ერთი კვირის შემდეგ, თავისუფლების მოედანზე „აუდის“ დავეჯახე, ორივე მანქანა ჩემი გასაკეთებელი გახდა, ძლივს მოვაბი თავი... როგორც იქნა, „პროფილაქტიკიდან“ გამოვიყვანე და 3 კვირის შემდეგ, წერეთლის გამზირზე ბოძს დავეჯახე, სასწაულმა გადამარჩინა, ახლა, რაც „ოპელი“ ვიყიდე, დავისვენე, ასე რომ, პირდაპირ რამე უცხოური იყიდე, თორემ მაგრად დაიტანჯებიო. — აი, ასეთი ქალური ლოგიკით გადაარჩინა ავარიულ სიტუაციებს მეგობარი, გათვითცნობიერებულია მძღოლმა“.

სოლიდარობა

„ერთხელ თავი შეუძლოდ ვიგრძენი. რომ აღარ დაადგა ჩემს გამოჯანმრთელებას საშველი, გადავწყვიტე, ექიმთან წავსულიყავი და შესაბამისად, კარგი, კერძო კლინიკა შევარჩიე. დერეფანი ცარიელი იყო. მიმღებში რალაც 2 თეთრი „ხვეულა“ მომცეს და ექიმის კაბინეტშიც მიმასწავლეს. ვინაიდან ექიმს პაციენტი ჰყავდა, იქვე მომიწია გაჩერებამ. სკამზე ჩამოვჯექი და ინტერესით შევათვალიერე, რა მომცეს მიმღებში. ერთი ხვეულა გავხსენი. თეთრი ნაჭრისგან შეკერილი რალაც იყო, რომელიც ძალიან ჰგავდა ქუდს. ავდექი და თავზე დავიხურე. თმა კარგად შევიკევე შიგნით და გავიფიქრე, რომ კერძო კლინიკაში მაინც ყველაფერი ნესრიგანადაა მოწყობილი. სანიტარიულ ნორმებსაც როგორ ზუსტად იცავენ-მეთქი. ახლა მეორე ხვეულას მივადექი. იქაც ზუსტად იგივე ნივთი აღმოჩნდა. ეს ალბათ, ექიმისთვისაა-მეთქი, — გავიფიქრე და კვლავ აღვფრთოვანდი მათი ნესრიგით. როგორც იქნა, ჩემი ექიმი გათავისუფლდა და პაციენტი გამოაცილა. მე რომ დამინახა, გაცოცხლებული მომაშტერდა. მე მელოდებითო? — დიას-მეთქი, ვუპასუხე და თან ქუდი შევიწნორე. ვხედავ, რომ ტუჩებს ძლივს უყრის თავს. ეს თავზე რატომ გახურავთო? — აბა, რა უნდა მექნა-მეთქი? — ქალბატონო, ეს „ბაქილებია“ და ფეხზე უნდა ჩაგეცვათო... ისე შემრცხვა ჩემი სულელური საქციელის, რომ ვინატრე, ნეტავ, მინა გამისკდეს-მეთქი, მაგრამ ექიმი ისე კეთილად იცინოდა, რომ მეც მომეხსნა დაძაბულობა და სიცხეში ავყვე. ისიც ვუთხარი, მეგონა, მეორე თქვენთვის იყო-მეთქი. გამომართვა, თვითონაც თავზე დაიხურა და ისე გამსიჯდა...”



უგუნერი

„სულელური ნაბიჯი, რომელიც მე გადავდგი, ისეთია, რომლის გამოც მთელი ცხოვრება მომიწევს ხარკის გადახდა. საქმე ისაა, რომ გრძობებს აყვები და ცოლშვილიანმა, 40 წლის კაცმა 22 წლის გოგო შევიყვარე. ისე ამიბნია თავგზა, რომ მის გარდა ქვეყნად ვეღარავის ვამჩნევდი. 15 წლის ბიჭივით ვიყავი შეყვარებული და ამას არც ვხალავდი. როდესაც ცოლმა ეჭვიანობა დაიწყო, არ დამიმაღლავს, პირდაპირ ვუთხარი, რომ შეყვარებული ვიყავი. რას გაუძლო ჩემმა ცოლმა, თქვენ არ იცით. მაპატიო და შინიდან არ დამითხოვა. გმირულად იტანდა ჩემს ყველა დაგვიანებას, სატელეფონო საუბრებს, შინ მიუსვლულობას და არაფერს ამბობდა, მაგრამ მის გულში რა ხდებოდა, ამას მხოლოდ ახლა ვუფიქრდები. მხოლოდ ერთს მეხვეწებოდა, რომ ოჯახი არ მიმეტოვებინა და მათთან ვყოფილიყავი. ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ მთელი დღის განმავლობაში ნატოს გვერდით ვყოფილიყავი და მისი ყველა კაპრიზის შესასრულებლად მზად ვიყავი, თავი გამეწინრა. ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე დავფრინავდი. ყველას ამაყად ვაცნობდი და დაუფარავად ვამბობდი, რომ უზომოდ მიყვარდა. ასე გავიდა მთელი 3 წელი. იმ წელს ჩემმა გოგონამ სკოლა დაამთავრა და მისაღებ გამოცდებს აბარებდა, მაგრამ მე სულ არ მახსოვდა. როდესაც სტუდენტი გახდა, გადავწყვიტე, მისი მეგობრები რესტორანში დამეპატიჟებინა და ნატოც იქ მივიყვანე. რა თქმა უნდა, სულაც არ მიფიქრია იმაზე, რომ შვილს გულს ვატყენდი... ნინომ იტირა და სუფრიდან გაიქცა. მთელი ღამე ვეძებე, მაგრამ ვერსად მივაგენი. მეორე დღეს კი ბავიგე, რომ გათხოვილა და ცხელ გულზე ვილაც ნაძირალას გაჰყოლია. სიძე ნარკომანი აღმოჩნდა, ჩემს გოგონას ამწარებდა. ის კი ამბობდა, რომ ეს ჩემს გასამწარებლად გააკეთა. 6 თვის შემდეგ, მე თვითონ დავანგრეე მათი ოჯახი. ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე. ამას ისიც დაერთო, რომ ნატომ ჩემს უახლოეს ძმაცთან მილაღატა. ძმაცაცმა სპეციალურად გააკეთა ისე, რომ როცა ნატოსთან ერთად სასტუმროში იყო, მაშინ დამირეკა და მთხოვა, მივსულიყავი. ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი. იმის შემდეგ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ჩემი შვილის ბედი, ჩემი ცოლის ჯანმრთელობა, ოჯახის ბედნიერებაც შეინირა... აი, ის, რის მოყოლასაც ვაპირებდი. კარგად“

ძილი ნებისა

„ამ მესიჯს ქუთაისიდან გწერთ. აფთიაქში ვმუშაობ. ერთ დღეს, ცვლის გადაბარება გვექონდა და ვინიდან ამის

გამო ყველა თანამშრომელმა ერთად მოვიყარეთ თავი, გადაწყვიტეთ, რომ იმ ღამეს, იქ დავრჩენილიყავით. ყველა თანახმა იყო, ერთი გოგოს გარდა. ავდექით და ყავაში ძილის წამალი ჩავეყვარეთ. ცოტა ხანში ისე მოითენთა, რომ თვალებს ძლივს ახელდა. სადღა წავიდოდა? იძულებული გახდა, რომ დარჩენილიყო, მაგრამ თან ძალიან ღელავდა. მეორე დღეს გადაწყვიტა, ექიმთან წასულიყო, რადგან წინათ ასეთი რამ არასოდეს უგრძნია და ფიქრობდა, რომ ნამდვილად ავად იყო. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვუტყდით, რომ ჩვენი ბრალი იყო, მისი უგუნებობა. გადაირია და სულ ტლინკები ყარა, მაგრამ სამაგიეროდ, ამის შემდეგ ჭკუა ისწავლა და როგორც კი ვიტყვით — ყავა სიმ არ დავლიოთო, მაშინვე თვითონ მიდის მოსადულებლად“.



ყველაზე ჭკვიანი

„ჩემი ნაბიჯი სულელურიც არის და სასაცილოც. სამსახურიდან მეგობართან გავიარე და კარგა ხანს შევრჩი. ვინაიდან სახლამდე მისასვლელად პატარა სკვერი უნდა გამეგლო და მეუბნოდა, რომ არავის დავეყაზღებინე, ერთ ორიგინალურ ხერხს მივმართე. ჩანთაში მობილურის გარდა არაფერი მედო ისეთი, რაზეც გული დამწყდებოდა. ამიტომ, მობილურს ხმა გამოვუერთე და საცვალში ჩავიდე. გულარხეინად განვაგრძე გზა. უეცრად, წინიდან მომავალი მამაკაცის გაფართოებული თვალეები შევნიშნე, რომელიც „იქ“ მომჩერებოდა. დავიხედე და რას ვხედავ? მობი-

ლური ტექლეფონი ისე ჩამიდგია, რომ როგორც ჩანს, ეკრანი გარეთ იყო მოქცეული. ამ დროს ვილაც რეკავდა და ტელეფონი ანათებდა, რაც თხელი სარაფნის ქვეშ კარგად მოჩანდა. ყველაფერი მინახავს, მაგრამ „ის“ რომ ანათებდეს, ამას კი პირველად ვხედავო, — ჩაილაპარაკა იმ კაცმა და გოცნებული გამცილდა. კიდევ კარგი, ყაჩაღი არ იყო, თორემ, ალბათ აუცილებლად ამომაცილიდა ტელეფონს“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

მოპარული პროთეზი

„ამ მესიჯს ათენიდან გწერთ. არ ვიცი, რა თემა გაქვთ ამჯერად „გზაჯინალებში“ ან ვის ეკუთვნის ფრაზა: „არ არსებობს ამქვეყნად ქალი, რომელსაც საკუთარი პატიოსნება არ მოჰპებრებოდა“... მაგრამ მინდა, ერთ საკითხზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. 25 წლის ვარ, გავიხარდე ქართულ, ტრადიციულ ოჯახში. აქ ერთი ბერძენი ბიჭი გავიცანი და ერთმანეთი შეგვიყვარდა კიდევ, მაგრამ მისთვის გაუგებარია, რა საერთო აქვს ერთმანეთთან პატიოსნებასა და ქალწულობას. მიაჩნია, რომ ეს საშინელებაა და შესაძლოა, ასე ქალი დაავადდეს. დრო მომცა, რომ მოვიფიქრო. ჰოდა, ვზივარ და ვფიქრობ: რატომაა ქართველებისთვის ეს ქალწულობა ასეთი მნიშვნელოვანი?“

„ქობულეთში ვისვენებდი, მეგობრებთან ერთად. ჩვენ გვერდით 4 ბიჭი ცხოვრობდა. ვიცოდით, რომ შინიდან საღამოს გადიოდნენ და გვიან ბრუნდებოდნენ. ჰოდა, გადავწყვიტეთ, გავხუმრობოდი. მათი კარის სახელურს ბლომად ზეთი წაფუსვით, მაგიდა გადავუადგილეთ, მშრალ ტანისამოსზე წყალი დავუხსით და სასმელ წყალში მარილი ჩავეყვარეთ, მაგრამ მგონი, ვერაფერსაც მიხვდნენ. ახლა მინდა, ვუთხრა, რომ ეს ჩვენ გავაკეთეთ. ბიჭებო, ძალიან გვენატრებით. ლანა“.

„ყველაზე დიდი სისულელე ამ ზაფხულს ჩავიდინე, როდესაც დედაჩემის მოგვარე შემიყვარდა. მარია“.

„სწორედ საჩემო თემაა. ჩემი ყველაზე დიდი სულელური ნაბიჯი ის იყო, რომ ერთ ტიპს მესიჯზე ვუპასუხე. ახლა კი ძალიან ვწაწაობ. ის ერთი დიდი ლაქაა ჩემს ცხოვრებაში“.

„გამარჯობა, „გზაჯინალებო“! ჩემი სულელური ნაბიჯი ერთი თიანელი ბიჭია, რომელიც ვითომ სულელია და ჩემს გასულელებასაც ცდილობს. არ გამოგივა, ვერ ელირსები!“

„ქალების უმეტესობას მოლაღატედ თავად ღალატი აქცევს. მე და ჩემს ქმარს ერთმანეთი გვიყვარდა და ბედნიერად ვცხოვრობდით. ერთ დღეს კი შოკის მომგვრელი ამბავი გავიგე: თურმე მღალატობდა. ამ ღალატმა მისი სიყვარულისგან განმკურნა. ახლა მასზე ახალგაზრდა და დახვეწილი საყვარელი მყავს და თავს მშვენივრად ვგრძნობ. ბავშვებს მამა უყვართ, მე კი მასთან ცხოვრება აღარ შემიძლია. ისე, ძალიან მანტირერესებს, ჩემს ქმარს თავის სულელ თავზე ამოსული რქები არ ანუხებს?“

„მარი, მაგარი სულელური ნაბიჯი მაშინ გადავდგი, როცა შენი არსებობა ვინამე და მესიჯი მოგწერე. მარი ხარ თუ მარიკელა, შენ ჩემი მესიჯებით ერთობი? არა, აღარ გენდობი!“

„ჩემი აზრით, დიდი სისულელე მამაკაცის უზომოდ შეყვარებაა და სწორედ ამ სისულელემ დამღუპა. ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ შევიცვლები და ვნახოთ, რა მოხდება. იქნებ, გავთავისუფლდე ამ გრძნობისგან და თავისუფლად ვინავარდო? თამუნა.“

„ჩემს ცხოვრებაში უამრავი სულელური ნაბიჯი გადამიდგამს, მაგრამ ბოლო საქციელმა ყველაფერს გადააჭარბა. ჩემი მშობლები საცხოვრებლად ევროპაში წავიდნენ, მე კი აქ დავრჩი, ვითომ, სწავლის გამო, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ერთი ბიჭი იყო, რომელიც მიყვარდა და რომელმაც მიმატოვა. თავო.“

„ჩემი სულელური ნაბიჯი ის იყო, რომ ერთ ბიჭს შეუყვარდი, მე კი ყველა თავყანისმცემელი მაშინვე ჩამოვიშორე. მეგონა, ერთგულებაზე ერთგულებით მიპასუხებდა. მან კი ერთ აღქაჯზე გამცვალა. ვასკა, შენ რქები უფრო დაგამშვენებდა...“

„მართლაც სულელური ნაბიჯი გადავდგი. 25 აგვისტოს ჩემი დაბადების დღე იყო, 24-ში მეგობარს ვეჩხუბე. ის ყოველთვის პირველი მილოცავდა ყველა დღესასწაულს. ახლა კი, ჯერ არ დაურეკავს, ნატავ, დავაფინსდი?“

„სულელური ნაბიჯი ბევრჯერ გადამიდგამს, ნაგრამ არასოდეს მინანია, რადგან სწორედ ასეთი ნაბიჯების გამოა ცხოვრება საინტერესო.“

„ჩემი სულელური ნაბიჯი ის იყო, რომ ელენეს თავი შევყავარე. არადა, მეუბნებოდა, შეყვარებული მყავსო. მეორე სულელური ნაბიჯი კი გადავდგი მაშინ, როდესაც ჩვენი სიყვარულის დასაცავად ვერაფერი ვილოცე. მესამე კი ისაა, რასაც ახლა ჩავლივ. იმის მაგივრად, რომ ჩემი ურვა და დარდი გულში ჩავიხვიო, მთელ საქართველოს ვუზიარებ. ამქვეყნად მხოლოდ იმისთვის დავრჩი, რომ ყველაზე შური ვიძიო. ელ, სიგიჟემდე მიყვარხარ. სევდიანი ღამურა.“

„ჩემი მეგობრის ბებია, რომელიც სოფლიდან იყო ჩამოსული, მეტროთი იმგზავრა. გზაში კბილის პროთეზმა შეაწუხა, ჩუმად მოიხსნა, ცხვირსახოცში

გაახვია და ჯიბეში ჩაიდო. შინ დაბრუნებულმა კი აღმოაჩინა, რომ პროთეზი ჯიბეში აღარ ჰქონდა და ქურდებს მოუპარავთ.“

„ნამდვილად გადავდგი სულელური ნაბიჯი, რაშიც ჩემი დაიკოც აქტიურად დამეხმარა. სწორედ მისი რჩევით, შეყვარებულს მოვატყუე, რომ სხვა მიყვარდა. სულ ცოტა ხანში, „ყოფილმა“ შეყვარებულმა ქორნილში დამპატიჟა. ახლა კი ვნანობ. ზვიოს მარი.“

„სულელური ნაბიჯი? საკმაოდ ნაცნობი თემაა. მე ალბათ, რეკორდსმენი ვარ! იმდენი სისულელე მაქვს ჩადენილი. რა ვქნა? ასეთი ვარ!“

„ბევრი სისულელე ჩამიდენია ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ერთი თვის წინ რომ ჩავიდინე, ასეთი — არა. ყოფილ შეყვარებულს კიდევ ერთხელ ვუთხარი, რომ მიყვარს. მან კი გამომიცხადა, რომ ყველაფერი დამთავრდა და ერთ „პუტანკაში“ გამცვალა. რატომ ვიყავი ასეთი ბრმა და სულელი?“

„ეჰ, რომ იცოდნენ, რამდენი სისულელე ჩამიდენია... ვერ გავიზარდე და ვერ დავსერიოზულდი... სისულელეა, სიყვარული, აბა, რა არის? ისიც სისულელეა, ბოლო 6 თეთრს რომ ვხარჯავ და მესიჯს გიგზავნი. ვიცი, ჩემი ბედის ამბავი, მაინც არ გამოიქვეყნებთ. იყო, ძალიან მიყვარხარ. ანო.“

„სკოლაში მაგარი გოგოს იმიჯი მქონდა და თავყანისმცემლების არმიაც მყავდა. ერთი მათგანი ჩემზე 2 წლით უფროსი იყო და სხვებისგან იმით გამოირჩეოდა, რომ არასოდეს უთქვამს, მიყვარხარო. სამაგიეროდ, ამას მისი თვალები და მეგობრები დაუფარავად ამბობდნენ. ბიჭების წვალება მიყვარდა. ის ძალზე ამაყი იყო და ამას ვერ აიტანდა. სწორედ ამიტომ არ მიმხელდა გრძნობას. ამ ზამთარს კი სხვა შეირთო, მასზე უზომოდ შეყვარებული, მშვენიერი გოგონა. ამის შემდეგ, ძალზე შეიცვალა და თითქოს, უსიცოცხლო გახდა. მე კი მისი მაინც ვერ გავხდებოდი. აჩრდილი“.

„18 წლის ასაკში გავთხოვდი. ჩემი ქმარი დღემდე ყოველ 15 წუთში მირეკავს და მეკითხება, ხომ არაფერი მჭირდება. მე კი ვიცი, რომ ამ დროს ის აინტერესებს, სად ვარ. ჩემი მეგობრები მეუბნებიან, ბედნიერი ხარ, ასე რომ უყვარხარო. მე კი მეგონია, რომ ის ეჭვიანობს. იმ სვანივით მოსდის, ცოლს მოზივარს და პიანინოს რომ უყიდის. თუმცა, აკორდის ალებას ნამდვილად არ მთხოვს. არადა, ყოველ დღე მანქანის „ბაკს“ თვითონვე მახვედრებს ბენზინით საესეს. ჩემო სიხარულო, მიყვარხარ და ტყუილად ნუ მოიკლებ ეჭვიანობით, სიცოცხლის დღეებს. ეს შენი მხრიდან, სულელური ნაბიჯია, მე კი სულელური ნაბიჯი არ გადამიდგამს, როცა 4 წლის წინ მას გავყევი. ახლა 3 წლის „კაცს“ ვზრდით“.

„ამ თემას ამაყად ვესმაურები, რადგან ჩემი იერ გადადგმული ყველა ნაბიჯი

სულელურია. თუ სხვა დროს თემად „ჭკვიანური ნაბიჯი“ გექნებოდა, მაშინ რას ვიზამ, არ ვიცი. ნატა“.

„ჩემი ყველაზე სულელური ნაბიჯი ისაა, რომ ჩემს შეყვარებულს მანქანაში დავნებდი. ტიკურილა“.

„ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ინტერნეტში დავძვრებოდი. ერთი გოგო მომენონა. დავეწყე წერილების მიწერა. ამ გოგოს ნიღაბს ამოფარებული, ცნობილი ჟურნალისტი კი შემჩნა ხელთ. მეორე დღეს ყველაფერი ჟურნალში გამოქვეყნდა. აი, ასეთი სულელური ამბავი გადამხდა თავს“.


„მარი, მე შენთან გაბუტული ვარ და არ გელაპარაკები, რადგან მესიჯებს არ მიბეჭდავ. თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, შეგირიგდები. იცი, მე ხომ ძალიან მიყვარხარ, მუხლუხო მქვია და მინდა, ჩემი ნატო და ნანკა მოვიკითხო. ისინი ახლა სოფელში არიან და მართალია, არ მენატრებიან, მაგრამ მაინც... ჩემი დები არიან და... ისა, არ გინდათ, ვინმე გამეცნოთ?“

„სულელური ნაბიჯი ის იყო, ჩემს დეიდაშვილს ბიჭი რომ დავანერე. ახლა იცი, როგორ ვართ? ის ბიჭი ჩემი უახლოესი მეგობარია, მათ შორის კი, ყველაფერი თავიდან იწყება“.

„ვარ 21 წლის, განათხოვარი გოგო. ჩემი ექსქმარი ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერ ვაპატიებ, მის მიერ გადაგმულ სულელურ ორ ნაბიჯს. 1. მალავდა, რომ ჰყავდა მეუღლე და პატარა ანგელოზი. 2. სხვასთან სატელეფონო რომანი გააბა. ავედექი, ჩავალაგე ჩემოდანი და წამოსვლა რომ დავაპირე, ჩემი ქმარი იდგა და ილიმებოდა. მას ეგონა, ჯეზუმობი და რადგან იცოდა, რომ ძალიან მიყვარდა. ჰოდა, დავტოვე, ასე გალიმებული. დღემდე მეუბნება, რომ სიცოცხლეზე მეტად ვუყვარვარ და დაბრუნებას მთხოვს, მაგრამ მე აღარ გადავდგამ სულელურ ნაბიჯს, რადგან ვერ ვივინყებ, რომ ვიღაც კახპის გამო უარმყო“.

„ჩემი სულელური ნაბიჯი ის იყო, რომ „გზავნილებზე“ ლექსი დავწერე და მარიმ კი არ გამოაქვეყნა. მარი, ამით ერთგული მკითხველი მოიმდურე... და მაინც, რა ჰქონდა ჩემს ლექსს შენი დასაწუნი? თან შემპირდი, დაგიბეჭდავო და მომატყუე. ცხოვრებაში პირველად ვნახე, მატყუარა სვანი, მაგრამ ჩემთვის, ჩუმად მაინც მიყვარს „გზავნილები“ და ვვითხულობ. მარი, შენ კი არ შეგირიგდები. ლაშა-21“.

იმედია, ამ მესიჯის გამოქვეყნების შემდეგ ლაშაც შემირიგდება და ყველა, ვინც ჩემზე ნაწყენია, წყენას დაივიწყე. დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ — საბედისწერო შეხვედრა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



წყალტუბო დევილთა ქალაქად ქსეული კურორტი

რამდენიმე ხნის წინ, პრეზიდენტისა და გუბერნატორების შესვედრისას, რომელიც ბათუმში შედგა, იმერეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ქაჯაიამ პრეზიდენტს იმერეთში არსებული კურორტების მდგომარეობის შესახებ მოახსენა. დიდი დრო დაეთმო კურორტ წყალტუბოზე საუბარს. მისი თქმით, წყალტუბოში პრობლემები პრაქტიკულად არ არსებობს, პრეზიდენტმა კი ბრძანა, რამდენად მნიშვნელოვანია პირადად მისთვის კურორტის აღორძინება.

ჩვენ ერთ დროს ცნობილ კურორტ წყალტუბოს რამდენიმე დღით ვეწვიეთ. როგორც აღმოჩნდა, ბატონმა ზურაბ ქაჯაიამ პრეზიდენტს სიმართლე დაუმალა: მისი თქმით, შარშან წყალტუბოში სამი ათასზე მეტი დამსვენებელი ისვენებდა. რაიონის გამგეობისა და „წყალტუბოკურორტსერვისის“ ხელმძღვანელების მონაცემებით კი, დამსვენებელთა რაოდენობა ათას სუთასს არ ასცდენია. ამასვე გვიდასტურებენ წყალტუბოს პანსიონატების ხელმძღვანელებიც.

ირაკლი მანაგაძე

„ვაჰ, დრონი, დრონი!“

დიდი ქართველი პოეტის ეს სიტყვები სწორედ წყალტუბოს დღევანდელ მდგომარეობას მიესადაგება, ერთ დროს მსოფლიოში ცნობილ კურორტს, რომელსაც ვინ იცის, საიდან არ სტუმრობდნენ დამსვენებლები. დღეს კურორტს ფუნქცია დაკარგული აქვს, მხოლოდ დანგრეული შენობებია შემორჩენილი. ჩვენი მასპინძელი ქალაქს გვათვალისწინებინებს და გვეუბნება:

— აი, ის შენობა ცნობილი რესტორანია, მის გვერდით კი, სამსართულიანი უნივერსალი იყო, დღეს ორივე დანგრეულია. წყალტუბოს ცნობილ ტყეპარკში შესვლისას მასპინძელი გვიხსნის, სად იყო კურორტის აბაზანები. მათ ადგილზე ახლა მხოლოდ კედლებიღა შემორჩენილი.

მიუხედავად ამისა, დამსვენებელი წყალტუბოს წელსაც ჰყავს, მართალია, არცთუ ისე ბევრი, მაგრამ კურორტს ის დროც ახსოვს, როცა აქ წლების განმავლობაში არც ერთი დამსვენებელი არ ჩადიოდა. წელს ვითარება შეიცვალა. დამსვენებელთა უმრავლესობა აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეები არიან, ძირითადად, ხანში შესულები. მათთვის მკურნალობის ოცდობა კურსის გავლას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

აღმირა გაჯიევა წყალტუბოში „ავადსახსენებელი კომუნისტების“ დროსაც ისვენებდა. ახალგაზრდობიდანვე სახსრები აქვს, დაავადებული, ბაქოში ექიმებმა წყალტუბოს აბაზანები ურჩიეს და ქალბატონი აღმირაც აგერ უკვე ოცდახუთი წელია, კურორტს სტუმრობს. როგორც გვითხრა, მისი რეკომენდაციით აქ არაერთი მისი თანამემამულე ჩამოსულა დასასვენებლად.

აღმირა გაჯიევა:

— ერთხანს, 3 წელი წყალტუბოში ვერ ჩამოვდიოდი, მაშინ აქ არეულობა, საშინელი პერიოდი იყო. სახსრები ძალიან მტკიოდა. მართალია, ვმკურნალობდი, მაგრამ აქაური მკურნალობა სულ სხვაა. მას შემდეგ ყოველ წელს ჩამოვდივარ ოცი დღით და აბაზანებს ვიღებ, მერე მთელი წელი არც მახსენდება, თუ სახსრები მანუხებს. გული მტკივა, წყალტუბო რომ გაპარტახებულია. ეს ქალაქი ძალიან მიყვარს. ოცი წლის წინ სულ სხვანაირი იყო — სიცოცხლე დულდა. პარკი სავსე იყო დამსვენებლებით. ახლა პარკიც გაჩანაგებულია და სანატორიუმებიც, ერთი-ორი კაცი თუ შევა აბაზანის მისაღებად, არადა ადრე, მახსოვს, რიგში ვიდექი. იმედია, მალე წყალტუბო ძველ

იერსა და სახელს დაიბრუნებს...

წყალტუბოს ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას ტყეპარკი წარმოადგენს, რომელიც ბალნეოლოგიურ ზონაშია მოქცეული. სწორედ აქ არის ის ცნობილი აბაზანები, სადაც არცთუ ისე შორეულ წარსულში საბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსულ ათასობით მოქალაქეს ემსახურებოდა. სრული დატვირთვით მუშაობდა ათი აბაზანა, რომელთაგან დღეს მხოლოდ სამია შემორჩენილი, დანარჩენები დანგრეულია. ახლა ძირითადად №6 სააბაზანო კომპლექსი, ე. წ. „სტალინის აბაზანები“ მუშაობს და ისიც მინიმალური დატვირთვით.

აბაზანა უნიკალური არქიტექტურისაა, გასული საუკუნის 30-იან წლებშია აშენებული და დღემდე ათი ათასამდე დამსვენებელს ემსახურებოდა, ამჟამად კი ოცამდე დამსვენებელს თუ იღებს.

ტყეპარკი დეკორატიული ყვავილებითა და იშვიათი ტროპიკული მცენარეებით იყო გამწვანებული. ახლა პარკში ძროხები დადიან და ალაგ-ალაგ ღორებსაც წააწყდებით. აქა-იქ იშვიათი ჯიშის მცენარეები შემორჩენილია. სასეირნო ბილიკები, რომელიც ადრე ფილებით იყო მოპირკეთებული, დამტვრეულია. როგორც სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ გვითხრა, წყალტუბოს უნიკალური პარკი უახლოეს მომავალში დაიბრუნებს პირვანდელ სახეს, მეტიც — უფრო კეთილმოეწყობა. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მართლაც ასე იქნება.

მხოლოდ ერთი პანსიონატი მუშაობს, სადაც ერთდროულად ორმოც კაცს შეუძლია დაისვენოს. პანსიონატი ორსართულიანია და კეთილმოწყობილი; სანატორიუმში „სამხედრო“, თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება. პანსიონატსა და სანატორიუმში „სამხედროში“ დასვენება დღემდე 25 ლარი ღირს, კერძო სექტორში დასვენება — 5 ლარი (დღე-ღამე).

გაშუკა თიშვაძე, წყალტუბოს რაიონის გამგებელი:

— ახლა წყალტუბოში ერთი პანსიონატი მუშაობს, რომელსაც ერთ ჯერზე 50 დამსვენებლის მიღება შეუძლია. დამსვენებელი მაშინ ჩამოვა, როცა კურორტზე ყველა პირობა შეიქმნება დასვენებისა და მკურნალობისათვის. შემოიძლია ვთქვა, რომ ეს წელი წყალტუბოს წინსვლისა და აღორძინების წელია. წელს 250 ათასი ლარის სამუშაო ჩატარდა. გამართულია წყალმომარაგების სისტემები, მიმდინარეობს ელექტ-

როსადენების რეაბილიტაცია. პროგრამაში, რომელსაც „წყალტუბოს აღორძინება და განვითარება“ ჰქვია, გათვალისწინებულია ყველა ის ხარჯი, რომელიც ქალაქის განვითარებისთვის არის საჭირო. რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული. მთავარი პრობლემა ის არის, რომ დამსვენებელთა მასობრივად მიღება არ შეგვიძლია. 21 სანატორიუმში დევნილები არიან შესახლებული. გამგეობა ორი წელიწადია, ინტენსიურად მუშაობს ინვესტიორის მოზიდვაზე. ბუნებრივია, თუ დევნილები სანატორიუმებში იქნებიან, წყალტუბოს წინსვლაზე ლაპარაკი ზედმეტია. დამტკიცებულია 12 პროექტი, რომელთა განხორციელება დაახლოებით 15 მილიონი დოლარის ინვესტიციას მოითმნს, რაც ათასზე მეტი კაცის დასაქმებას ნიშნავს. წელს 12 ახალი სამშენებლო ობიექტი გვექნება. მშენებელთა 90% ადგილობრივი მოსახლეა. როცა მშენებლობა დასრულდება, სასტუმროების მომსახურე პერსონალადაც ეს ადამიანები იმუშავენ. მიმდინარეობს დანგრეული შენობების რეაბილიტაციაც. გვაქვს რამდენიმე ბიზნესპროექტიც, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს კურორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას...

დევნილთა ქალაქი

13 წლის წინ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაფანტულ დევნილთა (სხვათა შორის, მწერალ ოტია იოსელიანის წიგნი „უგზო-უკვლოდ“ წყალტუბოში მცხოვრებ დევნილებს ეძღვნება) ერთი ნაწილი წყალტუბომ შეიფარა. მას შემდეგ ვინ მოთვლის, რამდენი დაუნათესავდა ადგილობრივ მოსახლეობას, წყალტუბოელები და დევნილები ერთ მთლიანობად იქცნენ. დევნილთა უმრავლესობას ახსოვს წყალტუბოელთა დახმარება და თანადგომა. თავდაპირველად, წყალტუბოში 12 ათასზე მეტი დევნილი ჩავიდა, მაგრამ ბევრმა ვერ გაუძლო სიღუბნეობას და უცხოეთს მიაშურა.

წლებმაც და მოუვლელობამაც თავისი ქნა — სანატორი-



ბილიკები, რომელიც ადრე ფილებით იყო მოპირკეთებული, დამგრეულია

პირკეთებელი მასალით (მარმარილო, თეთრი ქვა და ა.შ.) დამშენებული კედლებიდან ბევრგან არმატურაა გამოშვრული; ვიღაცას შუაზიური ფერადი მარმარილოს ფილებიც აუყრია. რაც დარჩენილა, ისიც დაზარული და დამსხვრეულია. ამ ულამაზესი მარმარილოთი იყო დამშენებული სანატორიუმების ფოიეები თუ დერეფნები; პრაქტიკულად აღარ არსებობს კინოთეატრები და სასადილოები...

სანატორიუმებში განთავსებულ დევნილთა ყოფას დაღვინებულს მართლაც ვერ ვუნოდებთ. გარდა იმისა, რომ ნახევრად დანგრეულ შენობებში ცხოვრობენ, ამას მიმე სოციალური ფონიც ერთვის. პრაქტიკულად მოშლილია საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემები, რის გამოც წყალი გრაფიკით მიეწოდება მო-



ტყეპარკი დეკორატიული ყვავილებითა და იმეფიათი გროპიკული მცენარეებით იყო გამწვანებული

სახლეობას, სამაგიეროდ გრაფიკს არ ექვემდებარება ელექტროენერჯის მიწოდება. წყალტუბოში ჩვენი ყოფნის დროს, ელექტროენერჯია დღეში რამდენიმე საათით მიეწოდებოდა მოსახლეობას. როგორც ადგილობრივ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში განგვიმარტეს, ეს ამორტიზებული ელსადენებით არის გამოწვეული.

ნანი კირთაძე დევნილია. ათწლეულების განმავლობაში სოხუმის მეშვიდე საშუალო სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე იყო, სოხუმის უნივერსიტეტში კი ლექციებს კითხულობდა ისტორიაში. 13 წელია, რაც წყალტუბოში სანატორიუმ „მედეაში“ ცხოვრობს და ტკივილით იხსენებს იმ დღეს, როცა სოხუმი დაეცა. დაინახა, როგორ მოხვდა ჭურვი მის სკოლას (სკოლიდან ხუთი წუთის გამოსული იყო).

წყალტუბოში ქალბატონმა ნანიმ სამსახური მალე იმოვა — დამსახურებული პედაგოგი, ქალაქის პირველმა საშუალო სკოლამ მიიწვია ისტორიის მასწავლებლად.

ნანი კირთაძე:

— ამ ხნის განმავლობაში შვება დევნილს ნამდვილად არ უგრძნია. ყველაზე გაუსაძლისი — უწყლობა და უშუქობაა. გაიძახიან, წყალტუბოს 24-საათიანი ელექტრომომარაგება აქვსო. სინამდვილეში 1 ან 2 საათით თუ მოვა შუქი. ზამთარში ხომ კვირობით სიბნელეში ვსხედვართ. კარგა ხანია, არავის გავხსენებვართ — ჰუმანიტარული დახმარება არ გაუციათ, არაა და, ხელის წაკვრა ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. საერთოდ, წყალტუბოს რაიონში ძალზე რთული მდგომარეობაა, რაც ალბათ დევნილების სიმრავლითაც არის გამოწვეული. ერთადერთი, რასაც დროულად გვანვდიან, პენსიები და დევნილთა შემწეობაა. მანამდე თვეობით გვიგვიანებდნენ. როგორც გვითხრეს,



აბაზანა უნიკალური არქიტექტურისაა, გასული საუკუნის 30-იან წლებშია აშენებული და დღემდე ათი ათასამდე დამსვენებელს ემსახურებოდა

უმები განადგურდა, ხალხმა ოთახებში პარკეტი აყარა და სანვავად გამოიყენა; გაპარტახებულია შენობების ინტერიერი — გასული საუკუნის 30-40-იან წლებში უნიკალური მოსა-

ივნიხიდან სოციალური დახმარება უნდა მიეცათ სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფთათვის. ხალხი დააიმედეს, რიგში ჩააყენეს და თანხის ნაცვლად, სამედიცინო პოლისები დაგვირიგეს. პოლისებით ვერსად ვერაფერს გააკეთებ — საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში არ იღებენ. ფულს სექტემბრიდან დავარიგებთო. ამას წინათ კი ისიც თქვეს, ბევრნი ხართ და შესაძლოა, დარიგება გაჭირდესო. ვერაფერი გავიგე... როგორც იცით, სანატორიუმები უნდა დაიხსნას. დევნილებს 7-7 ათას დოლარს გვაძლევენ ბინის შესაძენად. ბევრი უარს ამბობს — ამ თანხით 6-7 წლის წინ ვიყიდდი კარგ სახლს ან ბინას, ახლა 7 ათას დოლარად ვინ რას მოგცემს?! ეტყობა, მეორედ დევნილობა გველის. არიან ოჯახები, რომლებსაც რამდენიმე ოთახი უკავიათ, სულადობითაც ბევრნი არიან, 7 ათასად სად იცხოვრონ?! მე წყალტუბოდან ვერსად წავალ, აქ ვმუშაობ, წყალტუბო მეორე სოხუმად მეჩქა. 13 წელიწადი ისტორიისთვისაც ცოტა, ჩვენთვის კი — მთელი ცხოვრებაა.

დოდო კადანაშვილი, დევნილი:

— 7 ათასად წყალტუბოში დანგრეულ ბინას თუ იყიდი. გასარემონტებელი ფული კი ჩვენ არ გვაქვს. ამიტომ მიუღებელია მთავრობის წინადადება. ისე, ამბობენ, 7-ს კი არა, 3 ათასს აძლევენო დევნილებს წყალტუბოში. ჩვენთან ოფიციალურად არავინ მოსულა. 3 ათას დოლარს მირჩენია, სანატორიუმში დავრჩე, ვიდრე ქუჩაში კარავი გავშალო. ერთიც არის, ეშმაკურად აქვთ გათვლილი — ან უნდა დათანხმდე შემოთავაზებულ თანხას, ან გარეთ უნდა დარჩე. ქუჩაში ყოფნა არავის უნდა და იღებენ იმ 3 ათასსაც. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ხალხმა პროტესტს მიმართოს...

როგორც რაიონის გამგებელმა გვითხრა, სანატორიუმებიდან დევნილების გამოსახლება მალე დაიწყება.

გაგუბა თევზაძე:

— ამ ეტაპზე, 19 სანატორიუმია საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი. ამ დღეებში მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა ინვესტორებთან. ჩამოსული იყო ინვესტორთა ათკაციანი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ყაზახი, ფრანგი ბიზნესმენები და „სილქროუდ ჯგუფის“ წარმომადგენლები. ყველა სანატორიუმში დაათვალიერეს, მონაცემთა პაკეტებიც გავატანეთ. რამდენიმე ობიექტით დაინტერესდნენ. ძალიან მოეწონათ ის სანატორიუმები, რომლებიც სტალინის დროსაა აშენებული...



გასული საუკუნის 30-40-იან წლებში უნიკალური მოსაპირკეთებელი მასალით (მარმარილო, თეთრი ქვა და ა.შ.) დამშენებული კედლებიდან ბევრგან არმაგურაა გამოშვერილი

P.S. როგორც აღვნიშნეთ, დევნილების გამოსახლების პროცესი რამდენიმე თვეში დაიწყება. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას მომავალი გვიჩვენებს.



**პრობრაქისტი
— ანიმატორის როლი,
„ეფედ“ ქსეული
პრუზილანტი
და თბილისელთა
უფრო ეპიკურული
მელოდები**

შარშან, დეკემბერში, ტექნიკური უნივერსიტეტიდან 10 საუკეთესო სტუდენტი ეგვიპტეში გაგზავნეს. 6 თვის განმავლობაში ისინი სხვადასხვა სასტუმროში ენ! ანიმატორებად მუშაობდნენ. იქაური შთაბეჭდილებების შესახებ ერთ-ერთი მათგანი — 21 წლის ზვიად ყვირაღაშვილი მოგვითხრობს.

ნიმე ჯავახიშვილი

— ვიცი, რომ შენი პროფესია ანიმატორობა არ არის. გაგვეცანი, ვინ ხარ?


— ტექნიკურ უნივერსიტეტში ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ვსწავლობ. IV კურსის სტუდენტი ვარ. VII კლასში ვიყავი, როცა პირველად მივუჯექი კომპიუტერს. როცა სპეციალური კურსების შესასწავლად მივედი, არ მიღებდნენ: ჯერ ერთი, პატარა ხარ და თანაც, მეცადინეობა უკვე დაწყებულია და დაიგვიანეო. დიდი თხოვნისა და გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ, უკვე სპეცჯგუფში ჩამსვეს. ერთი წლის შემდეგ კი, მე თვითონ დავინწყე გაკვეთილების ჩატარება. ინტერესი და მონდომება იმდენად დიდი იყო, რომ ამან მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება და არჩევანი განაპირობა. არაერთ შეჯობრებაში მიმიღია მონაწილეობა: 2000 წელს, ნორჩ პროგრამისტთა მე-8 რესპუბლიკურ კონკურსში პირველი ხარისხის დიპლომით დამაჯილდოეს, 2001 წელს, მოსწავლეთა 55-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შემდეგ, თურქმენთ-

ში, კომპიუტერული პროგრამების საერთაშორისო ოლიმპიადებზე გაგვგზავნენ.

— აშხაბადზე შექმნილ შთაბეჭდილებებს ხომ არ გაგვიზიარებ?

— რესპუბლიკური ოლიმპიადის შემდეგ, შეგვარჩიეს ორი ქართველი — მე და კიდევ ერთი ბიჭი. ეს იყო ჩემი პირველი საზღვარგარეთული ტურნირი. ოლიმპიადში 36 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ორი მედალი საქართველოში წამოვიღეთ: მე — ბრინჯაო, მეორემ კი — ვერცხლი. აშხაბადი შუა უდაბნოში გაშენებული ქალაქია. სწორედ მაშინ, იქ დაწყებული იყო მასშტაბური სამუშაო, ქალაქის განაშენიანება-გალამაზების მიზნით. წარმოიდგინეთ — უზარმაზარი უდაბნო, რომელიც ყოველდღიურად მწვანდება!.. რგავდნენ მცენარეებს, რომლებსაც სისტემატურად რწყავდნენ და სათუთად უვლიდნენ, ყველა შენობა — ეს იქნებოდა საცხოვრებელი სახლი თუ სახელმწიფო დაწესებულება, — აუცილებლად თეთრი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, როცა ააშენებდნენ, მერე თეთრი მარმარილოს ფილებს აკრავდნენ. ერთადერთი შენობა იყო შავი მარმარილოთი მოპირკეთებული და იმასაც ამტრევდნენ: შავი შენობა ქალაქში არ უნდა ყოფილიყო, რადგან აშხაბადისთვის „აზიის მარგალიტი“ უნდა დაერქმიათ... ყველაზე მეტად, ქართველებს (და არა მხოლოდ ქართველებს) კლიმატთან შეგუება გაგვიჭირდა. გაუსაძლისად ცხელოდა. აშხაბადი კიდევ იმით დამამახსოვრდა, რომ ცხოვრებაში პირველად მოვხვდი საავადმყოფოში და ისიც — საზღვარგარეთ. სიცხეზე იმდენად ცუდად გამხადა, რომ საავადმყოფოში ამოვყავი თავი.

— ეგვიპტეში როგორღა მოხვდი?



მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროფესია ბევრად უფრო სერიოზულია, ახალგაზრდა კაცისთვის ეს საქმეც არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა (მვიად ყვირაღაშვილი ეგვიპტელ მეგობრებთან ერთად)

— ტექნიკური უნივერსიტეტი პერიოდულად სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტთა სასწავლო-სამუშაო პროგრამას ახორციელებს. შარშანაც, შეირჩა 10 სტუდენტი, რომლებიც სპეციალური ტრენინგების გავლის შემდეგ, ეგვიპტეში გაგვგზავნენ, 6-თვიანი პროგრამა გახლდათ. კაიროში სტამბოლიდან ლამის 12 საათზე ჩავფრინდით და სამწუხაროდ, მაშინ ვერაფერი ვნახეთ — პირდაპირ საკურორტო ქალაქ შარმელ-შეისში გავმგზავრეთ. გაგვანანილეს სასტუმროებში. მე „მოვენზიკ-გოლფში“ მოვხვ-

დი, სადაც ანიმაციის ჯგუფში დავიწყე მუშაობა.

— ანიმატორის პროფესია ჩვენთვის უცხოა. შენ როგორ მოგეწონა?

— დიდ სასტუმროებში მუშაობს რამდენიმეკაციანი ჯგუფი, რომელიც პასიურ დამსვენებლებს ძილისა და მშვიდი ცხოვრების საშუალებას არ აძლევს. სასტუმროში ძალიან ბევრი გასართობი საშუალება იყო — გოლფის სათამაშო მოედანი, დისკო-კლუბები, აუზი წყალბურთისთვის, წყლის აერობიკა, აკვალანგი და ა.შ. ჩვენ ვეზმარებოდით დამსვენებლებს, მიელოთ ინფორმაცია და გაეკეთებინათ არჩევანი — თუ სად და როგორ გაერთოთ თავი. თუ ვერ დავიყოლიებდით, თავს ვანებებდით. ასეთი პასიური დამსვენებლები ისეთ ადგილას მიდიოდნენ, სადაც ვერ მივაგნებდით...

— არ ბრაზდებოდნენ?

— ცდილობდით, რომ საქმე გაბრაზებამდე არ მიგვეყვანა და თავს ვანებებდით... მანამდე, ასეთი სერვისის შესახებ არაფერი ვიცოდი. ანიმატორი ზოგს უბრალოდ, გამართობი ჰგონია, მაგრამ ეს გაცილებით მეტს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროფესია ბევრად უფრო სერიოზულია, ახალგაზრდა კაცისთვის ეს საქმეც არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა, თუნდაც — ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.


— იმ პერიოდში, როდესაც იქ იყავით, რამდენიმე ტერორისტული აქტი მოხდა. ხომ არ შეგზინებიათ?

— ამის გამო — არა. მაგრამ შიში მაინც „გჭამე“: ერთხელ, ჩასვლიდან რამდენიმე დღეში შევნიშნე, რომ სასტუმრო პოლიციელებით იყო საკვებ და გარშემორტყმული. ცოტა არ იყოს შევშფოთდით. ეს ის დრო იყო, როდესაც რამდენიმე ქვეყანაში ქართველების დაჭერის სპეცოპერაცია ჩატარდა. ვიფიქრე, აქაც ქართველებს ხომ არ ეძებენ-მეთქი? მაგრამ — არა. როგორც შემდეგ გავარკვიე, შეიარაღებული პოლიციელები ეგვიპტის პრეზიდენტ მუბარაქის დასაცავად იყვნენ მოსულნი. პრეზიდენტი შარმას საკმაოდ ხშირად სტუმრობდა. იმასაც კი ხუმრობენ — მუბარაქი სახელმწიფოს შარმელ-შეისიდან მართავსო. ეს იყო მისი საუკეთესო მეგობრის სასტუმრო. საკუთარი ვილა ჰქონდა და დროის უმეტეს ნაწილს იქ ატარებდა.

— ხალხს უყვარს თავისი ქვეყნის პრეზიდენტი?

— მუბარაქი უკვე 24 წელია, ქვეყანას მართავს. მართალია, პრეზიდენტი ჰქვია და ქვეყნის სათავეში არჩევნების

ეს არის ყველაზე მაღალი ადგილი ეგვიპტეში — მღვის ღონიდან 2285 მეტრზე მდებარეობს. მოსეს მთას იმიტომ ეძახიან, რომ გადმოცემის თანახმად, ათი მცნება იქ დაიწერა



გზით არის მოსული, მაგრამ იქ დემოკრატია ნულის ტოლია. დაუსრულებელი პრეზიდენტობის გამო, იქაურები მუშარაქს მეფესაც კი ეძახიან. ეგვიპტელებს პრეზიდენტი არ უყვართ, მაგრამ ძალიან ეშინიათ. მაგალითისთვის გეტყვი: კაფეში იკრძალება 4-5 კაცზე მეტის თავშეყრა — ამას პოლიტიკური ელფერი ეძლევა. თუ ეს მოხდებოდა, მათთან აუცილებლად მივიდოდა პოლიციის თანამშრომელი და სულ მცირე, თავშეყრის მიზეზით მაინც დაინტერესდებოდა. როგორც ამბობდნენ, პრეზიდენტს ამბოხის ეშინია და ცდილობს, ყველა და ყველაფერი აკონტროლოს... ხალხს პრეზიდენტისადმი სიყვარულის მიზეზი მართლაც არა აქვს. ეგვიპტეში ჭირს სამუშაო ადგილები და ადამიანთა უმეტესობა, გაჭირვებაში ცხოვრობს, ამ ყველაფრის გამო პროტესტის სმამალა გამოხატავს ხალხი ვერ ბედავს... ქართველები მაგრად ვეკაიფებოდით იქაურებს. ქუჩაში სრულიად უცხო ადამიანებს სრულიად მოულოდნელად წინ გადავუდგებოდით და ვეკითხებოდით — „მუშარაქ გუდ?“ („მუშარაქი კარგია?“) უნდა გენახათ მათი სახეები. წარმოიდგინეთ, მათი მდგომარეობა — ქუჩაში სრულიად უცხო ადამიანი აჩერებს და ეკითხება — პრეზიდენტი კარგია თუ არაო? ეგონათ, რომ მიგზავნილები ვიყავით. დაბნეულობისა და შიშის შემდეგ, გვაპასუხობდნენ ხოლმე — კარგია, კარგიაო...

— როგორი ხალხია ეგვიპტელები?


— ქართველებისგან, რა თქმა უნდა, ძალიან განსხვავდებიან. ცოტათი უცნაური ხალხია. სტუმართმოყვარეები არიან, ოღონდ — იმ შემთხვევაში, როდესაც ბოლომდე გენდობიან. შინ თუ მიგიპატიჟეს, დიდ პატივად უნდა ჩათვალო. ერთმა არაბმა ბიჭმა ამისხნა — სახლში გეპატიჟები, რადგან ჩავთვალე, რომ ჩემი ძმა ხარო... როდესაც გენდობიან, ეს იმის გარანტიაა, რომ მათი ოჯახის წევრ ქალებს ცუდი თვლით არ შეხედავ.

— იქაური სამზარეულო მოგეწონა?

— ქართულ სამზარეულოსთან ვერ მოვა. ტრადიციული კერძები არ მომეწონა. თუ ჩვენთან ღვინოზე, მწვადზე, ხინკალზე ქეიფობენ, იქ — ჩილიმსა და ჩაიზე. ღვინოს არ ეტანებოდა. ყველა კაფესა და ოჯახში ნახავთ ჩილიმს, ეწვევიან სპეციალურ, ხილის არომატულ თამბაქოს, რომელიც ნიკოტინს საერთოდ არ შეიცავს.

— ახალ წელსაც იქ შეხვდით, არა?

— ახალ წელს იქაც 31 დეკემბერს ხვდებიან. განსხვავება ის არის, რომ იქ არც თოვლი მოდის და საახალწლო სუფრაზეც შემწვარ გოჭსა და გოზინაყს ვერ ნახავთ. ჩვეულებრივ, რთავენ ნაძვის ხეს. ახალ წელსა და შობაზე მეტად, იქ ხალხმა წვიმის მოსვლა იზეიმა. 5 წლის შემდეგ, პირველად მოვიდა წვიმა და ხალხი სიხარულისგან გადაირია. სასტუმროს ადმინისტრატორის გარდა, ყველამ გაიხარა. იქ წვიმა პრაქტიკულად არ მოდის და კაფერესტორებს კაპიტალური სახურავები არა



წარმოიდგინეთ, მათი მდგომარეობა — ქუჩაში სრულიად უცხო ადამიანი აჩერებს და ეკითხება — პრეზიდენტი კარგია თუ არაო?

აქვს. იქ ყველაფერი ჩალით არის გადახურული, ისიც — მხოლოდ მოსაჩრდილებლად. წვიმამ ყველაფერი დაასველა და დასვარა, სასტუმროს მენეჯერი ცხარე ცრემლებით ტიროდა...

— იქ მცხოვრებ ქართველებზე თუ შეიტყვეთ რამე?

— შარმში — არა, მაგრამ როგორც მითხრეს, ალექსანდრიაში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს. სამწუხაროდ, ამ ქალაქში ჩასვლა ვერ მოვახერხეთ. სასტუმროშივე შევხვდი რამდენიმე ქართველს, რომლებიც გარკვეული დროით, სამუშაოდ იყვნენ ჩასულები.

— რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— რა თქმა უნდა, პირამიდებმა, მაგრამ ასევე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეკატერინეს მონასტრმა და მოსეს მთამ. როდესაც მოსეს მთაზე

ავედით, შარმში ტემპერატურა 40 გრადუსს აღწევდა, იქ კი დაახლოებით 2 გრადუსი იყო. გამაფრთხილეს, რომ თბილად ჩამეცვა. რაც კი რამე თბილი მქონდა, ყველაფერი წავიღე. სანამ აღინარ — არაფერია, სიცივეს ვერ გრძნობ. მაგრამ როცა მივალწიეთ მთის მწვერვალს, სიცივისგან კანკალმა აგვიტანა. პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ ცეცხლი დაგვენთო, მაგრამ ხეს კი არა, ხალხსაც კი, ახლოს ვერსად იპოვი. ეს არის ყველაზე მაღალი ადგილი ეგვიპტეში — ზღვის დონიდან 2285 მეტრზე მდებარე-

ობს. მოსეს მთას იმიტომ ეძახიან, რომ გადმოცემის თანახმად, ათი მცნება იქ დაინერა. იქაურებს მტკიცედ სწამთ, რომ თუ მოსეს მთაზე ბოლომდე ახვალ და იქ მზის ამოსვლას შეხვდები, ყველა ცოდვა მიგეტყუება. ამიტომაც, ექსკურსია ღამით იწყება, რათა დილის 5 საათზე მზის ამოსვლას შეხვდ. მწვერვალამდე არის ქვაში ნაკვეთი 3000 საფეხური, რომელზე ასვლაც ადვილი არ არის... ალბათ, პირველი არ ვიქნები, ვინც იტყვის, რომ ძალიან შთაბეჭდავი სანახაობაა ქიროს პირამიდები. ნამდვილი საოცრებაა. თუმცა ძალიან მტკრიანი ქალაქია. ორ წუთში შეიძლება ისეთი მტკერი წამოვიდეს, რომ 30 მეტრში პირამიდები ვეღარ დაინახო. ვიცოდით, რომ მუსლიმანურ სამყაროს თავისი შეზღუდვები ჰქონდა, მაგრამ მაინც გავოცდი, როდესაც დავინახე, რომ არაბი ქალები აუზში ტანსაცმლითა და ჩადრით ბანაობდნენ. გამოცა, ქუჩაში მოძრაობა. ქიროსში ბევრგან, გადასასვლელებზე, შუქნიშნის ნაცვლად, სპეციალურად მოწყობილი პატარა ტრამპლინებია — იმისთვის, რომ მძლოლი იძულებული გახდეს, მოძრაობა შეაწელოს, თორემ წესებს ძირითადად, არ ემორჩილებიან. ყოველწუთას უნდა ელოდო, რომ მანქანა დაგეჯახება. მუხრუქს შეიძლება ითქვას, რომ არავინ იყენებს... ყველაზე მაგარი კი ის არის, რომ ავარიის შემდეგ, გადმოდიან, დამტვრეულ მანქანას შეათვალე იერებენ, იტყვიან — ალაჰმა გადანყვიტოს, ვისი ბრალიაო, — და თავ-თავიანთი გზით მიდიან...

— ახლა რა გეგმები გაქვს, რის გაკეთებას აპირებ?

— თბილისში ახლახან ჩამოვედი და ჯერ ადაპტირების პერიოდი მაქვს. ალბათ მალე, ჩემი პროფესიით დავინწყებ მუშაობას. მაგრამ მსგავს პროგრამებზე უარს არც მომავალში ვიტყვი...

ნიკა: „ეს ბავშვებს გამიფუჭებს, ღმობიერი დედა იქნება“

თიკა: „ნია სადისტია, ქამრით ირბენს!..“

სოფო ყარაღაშვილი

„დილით, როცა ნიკა გაიღვიძებდა, ჩამოფუჯდებოდი ხოლმე საწოლზე და ვესუტებოდი, ვუკეთებდი მასაჟს და მხოლოდ ამის შემდეგ ვამზადებდი „ყიყლიყოს“...“

სიონიდან 1 საათის დაბრუნებულ შეყვარებულ წყვილს თიკასთან სახლში ვესტუმრე. ყოფილი „ჯეობარელი“ ნიკა კიკვაძე და მისი შეყვარებული თიკა სიამოვნებით გვიყვებიან, თუ როგორ შეუყვარდათ ერთმანეთი, რატომ ნერვიულობდა ნიკა პირველი კოცნის მომენტში და რის გამო დაახეთქა სადარბაზოს კიბეზე შეყვარებული...

— პირველ რიგში, მომიყვით, სად იპოვეთ ერთმანეთი?

ნიკა:

— გე-პე-იში რომ ჩავაბარე, ვიცოდი, რომ სამართლის ლექტორი მაგარი „სტერვა“ იქნებოდა. აუდიტორიაში პირველად რომ შევედი, ლექტორის კათედრასთან თიკა იჯდა, სათვალე ეკეთა და რაღაც ჟურნალს ათვალეირებდა. გაოგნებული ვიყავი, სანამ ზარი არ დაირეკა და ნამდვილი ლექტორი არ დავინახე... მერე ექსკურსიაზე გავარკვიეთ, რომ ერთნაირი მუსიკალური გემოვნება გვქონია. ორივე ახალი ჩამოსულები ვიყავით კალიფორნიიდან და რეპს ვუსმენდით... მერე და მერე მივხვდით, რომ გრძნობა გამიჩნდა. ძმაკაცი მამრანებდა, მეუბნებოდა — შენ თუ არ აუხსნი სიყვარულს, მე ვეტყვი, რომ მიყვარსო...

თიკა:

— ჩემს დასთან სახლში ვიყავით მის-



ული. ციოდა და „ტურბოსთან“ ვისხედით. ნიკას უეცრად თვალი გაუშტერდა და მითხრა, მიყვარხარო, მერე ჩამეხუტა. დიდხანს ვისხედით ასე. მეგობრები თურმე ფარდიდან გვითვალთვალელებდნენ... უკვე 7 წელია, ერთად ვართ.

— როცა ნიკა „ჯეობარში“ შევიდა, სომ არ ეჭვიანობდი?

— მე „ავტეხე“, რომ ამ პროექტში შესულიყო. ჩემი მეგობრები ბრანზობდნენ — იმან ის უთხრა, ამან ასე შეხედაო... მე რეაქცია არ მქონია. ძალიან კი მენატრებოდა...

ნიკა:

— მეც ხშირად „ვიგრუზებოდი“, მაგრამ ვცდილობდი, მაყურებლისთვის ეს ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო.

— საერთოდ, რომელი უფრო ეჭვიანი ხართ?

თიკა:

— თუ სერიოზული მიზეზი არსებობს — ორივე.

ნიკა:

— ადრე თიკა ერთ თურქ ბიჭს, ისმაილას მოსწონდა. სულ მავჭვიანებდა, მეუბნებოდა — ისმაილას მცხეთა უნდა დავათვალეირებინო... ერთხელ, რაღაც სისულელეზე ვიჩხუბეთ. თიკა მოვიდა და ცხვირწინ ერთ ცალ ვარდს მიფრიალებდა — ისმაილამ მაჩუქაო!.. არ იკითხოთ, იქ რა ამბავი ატყდა, დავახურეთ ერთმანეთს თავზე ყველაფერი!.. ბოლოს ასათიანის ქუჩის კუთხეში, მინისქვეშა გადასასვლელში ვისხედით და ვბლაოდით.

— ხშირად

კამათობთ?

თიკა:

— 1 საათი რომ არ შევეხმიანოთ ერთმანეთს, ამაზე ორივე ვცოფდებით. ნიკა სულ ჭკუას მარიგებს. არ მოსწონს ჩემ მიერ შემწვარი კვერცხი პომიდვრით.

ნიკა:

— ადრე, მოვიწამლე და... საჭმლის გაკეთება არ გამოსდის.

თიკა (ნიკას):

— აბა, „ბლინები“ ვინ გამოგიცხო?!

ნიკა:

— წარმოგიდგენიათ?! დედამისმა და დამ მოამზადეს ყველაფერი, თიკა უბრალოდ, ტაფაზე ასხამდა და დარწმუნებულა, რომ „ბლინები“ გამომიცხო!.. არაჩვეულებრივად ადუღებს ჩაის.

— ნიკა, იდაყვზე ნატყენი გაქვს. ეს თიკასთან ჩხუბის შედეგი სომ არ არის?

— (იციინს) სიონში თიკას ნათესავი ბავშვი მაყვლის საჭმელად წაყვავნე. ფეხი დამიციურდა. რომ დავვარდნილიყავი, ბავშვი თავს დაარტყამდა. ხელი შევაშველე და გადაარჩა. მერე, მე და თიკა ვჭიდაობდით და ეს ადგილი ამქვერცლა.

თიკა:

— ნიკა სულ დამდევს და მირტყამს, მერე დაღურჯებული დავდივარ. ერთხელ სადარბაზოში ფეხი დამიდო და კიბეზე დამახეთქა. სამაგიეროდ, წყალში მე ვერევი.

ნიკა:

— ცურვა ვიცი, მაგრამ წყალზე ვერ ვტივტივებ. მასწრობს, მერე ნაპირზე ავივრები და იქიდან ქვეშ ვესვრი ხოლმე...

— გაისხენეთ ის დღე, როცა ერთმანეთს პირველად აკოცეთ...

თიკა:

— 2000 წლის 10 თებერვალს მეგობართან სახლში ვიყავით. ნიკას კალთაში მდო თავი და ორივე, საღებავს ვეჭავდით. მეგობრები ებოში ჩავ-



შ
რ
ა
ზ
ე
ბ

სიყვარული ხშირად ართმევს გონებას იმას, ვისაც ის აქვს და აძლევს იმას, ვისაც არ გააჩნია.

დენი დიდრო

იდნენ. ნიკამ „კევი“ გადააგდო, ინსტინქტურად მეც გადავაგდე და ვაკოცეთ ერთმანეთს. ნიკას გული ამოვარდნაზე ჰქონდა, არადა, ეს მისთვის მესამე თუ მეოთხე კოცნა იყო, მე კიდევ, ცხოვრებაში პირველად ნიკას ვაკოცე და წესით, ნიკას არ უნდა ენერვიულა.

— სიურპრიზს სშირად უწყობთ ერთმანეთს?

ნიკა:


— საერთოდ არ უწყობთ. ორდინარული ადამიანები ვართ. სიყვარულის დასამტკიცებლად, სიურპრიზები არ არის აუცილებელი.

თიკა:

— 3-4 თვე ვაგროვებდი 75 ლარს (მაშინ პატარები ვიყავით და არ ვმუშაობდით). ბოლოს, ვაჩუქე ოქროს ბილიარდის ბურთი, რომელსაც აწერია რიცხვი 13. ეს ყელსაბამი სულ უკეთია. 13 ჩვენი ბედნიერი ციფრია.

— ნიკა, შეყვარებულს რაიმეს უკრძალავ?

— ადრე ვუკრძალავდი თმის შეღებვას, ბუნებრივი ფერი მომწონდა. არ უხდება მაკიაჟი. „ნიკი“ მქონდა — ჩემთვის აუცილებელი იყო, თიკას წინასწარ გავეფრთხილებინე, რომ თმას იღებავდა... ახლა, ძალიან ვბრაზობ, როცა ბილიარდ-



ნიკა:

— ფაქტობრივად, ოჯახი უკვე შექმნილი გვაქვს, იმიტომ, რომ სულ ერთად ვართ.

— მე, აკა მორჩილიაძეს „მოვპარე“ იდეა და თიკას, კრუსუნას ვეძახი. იმიტომ, რომ სულ წუნუნებს, კრუსუნებს...

თიკა:

— ეს კიდევ, ყველაფერზე ჯუჯულუნებს, ჩხუბობს.

ნიკა:

— აუ, რა ცუდი ადამიანი გამომიყვანა!..

თიკა (ნიკას):

— არა, კიკუ, შენ ყველაზე კარგი ხარ, უბრალოდ, ჯუჯულუნებ სულ (მე მომიბრუნდა). ადრე, ფისოს ვეძახდი და ბრაზობდა, მეუბნებოდა — რაიმე ვაჟკაცური დამიძახეო.

— 7 წელია, ერთად ხართ, დაოჯახებას როდის აპირებთ?

— უახლოეს წელიწადში. გვინდა, რომ თავიდან ბოლომდე, თვითონ ჩვენ უზრუნველყოთ ჩვენი ოჯახი... ხან გვინდა დიდი ქორწილის გადახდა, ხან — არა...

ნიკა:

— ფაქტობრივად, ოჯახი უკვე შექმნილი გვაქვს, იმიტომ, რომ სულ ერთად ვართ.

თიკა:

— იმ დღეს, წითელი კაბა მეცმევა, ნიკას ასე უნდა.

ნიკა:

— მე ჩოხას ჩავიცვამ. გვეყოლება იმდენი შვილი, რამდენსაც ღმერთი მოგვცემს.

თიკა:

— სანამ არ დავიღლები.

ნიკა:

— მიხდა, რომ ბიჭები მყავდეს. აბა, თიკასნაირ გოგონებს რა გაუძლებს?!

თიკა:

— დავარქმევ ჯარჯის, ზეზვას — ვაჟკაცური სახელებია, მომწონს...

ნიკა:

— რას ამბობ, არც იფიქრო! ზეზვა რა სახელია (იჯღანება)?!. რალაც „სტრანნი“ სახელები მოსწონს თიკას. ეს ბავშვებს გამიფუჭებს, ლმობიერი დედა იქნება.

თიკა:

— ნიკა სადისტია, ქამრით ირბენს!..

ნიკა:

— მკაცრი ვარ. ბავშვები არ უნდა გავათამამო...



თიკა:

— ადრე ფისოს ვეძახდი და ბრაზობდა, მეუბნებოდა — რაიმე ვაჟკაცური დამიძახეო.

ში მიგებს. „ჯოკერს“ თუ ვთამაშობთ, „პარებში“ თიკა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, მე „მაფუჭებს“ და ამაზე საერთოდ, ჭკუიდან გადავდივარ.

— მოფერებით რას უწოდებთ ერთმანეთს?

ტესტი ერუდისიაზე

1. ქართველ ფეხბურთელთაგან ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონია...



- ა) ...სლავა მეტრეველი;
- ბ) ...მურთაზ ხურცილავა;
- გ) ...გელა კეტაშვილი.

2. რომელ ნელს მოკლეს აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი?



- ა) 1963-ში;
- ბ) 1961-ში;
- გ) 1960-ში.

3. თავისი სმელტანიანი რომანის — „ომი და მშვიდობა“ — ხელნაწერი ლევ ტოლსტოიმ თავიდან გოლომდე გადაწერა...



- ა) ...3-ჯერ;
- ბ) ...7-ჯერ;
- გ) ...11-ჯერ.

4. იტალიური ფილის — „ქალის სურნელი“ — ამერიკულ რიმიიში მთავარ როლს ალ პაჩინო ასრულებს; რომელი იტალიელი მსახიობი ასახიერებს ამ პერსონაჟს „დედას“ სურათში?



- ა) მასიმო ჯიროტი;
- ბ) ვიტორიო გასმანი;
- გ) მარჩელო მასტროიანი.

პასუხები იხილეთ 71-ე გვერდზე

შაბი.ge პარალელური საყაროში

ვირტუალური წყვილის რეალური აგავი

გამრძობებით

მარი ჯაფარიძე

„გზის“ წინა ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით — „ინტერნეტ-ნობობა“, სადაც ერთ პოპულარულ გაცნობის საიტზე მომხდარ ამბებს მიმოვიხილავდით. ჟურნალის გამოსვლის მეორე დღეს, ახალგაზრდა ქალბატონი დამიკავშირდა და მომწერა: „დიდი ხანი არ არის, რაც დაფრე-ისტორიები იმ საიტზე, რომელზეც თქვენს სტატიაში იყო საუბარი. მალევე გავიცანი ერთი საინტერესო ადამიანი და ჩვენი ურთიერთობა ძალზე თბილად და კარგად წარიმართა. გამიჩნდა სურვილი, რომ ჩვენი ურთიერთობის შესახებ დანერგვით მოგწეროთ. თუ დაინტერესდებით, თქვენთვის ყველა ჩვენი მსოფლიო ლემისანვდომი გახდება. რა თქმა უნდა, საამისოდ მისი თანხმობაც მაქვს. პატივისცემით...“ ამ ქალბატონის წინადადებით დაინტერესდით, მათი მიმართვის არქებს გადავხედე და ვიფიქრე, რომ მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა ამ 2 ადამიანის ონლაინ-რეჟიმში განვითარებული ურთიერთობისთვის თვალყურის დევნება. ვფიქრობ, ბევრ მკითხველს იმის სურვილიც გაუჩნდება, რომ საკუთარი აზრი გაგვიზიაროს ან რჩევაც კი მისცეს ამ თავისებური „რეალური შოუს“ გამორებს...

ქალბატონი საიტზე დარეგისტრირებულია ნკით — პანდორა.

მაშ ასე, ვირტუალურ სამყაროში გაცნობილი წყვილის — პანდორასა და ზურას ურთიერთობის ქრონიკა...

„მარი, წარმოდგენა არა მაქვს, რა მოჰყვება ამას. ალბათ, მომავალი გვიჩვენებს... ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც საიტზე დარეგისტრირება გადაწყვიტე, ძალზე ბუნალურია და ის გახლდათ, რომ შევხვდებოდა ქალაქში გავატარე და ძალიან მოვიწყინე. სიმართლე რომ გითხრათ, არ მეგონა, თუ ამ გართობას რაიმე საინტერესო ნაცნობობა მოჰყვებოდა. ახლა კი ყველაფერი საჯარო განხილვის საგნადაც გადაიქცევა... თუმცა, შიში არ მაქვს. მკითხველის კრიტიკასა და შეკითხვებს მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები. ჩვენი ნაცნობობა კი, ზურას ინიციატივით დაიწყო, რომელმაც ჩემი ანკეტა ნაკითხა და მოეწონა...“

14 აგვისტო, ორშაბათი, 22:43



ზურა: გახიარე, ჩემო კარგო, შენი ფოტო მომეწონა, ანკეტაც ჭკვიანურად შეგიდგენია. ზოგიერთმა შენმა ფრაზამ კი, ჩემი წარსულიც გამახსენა. თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ მიპასუხებ :))

23:44

პანდორა: თქვენი მესიჯი ისეთ დროს ვნახე, რომ საიტზე უკვე აღარ ხართ, მაგრამ მაინც გაპასუხობთ, რადგან მომეწონეთ.

15 აგვისტო, სამშაბათი, 23:56

ზურა: აი, როგორც იქნა, ერთდროულად ვართ საიტზე. შენი ნამდვილი სახელი მითხარი, რომ მოგმართო.

პანდორა: ნატალი.

ზურა: მე ზურა ვარ. როდის შეიძლება, რომ უფრო ახლოს გავიცნო? მაპატიე, თუ ასე ვჩქარობ.

პანდორა: იჩქარე ნელა! :)) უფრო ახლოს გაცნობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. მითხარი, რატომ დაინტერესდით ჩემით?

ზურა: პირველ რიგში, სურათი მომეწონა, მეორეც, უცნაურმა სახელმა მიიქცია ჩემი ყურადღება. რატომ დაირქვი პანდორა? იცი, რას ნიშნავს ეს სახელი? თანაც, შევთანხმდეთ, რომ ერთმანეთს „შეგობით“ მივმართავთ, კარგი? :))

პანდორა: თანახმა ვარ! პანდორას პირდაპირი თარგმანია — „ყველასგან დასაჩქარებელი“. ისე კი, ეს გახლავს მითური, მაცდური, ციური ქალი, პირველი დედაკაცი. ის მინისა და წყლისგან შექმნა ჰეფესტომ, რომელსაც ათენაც ეხმარებოდა. მერე, ყველა ღმერთმა თავისი საჩუქარი უბოძა — ხმა, სილამაზე, მომხიბვლელობა, რათა პრომეთეს მძა, ეპიმეთე მოეხიბლა და კაცთა მოდგმის დამლუპველი, „საჩუქრებით“ საცხე „პანდორას ყუთი“ ჩამოეტანა დედამიწაზე, პრომეთეს მიერ მოტანილი ცეცხლისათვის სამაგიეროს მისაგებად. აფროდიტემ მას ციური მიმხიბველობა უბოძა, ჰერმესმა — მზაკვრობის, ცბიერებისა და ლამაზი მეტყველების უნარი, ჰორებმა ყვავილებით შეამკეს, ათენამ სამოსი მოუქსოვა, ზევსმა კი, მისცა ყუთი, რომელშიც იყო ყველა მინიერი უბედურება, ჭირი და კავშიანი. შურისმგებელი ზევსის ასეთი საჩუქრით მიადგა ეპიმეთეს, რომელმაც ძმის, პრომეთეს

გაფრთხილებას ყური არ ათხოვა, ქალი მიიღო და ცოლადაც შეირთო. შემდეგ, ცნობისმოყვარე პანდორამ ყუთს თავი ახადა, იქიდან ყველა უბედურება ნამსვე ამოფრინდა და მთელ დედამიწაზე გაიფანტა. შეშინებულმა ქალმა ყუთს თავი დაახურა და შიგ დარჩა მხოლოდ იმედი, ყველა საზრუნავის სამაგიერო, რომელიც ყველაზე დიდხანს ცოცხლობს.

ზურა: და ამით იმის თქმა გინდა, რომ ლამაზი და მომხიბველი ხარ, მაცდური, მზაკვარი და შენც კაცთა მოდგმისთვის უბედურება მოგაქვს? :))

პანდორა: არა, ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩემს ყუთში მხოლოდ იმედი „გდია“.

ზურა: იმედი ბევრს ნიშნავს, ჩემო კარგო... ნატალი, მოდი, შენ შესახებ მომიყვიე, ვინ ხარ, რას საქმიანობ, რით სუნთქავ?..

პანდორა: იქნებ, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ?

ზურა: რატომ?

პანდორა: იმიტომ, რომ ახლა უკვე გვიანია, საათი ლამის 2-ს უჩვენებს და მეძინება. მაპატიე, უნდა დავიძინო. :))

ზურა: გული მწყდება, მაგრამ როგორც შენ იტყვი, ისე იყოს. მე კი, ჩემ შესახებ ორიოდ სიტყვას გეტყვი, იქნებ, შენც გაიხსნა. ვარ 36 წლის, მყავს ცოლი და ერთი შვილი. ვმუშაობ საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე, ძალზე სოლიდურ სახელმწიფო ორგანიზაციას ვებმძღვანელობ. ვარ აქტიური და მხიარული ადამიანი. მაქვს იუმორის გრძნობა და სიამოვნებით ვიმეგობრები დი ჭკვიან და ლამაზ ქალთან, ისეთთან, როგორც შენ ხარ.

ზურა: ნახვედი? :(((არ დაელოდე ჩემს პასუხს?... ეჰ, კარგი, მეც წავალ...

ზურა: ნატალი, ძალიან მომეწონე! მომავალ შეხვედრამდე!

16 აგვისტო, ორშაბათი, 20:50

ზურა: ნატალი, სად ხარ, სიხარულო? დღეს რატომ არ გამოჩნდი? ჩემი წერილები არც კი გაგიხსნია. გელი, როდის მოხვალ?

17 აგვისტო, ხუთშაბათი, 22:12

ზურა ნატალი, ძალიან ვერვითვლობ, რომ არ ჩანხარ. ხომ მშვიდობაა? მოდი, მოოოოდიიი!

23:24

პანდორა: მოვედი! გამარჯობა! :)))
 ზურა: იცი, როგორ გამიხარდა შენი გამოჩენა? სად იყავი? მომენატრე!
 პანდორა: ესეც ახალი ამბავი!
 ზურა: რა არის ახალი ამბავი, რომ მომენატრე? შენ ის მითხარი, სად დაიკარგე მთელი 2 დღე?
 პანდორა: მეგობარი ისვენებს წყნეთში, ბავშვებით და მასთან ვიყავი, მოსანახულე-ბლად.
 ზურა: იქ კარგი იქნება, ალბათ, გრილა. რატომ არ დარჩი?
 პანდორა: ვერ გაჭერდი, ჩემს სახლში მირჩევნია.
 ზურა რატომ არ მეუბნები, სად მუშაობ? დასასვენებლად რატომ არ მიდიხარ? თუ ჩემსავით სამსახური არ გიშვებს?
 პანდორა: პროფესიით „მალიარი“ ვარ და ვინაიდან ახლა რემონტების სეზონია, ბევრი საქმე მაქვს... :)))
 ზურა: მერე რა მოხდა? მშვენიერი პროფესია გქონია. ვგაყვები, „მალიარებზე“! :))) მეც მაგით დავინწყე და ხომ შედავ, სადამდე მოვედი?
 პანდორა: მე კი, „სანტეხნიკობით“ დავინწყე და უკვე მალაქვალფიციური „მალიარი“ ვარ! ე.ი. „მალიართან“ ურთიერთობაზე თანახმა ხარ?
 ზურა: კი, ჩემო პატარავ. არავითარი სურვილი არ მაქვს შენი დაკარგვის!
 პანდორა: ხედავ, რა ნიჭიერი ვარ?! ჩემი ადგილი „გოროდშია“.
 ზურა: პატარავ, შენ სოფლელობის არაფერი გეტყობა, კარგი „გაქქილი“ ჩანხარ! :))) ისე კი, ხუმრობა იქით იყოს და, მართლაც მაინტერესებს, რას საქმიანობ.
 პანდორა: პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, ვმუშაობ კერძო კლინიკაში, ჩემი სპეციალობით და კერძო პრაქტიკასაც მივდევი.
 ზურა: ოოო, ეს საკმაოდ კარგი და საჭირო პროფესიაა. იქნებ, მეც გავხდე შენი პაციენტი.
 პანდორა: სიამოვნებით დაგეხმარები. თუ მხოლოდ ფსიქოლოგი გჭირდება და არა — ფსიქიატრი. :)))
 ზურა: არც ვე არის სიამართლისგან შორს. ჩემი საქმის გადაწყვეტა, მალე მართლაც დამჭირდება ფსიქიატრი. გინდა, გამოვიარო და სადმე გაგასეირნო?
 პანდორა: შენ როგორ ფიქრობ, ახლა, ღამის 2 საათზე, შენთან შესახვედრად გამოვალ? უიიი, მანდავ არაფერი ჭამო შენ!
 ზურა: ქალაქგარეთ გავიდოდი და გავგრძელებოდი. მოიფიქრე, ურიგო წინადადება არ არის!
 პანდორა: მეძინება, კარგად!
 ზურა: არ ნახვიდე, რააააა...
 ზურა: უი, მაინც ნახვიდე? რა გაეწყობა. მეც ნავალ სახლში, „დავდეგები“ და დავძინებ...
18 აგვისტო, პარასკევი, 11:23
 ზურა: მალე მოდი, რა, უკვე მენატრები...
15:45
 ზურა: სად ხარ, გოგო, უკვე ისე მომენატრე, რომ უშენოდ ვეღარ ვძლებ, მიუსხედავად იმისა, რომ ჯერ არ გიცნობ. ვნანობ, რომ ტელეფონის ნომერი არ გამოგართვი... ნააა-ტააა-ლიიიი!

20:32

პანდორა: აი, მოვედი!
 ზურა: ჰოდა, რა მითხარი, როდის შევხდეთო?
 პანდორა: ახლა ნავედი, ჩემო კარგო, არ მცალია, წუთით „შემოვიხედე“.
 ზურა: არ ნახვიდე, რაააა, არ ნახვიდეეეეე!
21:40
 ზურა: აკი ნავედი, არ მცალია? შენ კი, ისევე აქ ხარ! სხვებს ელაპარაკები?
 პანდორა: რა შენი საქმეა, მე რას გავაკეთებ? როცა მინდა, ნავალ, როცა მინდა — მოვალ!
 ზურა: შენ ყოფილხარ, ვინც ყოფილხარ! გელოდები, ჩემო „მალიარი“!
 პანდორა: სად გელოდები?
 ზურა: ორღობეში...
 პანდორა: ბნელში?
 ზურა: კი, ბნელში...
 პანდორა: ვაი, მერე?
 ზურა: რაღა მერე? ავადგები და იმ ბნელ ორღობეში გაკოცებ...
 პანდორა: აბა, ახლა „მიაცე“, როგორც კახელები იტყვიან ხოლმე!
 ზურა: რატომ, სიხარულო, ასეთი რა გითხარი?! გაკოცებ-მეთქი, სხვა ხომ არაფერი მითქვამს!
 პანდორა: მოკლედ, ნავედი, კარგად!
 ზურა: აუუუუ, გეწყინა? მაპატიე, რააა! აღარ გეტყვი, გეფიცები... არ ნახვიდე!
19 აგვისტო, შაბათი, 17:32
 ზურა: ვააა, მოხვედი? იმედია, აღარ მიბრაზდები!
 პანდორა: ცოტა კიდევ ვარ გაბრაზებულნი...
 ზურა: მაპატიე, არ მინდოდა... მართლა...
 პანდორა: კარგი, დავივიწყე... გაპატიე...
 ზურა: გეეე-ნა-ცა-ლდეეე...
 პანდორა: ისევე დაინწყე?
 ზურა: არა, არა! ვიცი, რომ შენც გიჟდები ჩემზე...
 პანდორა: ჰო, სულ მაგას არ გეუბნებოდი — ოცნება ხარ, ჯემალი, და მიყვარხარ, შიოლა-მეთქი?!
 ზურა: :)))
 პანდორა: რატომ იციანი?
 ზურა: მერე, მე რომ ჯემალი არა ვარ?
 პანდორა: ჩემი ხათრით, იყავი, რაააა!
 ზურა: კარგი, შენი ხათრით ვიქნები, ჩემო ნატალი...
 პანდორა: მე ნავედი, საღამოს შევხვდებით...
 ზურა: საღამოს აქ შევხვდებით თუ პემანს მინიშნავ?
 ზურა: ნასულხარ... ალბათ, ისევე აქ შევხვდებით...
22:35
 ზურა: ძლივს არ გამოჩნდი? სხვათა შორის, დღეს შაბათია, ვისვენებ და შენი გულისთვის ვზივარ აქ შუალაშემდე... შენ კი ძლივს მოხვედი.
 პანდორა: მე არ მითხოვია, დამელოდე-მეთქი!
 ზურა: აჰა, რა უმაღურია... ხვალ ცოლ-შვილი მიმყავს დასასვენებლად. ბათუმამდე ჩავაცილებ, მერე ისინი თურქეთში წავლენ, მე კი საღამოს უკან გამოვბრუნდები. თუ

გინდა, ჩემს მძღოლს ვეტყვი, რომ შენც წამოგიყვანოს ბათუმში. ცოლ-შვილს ჩემი მანქანით წაგიყვან და რომ გავაცილებ, მე და შენ ზღვის ნაპირზე გავისეირნოთ, თბილისში კი სამშაბათს დავბრუნდეთ.
 პანდორა: როგორ ფიქრობ, მაგაზე რა პასუხს მიიღებ?
 ზურა: :))) მივაყენო — როგორც კახელები იტყვიან...
 პანდორა: შენც ნიჭიერი ყოფილხარ!
 ზურა: ე.ი. უარს მეუბნები ჩემს წინადადებაზე?
 პანდორა: გინდა, ერთ ამბავს მოგიყვენი?
 ზურა: მინდა!
 პანდორა: შარშან შემოდგომაზე, ჩემთან დედა-შვილი მოვიდა. გოგონა 24 წლის იყო. დედაც ძალზე ახალგაზრდა ჰყავდა — 42 წლის. ერთიმეორეზე უკეთესად გამოიყურებოდნენ. ერთმანეთს მტრებით უბღვრდნენ; როდესაც დაჯდომა შევთავაზე, ერთმანეთისგან შორს მდგარი სკამები აირჩიეს.
 ზურა: ისინი შენთან, როგორც პაციენტები, ისე მოვიდნენ? თუ ახლობლები იყვნენ?
 პანდორა: მათ პირველად ვხედავდი. წინასწარ დამირეკეს და მიღებაზე ჩვენ-ერნენ.
 ზურა: შემდეგ? გააგრძელე...
 პანდორა: მათი საქციელიდან გამომდინარე, მიჭვდი, რომ დედა-შვილს შორის კონფლიქტი იყო. შევთავაზე, რომ ცალ-ცალკე დაველაპარაკებოდი, მაგრამ ერთად საუბარი არჩიეს. დედა შედარებით მშვიდი იყო. გოგონა კი ლელავდა, სკამზე წრიალებდა, ადგილს ვერ პოულობდა და საუბარიც სწორედ მან დაიწყო. პირველი, რაც მითხრა, ის იყო — დედა მკვლელობაში უნდა ვაშხილოო...
 ზურა: რას მეუბნები?! მერე?..
 ზურა: სადა ხარ, ნატალი, რატომ აღარ მწერ?
 პანდორა: მაპატიე, ზურა, სტუმარი მომივიდა და ცოტა მოვიანებოთ გავაგრძელოთ...
 ზურა: ვაჰ, როგორ გაქრები ხოლმე, რა! მცირე დროებით მაქვს შენთან ურთიერთობის სიამოვნება... სურათი, ნატალი? სურათი რომ უნდა მეთხოვა შენთვის?! კარგი, მერე იყოს, გოგონა...


ბრიტანული ენის დარბაზი
ბთაპაზოზთ ინგლისური ენის კურსს

- **ოლწდმთ ფთფლმთ იფმმმუიფთ ვფ გაკწთუიფთფმმმთ**
- **ქწთფქწფფუფლ ლკთთ ლუქიკოზთთ თფუკისტიქსთწ თუკემაზლფუფიფთფმმთ**
- **თზუს-ლკათ ფიმეკაწუტუიფთფმმთ**

სნავლანსას გაფოფანეჰა
ბრიტანეთის წაფყვანი
გამომხავლოზაზის გაჰილანის,
პარპარ კოლინის, პიარსონის,
ოქსფორდისა და კამბრიჯის
უახლანი სანსავლო ლიბერატორა

იკმფლტუთფ ვფ ფქუკლფთმ ლკათფქმფმკუ-იგლმ ზუფფაწაზთმ გკკატმუნწაუტ პლმუტთ ცტკაწუფუიფთფ ვფ ქფლთმქფლგა ზქწაწუთთფ
მის: თაჰისსუფლანის მოჰანნი №7
(სჰაჰაჰიკის ჰანოზა), მოთანი 405
ტელ: 55-21-29





ლიკა ქაჩაია

— თინეიჯერებს ხასიათი ხშირად ეცვლება, ამიტომ ამ ასაკში, მშობლები შვილებს უფრო უფრთხილდებიან. როცა თავში რაღაც სიგიჟეები მომივლის, ამბობენ: არა უშავს, ეს იმის ბრალია, რომ 15 წლის არისო.

— როგორ ფიქრობ, ამ ბოლო დროს, ხასიათი რადიკალურად შეცვალა?

— ჯერჯერობით, ეს ისეთი შესამჩნევი ნამდვილად არ არის, მაგრამ ვგრძნობ, რომ შედარებით დავესერიოზულდი.

— თავში გიჟური აზრები მოგდის?

— ამ ბოლო დროს, რაღაც უფრო ხშირად მინდა გავერთო, ვიყო მეგობრებთან ერთად, დავისვენო — მეცადინეობა მეზარება ხოლმე.

— ამის გამო, მშობლები გიბრაზდებიან?

— რა თქმა უნდა, მაგრამ კუთხეში ნამდვილად არ დავუყენებია. უბრალოდ, მკაცრად მაფრთხილებენ — იმეცადინეო.

— როცა უფროსები ტყუას გარეგნად, ეს არ გალიზანებს?

— გააჩნია, უფროსებში ვინ იგულისხმება, ვინ მოგცემს შენიშვნას, თუ მშობელი რაღაცას მეუბნება, ის ყველა ვარიანტში უნდა გავითვალისწინო, რადგან ვიცი, რომ მათ ჩემთვის კარგი უნდათ.

— მშობლების რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებ?

— ზოგჯერ კი, ზოგჯერ — არა, რადგან ამა თუ იმ თემაზე საკუთარი მოსაზრებაც ხომ მაქვს?! მარტო მათი მითითებით ხომ ვერ ვიცხოვრებ! — ისინი რაღაცას მიჩვენებ, მათ ჩემს აზრს ვუზიარებ და ერთად ვწყვეტ — რა და როგორ ვიქნები.

— უფროსი ასაკის ადამიანები ხშირად ამბობენ, რომ ახალგაზრდები ძალიან გამოწვევად და ვულგარულად იცავენ.

— მეც ხშირად მეუბნებიან: უფრო დიდი

„რატომ არ შეიძლება, რომ 15 წლის თინეიჯერ გოგონას შეყვარებული ჰყავდეს?“ — მითხრა მომღერალმა თინკა ჯამბურიაშვილმა, რომელსაც გაზვიადებული ამბები ძალიან აღიზიანებს და მიიჩნევს, რომ ქორაობისთვის მხოლოდ ის ადამიანები იცლიან, რომლებსაც საქმე არა აქვთ. თიკა ოქტომბრის ბოლოს ამერიკაში მიდის და ოლი წარმოსადგენია, რომ საქმიანობას იქ გააგრძელებს.

ვინ აყვარებენ თავს თიკა ჯამბურიაშვილს და ვინ აწმცელებს მას მხდომი ქორებს? ..

„პონტის გულისთვის შეყვარებულის ყოლა ნამდვილად არ ღირს“

შეხედულება გაქვს, ვიდრე 15 წლის ბავშვს უნდა ჰქონდესო, მაგრამ რა ვქნა? — მოდას არ ვყვები, ვიცვამ იმას, რაც მომწონს და მიმაჩნია, რომ მიხდება. თუმცა, მათ ნაწილობრივ ვეთანხმები კიდევ, რადგან არ მიყვარს, როცა ტიპი უჩანთ და ძალიან მოკლე კაბები აცვიათ.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევენ?

— (იციანის) ვარ ცელქი, ბუნტისთავი და აქედან გამომდინარე, სანიმუშო მოსწავლე ნამდვილად არ გახლავართ. თან, ძალიან ხშირად ვაცდენ სკოლას, რადგან საზღვარგარეთ — კონცერტებზე მივიღივარ ხოლმე და ამის გამო, სკოლის დირექტორი დიდ შეღავათს მინებს.

— მასწავლებლებს ხშირად აბრაზებ?

— კი, რადგან გაკვეთილზე ძალიან ბევრს ვლაპარაკობ, ერთ ადგილას ვერ ვჩერდები. როგორია, 45 წუთის განმავლობაში ერთ ადგილზე გაუნძრევლად ჯდომა? და ამიტომ შენიშვნებს მაძლევენ ხოლმე.

— ამის გამო, კლასიდან არ გაგდებდნენ?

— ისე, დიდი ხანია, კლასიდან არ გავუგდივარ (იციანის). მეოთხე კლასის მერე, კუთხეშიც კი არავის დავუყენებია.

— თმაც არ დაუნწკნიათ?

— არა, ამას როგორ გავაბედივინებ?! — ვინმეს ჩემთვის თმა რომ დაენწკნა, ამას აუცილებლად გავაპროტესტებდი.

— შენ თქვი დიდი ხანია, კლასიდან არავის გაგუგდივარო.

— ერთხელ მექონდა ასეთი შემთხვევა — მე და ჩემს დაქალს გაკვეთილზე სიცილი აგვიტყდა, ვერ ვჩერდებოდით. მასწავლებელმა ერთხელ მოგვცა შენიშვნა, მეორედ და მესამედ ორივე გაგვაგდო.

— ყველაზე მეტად რომელი საგნები გიყვარს?

— ისტორია და მშობლიური ლიტერატურა.

— და როცა ლიტერატურის ან

ისტორიის გაკვეთილზე ზიხარ, მაშინაც ლაპარაკობ?

— არა, მაშინ წესიერი მოსწავლე ვარ, კარგად ვიქცევი.

— ე. ერთ ადგილას ჯდომის ნებისყოფა გაქვს, არა?

— (იციანის) საერთოდ, იმ მასწავლებლების გაკვეთილზე, რომლებიც მიყვარს (მატიც ყველა მათგანს ვცემ), კარგად ვიქცევი და როცა რომელიმე მასწავლებელი შენიშვნას მაძლევს, სხვებს უკვირთ — რა ვიცი, ჩემს გაკვეთილზე კარგად იქცევაო. ერთხელ, კლასელებმა მოვიფიქრეთ და მასწავლებელს სკამზე „ნაკლეიკები“ დავუწყვეთ, რომელიც მერე ჩვენი აზრით, კაბაზე უნდა აჰკვროდა, მაგრამ სანამ ის სკამზე დაჯდებოდა, დაინახა და ცოტა არ იყოს, გაბრაზდა.

— გინდა თქვა, რომ მასწავლებლებს „სისხლს უშრობთ“?

— არა მარტო — მათ სიურპრიზებსაც ვუმზადებთ ხოლმე. მაგალითად, ჩვენს ერთ-ერთ მასწავლებელს, რომელსაც დაბადების დღე ჰქონდა, მაგიდაზე საჩუქრები დავასვდრეთ; დაფაზე მივანერეთ — გილოცავთ და ძალიან გვიყვარხართ; ოთახი გავალამაზეთ და ძალიან გაუხარდა.

— მასწავლებლები სიურპრიზებს თქვენ თუ გინწყობენ?

— კარგს არა, ცუდს კი — იცოცხლე..

— რას გულისხმობ?

— როცა მთელი სემესტრის განმავლობაში სკოლაში ვერ მივიღივარ და გამოცდების დრო მოახლოვდება, ისინი მაძიებენ — 2 დღეში ვისწავლო ის, რასაც სხვები თვეების განმავლობაში სწავლობდნენ. მოკლედ, თავს მაკვლევინებენ (იციანის).

— „შატალოზე“ არ დადისართ?

— როგორ არა?! „შატალოზე“ ხშირად მივიღივართ, მაგრამ მთელი კლასი ერთად, მხოლოდ ერთხელ ვიყავით — ზოოპარკში. სხვა დროს, ვიღაცები ჩვენთან ერთად არ მოდიან, სკოლაში რჩებიან ხოლმე.

— და ამის გამო, მათ როგორ ექცევი?

— მართალია, მათ არ ვეჩხუბებით, მაგრამ ვუბნებით, რომ ეს ცუდი საქციელია — როცა ყველა მიდის, შენ რატომ უნდა დარჩე? სხვათა შორის, როცა სადმე ვიპარებთ, რატომღაც ყოველთვის მე მბრალდება.

— გინდა თქვა, რომ კლასში „ჩამშვებები“ გყავთ?

— რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანები ყველგან მოიძებნებიან.

— როცა „შატალოს“ აწყობთ, სად მიდინართ ხოლმე?

— ამას არ გეტყვი, რადგან მერე, როცა ამ ინტერვიუს მშობლები ნაიკითხავენ, ჩვენი სასურველი ადგილსამყოფელი ეცოდინებათ და მოგაკითხავენ.

— მშობლებმა იციან, რომ სკოლიდან იპარებთ?

— იციან და მაფრთხილებენ კიდევ — აღარ ნახვიდეთ, მაგრამ კლასელებს ხომ არ გაგანბილებ?...

— თიკა, როგორც ვიცი, შეყვარებული გყავს.

— ამ თემაზე საუბარი არ მინდა, რადგან ერთხელ ვთქვი და რატომღაც ყველამ გააპროტესტა — ვაიმე, ეს რა თქვაო?... რა მოხდა, ვერ გავიგე, 15 წლის გოგო რომ ვილაცაზე იყოს შეყვარებული, ეს გასაკვირი და საჭორაო რატომ უნდა გახდეს? — მთელი თბილისი ჩემზე ჭორაობდა, სხვა სალაპარაკო თემა არ ჰქონდათ.

— ჭორები და ჭორიკანა ადამიანები გალიზიანებს?

— ვილაც რაღაც დიდ სისულელეს რომ იტყვის, რატომ არ უნდა გაგლიზიანდებ?

— რამდენიმე წლის წინ, შენზე ამბობდნენ: დათო სუფაძე თიკას ელოდება, როგორც კი ის სრულწლოვანი გახდება, ცოლად უნდა მოიყვანოსო.

— ეს ამბავი მეც გავიგე, რა მარაზშია, არა? მაშინ 9 წლის ვიყავი, დათო 25-ის... როცა ადამიანს საქმე გამოეღევა, სხვებზე რაღაცას იგონებს და დროს ასე კლავს. ასეთი ადამიანები მეცოდება კიდევ.

— იმასაც ამბობენ — თინათინა გოგონებს ერთმანეთის წარმატებები ხშირად შურთ ხოლმეო. ასეთი რამ შენ თუ გიგონია ვინმეს გან?

— ეს მართალია, მაგრამ შურიანი ადამიანები მართო ამ ასაკში არ უნდა ვქებოთ... სკოლაში, ჩემს ზურგს უკან ბევრი ჭორაობს, ამბობენ, რომ ჩემი სიმღერები არ მოსწონთ, რომ რაღაც სხვანაირი ვარ, მაგრამ ეს არ მარტოებს, რადგან ყველამ ყველაფერი იცის და თუ ადამიანი ქვეყანაშია, ის გადაუმონებელი ინფორმაციას არ ენდობა, ხოლო თუ ვილაცას ჩემი საქმიანობა არ მოსწონს, ამასაც დიდად არ განვიცდი, რადგან გემოვნებაზე არ დაობენ.

— შენ თუ შეგშურებია ვინმეთ?

— კეთილი შურით, კი. მართალია, ეს არც ისე საინტერესოა, მაგრამ მაინც გეტყვი — არის ასეთი ცნობილი მომღერალი — ჯოჯო, რომელიც დაახლოებით ჩემი ასაკისაა, მაგრამ მან იმას მიაღწია, რაზედაც

ვოცნებობ.

— მშობლები რაიმეს თუ გიკრძალებენ?

— რა თქმა უნდა. მაგალითად, გვიანობამდე არსად მტკოვებენ და ამის გამო, მათთან კამათი მინევს.

— დაქალებთან დასარჩენად გიშვებენ?

— ამის პრობლემა არა მაქვს, რადგან ისინი ყველა ჩემს დაქალს კარგად იცნობენ და ბოლომდეც ენდობიან.

— როგორ ფიქრობ, წინა თაობის თინათინებისგან რით განსხვავდებით?

— ზუსტად არ ვიცი, რადგან ამ ამბით არასდროს დავინტერესებულვარ, მაგრამ მგონია, რომ ჩვენ შედარებით თამამები, აქტიურები, უკომპლექსოები ვართ. ისე, ზედმეტი სითამამეც ძალიან ცუდი თვისებაა, ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს.

— რას გულისხმობ?

— მაგალითად, იმას, რომ ზოგიერთ თინათინებს თავი მაგარი ჰგონია და ამის გამო, სხვებს ჩაგრავს. ეტყობა, მათი დამცირება სიამოვნებას ანიჭებთ, რაც ძალიან ცუდი თვისებაა.



არ მიყვარს, როცა ვილაც დაჟინებით მიყურებს — თავს უხერხულად ვგრძნობ

— როგორ ფიქრობ, ამას რატომ აკეთებენ?

— იმიტომ, რომ ვილაცას დაუმტკიცონ — მაგარი „როჟა“ ვარო, სინამდვილეში, ამ საქციელით თავიანთ კომპლექსებს მალავენ. ჰგონიათ, რომ თუ ვილაცაზე უკეთ აცვიათ ან მეტი ფული აქვთ, მისთვის შეურაცხყოფის მიყენება აუცილებელია.

— კლასელები „სასტაგებად“ არ იყოფით?

— რამდენად სასაცილოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ბიჭებს ცალკე „კულტობები“ აქვთ, გოგონებს კი — ცალკე ასევე, შედარებით წყნარი და აქტიური ბავშვებიც ცალ-ცალკე იკრიბებიან.

— შენ აქტიური ბავშვის „სასტაგში“ ხარ?

— რა თქმა უნდა, რადგან ცელქი გახლავართ.

— და ენ. წყნარებს ჩაგრავთ ხოლმე?

— არა, ისინი თავს თავადვე იჩაგრავენ. იცი, როგორები არიან? — მაგალითად, როცა მათ ვურეკავთ (როგორც ხშირად ხდება ხოლმე), რომ ვუბნებით — ხვალ სკოლაში არ მივდივართ და შენც არ მოხვიდე-თქო, ისინი მაინც მიდიან და ამის გამო, „სკოლნიკებს“ ვეძახით.

— უცხოელი თინათინები თქვენგან რით განსხვავდებიან?

— ისინი უფრო თამამები არიან და ისე გამოდის, თითქოს მათ რაღაცაში ვბაძავთ.

— მიმბაძელობა კარგი თვისებაა?

— გააჩნია, რა შეემთხვევაში. არც ის ვარგა, რომ მათ ყველაფერში მივბაძოთ, რადგან ისინი ისეთ რაღაცებსაც აკეთებენ, რაც ჩვენ არ გვეკადრება, რადგან მათგან განსხვავებული კულტურა და მენტალიტეტი გვაქვს. მაგრამ არც ის ვარგა, რომ ძალიან ჩამორჩენილები ვიყოთ...

— თიკა, ვისი ფანი ხარ?

— არავის ფანი არ ვარ. ისე, ძალიან მომწონს მერაია ქერი, უიტნი ჰიუსტონი, ჯემი როქვაი და სხვები — მათი ძალიან ბევრი ალბომი მაქვს.

— მათ პლაკატებს არ აფრთხილებ?

— ერთადერთი პლაკატი, რომელიც კედელზე მქონდა გაცრული (სხვათა შორის, ის ცოტა ხნის წინ ჩამოვსხენი), სიმფსონების იყო. ძალიან მიყვარს ეს მულტფილმი — სიმფსონებზე ვგვიყვებოდი.

— ოდესმე ვინმესთვის თუ მიგიბაძავს?

— ერთადერთი, ლაპარაკის მანერაში და კიდევ რაღაცებში ჩემს დას და მუსიკის პედაგოგს — ქალბატონ რუსიკო ბახტაძეს ვბაძავდი, მაგრამ ამ ბოლო დროს მივხვდი, რომ უნდა იყო ისეთი, როგორიც ხარ.

— მეგობრები როგორ ერთობით ხოლმე?

— ყოველთვის, როცა ერთად ვართ, მაგრამ ვერთობით — ვხალისობთ, ვჭორაობთ, მივდივართ კინოში და თუ მშობლებმა გაგვიშვეს (ეს ძალიან იშვიათად ხდება), „ნათი ოფისსაც“ ვსტუმრობთ, ქუჩაში ვსეირნობთ და ა.შ.

— ქუჩაში სეირნობის დროს, ფანები თავს არ გაბეზრებენ?

— არა, ისინი არ მანუხებენ (საერთოდ, ყურადღება ყოველთვის სასიამოვნოა), მაგრამ არ მიყვარს, როცა ვილაც დაჟინებით მიყურებს — თავს უხერხულად ვგრძნობ.

— როცა შენს ასაკში გოგოს შეყვარებული არ ჰყავს, ეს „ტყუავს“?

— არა, კი არ „ტყუავს“ (როცა შეყვარებული არ ვიყავი, ეს სულაც არ მადარდებდა), მაგრამ როცა შენს მეგობარს შეყვარებული ჰყავს, შენც გინდა რომ გყავდეს.

— შენს ასაკში გათხოვება მისაღებია?

— არა, რადგან ამ ასაკში გემოვნება ხშირად გეცვლება — შეიძლება, ის ადამიანი, რომელზეც თითქოსდა, უგონოდ შეყვარებული ხარ, გადაგყვარდეს. თუ თინათინი რაღაც ნაბიჯის გადადგმას გადამწყვეტს, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის ვიღაც ძალიან, ძალიან უყვარს და რომ მთელი ცხოვრება მის გვერდით იქნება. მაგრამ ადამიანი დარწმუნებული ვერაფერში იქნები...

შენ დღეს თუ ხარ რამეში დარწმუნებული?

— ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი, ისაა, რომ ვიქნები ძალიან კარგი მომღერალი და

ყველას ვასახელებ.

როგორც ვიცი, საქართველოდან წასვლას აპირებ.

— ოქტომბრის ბოლოს, ამერიკაში მივდივარ და სწავლას იქ გავაგრძელებ.

იქ დარწმუნას და საქმიანობასაც ხომ არ აპირებ?

— თუ რაიმე ჩემთვის მისაღებ წინადადებას შემომთავაზებენ, რატომაც არა?

და საქართველოს ასე ადვილად დათმობ?

— არა, აქაც ჩამოვალ ხოლმე, რადგან

როცა საზღვარგარეთ ვარ, ყოველთვის ერთი სული მაქვს, უკან როდის დავბრუნდები — ვგაჟდები, ისე მენატრება აქაურობა.

დაბოლოს, რას ურჩევდი შენ თანატოლებს?

— მათ ვურჩევ, რომ იყვნენ ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან, ჰქონდეთ თავიანთი აზრი ყველაფერზე და ვეჭყვი, რომ შეყვარებულის ყოლა მარტო პონტიუს გულისთვის, არ ღირს. დრო მოვა, ვიღაც თავისთავად შეგიყვარდება და ის პუტილებლად შენი ღირსი იქნება.



გურანდა, 23 წლის:

„გიორგი, არ მინდა, შეურაცხყოფად მიიღო, მაგრამ კაცს რომ საყურე უკეთია, ეს მგონი, ცოტა არ იყოს, არაკაცურია. ახით აღბათ, ყურადღების მიქცევა გინდა, არა? შენ ხომ ქართული ხარ და თან — გიორგი“...

გიორგი ყიფშია:

— ჩემო კარგო, საყურე ისეთივე აქსესუარია, როგორც სამაჯური, ყელსაბნევი და მისი ტარება სამარცხინო სულაც არ არის. მეკობრეებს ეკეთათ საყურე, მაგრამ ისინი ნამდვილი ვაკაცები იყვნენ.

უცნობი, 15 წლის:

„გიო, ძალიან მაგარი მსახიობი ხარ. რაც შეეხება პროგრამას — „იდეა, ფული და ერთი შანსი“, — გეთანხმები — შეიძლება, ის გლეხი სულიერად უფრო მდიდარი იყოს, ვიდრე ის ფულიანი „მასტები“ იყვნენ. ხომ მეთანხმები?“

გიორგი ყიფშია:

— ძალიან დიდი მადლობა, რომ მაფასებ და რა თქმა უნდა, გეთანხმები.

შეყვარებული, 17 წლის:

„გიორგი, მიყვარს ჩემი ბიძაშვილის ყოფილი შეყვარებული და მგონი, მასაც ვუყვარვარ. რა ვქნა? PS. ჩემი ბიძაშვილის ძალიან მრცხვენია.“

გიორგი ყიფშია:

— შენ მგონი, ის პიროვნება არ გიყვარს, ვფიქრობ, რომ ეს დროებითი გატაცებაა, რომელიც ასაკის მომატებასთან ერთად გაგივლის. ამის გამო კი, ბიძაშვილის წყნინება არ ღირს. მან ეს ამბავი თუ გაიგო, აუცილებლად დაგკარგავს. ჯობია, მოიცადო, სანამ რამეს მოიმოქმედებ, კარგად დაუფიქრე და ყველაფერი კარგად იქნება.

სალო, 16 წლის:

გაბრუნება

„მეცა შეყვარებული, რომელიც მეფიცება, რომ ვუყვარვარ, მაგრამ ზოგჯერ, კვირა ისე გავა, ერთხელაც არ დამირეკავს. მერე, ბოდიშებს მიხედის — მამატიე, ვერ შეგეხმინეო. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე გთხოვთ, რამე მირჩიეთ. ალბათ, არ ვუყვარვარ და მატყუებს, არა?“

გიორგი ყიფშია:

— უკვე 4 წელია, ცოლი მეცა და დღეში სამჯერ მინც ვურეკავ, სულ მენატრება. შენს შეყვარებულს თუ არ ახსენებდი, ეი. ისე ძალიან არ უყვარხარ, უშენოდ ყოფნა შეუძლია...

განცა, 16 წლის:

„პრივეტ! ლიკა, შენი რუბრიკა პირველად ვნახე და მაგრად მომეწონა... მინდა გითხრათ, რომ არ მეცა ისეთი მეგობარი გოგო, რომელსაც ბოლომდე ვნდობი, ამიტომ ბიჭებთან ვეგობრობ, რაც ძალიან კარგად გამოდის. გოგობთან საერთო ენის გამოხატვა მიჭირს. მაინტერესებს, სწორად ვიქცევი თუ არა?“

გიორგი ყიფშია:

— კი, სწორად იქცევი — თავს კომფორტულად ვისთანაც გრძნობ, იმასთან უნდა იმეგობრო.

მსვერული, 19 წლის:

„ლიკა, გამარჯობა. მინდა, პატარა ამბავი გიამბო, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში დიდი ბზარი გააჩინა. ახლა 20 წლის ვარ, მაგრამ ის, რაც შემემთხვა, 12 წლის წინ მოხდა. მაშინ 8 წლის ვიყავი. მოგეხსენებათ, რომ ამ ასაკში ბავშვებს (ყოველ შემთხვევაში, მე) არაფერი იცის სექსუალურ ურთიერთობაზე... ყოველ ზაფხულს, პატარაობიდან მშობლებს დასავლეთში — ბუზია-ბაბუასთან მივყავდი. სანამ პატარა ვიყავი, გურიაში მხოლოდ ერთი მეგობარი მეყვდა. იმ გოგონას ჩვენზე გაცილებით უფროსი ძმა ჰყავდა... ერთ დღესაც, როდესაც მე და ლელა (ასე ერქვა ჩემს მეგობარს) ეზოში ვთამაშობდით, მისმა ძმამ ორივე, სახლში შეგვიყვანა, კარი ჩაკეტა და კარტის თამაში შემოგვთავაზა (რა თქმა უნდა, მათი მშობლები სახლში არ იყვნენ). იმ დღეს, მეც და მისი დაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდით. ეს ამბავი არაფრისთვის მითქვამს, რადგან არაჩვეულებრივი მშობლები მეცა, ჩემთვის ძალიან მაღალ დონეზეა — მორალური და ზნეობრივი სისუფთავე. მიმაჩნია, რომ კარგ ადამიანად გავიზარდე... ბევრი „პაკ-ლონიკი“ მეცა, მაგრამ იმ ამბის გამო, ბიჭებთან ურთიერთობა მიჭირს. გუშინ, ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, რომლის მიმართაც გულგრილი

ნამდვილად არა ვარ, ხელი მთხოვა, მაგრამ ჩემი საიდუმლოსი მრცხვენია და მეშინია, რომ ვერ გამოიგებს. არ ვიცი, რა გავაკეთო. მე ხომ ბიჭისთვის არც კი მიკოცნია... არ მინდა იმ ადამიანის დაკარგვა, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია და რომელიც ჩემი პირველი სიყვარულია.“

გიორგი ყიფშია:

— ამ ამბავს ნურავის, შეყვარებულსაც კი, ნუ ეტყვი, რადგან ადამიანი, მით უზეტეს ქართველი, დაუნდობელია — შეიძლება, ვერ გაგიგოს ან არ გააბათის (თუმცა, გამოხატვის სხედება) მოიქციე ჩვეულებრივად და თუ ცოლობას გთხოვს, გაჰყვი. ნარმატებას გისურვებ!

რეზლიკა, 17 წლის:

„გამარჯობა ერთი დეგენერატი ძმაცაი მეცა (მიშა ჰქვია), რომელიც სულ მცემს და რა ვქნა, როგორ მოვარჯულო?... გთხოვ, მირჩიე რამე, თორემ მენყინება.“

გიორგი ყიფშია:

— ვაი!.. ეტყობა, ის, შენი ძმაცაი არ არის. მსგავსი რამ არასდროს გამიგონია და ჩემს ძმაცებს ჩემზე ხელი არასდროს აუწევიათ. იცი, როგორ უნდა მოიქცე?.. თვითონ სცემე ან საერთოდ, შეეშვი, რა! მინც არ მქმის და მომკალი — ეს რანაირი მეგობრობაა!..

წინ, 16 წლის:

„შეიძლება, ბიჭს უყვარდე, სიყვარულს გეფიცებოდეს და დაბადების დღე არ მოგილოცოს?! ყველა ბიჭი თვითმკაცრი იდეოტიკა.“

ენა, 16 წლის:

„რატომ არიან ბიჭები ეგოისტები და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონეები?.. 16 წლის მიშამ აღიარა, რომ ნაგავი არის, მაგრამ ნაგავში ვინ იქცევა? — გამგებმა გაიგოს.“

მოლოდინი, 20 წლის:

„გამარჯობა. თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. მინდა, სამეგობროდ გავიცნო 19-დან 25 წლამდე გოგო. გთხოვთ, გამომეჩხაურეთ.“

სვედა, 16 წლის:

„პრივეტ! ნინა ნომერში, ობობას მესიჯი ნავიკითხე და ძალიან შენეცოდა — ბიჭი და ასე უზომოდ შეყვარებული არასდროს მინახავს... მინდა შეგატყობინო, რომ პაატა ერთი თვის წინ გავიცანი და ძალიან მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ერთმანეთს არ შეგვედრივართ. თან, ჩემზე ბევრად დიდია მასაც ვუყვარვარ და მალე გაპარვასაც ვაპირებ.“

დენდი, 16 წლის:

ისინიც ადამიანები არიან. აბა, სამყარო მათ გარეშე წარმოიდგინეთ — უზარობაა, არა?!”

ბარაზი, 22 წლის:

„გამარჯობა, ლიკა. სახლის სახურავზე „ზაგარს“ რომ იღებდნენ, იქ სხვა დღესაც დაბრუნდი?.. ის სტატია რომ წავიკითხე, ძალიან ბევრი ვიცინე. ისე, თუ მოინდომებ, შემიძლია, სვანეთში დაგაბატიყო — იქ „ზაგარს“ მიღებასაც შეძლებ და სვანეთსაც ნახავ“.

აჩრდილი, 19 წლის:

„მე ამ ცხოვრების რა გამეგება/ და არც ვარ ღირსი, ეს რომ ვიცოდე/ ღმერთო, მიშველე, მომეცი შეგებ/ და შენი შვილი მარად მინოდე/ მე სიყვარულის რა გამეგება/ ეს გრძნობა ალბათ, სხვასთან ბოზოქრობს/ ეს გრძნობა ალბათ, იქ გამეფდება/ ჩემში კი, კვლავაც სევდა ბოროტობს/ და მე ვინა ვარ? ალბათ ნაგავი/ ვგრძნობ, რომ გამწყარალი მიყურებს ღმერთი/ შორს დათესილი უშნო ნარგავი/ უკანასკნელი ვარ, ერთადერთი/ ლიკა, ამ ლექსის ავტორს მინდა ვუთხრა, რომ საუცხოო ადამიანი და ჩემი საყვარელი მეგობარია“...

ოზობა, 21 წლის:

„ვარსკვლავები ჩამომხდარან ხეზე/ და ღელეში ჩახატულან ერთად/ შენ ყოველთვის გამწყარალი ხარ ჩემზე/ მე ყოველთვის ყოფნა მინდა შენთან.../ ძალიან მენატრები, ლანკა. თავს შენი საყვარელი სიმღერების მოსმენითლა ვირთობ, ღამეებს შენზე ფიქრში ვათენებ... დღეში რამდენჯერაც შენს სურათებს ვკოცნი, იმდენი წელი იცოცხლე, თუნდაც — უჩემოდ... ლიკა, მაპატიე, მესიჯს ასე გვიან რომ გწერ, მაგრამ ლამისაა, შევიშალა“.

ფისაშია, 19 წლის:

„მის ანომალია, ნუ გეშინია, თავს არავინ მოიკლავს. შენი შებმა უნდათ და ამიტომაც იმუქრებიან“.

ფატი, 29 წლის:

„სიყვარული მჭირდება, ცუდად ვარ. თუმცა, აქ რჩევა ვერაფერს მიშველის. ტანჯულისთვის არ დამიციანია, მაშინ, რა მოხდა?! ახლა წავიკითხე თქვენი სტატია და ისევ სევდამ მომიცვა, სიცხვეს ვგრძნობ. ლიკა, უშნო არა ვარ, მაგრამ მას არასადროს ვყვარებივარ... არაფრის შეცვლა არ მინდა, რაც მოხდა, იმის ღირსი ვარ, თუმცა... მინდა, ყველას ვურჩიო — ნუ დასცინით ნურავის, ცოლებს ზურგს ნუ შეაქცევთ, მოეფერეთ მათ. ტანჯვაა, როცა ქალს შეგნევენ ძალა, იყო თბილი, ხოლო პასუხად იღებდე სიცხვეს. სხვაზე რომ ვფიქრობ, ეს მეუღლის ბრალია — როცა ის ზურგშექცევით წევს და ხვრინავს, მე რომანტიკულ მამაკაცზე ვოცნებობ, რომელიც ჩემზე გიჟდება, მეხვევა და მეფერება. მას კი შეუძლია, თვეობით არ გამეყაროს... დაეცინე მოკლევანიანს — მოკლე კაბა შემეყვარდა, დავცინე შარვლიანს და... დავცინოდი ქალებს, რომლებსაც ქმრებიც ჰყავდათ და საყვარლებიც... ლიკა, ალბათ მიხვდი, ბოლო შტრიხი ჩემი ბედის ირონიისა სწორედ ის არის, რომ ყოველი მეორე ცდილობს, ჩემში ვნება აშოვოს. კარგია, რომ ბევრისთვის არ დამიციანია და მიხვდი — ჩემივე დაცინვა მანადგურებდა. დარწმუნებული ვარ, მე რომ მეზობოლა ტარიელისთვის, ახლა მსოფლიოში უბედნიერესი წყვილი ვიქნებოდი“...

ჩვენი პირველი მატოქა — «მაგლაციონები» და «ევროს» ისტორიის მოკლე ექსკურსი

2 სექტემბერს საქართველოს ნაკრები მსოფლიო ვიცე-ჩემპიონს, საფრანგეთის ნაკრებს სვდება თბილისის განახლებულ „დინამოს“ სტადიონზე. ვფიქრობთ, გულშემატიკვართათვის საინტერესო იქნება ის, თუ რა გზა განვლო დიდი საფეხბურთო ტრადიციული მქონე ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა „ევროს“ ტურნირებზე. ამასთანავე, შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ფრანგები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ნოვატორობით და სწორედ მათი ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში და მათივე ძალისხმევით შედეგად დაარსდა უფვა, რის შემდეგაც, ევროპის პირველობის გამართვაც გახდა შესაძლებელი...



ალექსი რეხვიამვილი

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ევროპას, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ფეხბურთის განვითარებაში, 1954 წლამდე, საკუთარი კონფედერაცია არ ჰქონია, ხოლო 1958 წლამდე ეროვნული ნაკრებებისთვის რეგიონული ტურნირიც არ ტარდებოდა. არადა, სამხრეთ ამერიკაში 1916 წლიდან, აზიაში — 1956 წლიდან, ხოლო აფრიკაში — 1957 წლიდან იმართებოდა კონტინენტური ჩემპიონატები. თუმცა, როგორც ჩანს, ევროპელები ჯერ მსოფლიო პირველობის ჩატარებაზე ფიქრით იყვნენ დაკავებული, მუნდიალმა ხომ სწორედ „ბებერი კონტინენტის“ წარმომადგენელთა, კერძოდ კი — ფრანგთა ინიციატივით აიდგა ფეხი.

ევროპის ქვეყნების ნაკრები გუნდებისთვის ტურნირის ჩატარების იდეა ჯერ კიდევ შორეულ 1927 წელს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა ანრი დელონემ ფიფას ერთ-ერთ სხდომაზე წამოაყენა, სადაც ის თავის მეგობარ ჟიულ რიმესთან ერთად აქტიურად მუშაობდა. მაგრამ ამ ჩანაფიქრის ასრულება, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოხერხდა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იმხანად ევროპაში რეგიონული კონფედერაციაც არ არსებობდა, რომელიც ორგანიზებას გაუწევდა მასშტაბურ ტურნირს. მიუხედავად ამისა, სერ ჰენ-

რის (როგორც ხშირად ეძახდნენ ანრი დელონეს) იდეას არაერთი მომხრე გამოუჩნდა. მათ შორის ყველაზე აქტიური, იტალიელი ოტორინო ბარასი (იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, შემდგომში კი — პრეზიდენტი) გახლდათ. 1951 წლის გაზაფხულზე ბარასიმ ფიფას, სანაკრებო დონეზე ვეროპული ტურნირის საკუთარი პროექტი წარუდგინა, რომლის პრინციპიც იმაში მდგომარეობდა, რომ შეჯიბრების დასკვნით ფაზა — ნახევარფინალური და ფინალური მატჩები — ერთ ქვეყანაში გამართულიყო. სამწუხაროდ, ფიფას იმჟამინდელი მოხელეები არც ამ იდეას აღუფრთოვანებიან.


ენტუზიასტები მაინც არ ცხრებოდნენ. ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კონსოლიდაციისკენ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1952 წლის 27 მაისს გადაიდგა, როდესაც ციურისში ხანგრძლივი მიმონერის შემდეგ, ერთმანეთს დელონე, ბარასი და ბელგიის სამეფო საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივანი ჟოზე კრაიი შეხვდნენ. მთელი მსოფლიოსთვის ავტორიტეტულმა საფეხბურთო მოღვაწეებმა პირველად, დეტალურად განიხილეს ევროპის საფეხბურთო კავშირის დაარსების საკითხი. მათმა მცდელობამ შედეგი მაღევე გამოიღო. უკვე ერთი წლის შემდეგ, ევროპის ქვეყნების ოცმა ფედერაციამ სპეციალური კომიტეტი დაამტკიცა, რომელსაც კონტინენტის საფეხბურთო კავშირის შექმნაზე უნდა ემუშავა.

ეს ისტორიული კონფერენცია, რომელსაც ბარასი თავმჯდომარეობდა, 1954 წლის 15 ივნისს, მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, ბაზელში შედგა. მასში ავსტრიის, ინგლისის, ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლანდიის, დანიის, ირლანდიის, ესპანეთის, იტალიის, ლუქსემ

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოზა ღვალის უბის წიგნაკრები:

1. შუნი — დედალი ჯიხვია.
2. „ცრინტილა“ და „სურდო“ სინონიმებია.
3. პატარძლის მაყარ ქალს მდადეს ეძახდნენ.
4. შხერო — კავბის მსგავსი, მომცრო ფრინველია.
5. ყველაზე ორგანიზებულ არსებებად დედამიწაზე ტერმიტები ითვლებიან.
6. ოზურგეთში ახლახან, მოკრიმანჭულეთა სკოლა გაიხსნა.
7. პატარას, სუსტას და გამხდარ ბიჭს ნკვიპურტას ეძახიან.



8. სახელი „ევა“ ებრაულად, სიცოცხლეს ნიშნავს.
9. რონალდ რეიგანმა არჩევნებში ჯიმი კარტერი 8 მილიონი ხმის უპირატესობით დაამარცხა.
10. „ჩვენს ქვეყანაში ისეთი სიღარიბეა, რომ ცისარტყელაც კი შავთეთრია“ — ნუნუნებენ

იტალიელები.

11. ფიდელ კასტრომ, წველაობაში კუბის რეკორდსმენი რამდენიმე ათეული ძროხის სახელი იცის ზეპირად.
12. შავი სამყაროს ერთ-ერთ წარმომადგენელს ასეთი სიტყვები ჰქონდა გულმკერდზე ამოსვირინებულნი: „სმერტელნო პრავდივ“.
13. „ფიქრის დროსაც კი, სიფრთხილეა საჭირო, რასაც დღეს ფიქრობს ადამიანი, იმას გააკეთებს ხვალ“, — ამბობდა ეპიქტეტი.
14. მაო ძე დუნს გამორჩეულად უყვარდა გლეხობა. „გლეხებს ნაკელის სუნი უდით, მაგრამ მათი ზრახვები სუფთაა“, — ამბობდა ჩინეთის მმართველი.
15. ტორესის ყურეში მცხოვრები აბორიგენების ენაზე „ურაპუნ“ ერთს ნიშნავს, „ოკაზა“ — ორს, „ოკაზა-ურაპუნ“ — სამს, „ოკაზა-ოკაზა“ — ოთხს. ამ მეთოდით ითვლიან ისინი ექვსამდე. შვიდსა და მის მომდევნო ყველა რიცხვს ერთი სიტყვით მოიხსენიებენ — „ბევრი“.
16. პოსტიდან წასვლის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვს ხშირად უთქვამს, რომ უდიდეს მიღწევად მიიჩნევდა თავად იმ ფაქტს, რომ უბრალო კენჭისყრით მოხდა მისი გადაყენება.
17. „ორი ვარსკვლავი ცვენაზე, იგივეა, რაც ორი დიასახლისი ერთ სამზარეულოში — ერთმანეთს ვერასდროს შეწყობიან“, — ამბობს მიხაილ ჟვანეცკი.
18. ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში ზედამხედველებად ყველაზე



ბურგის, ნორვეგიის, პორტუგალიის, ჩრდილო ირლანდიის, საბჭოთა კავშირის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, შვედეთის, შოტლანდიისა და იუგოსლავიის საფეხბურთო მოხელეები მონაწილეობდნენ. კონფერენციამ ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის (UEFA) შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. ერთი კვირის შემდეგ, ორგანიზაციის ექვსკაციანმა კომიტეტმა უფვას პირველ პრეზიდენტად, დანიის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე შვარცი აირჩია.

1958 წლის 6 ივლისს სტოკჰოლმში, სასტუმრო „ფორესტში“ ევროპის ერთა თასის პირველი წრის კენჭიყრა შედგა, რომელზეც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ პიერ პომონემ უფვას საჩუქრად, ჩ.წ.ალ-მდე მეოთხე ათასწლეულში დამზადებული, მოზურთავე ადამიანის ანტიკური ბარელიეფის ასლი გადასცა. „ათენის არქეოლოგიური მუზეუმის ბარელიეფი მოწმობს იმას, რომ საფეხბურთო ტექნიკა მარადიულია“, — წერდა ავტორიტეტული სპორტული გაზეთი „ეკიპი“. პარიზელი იუველირის, მიშელ შობიონის მიერ დამზადებული ვერცხლის ჯილდო (სიმაღლე დასადგამით — 50 სმ; წონა დასადგამით — 8 კგ) მადლიერებით მიიღო უფვას იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, ებე შვარცმა და იმნამსვე შესთავაზა დელეგატებს, რომ ახალი შეჯიბრებისთვის, ანრი დელონეს სახელი ეწოდებინათ.

პირველი ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი საფრანგეთში გაიმართა. დამატებით დროში საბჭოთა კავშირის გუნდმა იუგოსლავიის ეროვნული ნაკრები დაამარცხა (2:1) და საპატიო ჯილდოს დაეუფლა. უკვე 1964 წელს, საბჭოთა ფეხბურთელები მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ ფინალურ პაექრობაში ესპანელებთან დამარცხდნენ (1:2).

ფრანგებმა პირველსავე ევროპის ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა, თანაც — მერვედფინალურ ეტაპზე, საკუთარ მოედანზე გამართულ პირველ მატჩში გამანადგურებელი ანგარიშით (7:1) დაამარცხეს ბერძნები. მეოთხედფინალში „მამლაყინებმა“ ავსტრიელებიც დაჯახნეს, მაგრამ ნახევარფინალურ ეტაპზე იუგოსლავიელთა ბარიერი ვეღარ გადალახეს. მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში კი, ფრანგებს ჩეხოსლოვაკიელებმა სძლიეს (2:0).

1964 და 1968 წლების ტურნირებზე საფრანგეთის ნაკრები მეოთხედფინალს ვერ გასცდა. ფრანგები შესარჩევი ტურნირის ქვეჯგუფებიდან ვერ გავიდნენ 1972 და 1976 წლებში. ასევე წარუმატებლად წარიმართა მათთვის 1980 წლის ევროპის ჩემპიონატი.

ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრებმა პირველად 1984 წელს მიაღწია წარმატებას, როდესაც ტურნირს მასპინძლობდა. ამ პირველობაში, ფრანგთა გარდა, შესანიშნავად ასპარეზობდნენ დანიელები. მიშელ პლატინიმ კი, რეკორდი დაამყარა: „ევრო-84“-ის ხუთ მატჩში „მამლაყინათა“ ლიდერმა 9 გოლი გაიტანა. საგულისხმოა ისიც, რომ ფრანგები და დანიელები, ბელგიისა და იუგოსლავიის გუნდებთან ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ. სხვათა შორის, შესარჩევი ტურნირში დანიის ნაკრებმა „უემბლიზე“ ინგლისის გუნდი დაამარცხა.

პირველ შეხვედრაში დანიელები მასპინძლებს შეხვდნენ. მათ მინიმალური ანგარიშით (0:1) წააგეს.

რაც შეეხება ფრანგებს, — დანიის ნაკრების ძლივეს შემდეგ, გაანადგურეს ბელგიელები (5:0) და დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვეს იუგოსლავიელებთან (3:2), რის შემდეგაც, ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

ნახევარფინალში „მამლაყინებს“ მეტოქეობას პორტუგალიის ნაკრები უწევდა. შეხვედრა ძალზე დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა. მასპინძლებმა დამატებით დროში მინც შეძლეს მოგება (3:2).

ფინალში საფრანგეთის ნაკრებს ესპანელები დაუპირისპირდნენ. ამ პაექრობაში დამატებითი დროის დანიშნა საჭირო აღარ გამხდარა. პლატინიმ და ბელონიმ მეორე ტაიმში თითო-თითო გოლი გაიტანეს და თავიანთ გუნდს ევროპის ჩემპიონის პირველი ტიტული



შის ბედი ფინალში, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ იტალიისა და საფრანგეთის გუნდები იდგნენ. მაშინ ანგარიში მარკო დელვეკიომ გახსნა. ეს 55-ე წუთზე მოხდა და საპასუხო გოლის გატანა ფრანგებმა მხოლოდ 93-ე წუთზე მოახერხეს (სილვიენ ვილტორდი). დამატებით 103-ე წუთზე კი, დევიდ ტრეზეგეტს მიერ გატანილმა გოლმა 2000 წლის ევროპის ჩემპიონი გამოაშვარავა. ამგვარად, საფრანგეთის ნაკრებმა მეორედ დაისაკუთრა კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო.

მოაპოვებინეს.

დიდ წარმატებას დიდი წარუმატებლობაც მოჰყვა: საფრანგეთის ნაკრები საერთოდ ვერ მოხვდა 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. 1992 წლის ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ფრანგებს დანიელები, შვედები და ინგლისელები მეტოქეობდნენ, მაგრამ „მამლაყინებმა“ თავი ვერაფრით გამოიჩინეს და ასპარეზობას გამოეთიშნენ.

უფრო დამაჯერებლად თამაშობდა საფრანგეთის ეროვნული გუნდი 1996 წლის ევროპის პირველობაზე. მან პირველი ადგილი დაიკავა ქვეჯგუფში ესპანეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის ნაკრებებ გუნდებთან ბრძოლისას, მეოთხედფინალურ ეტაპზე პენალტების სერიაში მოუგო ჰოლანდიის ნაკრებს (5:4), მაგრამ ნახევარფინალში ასევე თერთმეტმეტრიანებით დამარცხდა ჩეხეთის გუნდთან (5:6).

ფეხბურთის ქომაგთათვის კარგადაა ცნობილი, რომ 2000 წლის ტურნირში, რომელსაც ერთდროულად ორი ევროპული ქვეყანა — ჰოლანდია და ბელგია მასპინძლობდნენ, საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონის რანგში ჩაება. გუნდში არაერთი ვარსკვლავი ბრწყინავდა, რომელთა ნამდვილი ლიდერადაც (ისევე, როგორც გასულ მუხდიალზე) ზინედინ ზიდანი მოგვევლინა.

ფინალური ტურნირი საფრანგეთის ნაკრებმა ქვეჯგუფში ჰოლანდიასთან, ჩეხეთთან და დანიასთან დაიწყო. პირველ მატჩში ფრანგებმა დანიელებს სძლიეს (3:0), ხოლო შემდეგ, ჩეხებსაც მოუგეს (2:1), მაგრამ ჰოლანდიელებთან დამაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ (2:3).

მეოთხედფინალში, ზიდანისა და ჯორკაეფის გოლების წყალობით, ფრანგებმა გზიდან ჩამოიშორეს ესპანელები (2:1). ასევე გამოიჩინა თავი ზინედინ ზიდანმა ნახევარფინალში პორტუგალიელებთან პაექრობისას, როდესაც 117-ე წუთზე თერთმეტმეტრიანით ე.წ. „ოქროს გოლი“ გაიტანა და „მამლაყინები“ ფინალში გაიყვანა (2:1). მანამდე კი, პორტუგალიელთა კარის ბაღე ტიერი ანრის მიერ დარტყმულმა ბურთმაც შეარხია.

„ოქროს ბურთმა“ გადანყვიტა თამა-

ნილმა გოლმა 2000 წლის ევროპის ჩემპიონი გამოაშვარავა. ამგვარად, საფრანგეთის ნაკრებმა მეორედ დაისაკუთრა კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო.

ბუნებრივია, ფეხბურთის გულშემატკივრებს ევროპის ჩემპიონატთან არასოდეს დაავიწყდებათ 2004 წელს პორტუგალიაში გამართული ტურნირი, რომელიც მართლაც, სენსაციურად წარიმართა. „მოულოდნელობის“ მსხვერპლი გახდა საფრანგეთის ნაკრებიც, რომელმაც ქვეჯგუფში ინგლისელებთან, ხორვატებთან და შვეიცარიელებთან ბრძოლისას პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ უკვე მეოთხედფინალში, როგორც შემდგომ გაირკვა — მომავალ ჩემპიონ — საბერძნეთის ნაკრებთან დათმო შეხვედრა (0:1) და პირველობას გამოეთიშა.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი ყველაზე მეტჯერ გერმანელებს აქვთ მოგებული (1972 და 1980 წლებში — ყოფილ გერ-ს, 1996 წელს — უკვე გაერთიანებული გერმანიის ნაკრებს), ორჯერ — ფრანგებს (1984, 2000), ხოლო — თითოჯერ საბჭოთა კავშირის (1960), ესპანეთის (1964), იტალიის (1968), ჩეხოსლოვაკიის (1976), ჰოლანდიის (1988), დანიისა (1992) და საბერძნეთის (2004) გუნდებს.



ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკიდან:

ხშირად, იეღოვას მოწმეებს ირჩევდნენ. ეს ტუსალები ეროვნებით გერმანელები იყვნენ. მათი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ საკუთარი სარწმუნოების გამო უარს აცხადებდნენ სამხედრო სამსახურზე და ამდენად, ტუსალთა შორის ყველაზე „ნორმალურებად“ მიიჩნეოდნენ.

19. „ძალიან მალე დიდ ბრიტანეთში ისევ „შემოვლენ მოდაში“ მამაკაცი პრემიერ-მინისტრები“, — დაამშვიდა ოპონენტები ერთ-ერთ ინტერვიუში გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე მარგარეტ ტეტჩერმა.



20. თერმოპილეს მისია სპარტელებისათვის ფაქტობრივად, კამიკაძეების მისია იყო. ხეობაში წასვლის წინ, მეფე ლეონიდემ დელფოსის მისანს სამსხვერპლო ცხოველის ღვიძლზე აკივთხვინა. მისანმა უწინასწარმეტყველა, რომ სპარტის მეფე ლეონიდე უნდა მომკვდარიყო, რათა გადაეჩინა თავისი ქვეყანა.

21. პოლინეზიელები ქოქოსის კაკალს ნავიგაციაში იყენებდნენ. ისინი მას ხვრეტდნენ და ანძაზე კიდებდნენ. ამ ნახვრეტებში ქარის ზუზუნის ტონალობის ცვლილებათა მიხედვით, პოლინეზიელები გემის კურსს საზღვრავდნენ.

22. ფრენსის ბეკონი ცდილობდა, მეცნიერული ცდით დაემტკიცებინა, რომ სიცივეში ხორცი კარგად ინახება. ცდის ჩატარებისას, როცა მან თოვლით გამოტენა დაკლული ქათამი, სწავლული გაცივდა და გარდაიცვალა.

23. მიხეილ თუმანიშვილი რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული. ფრონტიდან დაბრუნებულ რეჟისორს, ქართული თითქმის დავიწყებული ჰქონდა. მას ერთი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ ენა ხელახლა ესწავლა. ქართულად წერას კი სიცოცხლის ბოლომდე ვერ ახერხებდა.

24. ყველასათვის ცნობილი რუსული გამონათქვამი „ჩემ ჩორტ ნე შუტიტ“ ანდაზის მხოლოდ პირველი ნაწილია. ანდაზის სრული ვარიანტი ასეთი გახლავთ: „ჩემ ჩორტ ნე შუტიტ, კაგდა ბოგ სპიტ!“

25. სამოცდაათიან წლებში კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტების ჩასაჭრელად სპეციალური კითხვები არსებობდა. მაგალითად, კითხვაზე — „ინგმარ ბერგმანის რომელი ფილმები გაქვთ ნანახი?“ — აბიტურიენტს მხოლოდ ასე უნდა ეპასუხა: „ღმერთმა დამიფაროს, რა თქმა უნდა, არც ერთი!“

მონაგონი საჰარაში

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„ასასუბაის“ სვამისკანე არ გაგაჰყავთ თვალი.

1. დაასახელეთ ქალაქი, რომელიც ჯონ სტაინბექმა ახალგაზრდობაში სხვა საბჭოთა ქალაქებთან ერთად ინახულა. ამერიკაში დაბრუნებულმა კი, თავის შთაბეჭდილებების წიგნში შემდეგი სტრიქონები დაწერა: „ამ პატარა საპორტო ქალაქში, რომელიც ლუდსანებით, სამორინეებითა და საეჭვო დანესებულებებით უნდა ყოფილიყო სავსე, ადგილობრივი თეატრის მშვენიერი სპექტაკლი — „იოდისოს მეფე“ — ვნახე“.

2. რომელი ეროვნების წარმომადგენლები დაზარალებულნი იყვნენ მსოფლიო ომის დროს ებრაელების მსგავსად?

3. ეს ლეგენდარული ფეხბურთელი ერთი პერიოდი ფეხბურთიდან წავიდა და ჰოკეის თამაში დაიწყო. ამ სპორტშიც საკმაო წარმატებას მიაღწია და კვლავ ფეხბურთს დაუბრუნდა. დაასახელეთ იგი.

4. ეს მდინარე გერმანიის, შვეიცარიის, ლიხტენშტეინის, ავსტრიის, საფრანგეთის და პოლანდიის ტერიტორიაზე ჩამოედინება.

5. კალიოპე, ევტერპე, ტერფსიქორე, თალია, ერატო, პოლიჰიმნია, კლიო, მელპომენე, ურანია — ვინ არიან ჩამოთვლილი?

6. მიხაილ გორბაჩოვის პრეზიდენტობის დროს, საქართველოს ტელევიზია შეგნებულად ერიდებოდა მარიონეტების თეატრის სპექტაკლის — „კოჯრის ტყის სიზმრების“ ჩვენებას. რატომ?

7. როგორ მოიკლა თავი კლეოპატრამ?

8. ამ ადამიანმა 1946 წლის ოქტომბერში მოინამლა თავი, სიკვდილის წინ კი ასეთი ბარათი დაწერა: „ისტორიას არ ახსოვს, ფელდმარშალი ჩამოეხრჩოთ“. დაასახელეთ იგი.

9. უძლეველი გმირი ანტეოსი მინის ქალღმერთის, გეას შვილი იყო. სანამ მინაზე (დედაზე) იდგა, ვერავინ ამარცხებდა. როგორ მოკლა იგი პერაკლემ?

10. ფილიპე მაკედონელი ძალზე მონადინებული იყო, ალექსანდრეს მასწავლებლად არისტოტელე მიენიჭა. რა გააკეთა მან დიდი ფილოსოფოსის გულის მოსაგებად?

11. იაროსლავ ბრძენი, ლუდოვიკო XV, გარინჩა, იოზეფ გებელსი, ფრედი მერკური, ვასო გოძიაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ლორდი ბაირონი. რა ნიშნით შეიძლება ამ ადამიანთა გაერთიანება?

ანეკდოტები

— ალო, გამოსაფხიზლებელია?
— დიას.
— კინწურაშვილი მოიყვანეს?
— არა, ჯერ არ მოუყვანიათ.
— არც მოიყვანენ — საკუთარ სახლში ვქეიფობ, თქვენი დედაც!..

პენსიონერი ცარიელი ხელჩანთით კარში დგას და საკუთარ თავს ეკითხება:



— ნეტავ, გამაგებინა, ბაზრიდან უკვე მოვედი თუ აწი უნდა წავიდე?

ერთი ახალგაზრდა ბიჭი პირველად გავიდა პლაჟზე. უეცრად შიმშველი, ლამაზი გოგონა დაინახა და გაცუბისგან ყბა ჩამოუვარდა.

— „პრივეტ!“ ახალი ხარ? — ეკითხება გოგონა.

— ჰო!
— შენთვის ჯერ არ მომიცია?
— არა!
— აჰა, გამომართვი, — უთხრა და მუჭში მინის თხილი ჩაუყარა.

მიტო ეუბნება მიხოს:
— გავიგე, ძალიან პატარა გქონია.

— შენს ცოლს უთხარი — ენას კბილი დააჭიროს!

ზღაპარი: მძინარე მზეთუნახავს

ასი წელი ეძინა. არაერთმა პრინცმა ისარგებლა ამით.

ქალი თანამედროვე მამაკაცების თაობაზე წუნწუნებს:

— ზემოდან დაინვენ — იძინებს, ქვეშ დაინვენ — სული ეხუთება, გვერდით მოინვენ — ტელევიზორს უყურებს, ფეხზე დააყენებ და სახლიდან იპარება.

დიალოგი ავტობუსში:
— ქალიშვილო, რას დგახართ შუა გზაზე მოსაწველი ძროხასავით?
— ვინაა შენი ქალიშვილო?!

კუბეში ახალგაზრდა ბიჭი და გოგონა სხედან. ბიჭი ეკითხება:

— გოგონი, ჩუმად რატომ ხართ?
— მინდა და ჩუმად ვარ!
— ჰოდა, მეც მაგას ვამბობ — თუ გინდა, ჩუმად რატომ ხარ?

„ახალი რუსი“ მეგობარს ეუბნება:

— ბე-ემ-ვე გავაკეთებინე სპეც-შეკვეთით. ძარა პლატინის აქვს, კარები — ბაჯალლო ოქროსი, დისკები — ვერცხლის, საჭე ბრილიანტებითაა განყოფილი.
— მერე, კმაყოფილი ხარ?
— არა, ძალიან ბევრ ბენზინს წვავს!

ავტონისსპექტორმა მანქანა გააჩერა და დაინახა, რომ საჭესთან მისი ყოფილი მასწავლებელი ზის.

— გამარჯობა, ნინო მასწ. აბა, ახლა აიღეთ კალამი, რვეული და ორ-



მოცდაათჯერ დაწერეთ — „მე არა-სოდეს დავარღვევ მოძრაობის წესებს“.

მიხომ ქუჩაში ცხენზე ამხედრებულ კინოვარსკვლავი დაინახა და ინატრა:

— ეჰ, ნეტავი, იმის ცხენად მაქცია!
— ჰკითხე, იქნებ, ვირითაც მოისურვოს სეირნობა... — ურჩია მარომ.



ჭიჭიკვია ძეხვს მიერთმევს. ქვემოდან კატა შეკნავის:

— შე საძაგელო, შენ რომ თავგს დაიჭერ ხოლმე, მაშინ თუ გასხენდები?!

გვიანი ღამეა. ცივა. ლუდის ბარის გვერდით მთვრალი მამაკაცი დგას. გამვლელი ეკითხება:

— აქ რატომ იყინებით? შიგნით მაინც შედით.

— ამ წუთში გამომაგლო ბარმენმა იმისთვის, რომ მის ცოლს ვეარშიყებოდი.

— მაშინ, შინ რატომ არ მიდიხართ?

— ბარმენი დაიმუქრა, ცოლსაც გართ გამოვაგდებო.

— რას შვრები, კაცო, მაგ მსახიობს ცუდი თამაშისთვის დამპალ ვაშლებს ესროდი და ახლა სცენაზე ისმოზ?!
— ორი ვაშლი კიდევ დამრჩა.

ქალაქში ფეხბურთის სათამაშოდ ჩასულმა რაჭველებმა მატჩი წააგეს და თავს იმართლებდნენ:

— წავაგებდით, აბა, რა იქნებოდა! ერთი ავტობუსი ხალხი წავედით და თერთმეტ კაცზე მეტი არ გვათამაშეს.

ქუთაისელი გამვლელს აყჩაღებს:

— ფული, ჩქარა!
— არ გრცხვენია, ბიჭო, სადაა ფული?!

— სულ არა გაქვს, შე კაცო?!
— არც ერთი თეთრი!

— რა ცხოვრება დაგვიდგა, მე ამის დედა ვატირე!.. აბა, შენ ლარინი და გამეიზოგე.

სვანი ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. დილით ნაგვის მანქანამ ჩამოიარა. მენაგვე ყვირის:

— ნაგავი, ნაგავი!
სვანი ცოლს ეკითხება:

— ნაგავი გვაქვს?!
— კი!

— წადი, ძაო, გვეყინა! — გასძახა სვანმა მენაგვეს.

სვანი ბაზრობაზე მანქანას ყიდის:

— მანქანა ახალია? — ეკითხება კლიენტი.

— ახალი! ყველაფერი ახალია — „კუზავო“ ახალია, მოტორი ახალია, „კარობკაც“ ახალია, „პადვესკაც“ ახალია, „რულევი კალონკაც“ ახალია...

— რატომღა ყიდი?
— ახალი მანქანა უნდა ვიყიდო.

ქუთაისში ყურმოკრული ფრაზა:

— რა იყო, ქალო, რაფა დაგილია პირი მონიკა ლევისკვივით.

მაზოხისტის დღიურიდან: „დილიდან საშინლად მტკიოდა კბილი. მერე მანქანის კარში მომყვა ხელი... მოკვლედ, შინაარსიანი დღე იყო“.

ქუთაისელი ქურდები ბანკს ძარცვავენ. ამ დროს, ერთი ქურდი ყვირის:

— რა დებილი პოლიციაა, სიმონ, ამ ქალაქში!

— რა მოხდა, ხომ არ მოდიან?

— მოდიან კი არა, ვილაცებმა ჩვენი ბე-ემ-ვე მოიპარეს!

გონაგონს სავსაჩირო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კასუხები)

1. ბათუმი.
2. ევროპაში მცხოვრები ბოშები.
3. მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე ლევიაშინი.
4. რაინი.
5. ეს სია, პარნასის მთაზე აპოლონთან ერთად მცხოვრები 9 მუზის სახელთა ჩამონათვალია.
6. ამ სპექტაკლში მთავარი გმირი მთელი ხმით გაჰყვიროდა: „ახ, რაია, რაია, ჩემი გულის ცენტრალნაია!“
7. კლეოპატრამ გველს დააკბენნა თავი და ისე მოისწრაფა სიცოცხლე.
8. გერმან გერონგი.
9. ჰერაკლემ იგი ჰაერში აიტაცა და ისე დაასრწო.
10. ამისათვის ფილიპე მაკედონელმა სასწრაფოდ აღადგინა მის მიერვე დანგრეული, დიდი ფილოსოფოსის მშობლიური ქალაქი სტაგირე.
11. აქ ჩამოთვლილი ყველა ადამიანი კოჭლი იყო.



აღიარებულად

უკომენტაროდ



veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-34

გზა ვაჩნაძე

ამერიკიდან დაბრუნებული ნიკა ბერძის ბიზნესსაქმიანობა თბილისში თავიდანვე ძალზე დრამატულად მიმდინარეობს. თბილისის მახლობლად ნაყიდი მიწის ნაკვეთის გამო, სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს ღვიძლი ბიძაშვილი, მოსკოველი ბიზნესმენი ლადო, რომელსაც ამ ბრძოლაში ნიკას უმცროსი ძმა, ირაკლიც შეუერთდება...

დროდადრო, ნიკა გართობისთვისაც იცლის და ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსნის, მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილ თათიკოსთან განცხრომას ეძლევა. ერთ დღეს კი, მისი ფორმის ოფისში პარლამენტარი ნანა მელაძე გამოცხადდება და მალე მათ შორის, მსურვალე რომანი გაჩაღდება...

— აი, ამას ჰქვია ალბათ, „სტრასტი-მორდასტი“, — თქვა თვალდახუჭულმა ნიკამ ყველაფრის შემდეგ.

— შენ კაცი ხარ და ვერასოდეს გაიგებ, რასაც ამ დროს ქალები განვიცდიან, — თქვა ნანამ.

— ვიცი. როგორც ამბობენ: როცა ყურს იჩიჩენის კაცი, რომელს მეტად სიამოვნებს — თითს თუ ყურსო, არა?..

— გაიცინა ნიკამ.

— მაინც ერთმანეთს ჰგავხართ ყველანი... — თქვა ნანამ. — ძალიან გიყვართ ტალახი.

— გეთანხმები, — თქვა ხანმოკლე

ფიქრის შემდეგ ნიკამ.

— აუ, მე კიდევ, როგორ ვეზადებოდი, რომ იცოდე... — თქვა ნანამ.

— ეზადებოდი? — ვერ მიუხვდა ნიკა.

— ჰო, ჯერ თმა დავხვევინე... ვანამე სტილისტი, იმდენი შენიშვნა მივეცი... მერე ტანი ირანული ნელსაცხებლით დავაზელინე. მერე ვარდის ეთერით შეზაგებულ საუნაში ვიჭყუშპალავე და ბოლოს, როგორც ნახე, ბუნებრივი ქარიშხლის წვიმით გავიღვრიქე. შენ რომელს უფრო მეტი გემო ჩაატანე ამ ყველაფრიდან? — ღიმილით მიაშტერდა გაკვირვებულ ნიკას ნანა.

— არა, წარმოადგენა არა მაქვს, მაგ კოქტილის რა გემო ჩავატანე, — თქვა ნიკამ. — მაგრამ ყველაზე მეტად რომ შენი სასწაულებრივი ელვა მაგიჟებს, ეს ნაღდი.

— ელვა? რა ელვა? — ნანა გაკვირვებული წამოჯდა.

— შენ რა, არ იცი, რა ელვაზეა ლაპარაკი?

— არა, — კიდევ უფრო გაუკვირდა ნანას.

— როგორ, ჯერ არავის უთქვამს? არც მე? — გაოცდა ნიკა.

— არა, არა, არა! ჩქარა მითხარი, რა ელვაზეა ლაპარაკი! — ველარ ითმენდა ნანა.

— დაწე! — ხელი მოჰკიდა ნიკამ. ნანა გადანვა.

— რა ელვა და როცა ამთავრებ... აი, აქედან... — ხელი ყელთან დაადო ნიკამ ნანას და ზიგზაგისებურად ქვემოთ დაუყვავა;

გასცდა ორივე ძუძუს და მუცლისკენ ჩააცურა. — ელვა დაგივლის ხოლმე და ბოლოს... — მეორე პარტიზე წავიდა გაცოფებული ნიკა. — ჩემს ასოს მეხი არტყამს, ნამდვილი მეხი... ჰო, გეფიცები — რალაც უცნაური ექსტაზის ტრანსში ვვარდები, უმაღლესი ნეტარების ტრანსში, — და ელვასთან ერთად, თვითონაც დაიკლავა ნანა. „ძინ“ — დაარტყა ნიკას და უმაღლესი ნეტარების ტრანსში ჩავარდნილმა, ისე მოუჭირა ქალის მკვრივ ძუძუს თავს კბილები, რომ ნანას კივილმა იქაურობა გააყრუა.

— აუ, რა კივილი გცოდნია! მიმიქარავს, კაი ძველი ორთქლმავალი, — თქვა შემინებულმა ნიკამ.

— მატკინე! — უთხრა ნანამ. — ელვა... რა საინტერესოა. ახლაც დაგარტყა?

— დამარტყა რომელია?! როგორ დამივლის ხოლმე მეც, იცი?.. როგორც კი შენს ყელთან გაჩნდება, მეც მთლიანად ამაძაგბებს ხოლმე, გეფიცები. სასწაულია.

— რა მაგარი ვინმე ვყოფილვარ. არ ვიცოდი. რატომ აქამდე არავინ მითხრა?

— რამდენს უნდა ეთქვა?.. — შეაპარა ნიკამ.

— ორს და მეტს — არც ერთს... — თქვა ნანამ ცივად. ეწყინა... სწრაფად გადაიცვა. წამოდგა და ტუალეტში გავიდა.

ნიკამ დაინდო და აღარაფერი უთხრა იმის შესახებ, რომ ციფრი „2“ ამ შემთხვევაში, გამორიცხულია. ან — ერთი, ან — ორზე მეტი. ასე ხუმრობენ კაცები, ხუმრობაში კი, ნახევარი — სიმართლეა.

ნიკაც წამოდგა. მსუბუქ, სასიამოვნო დალილობას გრძობდა. მინერალური წყალი დაისხა და ნელი ყლუპებით მოსვა.

ნანა გამოვიდა. ცოტა მონესრიგებულიყო, თუმცა პირველყოფილი ველური სიღამაზე ისევ დაჰკრავდა.

— არ გაინტერესებს შენი პროექტი? — ჰკითხა ნიკამ და მაგიდისკენ მიანიშნა. ნანა მივიდა და გაშლილ ნახაზებს დახედა. ნიკა მიხვდა, რომ მან პროექტის ნაკითხვა იცოდა.

— ეს მხოლოდ არქიტექტურაა. კონსტრუქციებსა და კომუნიკაციებს ევა აჯთებს. ის დარბის ინჟინრებთან, — უთხრა ნიკამ. — ვეცდები, ძვირი არ დაგისვა.


— ყოჩაღ! არ მოველოდი. ქალაღზე ყველაფერი მშვენივრად გაგკეთებია. ბოლოს და ბოლოს, ამ ქონხახებს თუ არავინ შეისყიდის, მთავრობა მიხედავს, ალბათ.

— შენ ამ მთავრობის იმედი გაქვს? — ჰკითხა ნიკამ.

— არა, — თქვა ნანამ. — უკვე აღარ.

— არც შენი თავის? — ჰკითხა ნიკამ.

— ჩემი თავის — მით უმეტეს. თავიდან, დიდი ენთუზიაზმით ვიყავი შეპყრობილი. მერე კი, ვხედავ, რომ ყველაფერი ისევ თვითდინებით მიდის... იცი, ნიკა, პატარა ქვეყანაში ინვესტიციების ჩადება და ბიზნესმენტა მოზიდვა ძნელია. დიდი კორპორაციები აქ არასოდეს შემოვლენ. რა უნდა მოიგონ, „კაპიკები“? რატომ „გაქაჩა“ ჩინეთმა?.. რატომ დაუწყეს რუსებმა ევროპულ ქვეყნებს ერთიერთზე ლაპარაკი?.. დიდ ქვეყნებში



დიდი ფულის კეთება შეიძლება და თუ საინვესტიციო გარემო ნორმალურია, კაპიტალისტიც ნამოვა. ჩვენთან, იმის ნაცვლად, როგორც საკუთარ სისხლს, ისე უფროსნილდებოდნენ, მართო ფულიან ბიზნესმენს კი არა, უბრალო მენარმესაც კი... ნახევარი ქალაქი „დალუქულია“. ეს ხომ სიგიჟეა! პრეზიდენტის რისხვა, გარე თუ შინაურ მტრებზე, საზოგადოებაში აგრესიის მეტს ვერაფერს დაბადებს, ხომ? ჰოდა, ცოლი ქმარს უნდა ებღღვნას, ქმარი — ცოლშვილს და საბოლოოდ, ციხეები ივსება. ციხეები კი, მოგეხსენება, ჯერ კიდევ როდიდან, თავისებურ აკადემიებს წარმოადგენს ქურდებისა და ბანდიტებისთვის... იამაყო იმით, რომ ორჯერ მეტი ხალხი ჩასვი ციხეში, ორჯერ ნაკლებ დროში, ვიდრე წინა პრეზიდენტმა, — ეს გაუგონარი სისულელეა, თუ ნამდვილი სიგიჟე არა. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, დანაშაულიც პირდაპირპროპორციულად მატულობს: ციხეში დამწყები დანაშავე შედის და იქიდან განწვრთნილი რეციდივისტი ევლინება ქვეყანას.

— და რატომ არ იტყვი მაგ ყველაფერს სახალხოდ, თუნდაც, ტელევიზიით? — ჰკითხა ნიკამ.

— იმიტომ, რომ ორი ყური აქვთ... წინა პრეზიდენტსაც ორი ყური ჰქონდა და ამასაც მოკლედ, სანამ ცალყურა პრეზიდენტს არ ავირჩევთ, არაფერი გვეშველება.

ორივეს გაეცინა.

— წამოხვალ ჩემთან ერთად? რამე მინდა გაჩუქო, სამახსოვროდ, — უთხრა ნანამ.

— ახლავე? — გაუკვირდა ნიკას.

— არა, საღამოს. ასე, რვისთვის გამოგვლი.

ნიკა დათანხმდა. ნანამაც ჰაეროვანი კოცნა „მიუგდო“ და კარი გაიკეტა.

ირაკლი ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ ქალაქის შიგ შუაგულში ასეთი თანამედროვე, თანაც ამხელა სასროლეი იქნებოდა. მინის ქვეშ ლამის მთელი ქალაქი აეგოთ. ლაბირინთული სისტემა, რომლითაც სასროლეი იყო დაქსელილი, საშუალებას იძლეოდა, იქ მყოფთ ერთმანეთი ვერ დაენახათ.

როცა ლადომ დაურეკა და მერიის წინ პაემანი დაუნიშნა — უნდა წამოხვიდე, სროლაში გაგავარჯიშოო, — ხელის ფრჩხილებიდან რომ დაუარა დენმა, ფეხებიდან მინაში გაატანა. პირი უარის სათქმელად დაალო და — კაი, მოვდივარო, — არ წამოსცდა?! წამოსცდა, თუ თავს ასე აჯერებდა, თვითონაც არ იცოდა...

როცა ლადომ რევოლვერი მიაწოდა, სამინლად ემძიმა. დამიზნება კი არა, ხელის გატოვებაც კი გაუშნელდა, ეგონა, ზურგში ხანჯალი ჰქონდა გაყრილი და თუ შეტოკდებოდა, პირიდან სისხლს ამოანთხევდა.

— მიყურე, — უთხრა ლადომ. — ასე, გაშლილი ხელით გიჭირავს, ხომ? გაშალე ხელი, ბიჭო, თორემ გაგიშალე ლოყაში! რა დაგემართა? — და ლადომ ირაკლის ფეხებთან დაიხედა: — მშრალია თუ უარესი გჭირს, ბიჭო, რამე? აბები ხომ არ გინდა, გულის? თუ „სასწრაფოს“ დაფუძახო, ჰა? ირაკლიმ ღრმად ამოსუნთქა და

როგორც იქნა, რევოლვერი ასწია.

— შენ რა, პირველად გიჭირავს ხელში იარაღი? იქნებ, თოფიც არ გჭერია არასდროს?

— არ მჭერია. რად მინდოდა?! — ალაღად თქვა ირაკლიმ.

— როგორ, სკოლაში სამხედრო საქმეს არ გადიოდით? — გაუკვირდა ლადოს.

— არა. სამხედროს მაგიერ, ყვავილების მოვლას გვასწავლიდნენ.

— რატომ? მებაღე იყო თქვენი დირექტორი? — იხუმრა ლადომ.

— მებაღე არ იყო, მაგრამ არც ნაკლები.

— როგორ — არც ნაკლები?

— ბალერინა იყო. ოპერაშიც უცეკვია ერთ დროს.

— რაო? ყვავილები... ბალერინა... აბა, ძმაო, შენგან კილერი კი არა, დიდი-დიდი, პოეტი გამოვიდეს...

ლადოს ჯერ სიტყვები არ ჩაემთავრებინა, რომ ირაკლის თითი გამოეკრა სასხლეტზე და მთელი მჭიდი ჩაეცალა.

— რა ქენი, ბიჭო, ე-ე?! მაცალე, დაგარიგო, გასწავლო! — უსაყვედურა ლადომ.

— რა ვიცი, გამომეკრა... ყველა ერთად რატომ გავარდა?! — იკითხა გაკვირვებულმა ირაკლიმ.

— იმიტომ, რომ „ადინოჩკაზე“ უნდა გადაგვეყვანა, — უთხრა ლადომ.

— როგორ? — პირდაპირ ლადოსკენ მიაბრუნა იარაღი ირაკლიმ.

ლადოს მინისფერი დაედო.

— რას შერებ, ბიჭო?! — დაუღრიალა მან ირაკლის. — რომ მიშვერ ამ ლულას, მკლა-ავ?!!

— ხომ ცარიელია.

— აუ, გამაგიჟებ შენ მე, მომკლავ შენ მე! მომარტყამ, ასიანი! — ცოტა ფერი მოუვიცა ლადოს. — დაიმხსოვრე: მართლა ცარიელიც რომ იყოს და მილიონშიც რომ იყო დარწმუნებული, რომ ცარიელია, მაინც, ან დაბლა უნდა გეჭიროს ეს ლულა, ან — მაღლა. ცოცხალ ადამიანს არც ერთ ვარიანტში არ უნდა მიუშვირო, გაიგე? თუ მოკვლას არ უპირებ... — დააყოლა ლადომ.

— კარგი, — უპასუხა ირაკლიმ. — ახლა რა ვქნა?

— ამოიღე ეგ ცარიელი მჭიდი. რომ დაცხრილე ჰაერი... — უკარნახა ლადომ.

— ვა. ვერც ერთი ვერ მოვარტყვი?! — ირაკლიმ დაჟინებული უმზერდა სამიზნეს.

— მოვარტყვი კი არა... ასე რომ სვედებოდეს, ნახევარი საქართველო მინაში ინგებოდა. ნახევარი კი წევს, უფრო მეტი... — თქვა ლადომ და კედელზე რომელიღაც ლილავს მიაჭირა. სამიზნე ლიანდაგზე გამოსრიალდა და თეჯირთან მოვიდა. ფურცელი სუფთა იყო. — სუფთაა... ხომ დარწმუნდით? — თქვა ლადომ და სამიზნე ადგილზე დააბრუნა. — ამოაქვრე მჭიდი. ჰო, მასე. ჩაალაგე ტყვიები... ნუ ჩქარობ, ომში ხომ არა ვართ.

— ჩემთვის ესეც ომია... — თქვა ირაკ-



ლიმ.

— რა? ბიჭო, თუ ტრაკი არა გაქვს, მირჩევია, ახლავე მითხრა. ეს ტირი შენ მუქთა ხომ არ გგონია?! 100 დოლარს ვისდი, ძმაო, საათში! ისიც — შინაურულად, თორემ, 300 ლირს ისე. მუქთი გეგონა, შენ, აქ რომ ვდგავართ?

— მასროლინე! — თქვა ირაკლიმ.

— კაი. გადაიყვანე „ადინოჩკაზე“. ჰო, მასე. გაშალე ხელი! აიყვანე „მუშკაზე“. „მუშკა“, ჭრილი და ათიანი; ხომ იცი, რომელიცაა ათიანი, თუ ეგეც არ იცი?.. ეს სამივე ერთ ხაზზე უნდა დასვა. არა, მასე არა, მასე შენ კი არა, სნაიპერი ვერ დასვამს. მაღლიდან უნდა ჩამოაყოლო ძალიან ნელა და რომ გასწორდება ყველაფერი, ნელა უნდა გამოჰკრა სასხლეტს, რომ არ გაგიტოვდეს. აბა, „დავია!“

უმაყურო რევოლვერის ხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ორივეს აუნთილა ყურები.

— მოვარტყვი? — იკითხა ირაკლიმ.

ლადომ სამიზნე თეჯირთან მიახლოვდა. ფურცელი სუფთა იყო.

— მეტი არაა ჩემი მტერი!.. — ჩაიბურტლუნა ლადომ. — არა, ძმაო, შენგან პოეტი თუ გამოვა, ისიც დიდი ამბავი იქნება.

— რატომ ვერ მოვარტყვი? — მაგრად გაუკვირდა ირაკლის. თავიდან დაუნყო, უკან გაქცეულ სამიზნეს დამიზნება. და უეცრად თვალბს არ დაუჯერა: რგოლიდან, განცვიფრებული ნიკას თვალები უმზერდა... ირაკლიმ რევოლვერიანი ხელი გაუქნია — მირაჟის გაფანტვა სცადა.

— ა, ბალეტის ცეკვა დაინყო, მგონი... — ხელი ჩაიქნია ლადომ.

„უნდა ვესროლო, რაც არის — არის!“ გაიფიქრა ირაკლიმ და სასხლეტს გამოჰკრა თითი. გასროლამდე, თვალები მაინც დაეხუჭა.

როცა სამიზნე მოსრიალდა და წრის შიდა მხარე ისევე სუფთა იყო, ირაკლის მაგრად „გაუტყდა“.

— ჩემი დედა!.. — თქვა მან.

— მოიცა, მოიცა... აი, სადაა მორტმული! — და ლადომ ფურცლის ნაპირას, მარცხენა ზედა კუთხეში ტყვიის კვალი აღმოაჩინა.

— ვა! — მაგრად გაუკვირდა ირაკლის.

— ყოჩაღ, მოგირტყამს, ბიჭო! აბა, მიდი, მიდი! — შეაქო ლადომ ირაკლი და სამიზნე უკან გაასრიალა.

ფურცლიდან კი, ნიკას თვალები უფრო გაკვირებული უმზერდნენ ირაკლის, ვიდრე წინა სროლისას.

ირაკლიმ აღარ დახუჭა თვალები...

ნანამ რვაზე მართლაც, მოაკითხა. ნიკა მანქანაში ჩაჯდა და იკითხა.

— სად მივდივართ?

— მივალთ და ნახავ.

მანქანა სოლოლაკში, ერთ-ერთ იტალიურ ეზოში შევიდა და რკინისმოაჯირიან კიბესთან გაჩერდა.

— მესამეზე უნდა ავიდეთ, — თქვა ნანამ და ორივენი ვინრო რკინის კიბეს აუყენენ. ნანა წინ მიდიოდა.

— კიბეზე წინ კაცი ადის, — შენიშვნა მისცა ნიკამ.

— გაიარე, — უთხრა ნანამ და გაჩერდა.

ნიკამ ფეხი ერთ საფეხურზე შედგა და მხრით, კიბის სივინროვის გამო, ძალაუნებურად, ნანას ძუძუს გაეხახუნა. ქალს ახედა. ნანა გამოძვლელად უყურებდა თვალებში. კიბეზე საკმაოდ ბნელოდა. სიჩუმეში სადღაც შორიდან მუსიკის ხმა მოდიოდა. ერთს ვაკოცებო, გაიფიქრა ნიკამ და ნანას მსხვილ ტუჩებს დაეკონა. ნანა მინებდა. ჩანთიანი ხელი ჩამოუვარდა და ორივე ძუძუ ნიკას მკერდს მიაგლისა. ნიკას სისხლი თავში აუვარდა. ღონივრად მოჰკიდა ხელი, შემოატრიალა და გადაზნექა. ეს ნამდვილი სიგრიე იყო, მაგრამ ხდება ალბათ... შეყვარებულებს ვიღაც იცხარავს, — ნათქვამია და გადარჩინე: უკვე ბოლოში იყვნენ გასულები, როცა კიბე შეტოვდა და ქვემოთ, საფეხურებზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა... მოასწრეს, მორჩინე. ფართხაფურთხით აინიეს, შეიკრეს და გიჟებივით აცვივდნენ მესამე სართულზე...

— ესენი ტყუბები არიან, — გააცნო ნანამ ნიკას ძმები. — ქალბატონ ელენე კუჟერაძის ვაჟები.

— ა-ა, — წამოსცდა ნიკას, ცნობილი მხატვარი ქალის სახელის სხენებზე.

— ეს კი, ნიკა ბერიძე გახლავთ, არქიტექტორი. ახლახან ჩამობრძანდა ამერიკიდან, — წარუდგინა ნანამ ბიჭებს ნიკა.

— მობრძანდით, მობრძანდით, — შეიპატიჟეს სტუმრები ძმებმა. თუმცა, დიდი ენთუზიზმშიც არ გამოუსატყვეო.

სახლი ნახატებით იყო გადატენილი. ყველა ოთახში, ჭერიდან იატაკამდე, სურათები ეკიდა. შავი ფონი და ლაქლაქა წითელი ფერი ჭარბობდა. დიდ ოთახში რამდენიმე მოლბერტი იდგა, სამუშაო მდგომარეობაში. მაგიდაზე კი, საღებავები იყო მიმოფანტული.

— სახელოსნო გაკვიდეთ და ახლა, სახელოსნოც ეს ბინა და საგამოყენო დარბაზიც, — თქვა ერთ-ერთმა ტყუპისცალმა.

ხელოვნური ბუხრის წინ დადგმულ ტაბლას ახალგაზრდები შემოსხდომოდნენ. ორი ჩაცმული ვაჟი და ერთიც — მთლად დედამშობილა, ასე, ოციოდე წლის გოგონა, რომელსაც სტუმრების დანახვებზე წარბიც არ შერხევია. სუფრაზე ორი გახსნილი შამპანური და დამტვრეული შოკოლადის ფილა იდო. ორივე ვაჟი წამოდგა და ახალშემოსწრებულ სტუმრებს მიესალმა.



გოგონა არ განძრეულა..

— მობრძანდით, — მიიპატიჟეს ბიჭებმა ნანა და ნიკა ტაბლასთან.

— სიამოვნებით, — თქვა ნანამ. — მოდი, ნიკა, — და ისინიც ტაბლას მიუსხდნენ.

— ჩვენ დღევანდელ ხელოვნებაზე ვსაუბრობთ. თუ გაინტერესებთ, თქვენც შემოგვიერთდით, — თქვა ერთ-ერთმა ვაჟმა.

— რომელიც სულს ღაფავს? — იკითხა ნანამ.

— ჰო, რაც არის... — თქვა მეორე ვაჟმა. მხატვრის ტყუპიც იქვე, შემადლებულ იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე ჩამოჯდა. „რა დაბნელებული სახეები აქვთ, ალბათ — ალკოჰოლის გამო“, გაიფიქრა ნიკამ ტყუპ ძმაზე.

— აი, ჩვენ ვკამათობთ, ვინ არის ჩვენი დროის ყველაზე დიდი ხელოვანი, — თქვა იმავე ვაჟმა, რომელმაც პირველად დაინყო საუბარი.

— თქვენ თვითონ? — ჰკითხა ნანამ.

— ჩვენ ფერმწერები ვართ ორივენი, — თქვა მეორე ვაჟმა.

— ეს მოქანდაკეა, მე — ფერმწერი, — თქვა ერთ-ერთმა ტყუპისცალმა.

— მე ამწუთას ნატურა ვარ და ისე — მსახიობი, — თქვა გოგონამ.

— აქ ფულს ვუხდით და სცენაზე, ერთუზიანობაზე თამაშობს, — თქვა პირველმა ვაჟმა.

— ვისზე ფიქრობთ, ვინ არის ყველაზე დიდი ხელოვანი? — იკითხა ნანამ და შამპანური მოსუვა. — სადღეგრძელოებს არ ვამბობთ? — მოაგონდა ნანას.

— არა, არა... რა გვედღეგრძელება?! თქვენ თუ გინდათ, თქვით, — უპასუხა პირველმა ვაჟმა. ტყუპი ჩუმად იყო, თითქოს იქ რაც ხდებოდა, მათ არც ეხებოდათ.

— არა, რა სადღეგრძელო?! — თქვა ნანამ და ბიჭებს მიაჩერდა.

— ეს ამბობს — რობერტ სტურუაო, ეს — ბერძენიშვილიო, ეს — ყანჩელიო...

— ეგ — ძველები და აბა, ახლებს ჰკითხეთ? — ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ტყუპისცალმა.

— ახლები კიდე, თქვენ ხართ, — გაეცინა ნიკას. — გკითხოთ? — ყველა გაჩუმდა. — მე ერთი რამე ვიცი: საქართველოში,

ნებისმიერ ხელოვანს თუ შემოქმედს, დიდსაც და პატარასაც (წლოვანებას ვგულისხმობ) — ყველას საკუთარი თავი ჰგონია ყველაზე დიდი ხელოვანი. ისევე, როგორც მე, — თქვა ნიკამ და მსმენელებს შეხედა.

— ზუსტია, — გაეცინა გოგონას და წელში გასწორდა.

„ვაშლის ძუძუები აქვს“, — გაიფიქრა ნიკამ.

— როგორც ჭკუაზე ამბობენ, — ჩაერია ერთ-ერთი ტყუპისცალი, — ყველაზე ჭკვიანი ყველას საკუთარი თავი ჰგონიაო.

— აი, თქვენ როგორ ფიქრობთ თქვენს თავზე, როგორი მხატვარი ხართ? — ჰკითხა ნანამ პირველ ვაჟს.

— მე? მე მოვლენა ვარ... — თქვა ბიჭმა და გაიცინა.

— ჰო, ჰო... ასე ფიქრობს მართლაც, თავის თავზე, — დაუდასტურა მეორემ.

გოგონა წამოდგა. მაღალი ჩამოთლილი ფეხები, ვინრო წელი და მშვენიერი მკერდი ჰქონდა. თუმცა, არც ერთ იქ მყოფ ვაჟში, ნიკას ჩათვლით, როგორც ასეთ შემთხვევებში, არავითარ ემოციას არ იწვევდა.

„ალბათ ნარევია“, — გაიფიქრა ქალის ტანის ასეთი სრულყოფილების გამო ნიკამ.

— მე კი, ყველაზე მაგარი ნატურა ვარ მთელი დედამინის ზურგზე, — თქვა გოგონამ და ტყუპისკენ დაიხარა, რომ სიგარეტი მოეკიდებინა... და რატომღაც, ქვემოდან თვალი ნიკასკენ გააპარა, რაც ნიკას შემუმჩნეველი არ დარჩენია. და არც ნანას, რომელიც გოგონას ამ მოქმედებამ რატომღაც, ძალიან გააკვირვა. თუმცა, ეს პატარა ეჭვი მამინევი თავიდან ამოიგდო.

— მე თქვენ ტელევიზორში გნახეთ, — უთხრა მეორე ვაჟმა ნიკას. — მგონი, სამშენებლო კომპანია გაქვთ, ხომ?

— აკი არქიტექტორიაო?! — თითქოს წამოსცდა გოგონას.

ნიკა წამოდგა და იმ მოლბერტთან მივიდა, რომელზეც სუფთა ფურცელი იყო გაკრული.

— რა ხანია, არაფერი დამიხატავს!.. — თქვა ნიკამ და გოგონას დააკვირდა. ასეთი გამიზნული დაკვირება მხატვრებს ახასიათებთ. გოგონა მიხვდა, რომ ნიკა მის დახატვას აპირებდა. ყელი ლამაზად მოიღერა და ღმილით წარმოთქვა:

— მე ძალიან ძვირი ვღირვარ. წუთი... — წამით გაჩუმდა, არ იცოდა, რამდენი ეთქვა.

— წუთი — 10 დოლარი, — უეცრად დასერიოზულდა გოგონა.

— ძალიან კარგი, — თქვა ნიკამ და სუფთა ფურცელზე კონტური მოხაზა.

— ქალი სიგარეტით ხელში, — ჩაილაპარაკა მან და ხატვა განაგრძო.

ბიჭებს ელიმებოდათ. ნანას კი, რალაც შეშურდა და მკაცრი სახე გაუხდა.

— მაგდა სიგარეტით ხელში, — უკარნახა გოგონამ თავისი სახელი ნიკას.

— მაგდა, — ირონიულად წამოსცდა ნანას და ყალბად გაიღიმა. მერე კი, ერთ-ერთ ტყუპისცალს გადაუჩურჩულა: — რალა ეს „კრასოტკა“ დამახვედრეთ! სხვა ვერაფერი გამოთხარეთ?! ან — ასე დედიშობილა?! ნიფხავი მაინც ამოგეცვათ!

— არა, მასე უფრო ალაგზნებდა.
 — ეს იმიტომ ავიყვანეთ, რომ სხვები ბევრად მეტს ითხოვენ სიმშველემი.
 — მზად არის, — დასვა წერტილი ნიკამ და საათზე დაიხედა. — ზუსტად 5 წუთი. — მაგდასკენ წავიდა. ჯიბიდან ორმოცდაათ-დოლარიანი ამოიღო და გაუწოდა: — ორ-მოცდაათი დოლარი, ხომ?
 — რას ამბობთ?! — ნამოხტენე იატაკი-დან ძმები. მაგდამ კი, ისეთი სისწრაფით ამოაძრო ნიკას თითებიდან ფული, რომ ნიკას გემრიელად გაეცინა.
 — თქვენ ვინ გკითხავთ?! — გაეფგვიმა შიშველი მკერდით ბიჭებს მაგდა. — რა თქვენი საქმეა?! — და ფული ზურგს უკან წაიღო, რომ ბიჭებს არ წაერთმიათ.
 — სირცხვილია! — ნამოსცდა ერთ-ერთს.
 — ნუ მასწავლით! — თქვა გოგონამ და ყელი მოიღერა. — ეგ ჩვენ ვიცით. ხომ ასეა? — შეეკითხა ის ნიკას.
 — კი, კი, რა თქმა უნდა, — ხელები ასწია ნიკამ და ბიჭები განაიარაღა.
 — ჰოდა, ვეიფობთ, — თქვა მაგდამ და ფული ტაბლასთან მჯდომ ბიჭებს დაუგდო.
 — „დავია“ და ამოიტანეთ, რაც გაგიხ-არდებათ. ამ წყალწყალა შამპანურს რომ წრუპავთ მშიერ კუჭზე.
 ბიჭები ნამოიზღაზნენ.
 — ჩავიდეთ, — თქვა პირველმა. ფული აიღო და გავიდნენ.
 — ჩვენი ვიზიტი?.. რატომ მოვედით, არ განიტერესებთ? — შეეკითხა ნანა ტყუპს.
 — კი, რა თქმა უნდა, — უხალისოდ უპასუხა ერთ-ერთმა.
 — რა ხდება? — იკითხა ნიკამ.
 — რა ხდება? — ვერ მიუხვდა ნანა.
 — არავის აინტერესებს, რა დაესაბტე? — იკითხა ნიკამ.
 — ვაი! — ნამოიძახა მაგდამ და მოლ-ბერტისკენ გაიქცა. — ღმერთო, რა ლამაზი ვარ! — აღმოხდა იმწამსვე, როგორც კი ნახატს დახედა. მოტრიალდა, ნიკასკენ გამოიქცა, მისწვდა და ლოყაზე აკოცა. ის ჯერ-აც მთლად შიშველი იყო...
 — ე, ე! — აღმოხდა ნანას.
 ტყუბი მოლბერტთან მივიდა.
 — პიკასოა, რა...
 — კარგია...
 — კარგი კი არა, გადასარეგია, — თქვა მაგდამ.
 ნიკამ ჯიბიდან „ვიზიტკა“ ამოიღო და მაგდას გაუწოდა.
 — დამირეკე.
 მაგდამ „ვიზიტკას აკოცა. ჯიბეში ჩადე-ბას აპირებდა, მაგრამ მთლად შიშველი იყო. ნანამ თვალები მოწკურა.
 — ნახატი მინდა ვიყიდო, — თქვა მან.
 — ნახატი? — გამოცოცხლდნენ ძმები.
 — დედაჩემის? — იკითხა ერთ-ერთმა.
 — ახლავ გამოგიტანთ.
 — მე თვითონ შევარჩევ, — თქვა ნანამ.
 — მაშინ, ვერ დავაკლებ... — თქვა იმავემ.
 ნანამ ნახატების თვალიერება და შეფასე-ბა დაიწყო.
 — ეს? — შეჩერდა ერთ-ერთ ნახატთან.
 ნანამ მყიდველის იშვიათი უნარი გამო-ამჟღავნა. 3 ათასდოლარიანი ნახატი ბო-ლოს, სულ რაღაც 400 დოლარად

„დაითრია“. ნიკას კი, კიდევ ერთხელ „გაუ-ტყდა“ ნანაზე: ნახატზე ოთხი ცხენი იყო დახატული, დაძმებვით მიედოთ ერთმანეთ-ისთვის თავები და სევდიანად იმზირებოდ-ნენ...
 — ეს, 3 ათასი კი არა, სამჯერ 10 ათა-სიც ღირს, ალბათ, — თქვა ნანამ, როცა ნამოვიდნენ. — რა ქნან, უჭირთ და მთელ მემკვიდრეობას ჩალის ფასად ყრიან.
 „როგორც ჩვენი მთავრობა“, — გაიფიქრა ნიკამ. აი, თურმე, რატომ ჰქონდათ ძმებს დაბეჭავებული სახეები! სინანულის გამო, ალ-ბათ, ასეთ სიმდიდრეს რომ აწივებენ. „ოდესმე უკან დაუბრუნებ“, — გაიფიქრა ნიკამ, როცა ნანას საჩუქარი გამოართვა. და მერეც, დიდხ-ანს ახსოვდა „ლარიბი მილიონერების“ მონ-ყენილი სახეები.
 — ნიკა, შენ ეგ სამგროშიანი ნატურაც ლოგინში გინდა ჩაიგორო?.. — დამშვიდო-ბებისას მანაც ჰკითხა ნანამ.
 „რატომაც არა?!“ — გაიფიქრა ნიკამ. მაგრამ იმას, რაც შემდგომში ელოდა, ვე-რაფრით წარმოიდგენდა.
 შინ რომ მივიდა, საკმაოდ უცნაური სცენა დახვდა. თაზო მისაღებში იატაკზე გულალ-მა გამსლართულიყო და ხელისგულებით თვალებს იფარავდა. გვერდით კი, მისი ყა-ვარჯენი ეგდო. ნიკას გული გაუსკდა: რეზი ხომ არ ამოვიდა და მოკლეს ეს საცოდავიო? — მაგრამ რომ დაინახა, თაზომ ცალი თვალით გამოიჩქიტა, ამოისუნთქა.
 — შენ რა, იატაკებს ასუფთავებ? — ჰკითხა ნიკამ თაზოს.
 — არა. მოკლული ვარ, — უპასუხა თა-ზომ. — „ომობანას“ ვთამაშობთ.
 — მამაჩემთან ერთად? — ჰკითხა ნიკამ.
 — ჰო. მე უკვე მომკლა და ახლა ელისოს დასდევს მოსაკლავად, — უპასუხა თაზომ.
 — ბუჰ, ბუჰ, მოგვალი, მოგვალი, მოკ-ლული ხარ!.. — სოლომონის ხმა ნიკას ოთახიდან გამოდიოდა. მალე თვითონ სო-ლომონიც გამოვარდა იქიდან. — გავიმარ-ჯვე, გავიმარჯვე, ორივენი მოგვალით!
 — უფეროსია, უფეროსი, ვერ დამალუ-ლი არ ვიყავი!.. — ყვიროდა იქიდან გამო-სული ელისოც.
 ნიკა თავის მწ წლის გატუტუტებულ ბე-ბიას მიაშტერდა.
 — რა ვქნა, შვილო, გადამრიეს მეც, დათვრენ ორივენი და გინდა თუ არა, „ომობანა“ უნდა გვეთამაშო, — თავი იმა-რთლა ელისომ.
 — თავიდან დავიწყით, რა! ვითამაშოთ, რა! — ადგილზე ხტუნავდა და ტაშს უკრავ-და სოლომონი.
 — სოლო, რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა მამას ნიკამ.
 სოლომონმა 3 თითი უჩვენა.
 — აი ამდენის.
 — ჯერ თვლა არ გისწავლია? — ჰკითხა ნიკამ.
 — ორამდე ვიცო, — ორი თითი უჩვენა სოლომონმა.
 — არა, ეს ნაღდად გვაგიუებს ყველას! — თქვა ნიკამ და ელისოს მიუბრუნდა. — ავი, მთვრალიაო?!
 — რა ვიცო, შვილო, სვამდნენ და იმას მაგრად ეტყობა და ამას თითქოს არაფერი

დაუღევიო.
 — მაშ, ტყუილად არ უტრიაბახია, 5 ლი-ტრას ვცლიო, — თქვა ნიკამ და თავისთვის ჩაილაპარაკა: — სად გინდა, ნახვიდე?!
 — ფეხი არ მტკიოდეს და მე ვიცო, სადაც ნაგიყვანდი, — თქვა „მოკლულმა“ თაზომ.
 — არა, თავს უნდა ვუშველო, — ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა ნიკამ. სამზარეუ-ლოში შევიდა, სვამზე ჩამოჯდა და გააბო-ლა. თაზოც შექანდა და თავისი ყავარჯენით წინ ნამოუსკუპდა.
 — „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“... — ნამოი-წყო თაზომ.
 — კაი, თუ ძმა ხარ! — ხელები გაასასვავა ნიკამ.
 — შენ არ ამბობდი, გამოუვალი მდგო-მარეობა არ არსებობსო? — მიაჩერდა თაზო.
 — როგორც ჩანს, ეგ საქართველოს არ ეხება... — თქვა ნიკამ.
 — რაზე ხარ ჩაბოლმილი? — შეეკითხა თაზო.
 — არ ვიცი... ნინათგრძნობა მაქვს რაღაც, საზიზღარი...
 — მარტო ეგ?! — თვალები გაუფარ-თოვდა თაზოს. — დაიკიდე, მერე, მაგაზე ადვილი რა არის?!
 — დაიკიდე — კარგია! იცი, რამდენ მილიონზეა ლაპარაკი?
 ამის თქმა იყო და ანიმ დარეკა. ჩქარა, ტელევიზორი ჩართეთ და უყურეთო.
 ჩართეს. ახალი ამბები მიდიოდა. ხვალ პარლამენტის სხდომაზე უკანონოდ შესყიდ-ული მიწების თაობაზე ახალი დადგენილება უნდა მიიღოს პარლამენტმა; კონსტიტუცია-ში ცვლილებების შეტანის თაობაზეც იქნება საუბარიო, — ამცნო მაყურებელს დიქტორმა.
 ...ნიკა უმცროსი ძმისა და ბიძაშვილის სანახავად წავიდა.



გაგრძელება შემდეგ ნომერში



ყოლო

ყოლო უძველესი დროიდანაა ცნობილი, როგორც სიცხის დამწვევი და ოფლმდენი საშუალება. ამიტომ იგი შეუცვლელია გაცივებისა და ცხელების დროს. გარდა ამისა, ყოლო დადებითად მოქმედებს თვალს და ვადებების, ცხვირიდან სისხლდენის, გაძლიერებული მენსტრუაციული სისხლდენის, თირკმლისა და შარდის ბუშტის დაავადებების, ღრძილებიდან სისხლდენის დროს. ყოლო კანს რბილსა და ელასტიკურს ხდის, თმას კი ბრწყინვალე ელფერს მატებს. ამ სამკურნალო თვისებებს ყოლოში შემავალი ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები: C ვიტამინი, A პროვითამინი, რუტინი, კალიუმი, მანგანუმი, ფოსფორი, სპილენძი, კალციუმი, მაგნიუმი და რკინა განაპირობებს. ეს კენკრა განსაკუთრებით მდიდარია ბიოტინით. ამ B ვიტამინის ვიტამინის ხშირად „სილამაზის ვიტამინსაც“ უწოდებენ. მართლაც, თუ გსურთ, კანსა და თმას სილამაზე დაუბრუნოთ, საკმარისია, რამდენიმე დღის განმავლობაში რეგულარულად მიირთვათ ახალმოკრეფილი ყოლო და გაიკეთოთ ნიღბები მისი ნაყოფისაგან.

ბალრის ექივები

ზაფხულში ბევრი სილი და კენკრა მწიფდება. მათგან მურაბებს ხარშავენ. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ნუგბარის მომზადების გარდა, ბუნებისგან ბოძებული სიმდიდრე სამკურნალოდაც შეიძლება გამოვიყენოთ.



მოცხარი

შავი მოცხარი საკმაოდ ღირებული კენკრაა. განსაკუთრებით ეფექტურია ახალმოკრეფილი მოცხარი. ვიტამინების გარდა, იგი შეიცავს ფიტონციდებს, რომლებიც ანადგურებს ვირუსებს, მათ შორის — გრიპის ვირუსს. შავი მოცხარი დადებითად მოქმედებს სისხლნარმოქმნის პროცესებზე, ასტიმულირებს ნაღვლის



გამოყოფას, განტვირთავს ღვიძლს. მას იყენებენ სისხლნაკლებობის — ანემიის, კუჭის წყლულის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს. მოცხარი აუმჯობესებს გულის ფუნქციას, კუნთოვან ტონუსს, ამშვიდებს ნერვებს, წარმოადგენს მატონიზებელ საშუალებას.

ხურტკემელი

ზოგჯერ უმნიშვარ ხურტკემელს მოწყვეტენ ბუჩქიდან, არადა, სულ ტყუილად, რადგან კენკრა თავის კვებით ღირებულებას სიმნიფის ბოლო პერიოდში იძენს. ხურტკემელს აქვს იშვიათი უნარი, გაათავისუფლოს ორგანიზმი მიიმე მეთალებისაგან. იგი წმენდს ნაწლავებს ნიღბებისგან. განსაკუთრებით სასარგებლოა ხურტკემელი სუსტი არტეროზისა და ვენების მქონეთათვის, ათეროსკლეროზის, კაპილარული სისხლჩაქცევების დროს. ხურტკემელით მკურნალობის ერთგვირიანი კურსი საგრძობლად აუმჯობესებს სისხლძარღვთა კედლების მდგომარეობას და ხელს უწყობს შედგომში მათ ფუნქციონირებას. კანის გასათეთრებლად და კვებისთვის რეკომენდებულია 10-15 დღის განმავლობაში ყოველდღიურად იკეთოთ დაჭყლეტილი კენკრის ნიღბი სახეზე (15-20 წუთი).

B ჰეპატიტი — გარდა გამარჯვების იმედი

პირველად შეიქმნა პრეპარატი, რომელიც თრგუნავს B ჰეპატიტის ვირუსის გამრავლებას. ამ სიხლის მთავარი სიკეთე ის არის, რომ ვირუსი ვერ გამოიმუშავებს პრეპარატისადმი მდგრადობას.

ცნობილია, რომ B ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის მკურნალობა რთულია: ორგანიზმში მოხვედრილი ვირუსის გამოდევნა შეუძლებელია. მისი დამლუპველი მოქმედების შედეგი კი შთამბეჭდავია: ციროზი, ღვიძლის კიბო, ღვიძლის უკმარისობა. მაგრამ თუ შევძლებთ ვირუსის დათრგუნვას, 15-წლიანი ინფექციური პროცესის განმავლობაში განვითარებული, ღვიძლის ფიბროზი (შემაერთებული ქსოვილის სწრაფი განვითარება) 2 წელიწადში გაქრება. ამისათვის უამრავი პრეპარატი არსებობს, მაგრამ რადგანაც მკურნალობა ხანგრძლივად და საჭირო, ვირუსის ასწრებს პრეპარატისადმი მდგრადობის გამოიმუშავებას და წამალი აღარ შველის.

ღვიძლის შემსწავლელი ევროპული ასოციაციის 41-

კონფერენციაზე, რომელიც ვენაში ჩატარდა, განაცხადეს, რომ აღინიშნება მნიშვნელოვანი წინსვლა B ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებათა ძიების საქმეში. ერთ-ერთმა მსხვილმა ფარმაცევტულმა კომპანიამ — Bristol-Miers-Squib — წარმოადგინა ახალი თაობის ანტივირუსული პრეპარატის — ენტეკავირის კლინიკური კვლევის შედეგები. პრეპარატი შექმნილია გენური ინჟინერიის საფუძველზე და შეუქმლია „მოატყუოს“ ვირუსი — ჩაერთვება ვირუსის გენომში და ხელს უშლის მის გამრავლებას. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ



ვირუსი არ იძენს პრეპარატისადმი მდგრადობას მკურნალობის 96-ე კვირაზეც კი. ამ დროს, მკურნალობის შედეგად, ორგანიზმის ვირუსული დატვირთვა უსაფრთხო ზღვრამდე მცირდება, ავადმყოფის თვითშეგრძნება უმჯობესდება, დაავადება აღარ არის გადამდები. ეს მონაცემები გამოჯანმრთელების იმედს აძლევს მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში.

როდის და როგორ მივიღოთ გააქტიურებული ნახშირი

უხსოვარი დროიდან სამკურნალო მიზნით ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვაგვარი სორბენტი — ნივთიერებები, რომლებსაც შეუძლია, შთანთქმას ტოქსინები (შხამები) და გაზები საკუთარ ზედაპირზე შეკავების გზით. ერთ-ერთი ყველაზე „ხალხური“ სორბენტია ხის (გააქტიურებული) ნახშირი.

ნახშირის ფხვნილის მიღება კარგ შედეგს იძლეოდა საკვებით მონამვლის, მძიმე მეტალებით ინტოქსიკაციის, აგრეთვე, მძიმე ინფექციური დაავადებების (დიზენტერიის, ქოლერის, მუცლის ტიფის) დროს. გარდა ამისა, ნახშირი დადებითად მოქმედებდა ქრონიკული გასტრიტის, გახანგრძლივებული კოლიტის, კუჭის მაღალი მჟავიანობის, დიარეის (ფაღარათის) მძიმე ფორმის დროს.

უნივერსალური შხამსანინაღმდეგო საშუალება

ახალი, უფრო ეფექტური ბაქტერიოციდური (ბაქტერიების გამანადგურებელი) პრეპარატების, შემდგომში კი, ანტიბიოტიკების გაჩენასთან ერთად გააქტიურებული ნახშირის, როგორც სამკურნალო საშუალების, პოპულარობა შემცირდა. მაგრამ ეს პრეპარატი დღემდე მიიჩნევა ყველაზე ეფექტურ არასპეციფიკურ ანტიდოტად (შხამსანინაღმდეგო საშუალებად), რომელსაც შეუძლია, შთანთქმას ბევრი შხამი და წინ აღუდგას მათ შეწოვას ორგანიზმში, თავისი მაღალი ზედაპირული აქტიურობის წყალობით. სულ 1 გრამ გააქტიურებულ ნახშირს შეუძლია შეიკავშიროს 800 მგ მორფინი, 700 მგ ბარბიტალი, 300-350 მგ სხვა ბარბიტურატები და ალკოჰოლი.

გააქტიურებული ნახშირის დასამზადებლად იყენებენ ტორფს, ქვანახშირსა და ხის ნახშირს, სხვა მცენარეულ ნივთიერებებს, რომლებსაც აცხელებენ ჰაერის მიწოდების გარეშე, შემდგომ კი, დამატებით ქიმიურ დამუშავებას უტარებენ. შედეგად იღებენ ფოროვანი კარკასის მქონე ნივთიერებას. რაც მეტია ორგანიზმთან მისი შეხების ზედაპირი, მით აქტიურია ეს



კონტაქტი და მით უფრო უკეთესად ხდება შთანთქმა.

გააქტიურებულ ნახშირს ყველაზე ხშირად იყენებენ, როგორც სორბენტს, სხვადასხვა წამლით, მცენარეული შხამებითა და სხვა ქიმიური ნივთიერებებით (გარდა მჟავებისა, ტუტეებისა, ციანიდებისა, რკინის პრეპარატებისა) მონამვლის დროს. ასეთ შემთხვევებში გააქტიურებულ ნახშირს იყენებენ კუჭის ამოსარეცხად (1 ს/კ ფხვნილს ხსნიან 1 ლ წყალში) და იღებენ 20-30 გ-ს (ზოგჯერ 80-100 გ-ს) კუჭის ამორეცხვის პროცედურის შემდეგ.

ნუ აყრევთ!!!

ნახშირთან ერთად სხვა პრეპარატების მიღება არ შეიძლება, რადგან ხდება მათი სორბირება და ამგვარად ქვეითდება ნახშირის სორბენციული მოცულობა შხამებისადმი. გააქტიურებული ნახშირის გამოყენება ეფექტურია მონამვლიდან პირველი 12 საათის განმავლობაში. თავად ნახშირი არ შეინიოვება და არ განიცდის მეტაბოლიზმს კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, იგი გამოიყოფა განავალთან ერთად და მას შვებ შეფერვილობას აძლევს.

გააქტიურებული ნახშირის გამოყენება შეიძლება მეტეორიზ-

მის (გაძლიერებული აირწარმოქმნის) დისპეფსიის, კოლიტის, კუჭის მომატებული მჟავიანობის, დიარეის, კვებითი ინტოქსიკაციების დროს. მისი მიღების დოზაა 1-2 აბი 2-4-ჯერ დღეში, ჭამიდან 1,5-2 საათის შემდეგ. პრეპარატის ეფექტს გავზრდით, თუ მიღების წინ დაეფხვინო.

უნდა ვიცოდეთ, რომ ეს პრეპარატი არ არის გათვლილი ხანგრძლივი მოხმარებისათვის. მას იყენებენ, როგორც სასწრაფო დახმარების საშუალებას და იღებენ რამდენიმე დღის განმავლობაში. საქმე ისაა, რომ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში გააქტიურებული ნახშირი იერთებს არა მხოლოდ ტოქსიკურ, არამედ ორგანიზმისთვის ბევრ სასარგებლო ნივთიერებასაც



(ფერმენტებს, ვიტამინებს, ამინომჟავებს და სხვა). ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა კი უჩვენა, რომ გააქტიურებული ნახშირის მუდმივად და ხანგრძლივად მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი ტოქსიკური ეფექტი (გულისრევა, ლებინება და სხვა გართულებები).

**გამოავალინოტი
პეპანელოტი
ნაპეანესოტი
ტუბერკულოზი!**

— ტუბერკულოზისგან განაპურნებისათვის მემიკამენტაშთან ერთად აუცილებელი არის თუ არა სუფთა ჰაერი და სპეციალური დიეტა?

ლუკ იანსენი — ტუბერკულოზის ექსპერტი, სამედიცინო მომსახურების საერთაშორისო კორპორაციის (MSCI) ვიცე-პრეზიდენტი:

— ჯერ კიდევ 50-იან წლებში ინდოეთში, მადრასში ჩატარდა გამოკვლევა — რა უფრო ეფექტური იყო ტუბერკულოზისთვის, სპეციალურ გარემოში (სუფთა ჰაერზე, სრულფასოვანი კვებით, პანსიონატში) მკურნალობა თუ — ოჯახში, ჩვეულ გარემოში, სადაც პაციენტს ვერც კარგი კვება ექნებოდა და ვერც ყოველდღიურ შრომას შეუწყვეტდა.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ შედეგი ორივე შემთხვევაში ერთნაირი იყო — ტუბერკულოზის განსაკურნებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალური ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატების რეგულარულ მიღებას მედპერსონალის მეთვალყურეობით. სრულფასოვანი კვება და სუფთა ჰაერი კი, ცხადია, კარგია, მაგრამ მათ ტუბერკულოზის განსაკურნებაში მედიკამენტების გარეშე მნიშვნელოვანი როლის შესრულება არ შეუძლიათ.

- ✓ სხვადა, ღამის ოფლიანობა, სიციხე — აღნიშნული სიმპტომების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ფთიზიატრს!
- ✓ ტუბერკულოზის გამოკვლევა და მკურნალობა უშასკლია!
- ✓ დიაგნოზის დასმა და სათანადო მკურნალობის დაიწყება მხოლოდ ფთიზიატრს შეუძლია!
- ✓ ღამათბობითი ინფორმაციისთვის ღარამით ცხელ ხაზზე: **911926** (კონსულტაცია უშასკლია)

ჭაბუკი კილაჰის გმირმა ბავშვები შეაშინა და გაგვლელვს კარგული ბავშვებისა

„მსახიობი შრომისმოყვარე უნდა იყოს“, — ამბობს ახალგაზრდა მსახიობი ჯაბა კილაძე, რომელმაც უკვე მოასწრო საინტერესო სახეების შექმნა. საზოგადოების ნაწილმა ის „ჯინსების თაობაში“ გეგა კობახიძის როლით დაიმსახურა, ნაწილმა კი — ტელესერიალ „მტკრის გემოდან“.

— **ჯაბა, ამჟამად რას აკეთებ?**

— არაფერსაც არ ვაკეთებ, უსაქმურად ვარ და ამიტომ, დასასვენებლად ბათუმში მივდივარ...

— **რატომ აირჩიე მსახიობობა?**

ბაში უნდა იყო ის, რაც რეალურად ხარ.

— **ცხოვრებაში თუ თამაშობ?**

— ვფიქრობ, ცხოვრებაში ყველა ადამიანი თამაშობს. შენ თუ ჩემთან ასეთი ხარ, შენს დაქალთან სხვანაირი იქნები. ეს ბუნებრივია. მეც ყველასთან სხვადასხვანაირი ვარ. ჩემი აზრით, ადამიანი მარტო ლოგინშია ის, რაც სინამდვილეში.

— **რომელია შენი ყველაზე წარმატებული როლი?**

— თითქმის ყველა ჩემი გმირი მიყვარს, მაგრამ მაინც მინდა გამოვყო სპეციალური „ჯინსების თაობა“. ჩემ მიერ განსახიერებულ გეგა კობახიძეს დიდი მონონება ხვდა წილად.

— **საყვარელი პარტნიორი თუ გყავს?**

— ბედნიერი ვარ, რომ თითქმის ყველა კარგ მსახიობთან მინვეს თამაში. მიუხედავად ამისა, მინდა გამოვყო ედმუნდ მაღალაშვილი, რომელმაც საოცარი პარტნიორობა გამიწია.

— **შენი აზრით, როგორი უნდა იყოს მსახიობი?**

— შრომისმოყვარე და მიზანდასახული.

— **ბოლო დროს სერიალებში ინტიმური სცენის მომრავლება საზოგადოების დიდ ნაწილში უარყოფით რეაქციას იწვევს...**

— რა მოხდა მერე, განა რა გაგვიხდა ამისთანა გადაულახავი?! თუ ევროპელობაზე გვაქვს პრეტენზია, არ უნდა გვიკვირდეს ქალისა და მამაკაცის კოცნა, ხოლო თუ ისევ ჩამორჩენილი აზრები გვაქვს, მაშინ ჩავიცვათ ჩოხა და მოვიტყუოთ ისე, როგორც ძველად იცუოდნენ.

— **სერიალში „მტკრის გემო“ შენი გმირი საკმაოდ უარყოფითი**



მეამაყება, რომ ბავშვობიდან მოყოლებული, უდიდეს მსახიობებთან კონტაქტი მიწევდა

— მსახიობის პროფესია შემთხვევით არ ამირჩევია — დედაც (ციციწო კობიაშვილი) და მამაც (თემურ კილაძე) მსახიობები არიან და აქედან გამომდინარე, თამაშად შემიძლია ვთქვა, რომ თეატრის კულისებში გავიზარდე. ერთხელ (მაშინ მეორე კლასში ვსწავლობდი), მარჯანიშვილის თეატრში რაჟისორმა მედეა კუჭუხიძემ სპექტაკლში — „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“ (ჯაბა იოსელიანის პიესის მიხედვით) ბავშვის როლი მითამაშა. იქ მეფის შვილს ვთამაშობდი, მამის როლს კი ოთარ მეღვინეთუხუცესი ასრულებდა.

— **მშობლებს გასტროლებზე დაჰყავდი?**


— რა თქმა უნდა. ასე რომ, ჩემს თანატოლებთან შედარებით, განსხვავებული ბავშვობა მქონდა. მეამაყება, რომ ბავშვობიდან მოყოლებული, უდიდეს მსახიობებთან კონტაქტი მიწევდა.

— **სცენაზე გასვლის წინ რაიმე განსაკუთრებული ჩვევა თუ გაქვს?**

— კი. სცენაზე გასვლამდე აუცილებლად პირჯვარს ვინერ.

— **შენი როლებიდან შენს სასიათთან რომელია უფრო ახლოს?**

— არც ერთი. ყოველთვის ვცდილობ, გავეიტყუე ჩემს პიროვნებას. ვფიქრობ, სხვაობა შენსა და შენს გმირს შორის, აუცილებლად უნდა იყოს. სცენაზე უნდა ითამაშო, ხოლო ცხოვრ-



აბსოლუტურ კრეატივშია მიმართული ვილაციის მიზაძევა

ადამიანია. ამის გამო, რეალურ ცხოვრებაში ხალხს შენდამი შიში ხომ არ გასჩენია?

— როგორ არა?! სერიალის გამო ხალხს ჩემს დანახვაზე უარყოფითი რეაქცია ჰქონდა. ტელეეთერში მისი გასვლის დღიდან, ქუჩაში ბავშვები როგორც კი თვალს მომკრავდნენ, მაშინვე გარბოდნენ და იმალებოდნენ. ამის გამო გული მწყდებოდა, რადგანაც ძალიან მიყვარს ბავშვები. მახსოვს, თუ რა შიში აღებეჭდათ სახეებზე გამვლელებს, როცა ვიღებდით ეპიზოდს, სადაც მურმან ჯინორიას გმირს ვკლავდი, ხოლო შემდეგ, სამართლებლით და ვითომდა სისხლიანი ხელებით, ჩავრბოდი მთაწმინდის ერთ-ერთი სახლის სადარბაზოს კიბეზე, შემდეგ კი — გარეთ, სადაც უკვე არ მოწყვებოდა კინოკამერა. გადალება მარტო შენობაში მიმდინარეობდა და არავინ იცოდა, რომ ფილმის პერსონაჟი ვიყავი. ჰოდა, ხუთი დუბლი რომ გადავიღეთ, მეექვსეჯერ, დაბლა ჩასულს, პატრული დამხვდა. თურმე, ისე შეშინებით მეზობლებსა და გამვლელებს, რომ პატრულისთვის დაურეკვეთ დახმარებისთვის (იციინის).

— **თუ გყავს იდეალური მსახიობი, რომელსაც პზაძევა?**

— არა. ეს ჩემი ამბიცია არ არის. უბრალოდ, იდეალი მსახიობი ნამდვილად არ მყავს. პირადად მე, აბსოლუტურ კრეატივშია მიმართული ვილაციის მიზაძევა.

— **დაბოლოს, მოდი, შენს პირად ცხოვრებაზეც მოგვიყვი, გვითხარი, რატომ დაინგრა შენი და თამთა ქელიძის ოჯახი?**

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მსურს. ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.



ამ თემაზე ლაპარაკი არ მსურს

უბერძინული სკოლის დიდოსტატ ნინის ბერძინული მასკინიკალი სოსისით გაუმასკინიკლდა

„ბავშვობიდან მაჩვევდა ბებია ოჯახში ფუსფუსს“

„სამხარეულოში ხშირად არ ვხედავ, მაგრამ როგორც ყველა ქალმა, კერძის მომზადება მეც ვიცი“ — ამბობს ნინი ბადურაშვილი. თურმე მას არაერთი სალათის გაკეთება სცოდნია. თუ რომელი სალათი გამოსდის ყველაზე გემრიელი და მომავალში რა კერძის სწავლას აპირებს, ამას ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

ქვა მინდა

— ბავშვობიდან მაჩვევდა ბებია ოჯახში ფუსფუსს. ყოველთვის ცდილობდა, სამხარეულოში რაიმე კერძის მომზადებისას მეც იქ ვყოლოდი. 4 წლიდან უკვე მქონდა ჩემი პატარა ცოცხი, აქნდაზი, ტაფა, ქვაბი, ჭურჭელი და ცომის გასაბრტყელე-ბელი.

— ალბათ პირველად კერძის მომზადება პატარამ სცადა, არა?

— 5 წლის ვიყავი, როცა პირველად ბებოს მიერ ნასწავლი ხაჭაპური გამოვაცხევე. სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ ხაჭაპურს დღეს ვერ გავაკეთებ. აი, მაშინ კი, მშვენივრად გავართვი თავი და მახსოვს, ბაბუს მონივნებაც დავიმსახურე.

— ყველაზე გემრიელი მინც რომელი კერძი გამოგდის?

— მიუხედავად იმისა, რომ სამხარეულოში „ბზრიალი“ დიდად არ მიყვარს, ვიცი არაერთი უგემრიელესი სალათის მომზადება. სხვათა შორის, სალათის უმეტესობას ჩემით ვიგონებ. ყველაზე გემრიელი მინც სალათი „ცეზარი“ გამოდის. ის არა მარტო მე, არამედ ყველა ჩემს ახლობელს მოსწონს.

— ნინ, მოდი, ამ სალათის მომზადების რეცეპტი გაგვანდე—

— აიღეთ სალათის ფურცლები და დაჭერით, ზემოდან დაანყვეთ ლამაზად დაჭრილი რამდენიმე პომიდორი, ერთი ქილა სიმინდის მარცვალი, კუბურებად დაჭრილი ყველი და პატარა ნაჭრებად შემწვარი ლორი. იმ შემთხვევაში, თუ ლორი არ გაქვთ, შეგიძლიათ, პატარა ნაჭრებად დაჭრილი ქათმის ხორცი შეუერთოთ. პარალელურად აიღეთ პური, დაჭერით პატარა ოთხკუთხედად, მოათავსეთ ნივრიან და ზეთიან ნაზავში და ნახევარი საათი გააჩერეთ. შემდეგ ამოიღეთ და შეწვიეთ ტაფაზე. რომ შეიბრანება, გადმოიღეთ, გააცივეთ და შეუერთეთ სალათს. ზემოდან კი აუცილებლად მოასხით მაიონეზი. ეს სალათი მარტივი გასაკეთებელია და თანაც, ძალიან გემრიელი.

— ოდესმე ხინკლის გაკეთება

თუ გიცდია?

— კი, როგორ არა. ვცაადე, მაგრამ არ გამომივიდა.

— ნამცხვრის ცხობა გეხერხება?

— კი, მაგრამ დამოუკიდებლად ნამცხვარი არასოდეს გამომიცხვია. ნამცხვრის ცხობას იმ შემთხვევაში ვინწყებ, თუ გვერდით ვინმე მყავს და მეხმარება. ასე მაგონია, ამ საქმეს მარტო ვერ გავეუძლავებდი. ისე, მინდა, რაიმე გემრიელი ნამცხვარი ვისწავლო და დამოუკიდებლად გამოვაცხო.

— სუფრის ლამაზად განწყობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებ?

— რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს ლამაზად განწყობილი სუფრა, თითქოს ყველაფერი უფრო გემრიელია. სუფრის ლამაზად განწყობა ბებიამ მასწავლა. ბავშვობაში მე მას ყოველთვის ვეხმარებოდი... დღეს კი სტუმრისთვის სუფრის გაშლა და გაფორმება მე მახარია, ჩემი პატარა დებიც მეხმარებიან.

— თუ გაქვთ ოჯახში ისეთი კერძი, რომელსაც ტრადიციულად, მხოლოდ დღესასწაულებზე ამზადებთ?

— ჩვენს ოჯახში არა მარტო დღესასწაულებზე, არამედ ჩვეულებრივ, როცა სტუმრები მოდიან, ბებია ტრადიციულად უგემრიელეს ხაჭაპურს აცხობს. ვისაც კი მისი ნახელავი გაუსინჯავს, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ფლორას ხაჭაპური განსაკუთრებულია. გარდა ამისა, ბებია საუცხოო საახალწლო ნამცხვარსაც აცხობს. ნამცხვარი უკრემოა, მაგრამ ფანტასტიკური გემო აქვს.

— გურმანი ხარ?

— საჭმელზე გადარეული არასოდეს ვყოფილვარ. ზოგჯერ დღე ისე გადის, რომ ჭამა არც მახსენდება. თუმცა, გემრიელ საჭმელზე უარს არასოდეს ვამბობ.

— კერძებიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს?

— ბავშვობიდან ძალიან მიყვარს შემწვარი კარტოფილი, ამის გამო „კარტოშკასაც“ მეძახდნენ. ვგიჟდები „გრეჩისაზე“. ვფიქრობ, „გრეჩისა“ ძმებ გაჩეჩილაძეებს კი არა, მე უნდა მერქვას (იციან).

— უცხო ქვეყნის სამხარეულოდან უბრატესობას რომელს ანიჭებ?

— პირველ რიგში, ძალიან მიყვარს იაპონური სამხარეულო. ყოველდღე, რომ ვჭამო სუში, არასოდეს მომბეზრდება. მომწონს ჩინური სამხარეულოც.

— სასამელებიდან რომელს გამოჰყოფდი?

— ყავას და წყალს.

— დიეტას ხშირად იცავ?



— ჩემი აზრით, ადამიანს, რომელსაც სცენაზე უწევს გამოსვლა და ხშირად უხდება ეკრანზე გამოჩენა, არ ეპატიება ფორმაში არყოფნა. არიან ადამიანები, რაც არ უნდა ბევრი ჭამონ, არ სუქდებიან, მაგრამ სამწუხაროდ, მე მათ კატეგორიას არ მივეკუთვნები. ამიტომაც მოზომილად მივირთმევ ვცდილობ, თავს მუდმივად კონტროლი გაუწიო, რადგანაც ვიცი, რომ ეკრანზე ზედმეტი ერთი-ორი კილოც კი შესამჩნევი ხდება. აქედან გამომდინარე, ძირითადად ვიკვებები იმით, რაც არ მასუქებს.

— ალბათ იცი რაიმე დიეტური კერძის მომზადება, არა?

— ჩემთვის დიეტური კერძი არ არსებობს. ჩემი დიეტა, ცოტ-ცოტა და ხშირი კვებაა. ვცდილობ, საღამოს 7 საათის შემდეგ არ ვჭამო და დღის განმავლობაში 2 ლიტრი წყალი დავლიო.

— გერმანული სამხარეულო თუ მოგეწონა?

— კი. ბავარიამში, სადაც მე ვცხოვრობდი, ფანტასტიკური სოსისი და ყველი იყო. ქართულ კერძებს რა შეედრება, მაგრამ იქაური გემოს მსგავს სოსისს თბილისში ვერსად ნახავ.

— ქართული კერძები თუ გაგიკეთებია იქ და ყველაზე მეტად რა მოგეწონა?

— არა. გერმანიაში ჩვენ ქართულ ოჯახში ვცხოვრობდით და ამის გამო მე არ დამჭირებია კერძების გაკეთება. იმ ოჯახის დიასახლისი — ქალბატონი ნათელა სულ ქართულ კერძებს ამზადებდა. მისი წყალობით, ქართული სამხარეულოს მიმართ დიდი ნოსტალგიაც არ გაგვჩენია. ერთადერთი, რაც ძალიან მომეწონა, იყო ხინკალი და შამფურზე შემწვარი მწვადი.

— სტუმრის როგორი გამასპონძლება იცან გერმანელებმა?

— ამ მხრივ ქართველებსა და გერმანელებს შორის უდიდესი სხვაობაა. ჩვენთან სტუმრად ერთი ადამიანიც რომ მოდიოდეს, მის პატივსაცემად რამდენიმე სახეობის კერძს ამზადებენ, ნამცხვარსაც კი აცხობენ. იქ კი სხვანაირი დახვედრა იცან. ერთხელ ერთმა გერმანელმა მეგობარმა სადილზე სახლში დაგვაპატიჟა. მივედით

თუ არა, ცოტა ხანში რამდენიმე სოსისი მოხარშა, ცალკე ათქვიფა ყველი კარაქში და მოგვართვა მე და ჩემს მეგობრებს „კოკაკოლასთან“ ერთად. ქართველისთვის ხომ სოსისით სტუმრის გამასპინძლება წარმოუდგენელია.

— ნინო, ცნობისმოყვარე არ ხარ? უცხო და უჩვეულო კერძების გასინჯვა არ გაინტერესებს?

— არა. არ გამისინჯავს და ალბათ, რომ მომკლას, არც გავსინჯავ. აბა, რა მაჭმევს გველს, ხვლიკს და ბაყაყს? ამას წინათ ერთი გოგო ამბობდა, რომ ერთ-ერთ ქვეყანაში ყოფნისას (ზუსტად არ მახსოვს სად) ოჯახში ტარაქნისაგან მომზადებული კერძით გამასპინძლებიან. როცა ეს წარმოვიდგინე, ცუდად გავხდი.

— ნინო, ვიცო, რომ კარგად ქსოვ, სხვა ხელსაქმე თუ გეხერხება?


— არ მეხერხება კერვა. არ მინდა, თავის ქებაში ჩამეთვალოს, მაგრამ მართლაც ძალიან კარგად ვქსოვ. ჩემი ნახელავით არაერთი ადამიანი გამოიკვებია. ქსოვა ბუბიამ მასწავლა და მე ამის გამო მისი დიდი მადლობელი ვარ. ეს საქმე ჩემი ჰობია და როგორც კი დროს მოვიხელთებ სახლში ყოფნისას, მაშინვე ვიწყებ ქსოვას. სხვათა შორის, ბევრი ჩემი მეგობარი ბიჭი დამდევის და მთხოვს კანსებს მოქსოვას.

— დასასვენებლად ზღვაზე არ მიდიხარ?

— კი, როგორ არა. სულ მალე, გონიოში ან კვარიათში წავალ. უცხოეთში შეგნებულად არ მივდივარ დასასვენებლად, იმიტომ, რომ შემოდგომისთვის კვლავ მომიწევს გერმანიაში წასვლა. ამიტომ ეს ზაფხული მინდა, ჩემს ახლობლებთან ერთად გავატარო.

— დაბოლოს, რა სახსრად შენს შემოქმედებაში?

— მართალი გითხრა, რაც გერმანიიდან ჩამოვედი, საერთოდ არაფერი გამოიკვებია. ალბათ, გერმანიაში წასვლამდე, სექტემბერში ერთ სიმღერას ჩავწერ, მინდა, კლიპიც გადავიღო, მაგრამ ვნახოთ, რა გამოიშვას.



ანი შიუსტაკი: წაიღეთ სხვათა უსწრებ უსწრებ ანი ანაბინა ანი...

„ზაფხული ჩემთვის ყოველთვის ახალი ურთიერთობების დაწყების პერიოდია“ — ამბობს ზღვისა და მთის მოყვარული ანი გიუნტერი. მიუხედავად ამისა, მას წელს გადასწყვეტილი აქვს, დაისვენოს იქ, სადაც ნაკლები ნაცნობი ეგულება.

ქვა მიწაზე

— გაგიკვირდება, მაგრამ მართალი გითხრა, დასვენების არანაირი სურვილი არ მაქვს. ისე მალე გავიდა ერთი წელი, რომ სულ არ დავდლილვარ. უფრო მეტიც — ძალიან მინდა, რომ აქტიურად ვმუშაობდე.

— შარშან სად ისვენებდი?

— შარშან, გოგოებთან ერთად, მთაშიც დავისვენე და ზღვაზეც. ნამდვილი დასვენება სიონში გატარებულ დროზე ითქმის. ზღვაზე კი, როგორც ყველას, ჩვენც აქტიური დასვენება გამოგვივიდა.

— ბავშვობაში სად ისვენებდი ხოლმე?

— სიონში. მეტალურგიული ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის გამოყოფილ კოტეჯებში. დედა ამ ინსტიტუტის თანამშრომელი იყო და ყოველ ზაფხულს, ჩვენ და მისი თანამშრომლები ოჯახებით იქ ვიყავით.

— დასასვენებლად წასულს, სასიყვარულო თავგადასავლები ხომ არ გქონია?

— ზაფხული ჩემთვის ყოველთვის ახალი ურთიერთობების დაწყების პერიოდია. ჯერ არ მახსოვს ზაფხული, ვინმე რომ არ გამეცნო. გოგოები ამ სეზონის დადგომისთანავე მაშაყირებენ — აჰა, დაიწყო ნადირობის სეზონიო... მინდა გითხრა, რომ ინიციატივა არასოდეს ჩემი მხრიდან არ წამოსულა. საერთოდ, ამ მხრივ ძალიან მძიმე ვარ და აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელად ვუახლოვდები უცხო მამაკაცს. ვცდილობ, არასოდეს მივიტანო გულთან ახლოს სხვისი გრძობები. ბევრჯერ თბილისში დაბრუნებულს, ტელეფონის ნომერიც კი გამომიცვლია იმის გამო, რომ ჩვენი ურთიერთობისთვის წერტილი დამესვა. სხვათა შორის, პირველად სიყვარული ერთმა ბიჭმა სიონში ყოფნის დროს ამიხსნა. კარგად მახსოვს ის ღამე, როცა მეგობრებთან ერთად, წყლის ნაპირას ვისხედით კოცონთან, ვენეოდიტ სიგარეტს და გავცქეროდი ვარსკვლავებზე.



სადაც ნაკლები ნაცნობი ეგულება.

ბით მოქედით ცას. ამ დღეს უკანასკნელად მოვწიე სიგარეტი, იმწუთას ისეთი ბედნიერი ვიყავი, თამამად შემოიძლია ვთქვა, რომ არასოდეს ვყოფილვარ. განა, მას შემდეგ, სიყვარული არავის აუხსნია, მაგრამ პირველი შეგრძნება მინც სულ სხვაა. მაშინ 15 წლის ვიყავი, ისიც ზუსტად ჩემხელა იყო. მახსოვს, „ბითლზის“ სიმღერის ფონზე, კოცონთან მჯდარმა, ცოტა ხნით თვალები დავხუჭე და რომ გავახილე, მარტო მე და ის ბიჭი ვიყავით. არ ვიცი, როგორ მოახერხა ამდენმა ადამიანმა ცოტა ხნით მიმალვა; მერე



კოცონთან მჯდარმა, ცოტა ხნით თვალები დავხუჭე და რომ გავახილე, მარტო მე და ის ბიჭი ვიყავით

გაირკვა, რომ ეს ყველაფერი წინასწარ დაუგეგმავთ... მართალია, მან სიყვარული ამიხსნა, მაგრამ მე ამისთვის მზად არ ვიყავი. — სად უფრო გიყვარს დასვენება — მთაში თუ ზღვაზე?

— ორივეგან ძალიან მიყვარს. მთავარია, წყალი იყოს. მთაში მართალია, ზღვა არ არის, მაგრამ მდინარე ხომ არის.

ცურვა იცი?

— კი. ბავშვობიდან მიყვარს წყალი და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დაბადებიდანვე ვიცოდი ცურვა. არასოდეს მქონია წყალში დახრჩობის შიში. დავინახავდი თუ არა წყალს, ყოველგვარი კამერის გარეშე შევდიოდი ღრმად, კარგი მოცურავესავით. არაერთხელ გავპარულვარ მშობლების უკითხავად და შევსულვარ შუა ზღვაში. სხვათა შორის, ბევრჯერ გადავრჩენივარ დახრჩობას. ამის გამო მშობლები იძულებული გახდნენ, საკმაოდ პატარა, ცურვის სექციაში შევეყვანე. მინდოდა, მოცურავე გავმდარიყავი, ჩემი ბიძაშვილის მსგავსად, მაგრამ რომ გავიგე — ცურვა მხრებს ზრდისო, გადავიფიქრე. ის ბიჭია და განიერი მხრები უხდება, გოგოს ტანს კი საშინლად დაუმახინჯებს.

გარუჯვა თუ გიყვარს?

— გარუჯვას ყოველთვის თავს ვარიდებ. მზის სხივები მალე აჭკნობს კანს და მეც ყველანაირად ვცდილობ, შევინარჩუნო ახალგაზრდული იერი. სურვილი მაქვს ჯანსაღი ცხოვრებით ვიცხოვრო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდა, მეც გარუჯული ვიყო, მგონი, შევძლებ ჩემი თავის ხელში აყვანას და არ გავირუჯები. ვინც სისტემატურად ირუჯება, 50 წლის ასაკში 70 წლის შეხედულება ექნება, ხოლო ვინც ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვრებს, — 30 წლის.

დასასვენებლად მშობლების გარეშე პირველად რომ წახვედი, რამდენი წლის იყავი?

— 19 წლის ასაკში მარტო წავედი გერმანიაში. გადავწყვიტე, 2 კვირა დამესვენა განმარტებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მარტო მაინც არ ვიყავი. ჩემი სახლის გარედზე დედაჩემის ბავშვობის ამხანაგი ცხოვრობდა და ის ამყარებდა ჩემსა და დედას შორის კავშირს.

ლაშქრობაში თუ დადიხარ ხოლმე?

— არ მიყვარს, მაგრამ ვყოფილვარ. ბავშვობაში მშობლები სულ დამატარებდნენ. მე კი მეზიზღებოდა ტყელრეში სიარული. ისინი ჯანსაღი წესით ცხოვრობდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ადამიანისთვის საჭიროა სუფთა ჰაერზე ბევრი სიარული. მე კი დღემდე არ მესმის, როგორ შეიძლება, დაღლა კარგი იყოს. აი, შარშან კი, ჩემდა გასაოცრად, თავად გამიჩნდა სურვილი ტყეში ხეტიალის. სიონში ყოფნისას, გოგოებს შევთავაზე ტყეში წასვლა, მაგრამ მხარი არავინ ამიბა. ამიტომ, ერთ მშვენიერ დღეს, მათ გამოვუცხადე,

რომ ტყეში მივდიოდი. რა თქმა უნდა, არავინ დაიჯერა. დიდი ხნის შემდეგ, როცა დაბრუნდი, ჩემმა დამ მთელი სერიოზულობით მითხრა: ტყეში მარტო რომ დადიხარ, ეს იმის ნიშანია, რომ დაბერდიო...

დასვენების რა ფორმა გიზიდავს ყველაზე მეტად?

— ძალიან მიყვარს მინაზე წამოწო-



მზის სხივები მალე აჭკნობს კანს და მეც ყველანაირად ვცდილობ, შევინარჩუნო ახალგაზრდული იერი

ლა და ჩუმად ჩემთვის ფიქრი. გარდა ამისა, ვისვენებ, როცა ქართულ ხალხურ სიმღერებს ვუსმენ. იყო დრო, როცა გართობა არ მზებრდებოდა. დღეს კი მინდა, იქ ვიყო, სადაც ნაკლები ნაცნობი შემხვდება. როცა დასასვენებლად მივდივარ, მობილურ ტელეფონსაც კი ვთიშავ, რომ ვერავინ მომაგნოს...

შენ ალბათ ძილიც გიყვარს, არა?

— კი, ძალიან. განსაკუთრებით მას შემდეგ მენატრება, რაც დილის ეთერში მინევს მუშაობა. იმის გამო, რომ ძილი არ მყოფნის, ვითიშები ხოლმე. ამას წინათ კინოთეატრში ჩამეძინა. დაინყო თუ არა ფილმი, სიბნელეში დრო ვიხელთე და დავიძინე და როცა დამითარდა, მაშინ გამეღვიძა.

საქართველოს რომელი კუთხე არ გინახავს?

— არ მინახავს სვანეთი. იმედი მაქვს მალე იქ წასვლასაც მოვახერხებ.

გერმანიის გარდა, საზღვარგარეთ კიდევ სად დაგისვენინია?

— არსად. ზაფხულში გერმანიაში ალპებშიც კი მომინია ყოფნამ.

ანი, დასვენება ყველაზე მეტად სად გინდა, რომელ ქვეყანაში?

— დიდი სიამოვნებით წავიდოდი სრულიად უცნობ კუნძულზე ერთ ადამიანთან ერთად. ძალიან მაინტერესებს, გავძლებდი თუ არა. მობილურს იმ შემთხვევაში წავიღებდი, თუ ვინმე ჩემს ასავალ-დასავალს იკითხავდა და ჩამომაკითხავდა. ამ შემთხვევაში, მამაკაცი ვიგულისხმე.

გაისხენე, ყველაზე კარგი დრო მაინც სად გაატარე?

— ბათუმში. მახსოვს, ჩემმა დაქალებმა სომხეთის დელეგაცია მოატყუეს — ანი ძალიან ცნობილი მსახიობი არისო. ნეტავ, გენახა, იმ დღიდან რა პატივში ვიყავი მათი მხრიდან!.. არ ვიცი, კურორთია თუ არა, მაგრამ დღესაც, რომ მახსენდება, მეცინება მათ საქციელზე.


ამჟამად თუ ვარჯიშობ?

— ვვარჯიშობ, როცა ზღვაზე ვარ. თბილისში კი, ვცდილობ, ბევრი ვიარო. იმდენს დავდივარ ფეხით ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე, რომ ხანდახან თვითონაც მიკვირს. მიჩვენია, 10 წუთი ტრანსპორტის დალოდებას, საკუთარი ფეხით გადავავადგილდე.

დაბოლოს, მითხარი, აზარტული თუ ხარ?

— ცხოვრებაში ხშირად შევდივარ აზარტში, მაგრამ რაც შეეხება თამაშს — მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის დიდი მოტრფიალე ვარ, ტოტალიზატორში საერთოდ არ შევდივარ. იმიტომ, რომ გუნდს, რომელსაც მე „გბალელშიკობ“, ფულზე ვერ გავყიდი...

ნომის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები
☎ 822 42 55 44
822 006 005
822-006-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონ-გარანტიითაც



კიბომ „შემლილ ჩემპიონთან“ ჭიდილი „არ ისურვა“

ლენს არმარსონი: სიხდელი და დამარცხება ჩემპიონის სინონიმები

იცით თუ არა, რომ: ლენსს არასოდეს უნახავს თავისი ნამდვილი მამა (და ამის სურვილიც არ ჰქონია); მისი გული ზომით ნორმალურზე სამჯერ დიდია; ველორბოლის დიდ მოყვარულთან, ცნობილ კინომსახიობ რობინ უილიამსთან მეგობრობს; ლენსის ყველაზე დიდი ჰობი ველოსიპედით სეირნობა და თევზაობაა; ის ყოველთვის ბავშვებთან ერთად ყოფნაზე ოცნებობდა; იმისთვის, რათა უფროს ტრიატლონისტა ტურნიერ Iron Man-ში მიეღო მონაწილეობა, ჯერ კიდევ მოზარდმა, განაცხადის შევსებისას რამდენიმე წელი მიიმტა.

ლენსის გამონათქვამები:

„ცხოვრებაში ყველაზე დიდი ზემოქმედება ჩემზე, თავისი სულის სიძლიერთა და დამოუკიდებელი ბინებით, დედამ მოახდინა“;

„ტურ დე ფრანსი“ უბრალო ველორბოლა როდია, იგი უნდა ფიზიკური, გონებრივი და მორალური მონაცემების გამოცდაა“;

„ჩემ მიერ დამარცხებული კიბო — ჩემი საიდუმლო სპორტული იარაღია. ჩემი მეტოქეებიდან სიკვდილთან ასე ახლოს არავინ ყოფილა. ეს კი, სამყაროს სხვა თვალთ დანახვის შესაძლებლობას მაძლევს“;

„საკუთარი შიშების გადალახვისას, ადამიანი ძალიან მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მეცნიერებას ეუფლება — თანაც, ამ განათლებას ის სრულიად უფასოდ იღებს...“

„როდესაც ავად ვიყავი, სიკვდილი არ მინდოდა. როდესაც ველოსიპედზე ვზივარ, ნაგება არ მინდა. „სიკვდილი“ და „დამარცხება“ ჩემთვის, გარკვეული თვალსაზრისით, სინონიმებია“.

ველორბოლის ცოცხალმა ლეგენდამ, ლენს არმარსონმა თავისი პირველი საპრიზო მილიონი ჯერ კიდევ 1993 წელს გამოიმუშავა. შემდეგ, მრავალ საერთაშორისო პროფესიონალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, არაერთხელ მოუგია აშშ-ის ჩემპიონატი, წარმატება უზემია მსოფლიო პირველობაზე. 1996 წლის 2 ოქტომბერს (25 წლის ასაკში) არმარსონმა მოულოდნელად შეიტყო, რომ თავის ტვინში, სათესლე ჯირკვლებსა და ფილტვებზე ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზები ჰქონდა...

ათლეტს ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მისი მდგომარეობა კრიტიკული რჩებოდა. „შენი სპორტული კარიერა დასრულდა!“ — ეუბნებოდა მას ყველა, ვისაც კი არ ეზარებოდა. ინვალიდ სპორტსმენთან

კონტრაქტი განწყვიტა მისი გუნდის ხელმძღვანელობამ. „თქვენ არასოდეს გეყოლებათ შვილები, დაშორდით ერთმანეთს,“ — უყვიროდნენ ლენსსა და მის მეგობარ გოგონას, კრისტინს ახლობლები, მაგრამ ეს უკანასკნელი რჩეულთან განშორებას არ აპირებდა. ინდიანაპოლისის ჰოსპიტლის ქირურგმა, კრეიგ ნიკოლსმა ოპერაციამდე, ლენსს ლაბორატორიაში სპერმის ჩაბარება ურჩია, რათა შემდეგ ხელოვნური განაყოფიერება ჩატარებინათ, რადგან ქიმიოთერაპიას შეიძლებოდა, არმარსონის მომავალი შვილისთვის დიდი ზიანი მიეყენებინა.

ოპერაციის გაკეთებიდან ერთი თვის შემდეგ, არმარსონი ვარჯიშს შეუდგა! ხოლო საღამოობით თავის ავადმყოფობას „ესაუბრებოდა“. „თავდასხმის ობიექტში შეცდი, — ეუბნებოდა მას ლენსი მშვიდად, მაგრამ დამაჯერებლად, — შენ დიდი შეცდომა დაუშვი, როდესაც სწორედ ჩემი სხეული აირჩიე. გესმის, ძალიან მინდა სიცოცხლე და არც იმის წინააღმდეგი ვიქნები, რომ რამდენიმე შეჯიბრებაში კიდევ გავიმარჯვო“...

თავის ტვინის ოპერაციის შემდეგ, მოკურმდგომარეობაში უკვე ექიმები აღმოჩნდნენ. გაირკვა, რომ ორივე ავთვისებიანი სიმსივნის ქსოვილი მკვდარი იყო! როგორ მოხდა ეს?.. ამ კითხვაზე პასუხი ვერავინ გასცა. არსებობს მხოლოდ ვარაუდი, რომ კიბომ „შემლილ ჩემპიონთან“ ჭიდილი „არ ისურვა“ და მის ტვინში სიკვდილით დასარულა სიცოცხლე. ამგვარადვე განიკურნა ლენსი სხვა ორგანოებში ჩაბუდებული ავთვისებიანი სიმსივნისგანაც. 1997 წლის 12 თებერვალს, კრისტინი თავის დღიურში წერდა: „ექიმებმა განაცხადეს, რომ ლენსის ორგანიზმში კიბოს ნიშნები აღარ არის!



კრისტინი თავის დღიურში წერდა: „ექიმებმა განაცხადეს, რომ ლენსის ორგანიზმში კიბოს ნიშნები აღარ არის!“

ალექსი რეხვიაშვილი

ბიოგრაფია:

სრული სახელი: ლენს ედუარდ გუნდერსონი (არმარსონი)

დაბადების თარიღი: 1971 წლის 18 სექტემბერი

დაბადების ადგილი: პლანო (ტეხასი, აშშ)

სიმაღლე: 177 სმ

მშობლები: მამა — ედუარდ გუნდერსონი; დედა — ლინდა არმარსონი; მას შემდეგ, რაც დედამისი ტერი არმარსონს გაჰყვა ცოლად, ბიჭი ოფიციალურად მის გვარზე დაინერა

ყოფილი მეუღლე: კრისტინ რიჩარდი (არმარსონი) — 1998 წლის მაისიდან 2003 წლის სექტემბრამდე

ამჟამინდელი მეუღლე: ცნობილი მომღერალი შერილ კროუ

შვილები: ვაჟი ლუკ დევიდი (დაბ. 1999 წლის 12 ოქტომბერს) და ტყუპი ქალიშვილი — იზაბელ როუზი და გრეის ელიზაბეტი (დაბ. 2001 წლის 20 ნოემბერს).

კარიერა: თავდაპირველად, ტრიატლონის მისდევდა (16 წლის ასაკიდან უკვე მოზრდილთა შეჯიბრებებში მონაწილეობდა), მოგვიანებით, ველოსპორტზე გადაერთო. 1992 წლის ოლიმპიადის შემდეგ, პროფესიონალის სტატუსით ასპარეზობს. უჩვეულოდ ამტანი და სწრაფმავალი მრბოლელია, რომელიც უნიკალურ ტექნიკას ფლობს. ერთნაირად წარმატებულია ასპარეზობდა სწორ ტრასაზე და მთაგორიან ადგილებშიც. გამოშვებული აქვს 2 ნიგნი (სალი ჯენკინსთან თანაავტორობით); „საქმე ველოსიპედში როდია: ჩემი დაბრუნება ცხოვრებაში“ (2000) და „ყოველი ნამი დათვლილია“ (2003).

ძირითადი მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (1993), „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული (1995, 1999, 2000, 2001, 2002, 2003, 2004, 2005), სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი (2000).

დაუბრუნდება ავადმყოფობა?.. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ დროს შეუძლია. ასეა თუ ისე, ეს თარიღი — არმსტრონგის მეორედ დაბადების დღეა“.

მაგრამ ათლეტისათვის ყველაფერი იოლად როდი წარიმართა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მის ორგანიზმში კვლავაც იყო კიბოს უჯრედები. ქიმიოთერაპიის სეანსების გამო, არმსტრონგი ფსიქოლოგიურად მეტისმეტად დათრგუნვილი იყო: აუტანელ ტკივილს შარდსასქესო ორგანოებში, მოდუნებულ კუნთებს, ქიმიოთერაპიით გამოწვეულ კანის წვას არმსტრონგი სიგიჟემდე მიჰყავდა. გარდა ამისა, თმა და წარბები გასცივიდა. ტეხასში დაბადებული, გემრიელად ჭამის მოყვარული ლენსი, რომელიც ერთ დროს, კარგად ნაკვებ რეინჯერს ჰგავდა, ოპერაციის შემდეგ გაძვალტყავებულიყო. „90-იანი წლების ბოლოს, უმთავრესი ამოცანა — ლენსის გადარჩენა და მისთვის ნორმალური ცხოვრების შესისის მიცემა იყო, — იხსენებდა მოგვიანებით მისი ერთ-ერთი ახლობელი. — სპორტში, მით უმეტეს ველორბოლაში არმსტრონგის დაბრუნებაზე არავის უფიქრია — იქ ხომ ათლეტები არაადამიანურ დატვირთვებს იღებენ“.

მიუხედავად ამისა, 1997 წლის მიწურულს ლენსი არმსტრონგმა ვარჯიშს კვლავ მიჰყო ხელი და ახალ გუნდთან — „იუ-ეს-პოსტალთან“ გააფორმა კონტრაქტი. 1998 წლის თებერვალში მან ესპანეთში გამართულ პატარა ტურნირში მიიღო მონაწილეობა, სადაც მე-15 ადგილი დაიკავა. მაგრამ მალე, საფრანგეთში მოწყობილ რბოლაში ფინიშამდე ვერ მიაღწია. ამის შემდეგ, ყველაფერს თავი მიანება და ალკოჰოლს მიეძალა. სწორედ ამ პერიოდში გამოავლინა თავისი მტკიცე ხასიათი ლენსის მეგობარმა კრისტინ რიჩარდსმა. მას გულის სწორი ერთი დღითაც არ მიუტოვებია. „შენ თითქმის დაამარცხე ავადმყოფობა, ამ საზარელი

ქიმიოთერაპიის სეანსებს უძლებ! დაფიქრდი, ვარჯიში ყველა ამ საშინელებასთან შედარებით ასეთ კომარად გეჩვენება?!“ — უყვირია ერთხელაც კრისტინს და სპირტიანი სასმელების ბოთლები აქეთ-იქით მიმოუფანტავს... ერთთვიანი ლოთობის შემდეგ გამოფხიზლებისთანავე, არმსტრონგს უთქვამს — კარგი, მაშინ დავეკორწინდეთო!

მართლაც, 1998 წლის მაისში წყვილმა სახელგანთქმულ ქალაქ სანტა-ბარბარაში იქორწინა. ზაფხულში კი, ლენსმა სამ რბოლაში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგანაც ორ ტურნირში გაიმარჯვა. იმავე 1998 წლის დეკემბერში, ლენსს კიდევ ერთი უბედურება შეემთხვა — ის 50 კმ/სთ სიჩქარით მიდიოდა, როდესაც 120 კმ/სთ სიჩქარით მიმავალმა სატვირთო მანქანამ გაუსწრო, რომლის საჭესთანაც მთვრალი მძღოლი იჯდა. არმსტრონგმა გვერდით გადახვევა მოასწრო და სიკვდილს ძლივს გადაურჩა, მაგრამ დაცემისას, ტვინის შერყევა, ნეკნის მოტეხილობა და სხეულის მრავალ ადგილას ძლიერი დაჟეჟილობა მიიღო.

„დღეს ჩვენმა ექიმმა დაგვირეკა. ლენსი მას უსმენდა და ილიმებოდა. შემდეგ ჩემკენ მობრუნდა და მითხრა: „პატარავ, შენ ფეხმძიმედ ხარ!“ — წერდა 1999 წლის 13 თებერვალს კრისტინი თავის დღიურში. 1999 წლის 1-ელი ივლისით დათარიღებულ მისსავე ჩანაწერში ნათქვამია: „ერთ დღეში „ტურ დე ფრანსი“ აიღებს სტარტს. მე დედამისთან ერთად ყველა ევლესიაში სანთელს ვანთებ და ღმერთს ვევედრები, რომ ლენსმა შეჯიბრება წარმატებულად და უსაფრთხოდ დაასრულოს“.

2 ივლისს არმსტრონგი კვლავ სატვირთო ავტომობილის ქვეშ მოყვა, მაგრამ ამას სპორტსმენისთვის საფრანგეთში გამართულ მრავალდღიან ტურნირ „დიდ მარყუჟში“ გამარჯვებისათვის ხელი არ შეუშლია. ამგვარად, ლენსმა „ტურ დე ფრანსზე“ თავისი პირველი ტიტული მოიპოვა.

როდესაც 3600 კილომეტრის დაფარვის შემდეგ, არმსტრონგი ტრიუმფალურად შეიჭრა ელისეს მინდვრებზე, ამან ველოსპორტის მრავალსმნახველი სპეციალისტებიც კი შოკში ჩააგდო. გამარჯვება შეუპოვარ ათლეტს პირველად, ცოლმა — კრისტინმა და დედამ — ლინდამ მიულოცეს.

ერთი წლის შემდეგ, მან ისევ გაიმარჯვა, ხოლო ელისეს მინდვრებზე დიდ ჩემპიონს, მეუღლისა და დედის გარდა, პატარა ვაჟიშვილი — ლუი დავიდ არმსტრონგიც დახვდა, რომელიც 1999 წლის ოქტომბერში დაიბადა.

„ტურ დე ფრანსზე“ მეორედ და მესამედ გამარჯვებებს შორის, ექიმებმა დიდი ყურადღებით გამოიკვლიეს სპორტსმენის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ისინი შედეგით გაკვირვებულებიც კი დარჩნენ — ლენსის ორ-




ელისეს მინდვრებზე დიდ ჩემპიონს, მეუღლისა და დედის გარდა, პატარა ვაჟიშვილი — ლუი დავიდ არმსტრონგიც დახვდა

განიზმში სიმსივნის ნიშანწყალიც აღარ იყო. სწორედ იმ პერიოდში, „ტურ დე ფრანსს“ ხუმრობით, „ტურ დე ლენსად“ მოიხსენიებდნენ.

ოლიმპიადა... ეს უკვე არა მარტო წარმოუდგენელი, არამედ პაროდიულად ბანალურიც კი იყო... მაგრამ ფაქტია — 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების წინ, არმსტრონგს კიდევ ერთხელ შეემთხვა კატასტროფა სატვირთო მანქანასთან. ამის გამო, ის „მწვანე კონტინენტზე“ ხერხემლის ტრავმით გაემგზავრა. ალბათ, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ სიდნეიში ლენსმა „მხოლოდ“ მესამე ადგილი დაიკავა.

შარშან ლენსი არმსტრონგმა ზედიზედ მეშვიდედ გაიმარჯვა „ტურ დე ფრანსის“ რბოლაში. წლების წინ, ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ უკუბრუნებული სენით შეპყრობილი, თითქმის უკვე იმ ქვეყნად გასტუმრებული ამერიკელი ათლეტი ველოსპორტო ტრასაზე ასეთ წარმატებას მიაღწევდა. მასთან შედარებით სასაცილოც კია, ველოსპორტის ისეთი ლეგენდების სხენება, როგორებიც არიან: მიგელ ინდურაინი, ედი მერკსი, ჟაკ ანკეტილი და ბერნარ ინო — მათ ხომ „მხოლოდ“ ხუთ-ხუთჯერ აქვთ მოგებული „ტურ დე ფრანსი“. ვერც იმას გაიფიქრებდა ვინმე, რომ არმსტრონგი-ველომობოლელი, პოპულარობის თვალსაზრისით, არმსტრონგ-კოსმონავტს გაუტოლდებოდა, რომელმაც პირველმა დაადგა ფეხი მთვარეზე. ლენსი ამერიკის ამჟამინდელ პრეზიდენტზეც, როგორც ტოლ-სწორზე ლაპარაკობს: „ჰო, ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს! და მინდა აღვნიშნო, რომ ის შესანიშნავი ბიჭია. თანაც, ისიც ჩემსავით ტეხასელია!“

...ავთვისებანი სიმსივნისაგან დედამინაზე წელიწადში 6 მილიონი ადამიანი იღუპება. მათ გადასარჩენად, არმსტრონგმა სპეციალური ფონდი ჩამოაყალიბა და როგორც თავად ამბობს, თავისი ყველა დიდი გამარჯვებაც ამ ადამიანებს მიუძღვნა. არმსტრონგის მოღვაწეობა არა მარტო სპორტულ არენაზე, არამედ მის მიღმაც, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სიცოცხლე მოურჩენელი სენის შემდეგაც გრძელდება.



შერილ ქროუსტან ერთად



თეთრი

სიკვდილი

დასაწყისი იხ. №34

მიუკერძოებლობით განთქმულ მოსამართლეს, თამაზ ჩაჩავას მოულოდნელად გადასცემენ ძმები ქელიძეების ძალზე ჩახლართულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც მანამდე, ხელისუფლების მორჩილი მისი კოლეგები განიხილავდნენ. თამაზი ხვდება, რომ ამის მიღმა ბოროტი განზრახვაა დაფარული. ამ ვარაუდის სისწორეში სულ მალე დარწმუნდება: მას პროცესში მონაწილე პროკურორი ეწვევა და თავიდანვე დაუფარავად ეტყვის, რომ ქელიძეები უჭყველად მკაცრად უნდა დაისაჯონ, თან „შეახსენებს“ — არც თქვენ ხართ მთლად შეუმცდარი მოსამართლეო...

კაბინეტიდან კენჭაძის დათხოვნის შემდეგ, თამაზმა თათბირის გაგრძელება აღარ ისურვა. კოლეგიის წევრებს სხდომათა დარბაზში გასვლა მოსთხოვა და ამასთან ერთად, თვითონაც მოისხა მანტია და კაბინეტი დატოვა.

კაბინეტიდან გასული, სრულიად მოულოდნელად, თავის ძველ ნაცნობს, დავით ბარამიძეს გადააწყდა. დავითი თბილისის პოლიციის სამმართველოს საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და აქედან გამომდინარე, სწორად უწევდა სასამართლოსა თუ პროკურატურაში ყოფნა. მაგრამ თამაზს მაინც გაუკვირდა მისი ხილვა. საქმე ის იყო, რომ დავითი დროებით გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან. მისი დათხოვნის მიზეზები თამაზისთვის უცნობი იყო. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს, პროკურატურაში მიმდინარე მოკვლევის გამო მოხდა, რომლის დეტალების გახმაურებასაც თვით ხელისუფლება ერიდებოდა.

— ერთი წუთით, — დავითმა, მისალმების გარეშე, შეაჩერა მანტიამი გამონყობილი მოსამართლე, რომელსაც სისხლის სამართლის საქმის მასალებით დატვირთული მდივანი მიუძღოდა.

— პროცესზე მაგვიანდება, — მოუბო-

დიშა თამაზმა.

— სწორედ მაგ პროცესმა მომიყვანა შენთან... — ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა დავითმა.

თამაზმა მას გაცემული მზერა ესროლა. ქელიძეების საქმეს სწორედ დავითის უწყება აწარმოებდა, მაგრამ სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან გამომდინარე, მას ოფიციალურად, ამ ამბავთან არაფერი აკავშირებდა.

— მარტო დაგვტოვე, — უთხრა თამაზმა მდივანს და დავითს მიუბრუნდა.

— უნდა დამეხმარო, თამაზ, — თქვა დავითმა.

— რაში? — გაუკვირდა თამაზს.

— მთელი ცხოვრება ერთ მიზანს — ვაჟის აღზრდას შევნიერე და ამ საქმემ ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა... დამეხმარე, თამაზ... შენც მამა ხარ და თვითონაც მიხვდები, რასაც ახლა განვიცდი!

— ვერაფერს ვხვდები, — მხრები აიჩეჩა თამაზმა. — რა გაკავშირებთ შენ და ნიკას ქელიძეების საქმესთან?

— იმ ცხვირმოუხოცავმა ძუქნამ, ანა მდივანმა აურია გონება ჩემს ნიკას. იქამდე მიიყვანა, რომ მე, საკუთარ მამას დამიპირისპირა. თანაც, ნიკა დარწმუნებულია, რომ ქელიძეების საბრალდებო სკამზე მოხვედრაში მეც მიმიძღვის ბრალი!

— მაინც ვერაფერს მიხვდები, — გაცემული სახით განაგრძო თამაზმა. — რით შემიძლია დაგეხმარო?

დავითმა მიმოიხედა, შემდეგ უფრო ახლოს მიიწია და ჩურჩულით უთხრა თამაზს:

— მე ვიცი, რომ შენ უკვე გესაუბრნენ ამ საქმის შესახებ. ისიც ვიცი, თუ რა გადაწყვეტილება გაქვს მიღებული. მაგრამ მაინც გთხოვ, თამაზ, ნუ იზამ ამას! ქელიძეების გამართლებით, მე შვილს დამაკარგინებ და ამით სასიკვდილო განაჩენსაც გამომიტან!.. როგორც მეგობარს გთხოვ, ნუ დაუშვებ ამას და ნუ იქცევი ჩემს ჯალათად!

— დავით, შენ შეუძლებელს მთხოვ! — დაძაბული ხმით უპასუხა თამაზმა.

— არა, არა!.. შენ ვერც კი ხვდები, რაზე მეუბნები უარს!.. — ამ სიტყვებთან ერთად, დავითი მხრებში ჩააფრინდა და მაგრად შეანჯღრია.

— პროცესზე მაგვიანდება... — თამაზმა სწრაფად გაითავისუფლა თავი და შეწყვეტილი გზა განაგრძო.

— თამაზ!..

— როგორც მეგობარი, ყველაფერში დაგეხმარები, მაგრამ როგორც მოსამართლე, გირჩევ, ჩემ გარეშე გაარკვიო ნიკასა და შენ შორის ურთიერთობა, — უკანმოუხედავად ისროლა თამაზმა და ნაბიჯს აუჩქარა.

— გაფრთხილებ, თამაზ!.. მწარედ გა-

ნანებ ჩემთან დაპირისპირებას!! — განწირული ხმით დაადევნა დავითმა და შემდეგ, საპირისპირო მხარეს გავარდა.

...თამაზი ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ასე გაუჭირდებოდა სხდომათა დარბაზში შესვლა. კართან მისული, ისეთმა მღელვარებამ მოიცვა, რომ ორიოდ წუთი, სახელურის მოზიდვაც კი ვერ შეძლო.

— ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს? — გაცემული სახით ჰკითხა მდივანმა კართან გაქვავებულ მოსამართლეს.

— არა... არაფერი, — სწრაფად მიუგო თამაზმა. შემდეგ, ძალა მოიკრიბა, სახელური მოზიდა და დარბაზში შეაბიჯა.

იქ ზუსტად ისეთი სურათი დახვდა, როგორსაც ელოდა: დარბაზში განთავსებული ყველა სკამი დაკავებული იყო, დამსწრეთა გარკვეული რაოდენობა კი, კედლების განკვირვ იდგა. იქვე იმყოფებოდნენ ტელევიზიების წარმომადგენლებიც, რომლებსაც კამერების ობიექტივები ზარბაზნის ლულებივით მიემართათ მისკენ და სამუშაოდ ემზადებოდნენ.

— გთხოვთ, ფეხზე ადგეთ, სასამართლო მობრძანდება! — ტრადიციული ფრაზით მიმართა დარბაზში მყოფთ სასამართლოს მდივანმა.

აუდიტორია უმალ გამოცოცხლდა. დამსწრენი წამოიშალნენ და მოლოდინით სავესტო მზერა მიაპყრეს მოსამართლეს. თამაზი თავის დაკვრით მიესალმა საზოგადოებას, შემდეგ, მაგიდას მიუჯდა და საპირისპირო მხარეს გაიხედა — იქ, სადაც პროკურორი ეგულბოდა. კენჭაძემ კმაყოფილებით სავესტო მზერა შეაგება. თამაზი უმალ მიხვდა, რომ მისი კმაყოფილება, ბრალდებულთა ადვოკატის, ანა მდივანის პროცესზე გამოუცხადებლობით იყო გამოწვეული...

— ვინ წარმოადგენს დაცვის მხარეს? — მიუბრუნდა თამაზი მდივანს.

— ბრალდებულების ადვოკატი პროცესზე არ გამოცხადდა, — უპასუხა მან.

— სადა თქვენი ადვოკატი? — ჰკითხა მოსამართლემ საბრალდებო სკამზე მსხდომ ძმებს.

— არ ვიცი, — უპასუხა ერთ-ერთმა მათგანმა.

— ადვოკატის გარეშე პროცესს ვერ დავინწყებ, — ყველას გასაგონად განაცხადა თამაზმა.

— მაშინ, პროცესში სახაზინო ადვოკატი ჩავრთოთ, — სწრაფად ისროლა კენჭაძემ.

თამაზი უმალ მიხვდა, რომ სახაზინო ადვოკატის მონვევა, კენჭაძის გეგმის ნაწილი იყო და რომ ის უკვე შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ადვოკატთან. მაგრამ მას არ ჰქონდა უარის თქმის უფლება. სამაგიეროდ, ასეთი უფლებით სარგებლობდნენ ბრალდებულები, რითიც მათ დაუყოვნებლივ ისარგებლეს.

— ჩვენ წინააღმდეგი ვართ!.. — კატეგორიული ტონით განაცხადეს ძმებმა.

— თქვენი ასევე შეგიძლიათ, თავად, ადვოკატის მონაწილეობის გარეშე განახორციელოთ საკუთარი უფლებების დაც-

ვა, — შემპარავი ხმით წარმოთქვა კენჭამდე.

— არა... ჩვენ მოვითხოვთ, რომ პროცესში ანა მდივანმა მიიღოს მონაწილეობა! — ძმებმა ცივად უარყვეს პროკურორის წინადადება.

— მის გამო პროცესს უსასრულოდ ვერ გავაჭიანურებთ! — ცივად მოსხიბა პროკურორმა და ამასთან ერთად, მზერა მიაპყრო თამაზს, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი.

— პროცესი გადადებულია! — სწრაფად მიიღო გადანწყვეტილება თამაზმა.

— პროტესტს ვაცხადებ! — ფეხზე წამოხტა პროკურორი. — საპროცესო კოდექსში ნათლადაა მითითებული, რომ ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, განსასჯელის დაცვა სახაზინო ადვოკატმა უნდა განახორციელოს.

— მე კარგად ვიცნობ კოდექსს, — დაიწყო თამაზმა, მაგრამ ვიდრე სიტყვას დაასრულებდა, სხდომათა დარბაზის კარში ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა.

თამაზი ადრე არასოდეს შეხვედრია ჭელიძების ადვოკატს, მაგრამ პროკურორის სახეზე ალბეჭდილმა ემოციამ უმალ მიახვედრა, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა ადვოკატი ანა მდივანი, რომელმაც ამდენი თავის ტკივილი გაუჩინა პროკურატურას...

ადვოკატს გვერდით მოჰყვებოდა ახალგაზრდა კაცი, რომელშიც თამაზმა დავითის ერთადერთი ვაჟი, ნიკა ბარამიძე ამოიცნო. ნიკამ ადვოკატისთვის განკუთვნილ მაგიდამდე მიაცილა ანა და როდესაც ის დაჯდა, თვითონაც მის სიახლოვეს დაიკავა ადგილი.

— დაგვიანებისთვის ბოდიშს გიხდით. მე მზად ვარ პროცესში მონაწილეობისთვის, — მიმართა ანამ მოსამართლეს.


— რამის განცხადება ხომ არ გასურთ? — თამაზმა კენჭაძეს გახედა.

— არა! — ბრაზიანად ესროლა მან და სკამზე დაეშვა.

— მაშინ პროცესს გახსნილად ვაცხადებ! — დარბაზის გასაგონად წარმოთქვა მოსამართლემ და საქალაქო გადაშავა. მაგრამ ვიდრე ის პროცესს განაგრძობდა, მოვლენები სრულიად მოულოდნელი სცენარით განვითარდა. ამის მიზეზად იქცა ვიდუოკასეტა, რომელიც ანამ დემონსტრაციულად ამოიღო ხელჩანთიდან და მაგიდაზე დადო. რას უკავშირდებოდა ეს ვიდუოკასეტა, თამაზისთვის უცნობი იყო. მაგრამ მის ყურამდეც არაერთხელ მიუღწევია მოარულ ხმებს იმის შესახებ, რომ ადვოკატს ჰქონდა ვიდუოჩანანური, რომელსაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხ-

ლე შეენირა, ანა მდივანის მკვლელობის მცდელობის მიზეზადაც ქცეულა და რომლის გამომწვევებაც პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მეტისმეტად აშინებდა. ის, რომ ადვოკატის მაგიდაზე სწორედ ეს ვიდუოკასეტა იდო, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა.

— განხილვის დაწყებამდე, სასამართლოს მივმართავ შუამდგომლობით, რომ მოხდეს ამ ჩანაწერის განხილვა და მიეცეს



სათანადო შეფასება, — განაცხადა ადვოკატმა და გამგირავი მზერა ესროლა პროკურორს.

— მე წინააღმდეგი ვარ, რადგანაც ეს ჩანაწერი არ წარმოადგენს ნივთმტკიცებას და არაფრით უკავშირდება პროცესს! — ბრაზით აღსავსე ხმით წარმოთქვა პროკურორმა.

— მე სხვა აზრის გახლავართ. სასამართლო შეისწავლის ამ ჩანაწერს და მხოლოდ ამის შემდეგ განაახლებს პროცესს, — მცირე პაუზის შემდეგ განაცხადა მოსამართლემ და განკარგულების მისაცემად, მდივანს მიუბრუნდა...

სალამოს შინ დაბრუნებულ რეზოს, დედამ დაღლილი მზერა შეაგება.

— რა მოხდა? — რეზომ იატაკზე დაუშვა ჩანთა და დედას მიუბრუნდა.

— არაფერი... ვაზშამს მოგიგზავნებ, — ჩავარდნილი ხმით უპასუხა ნელიმ, შემდეგ, შვილს ზურგი შეაქცია და სამზარეულოს მიაშურა. რეზო მაშინვე უკან მიჰყვა, სამზარეულოს კუთხეში ჩამოჯდა

და დედას ჩაფიქრებული მზერა მიაპყრო.

...რაც დრო გადიოდა, ნელი უფრო და უფრო ხშირად ეგებებოდა გადაღლილი და შინაარევი მზერით. პირველად რეზომ დედის ასეთი გამოხედვა 3 წლის წინ შენიშნა — მაშინ, როდესაც მამამისი გარდაიცვალა, ხოლო ნელი საავადმყოფოში აღმოჩნდა. მაშინ რეზო პირველი კურსის სტუდენტი იყო, მისი უმცროსი ძმა, გიო კი — 15 წლის მოზარდი. ბუნებრივია, რომ გადატანილმა ტრავმებმა თავისთავად ჩაუსახა ნელის შიში. მაგრამ რეზომ სწრაფად შეძლო ვითარებაში გარკვევა და დაავადებულ დედას მხარში ამოუდგა. ეს სულაც არ იყო იოლი. მამის დაკარგვისა და დედის დასწრელების შემდეგ, ვინმეს საკუთარ თავზე უნდა აეღო ოჯახზე ზრუნვა. მას ამისთვის, ინსტიტუტის მიტოვება მოუხდა და სულ მალე, ყოფილი სტუდენტი დედასა და უმცროს ძმას საიმედო საყრდენად და მფარველად მოეწვინა.

თავიდან, გამოუცდელო ახალგაზრდას დიდი შემოსავალი როდი ჰქონდა. მაგრამ ნელის გამოსაკეთებლად, ოჯახისადმი შვილის დამოკიდებულებაც საკმარისი აღმოჩნდა. ყველაზე მეტად კი, დედას უმცროსი ძმისადმი უფროსი ვაჟის დამოკიდებულება მატებდა ძალას. სასწავლებლის მიტოვების შემდეგ, რეზო არაფერს იშურებდა იმისთვის, რომ მის უმცროს ძმას მისცემოდა იმავე უმაღლესი მოხვედრის შესაძლებლობა.

მისი გადანწყვეტილებას გიოც სათანადოდ აფასებდა. მან წარმატებით დაამთავრა სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ტექნიკურ უნივერსიტეტში. აჰან უსაზღვრო სიხარული მიანიჭა ნელის. მაგრამ... მისი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: სულ მალე, რეზომ ისევ შენიშნა დედას ნაცნობი მზერა.

— დედა, რა მოხდა? — კატეგორიული ტონით იკითხა რეზომ.

ნელი რამდენიმე წამით უხმოდ იდგა. შემდეგ, მთელი სხეულით შემობრუნდა და უპასუხა:

— „იმან“ ისევ მოაკითხა...

— ზაზამ?! — მოიღრუბლა რეზო.

— ჰო, — მოკლედ დაუდასტურა ნელიმ.

ზაზა, გიოს ბავშვობის მეგობარსა და ყოფილ თანაკლასელს ერქვა. ნელისა და რეზოს არაფერი ჰქონდოდა გიოს მეგობრების საწინააღმდეგო, პირიქით — ისინი ყოველთვის სიხარულით ხვდებოდნენ გიოსა და მისი თანატოლების ახლო ურთიერთობას. მაგრამ ზაზა გამონაკლისს წარმოადგენდა. საქმე ის იყო, რომ გიოს ყოფილი თანაკლასელი სკოლის დამთავრებისთანავე, საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა. მისი დაპატიმრება უზანში მომხდარ ჩხუბს მოჰყვა. ჩხუბისას ზაზამ თანატოლი დაჭრა, რასაც მისი სამწლიანი პატიმრობა მოჰყვა.

პირველად ზაზამ საპატიმროში მხოლოდ წელიწადი და რამდენიმე თვე გაატარა. შემდეგ ის გაათავისუფლეს. მაგრამ ამით მისი უსიამოვნო თავგადასავლები არ დასრულდებოდა: სულ მალე, ის კვლავ საპრალდებო სკამზე აღმოჩნდა. ამჯერად ზაზა რამდენიმე ბინის ქურობისთვის გაასამართლეს და საპატიმროში ხუთი წლით გაისტუმრეს.

ვიდრე ზაზა კოლონიაში იმყოფებოდა, უბანში ბევრი რამ შეიცვალა. მისი თანატოლების ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა, ნაწილმა მუშაობა დაიწყო, ნაწილი კი, საზღვარგარეთ გაემგზავრა. მაგრამ არაფრით შეცვლილა ზაზა. საპატიმროში გატარებული ოთხი წლის შემდეგ, ის კვლავ დაუბრუნდა უბანს და ცხოვრება ჩვეული კალაპოტით განაგრძო. საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ, წელისა და რეზოსთან ხშირად აღწევდა ზაზასთან დაკავშირებული უსიამოვნო ხმები...

— ზაზა „შავს“ „ანგება“!..

— ნამალზეც არ ამბობს უარს...

— გუშინ უბნის განაპირას რაღაც გარჩევა იყო. ამბობენ, ზაზამ ვიღაცას ესროლა!..

— ნახეთ, დღეს თუ ხვალ, ეგ ისევ ციხეში აღმოჩნდება... — ფრთხილად ჩურჩულებდნენ უბნელები.

წელისა და რეზოს არ შეუშვოთებია იმას, რომ გათავისუფლების შემდეგ ზაზა მათ ოჯახში გამოჩნდა. მათ ბუნებრივად მიიჩნიეს ყოფილ თანაკლასელთან მისი სტუმრობა. მაგრამ მოგვიანებით ზაზამ მათ სახლში სტუმრობას მოუხშირა. რისთვის დაიარებოდა მათთან, — წელისა და რეზოსთვის უცნობი იყო. ის და გიო ბევრ დროს ატარებდნენ, ოთახში შეკვტილები. ბოლოს და ბოლოს, რეზოს მოთმინების ფილა აეგო და გიოს პირდაპირ მოსთხოვა, შეეწყვიტა ყოფილ თანაკლასელთან ურთიერთობა.

— რატომ?! — გაოცებული სახით მიუბრუნდა გიო უფროს ძმას.

— შენ თვითონ ვერ ხვდები? — მოიღრუბლა რეზო.

— ვერა, — მხრები აიჩეჩა გიომ.

— რა გაქვს მასთან საერთო? შენ სტუდენტი ხარ, ის კი... მან თავად აირჩია ასეთ გზა!..

— მე რა?! ამით რისი თქმა გასურს?!

— არ შეეპუა გიო.

რეზომ გაოცებული მხერა მიაპყრო უმცროს ძმას.

— შენ კარგად იცი, რომ ზაზა ჩემი ბავშვობის მეგობარია და იმის გამო, რომ ვიღაც-ვიღაცებს მისი ცხოვრების წესი არ მოსწონთ, მასთან ურთიერთობას არ შეგწყვიტე! — კატეგორიული ტონით განაგრძო გიომ.

— მე და დედა ვიღაც-ვიღაცები ვართ?!

— გაღიზიანდა რეზო.

— ჩემთვის მეგობრების შერჩევის უფლებას თქვენც არ მოგცემთ! — ცივად ესროლა გიომ.

რეზომ იგრძნო, რომ ასეთ ვითარებაში ლაპარაკის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. უკეთესი იქნებოდა, სხვა სიტუაციაში

და დედის დაუსრებლად გაეგრძელებინათ. მაგრამ საუბრის გადადება ვერ მოხერხდა — წელის ჩარევამ ყველაფერი აურდაურიდა.

— როგორ არ გრცხვენია?! — ბრაზმორეული ხმით აღმოხდა წელის. — რეზომ იმისთვის მიატოვა ინსტიტუტი, რომ შენ მოგცემოდა სწავლის შესაძლებლობა, შენ კი...

— მე არაფერი მითხოვია მისთვის! — გულგრილად მიუგო გიომ, შემდეგ შებრუნდა, კარი გაიჯახუნა და სახლიდან გავარდა.

უსიამოვნო საუბრის შემდეგ, გიოს ღამე შინ არ გაუთევია. სად იყო, — ეს წელისა და რეზოსთვის უცნობი დარჩა. ის მხოლოდ მომდევნო დღის მინუტურას დაბრუნდა შინ. დედისა და ძმისთვის ხმაც არ გაუცია, თავის ოთახში შეიკეტა, დილით კი, ჩვეულებისამებრ, ადგა და ინსტიტუტში წავიდა.

იმ დღის შემდეგ, ზაზა მათთან აღარ გამოჩენილა. მაგრამ ამით ჭეღვიძების ოჯახში მაინც არ დაბრუნებულა სიმშვიდე. მისი ადგილი, რეზოსთვის კარგად ნაცნობ, დედის ტკივილიან მხერას ეკავა. გიო კი მათთვის აუხსნელი სიჯიუტით განაგრძობდა ზაზასთან ურთიერთობას და საერთოდ არ ცდილობდა დედისა და ძმის შეხედულების გაზიარებას...

— როდის მოაკითხა ზაზამ? — ფიქრს მოსწყდა რეზო.

— დაახლოებით ერთი საათის წინ, — უპასუხა წელიძე.

— რისთვის?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა წელიძე. — ეზოდან დაუძახა. გიოს არაფერი უთქვამს ჩემთვის. ქურთუქს დაავლო ხელი და ტყვიასავით გავარდა.

— მე ვიცი, სადაც იქნებიან... — რეზო მძიმედ წამოიწია სკამიდან.

— ნუ ნახვალ, — ფრთხილად სთხოვა წელიძე.

— რატომ? — გაუკვირდა რეზოს.

— შენმა ძმამ უკვე გააკეთა არჩევანი...

— ჩავარდნილი ხმით მიუგო დედამ. — მე ჩემს ძმას არავის დაუთმობ! ის ან ახლავე დაბრუნდება შინ ჩემთან ერთად, ან კიდეც!.. — რეზომ არ დაასრულა.

— თუ არ დაბრუნდა?.. — პაუზის შემდეგ ჰკითხა წელიძე.

— მაშინ, ზაზა თავად წავა მისი ცხოვრებიდან!.. — ბრაზით ჩაილაპარაკა რეზომ და გასასვლელი კარისკენ გასწია.

უბნის განაპირას რამდენიმე დაუსრულებელი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი მდებარეობდა. რეზოს კარგად ახსოვდა ის დრო, როდესაც ქვეყნარეული მშენებლობა მიმდინარეობდა. მაშინ ის 14-15 წლის იყო... შემდეგ, მშენებლობა შეწყდა. მშენებლები გაქრნენ, მოედანზე კი რამდენიმე დაუსრულებელი კორპუსი დარჩა. შენობებიდან ერთ-ერთი — ცხრასართულიანი იყო, დანარჩენები კი, მხოლოდ ორი ან სამი სართულის სიმაღლეზე აყვანათ.

მშენებლების ნასვლის შემდეგ, რკინაბეტონის ჩონჩხებს ახალი მფლობელები გამოუჩნდნენ: ისინი გაურკვეველი ჯურის ახალგაზრდები იყვნენ. მას შემდეგ, მოედანი კრიმინალური გარჩევების მუდმივ ასპარეზად გადაიქცა, სადაც ხშირად ხდებოდა ჩხუბი და აყალმაყალი. რამდენიმე ასეთი დავა კი, უბნელი ახალგაზრდების დაჭრითა და მკვლელობითაც კი დასრულდებოდა. სწორედ ამიტომ გაუბრუნდნენ უბნის მცხოვრებლები სამშენებლო მოედნიდან მიმავალ გზას, რომლის ბოლოშიც რამდენიმე რუხი შენობა წამოჭიმულიყო.

სამშენებლო მოედანთან მიახლოებისას, რეზომ იქვე მდგომი კარ და ფრთებშეჭეჭილი რუხი ფერის „ბეემე“ შენიშნა. ეს სწორედ ის ავტომანქანა იყო, რომელსაც რეზო ეძებდა... მოახლოებული სილუეტი სალონში მყოფებმაც შენიშნეს. რეზო ავტომობილიდან ათიოდ მეტრის დაშორებით იმყოფებოდა, როდესაც კარების ბრაზუნის მოქმედა. იმავე წამს მის პირისპირ ორი სილუეტი გაჩნდა. ერთ-ერთი მათგანი, მის ძმას ეკუთვნოდა, მეორე კი — გიოს ყოფილ თანაკლასელ ზაზას.

როგორც კი უფროსი ძმა იცნო, გიო დანინაურდა, წინ გადაუდგა და ჰკითხა: — აქ რას აკეთებ?

— შენთან სალაპარაკოდ მოვედი, — უპასუხა რეზომ.

— სახლში ვილაპარაკო, — მშვიდად მიუგო გიომ.

— არა... აქ და ახლა ვილაპარაკებთ!

— ცივად უპასუხა რეზომ.

გიომ უწყალოდ მხერა ესროლა ძმას და შემდეგ დაამატა:

— კეთილი... გისმენ...

— ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი, — განაგრძო რეზომ.

— რომელი საკითხი?

რეზომ შესვლით, მოშორებით მდგომ ზაზაზე მიანიშნა და კატეგორიულად უთხრა ძმას:

— შენ არ გამოგადგება მასთან მეგობრობა!..

— ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამ საკითხზე!..

— მაშინ დედა გვისმენდა, ახლა კი — შენი „მეგობარი“... — რეზომ ხაზგასმით წარმოთქვა ეს სიტყვა.

— რა არ მოგწონს ჩემში?! — უცრად ძმების დიალოგში ჩაერია ზაზა.

— შენაირ კაცს ჩემს ძმასთან არაფერი ესაქმება, — მიუბრუნდა მას რეზო.

— ეს უკვე ითქვა, — შენიშნა ზაზამ.

— ესე იგი, ყველაფერი გარკვეული ყოფილა.

— როგორ შეცვლილხარ, რეზო!.. — გულისტკივილით ჩაილაპარაკა ზაზამ. — შენ ხომ იცი, რომ მე და გიო ბავშვობიდან ვმეგობრობთ... ვხვდები, რაც გავინებს, მაგრამ შემოიღია, კაცური სიტყვა მოგცე, რომ ჩემთან ახლოობით შენს ძმას არაფერი დაუშავდება... პირადად შენ კი, გირჩევ, ნაკლები უსმინო უბნის ჭორიკანებს. ჩემზე ბევრ რამეს ჰყვებიან, მაგრამ აქედან ნახევარიც არ შეესაბამება სიმართლეს.

— მართლა?! — ირონიულად ჩაილა-

პარაკა რეზომ. — იქნებ, მართლა ვცდები და შენ არა ხარ ის კაცი, ვინც თავის თანატოლს გაუყარა დანა?!

— არ ცდები — მე დავეჭერი ის ბიჭი. მაგრამ განა, შენ არ ყოფილხარ ახალგაზრდა და შეცდომა არ დაგიშვია?! რისთვის მახსენებ იმ ამბავს, რომელსაც მე თვითონ მივიჩნევ შეცდომად?!

— შენს მეორე შეცდომაზე რაღას იტყვი?.. — უცვლელი ტონით განაგრძო რეზომ.

— მეორე „სროკს“ გულისხმობ?

— მართალი ხარ, — დაუდასტურა რეზომ.

— ამაში კი ცდები. მაშინ შეცდომა არ დამიშვია, — უპასუხა ზაზამ.

— შეგნებულად წახვედი ციხეში?

— არა, რეზო. მე არაფერი მომიპარავს, — თავი გაიქინა ზაზამ.

— მაშ, რისთვის გაგასამართლეს? — გაიკვირვა რეზომ.

— იცი, რას ნიშნავს სიტყვა „გაჩალიჩება“? — ჰკითხა ზაზამ.

— ვიცი.

— მაშინ თავადაც მიხვდები, როგორაც აღმოვჩნდი „სროკზე“... — ჩაილაპარაკა ზაზამ.

— „გაჩალიჩებს“... — დამცინავად ისროლა რეზომ.

— ჰო.

— სამი თუ ოთხი ბინის ქურდობა?!

— გიკვირს?..

— არაფერი მიკვირს. უბრალოდ, შენი არ მჯერა, — თავი გაიქინა რეზომ.

— შენ რა, „ძაღლებთან“ არასოდეს გქონია საქმე? — გაიკვირვა ზაზამ.

— შენ წარმოიდგინე, რომ არა.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ...

— და მინდა, რომ ჩემი უმცროსი ძმაც ასეთი იყოს... — სწრაფად შეაგება რეზომ.

— მე კი ასე არ გამომივიდა... — ამოიოხრა ზაზამ.

— მაინც რატომ შეგარჩიეს მაინცდამაინც შენ?.. — ჰკითხა რეზომ.

— უბრალო ამბავია. იმავეს მოგიყვება ნებისმიერი „ნასროკალი“...

— მე შენგან მინდა ამ ამბის მოსმენა.

— იცი, რა ხდება „სროკიდან“ გამოსვლის შემდეგ?

— არა... არ მქონია ამ „ბედნიერების“ განცდის შესაძლებლობა!.. — ირონიულად შენიშნა რეზომ.

— შენი იუმორი უადგილოა... თუ განიტერესებს, შემიძლია მართლაც, მოგიყვე, — მშვიდად უპასუხა ზაზამ.

— მომიყვი.

— კოლონიიდან გათავისუფლების შემდეგ, როგორც წესი და რიგია, რაიონის პოლიციაში მივდი. ასეთია წესი — ყველა „ნასროკალს“ „ოურში“ აღრიცხვაზე აყენებს. მაგრამ ოფიციალური წესები „ოურში“ ცალ ფეხზე ჰკიდიათ. იქ სულ სხვა რამისთვის იბარებენ...

— რისთვის?

— მათ რამდენიმე ინტერესი ამოძრავებთ, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც მაყუთი დგას... წარმოიდგინე ვი-

თარება, რომელშიც მე, „ნასროკალი“ კაცი უკან მიბრუნებას არ ვაპირებ, ისინი კი ჩამჩინებენ, რომ ეს მაინც მოხდება და თუ მინდა, რომ ეს, რაც შეიძლება გვიან და პატარა „სროკით“ მოხდეს, უნდა ვიხადო ყოველთვიური „სტავკა“!.. ინტერესი მეორე — ინფორმაცია!.. ეს, ისევ და ისევ „სვაბოდაზე“ ყოფნას უკავშირდება, მაგრამ ამისთვის მაყუთს არ ითხოვენ... ისინი „ნასედკად“ „გავერობკებენ“, რათა საკუთარი თავისუფლების სანაცვლოდ, დააჭერილო უბნელები — აი, ისეთი ბიჭები, როგორიცაა შენი ძმა!..

— გაჩუმდი!.. — წამოიძახა განრისხებულმა რეზომ.

— არ მოგნონს?! — მოიღრუბლა ზაზამ. — ვიცოდი, რომ არ მოგნონებოდა, მაგრამ რახან წამოვიწყე, სათქმელს ბოლომდე მივიყვან... იმ შემთხვევაში, თუ შენ არ იღებ თამაშის წესებს, სამიზნედ იქცევი. ამიერიდან მთელი პოლიცია, დანსებელი უფროსით და რიგითი თანამშრომლით დამთავრებული, შენზე ნადირობს!.. „გაჩალიჩებას“ კი, ბევრი არაფერი უნდა. რომელიღაც ნაბოზარის მიერ მოპარულ „ბარახლოს“ შემოგიყრიან... „სროკისთვის“ ერთი მაგნიტოფონი, ერთი-ორი კასეტა და ისევ იმ ნაბოზარის ჩვენებაც კმარა, რომელიც დაადასტურებს, რომ სამებრომ, მისი თანდასწრებით, შენი ბინიდან ან სარდაფიდან ამოილი „ბარახლო“ და ამით ყველაფერი დამთავრდება... სამაგიეროდ, დაინწყება სხვა რამ — ის, რომ შენნაირი კაცი იმ ნაბოზრებს მიეწროება და თავის უმცროს ძმასთან გაკარებას ამიკრძალავს. მე კი სწორედ იმის გამო ვახლოვდები გიოსთან, რომ რომელიმე „ნასედკამ“ არ ისარგებლოს მისი გამოუცდლობით და მისი სისხლით არ იყიდოს საკუთარი ბოზური თავისუფლება...

— ესე იგი, „გაჩალიჩების“? — პაუზის შემდეგ ჰკითხა რეზომ.

— ასე იყო, — დაუდასტურა ზაზამ, — ორი საქმე ფაქტებით „შემომტენეს“, ორიც — ისე.

— მორფინოსტობაც პოლიციამ ხომ არ დაგნამა?.. — მზერა გაუსწორა რეზომ.

— არა... — ჩაიციხა ზაზამ. — ამაში ისინი მართლაც, „ალა-მართლები“ არიან. რა ვქნა, რეზო, მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. იყო დრო — ვიკეთებდი, მაგრამ ის არასოდეს მითქვამს, რომ წამალი კარგია. ეს ჩემი ძალიან დიდი შეცდომა იყო და ამას ყველასთან ვაღიარებ...

— საინტერესოდ ჰყვები, — რეზომ თვატრალურად დაუქრა ტაში, — ჩემს ძმასაც ამ აზრით გამოუჭედე თავი?..

— მწყინს, რომ ერთმანეთს ვერ გავუგებ... — ხელი ჩაიქინა ზაზამ.



— ჩვენ ვერასოდეს გაუგებთ ერთმანეთს, — ცივად მიუგო რეზომ, შემდეგ, გიოს მიუბრუნდა და დაამატა: — შენ გჯერა მისი?

— მე იმაზე მეტი ვიცი, ვიდრე ზაზამ გაიამბო, — უპასუხა მან.

— ჩემი და დედაჩვენის არ გჯერა და მისი გჯერა?! — მოიღრუბლა რეზომ.

— თქვენ არაფერი იცით ზაზას შესახებ, — თავი გაიქინა გიომ.

— მართალი ხარ. მე არაფერი ვიცი ზაზას შესახებ და არც მაინტერესებს, მაგრამ მე მალაპარაკებს ცხოვრებისეული გამოცდილება. ასეთ ადამიანთან ურთიერთობა ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს, შენ კი პირდაპირი გზით მიგაქანებს ციხისკენ.

— აზვიადებ, რეზო, — უპასუხა გიომ.

— არა... ეს იმის ნახევარია, რაც უნდა მეთქვა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ესეც კმარა... შენ ახლავე უნდა გამომეყვე სახლში და პირობაც უნდა მომცე, რომ ზაზასთან ურთიერთობას შეწყვეტ! — კატეგორიული ტონით მოითხოვა რეზომ.

— ახლა კი, მართლაც, ამლაშებ!.. — ბრაზი მოერია გიოს.

რეზო პასუხისთვის მოემზადა, მაგრამ ვიდრე რამეს იტყოდა, ზაზამ დაასწრო.

— გაჰყვი, — სმადებლა გადაულაპარა მან გიოს. — მეგობარი — მეგობარია, მაგრამ ძმას ვერავინ შეგიცვლის.

— წამოდი სახლში, — განაგრძო რეზომ, — მე ხომ არაფერი მითქვამს დედის შესახებ. მგონი, თავადაც უნდა სვდებოდე, რასაც განიცდის ახლა!..

— გაყვი... — ისევ გაიმეორა ზაზამ.

გიო წამით ჩაფიქრდა, შემდეგ კი რეზოს გაუსწორა მზერა და თქვა:

— არა. მე პატარა ბავშვი არა ვარ და ისეთი ადამიანისგან, რომელიც რაღაც-რაღაცებში ვერ ერკვევა, რჩევას ვერ მივიღებ, თუნდაც, ეს ადამიანი — ჩემი ძმა იყოს!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის სიწმინდეები

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სიწმინდეთა შორის, ერთ-ერთი გამოჩენილია წმინდა მღვდელმთავარისე წილკნელის საფლავი და წილკნის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც წილკნის ღვთისმშობლის ტაძარშია დავანებული...

შორენა მერკვილაძე

წილკნის ღვთისმშობლის ტაძარი

წილკნის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი შიდა ქართლში, წილკნისა და დუშეთის ეპარქიაში, მთის ხეობაში შესასვლელ სოფელ წილკანში მდებარეობს. სწორედ მდებარეობის გამო ეწოდა სოფელს წინაკარი-წინკარი, მოგვიანებით კი — წილკანი. სოფლის სახელწოდების გავლენით, ეპარქიის ტერიტორიაზე აგებულ პირველ ქრისტიანულ ტაძარსაც წილკნის ტაძარი ეწოდა, რომელიც IV საუკუნის მეორე ნახევარში აუგია მირიან მეფის მემკვიდრეს — ბაქარს.

წილკნის ეპარქია, რომელიც მცხეთის ჩრდილოეთით მდებარეობს, ერთ-ერთი უძველესია საქართველოს ეპარქიებს შორის. წილკნის საეპისკოპოსოს ჩამოყალიბება, ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ მან მოუწოდა, მდინარე არაგვსა და ქსანს შორის მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ წარმართ მთიელებს ქრისტიანული რჯულის მიღებისკენ: „წარვიდა წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოანე და მოუწოდეს მთიულთა, ფხოვლთა და წილკნელთა და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა“, — გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“. მართალია, ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ წარმართთა ნაწილი სასტიკად შეეწინააღმდეგა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას და უარი განაცხადა ქრისტიანული რჯულის მიღებაზე, მაგრამ დიდმა ნაწილმა მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება და მოინათლა. ასე შეიქმნა წილკნის სამწყსო, რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში, მეფე ვახტანგ გორგასლის ცნობილი საეკლესიო რეფორმის შემდეგ, ცალკე ეპარქიად ჩამოყალიბდა.

VI საუკუნის მეორე ნახევარში, წილკნის ეპარქიის მღვდელმთავრად, ერთ-ერთი ასურელი მამა — ისე დაადგინეს, რომელსაც წილკანში მოღვაწეობის გამო, წილკნელი ეწოდა. ისე წილკნელის მოღვაწეობამ განსაკუთრებით გააძლიერა და განამტკიცა წილკნის საეპისკოპოსო. მისი მღვდელმთავრობის დროს ეპარქიის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალი წარმართი მოექცა ქრისტიანულ რჯულზე, წილკნის სამწყსოს, მოხვედრებიც შეემატნენ.

წმინდა მამა სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა წილკანში, ამქვეყნიური

ცხოვრებიდან გასვლის შემდეგ იქვე, თავის სამწყსო-წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს.


ვინ იყო ისე წილკნელი

იმ თორმეტ რჩეულ მონაფეს შორის, რომელიც იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით ჩამოვიდნენ ასურეთიდან საქართველოში ქრისტიანული რჯულის განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად, ერთ-ერთი იყო მამა ისე. ასურეთიდან ჩამოსულმა წმინდა მამებმა თავდაპირველად, თავიანთი სცეს მირონმდინარ სვეტს და უფლის კვართს, შემდეგ ერთად მოიარეს და მოილოცეს ის ადგილები, სადაც წმინდა ნინომ იქადაგა...

სიწმინდეების მოლოცვის შემდეგ, ევლავიოზ კათოლიკოსის კურთხევით, ასურელი მამები თავიანთ წინამძღვართან, იოანე ზედაზნელთან ერთად, ზედაზნის მთაზე დამკვიდრდნენ და ერთხანს იქვე მოღვაწეობდნენ.

ერთ საღამოს, იოანეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, რომ თავისი მონაფეები ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაეგზავნა საქადაგებლად და ქრისტიანული რჯულის განსამტკიცებლად. მამა იოანემ ჩვენების შესახებ მათთან მოღვაწე ასურელ მამებს ამცნო და მონაფეები სხვადასხვა კუთხეში გასამგზავრებლად შეამზადა. ევლავიოზ კათოლიკოსისა და იოანე ზედაზნელის კურთხევით, მამა ისე წილკნის ეპარქიის მღვდელმთავრად იქნა დადგინილი. ისეს არ სურდა ეპისკოპოსის პატივის მიღება, ცრემლით ითხოვდა მისგან გარიდებას, მაგრამ იოანე ზედაზნელისა და კათოლიკოსის ლოცვა-კურთხევას წინ ვერ აღუდგა და წილკანს გაეშურა.

მამა ისე დაუღალავად და უშურველად იღვწოდა წილკნის ეპარქიის გასაძლიერებლად, საოცარ გულმონყალებას იჩენდა ღარიბ-ღატაკთა და გასაჭირში მყოფთა მიმართ, დაუღალავად დადიოდა ეპარქიის მთიან ადგილებში, არღვევდა საკერპოებს და იქ მცხოვრებ



წარმართებს „სახარების“ ქადაგებით, ქრისტიანული რჯულის მიღებისკენ მოუწოდებდა. მისმა ქადაგებამ და ქრისტიანული ცხოვრების წესმა, მართლაც, მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტიანულ რჯულზე.

ღირსი ისე, უფლის მაღლით, მრავალ სასწაულს იქმნოდა, ყველაზე დიდი სასწაული, წილკნის ტაძრამდე მის მიერ მდინარე ქსნის წყლის მიყვანა იყო. ერთხელ, იოანე ზედაზნელმა თავის მონაფეებს — შიო მღვიმელს და ისე წილკნელს უხმო: „მნებავს თქვენ მიერ სასწაულისა რაისამე ქმნა, რაითა მხილველნი მათნი ადიდებდნენ ღმერთსა, რამეთუ ფრიად მოქენე არიან ქართველნი ხილვად თქვენგან სასწაულთა და საკვირველებათა, რაითა უმეტესად ჰრწმუნეს ჩუენ მიერ ქადაგებული იგი სარწმუნოებაი“, — მიმართა მათ. ღირსმა მამებმა მორჩილებით მიიღეს სულიერი მამის ლოცვა-კურთხევა. პირველად სასწაული შიო მღვიმელმა აღასრულა — ცეცხლთან მივიდა, ნაკვერჩხალი ხელისგულზე დაიდო და ზედ საკმეველი დააყარა. კმევა რომ დაასრულა, ყველამ თვალნათლივ იხილა, ხელისგული ოდნავაც კი არ ჰქონდა დამწვარი. როდესაც ჯერი ისე წილკნელზე მიდგა, ის მდინარე ქსნის ნაპირას ჩავიდა; მას თან გაჰყვნენ წმინდა მამები და უამრავი ადამიანი. მამა ისემ მდინარეს ჯვარი გადასახა, შემდეგ კვერთხი დასცა: „სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა“. შემდეგ წარმოთქვა: „მდინარეო, სახელითა

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა გიბრძანებ ჩემ მიერ კსინვით ვიდოდე და შემომიდებ, ვიდრეღა ვიდოდე“. მართლაც, მდინარეს წყლის ერთი ტოტი გამოეყო და მამა ისეს კვერთხს შეუდგა. საითაც ღირსი მამა მიდიოდა, წყალიც იქითკენ მიჰყვებოდა. წყალი დაუბრკოლებლად მიჰყვა წილკნის საკათედრო ტაძრამდე, მისთვის აღმართსაც კი არ შეუშლია ხელი.

მამა ისეს უფლისგან წინასწარ ეუწყა ამა სოფლიდან გასვლის ჟამის შესახებ, მონაფეები და ღვთისმსახურნი შეკრიბა, დამოდგრა და დალოცა ისინი, შემდეგ წმინდა ზიარება მიიღო და მშვიდობით შეავედრა სული უფალს. ღვთივსათნო ცხოვრებით განწმენდილი მისი წმინდა სხეული მონაფეებმა წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს და დღემდე იქვე, ტაძრის ჩრდილოეთ სვეტთან განისვენებს.

წილკნის ღვთისმშობლის ხატი

წილკნის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომლის ძალითა და მადლით არაერთი სასწაული აღსრულებულა, ერთ-ერთია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მრავალრიცხოვან სასწაულმოქმედ ხატებს შორის. საეკლესიო გარდამოცემის თანახმად, ეს ხატი ლუკა მახარებელს დაუნერია ქრისტეს აკვნის ფიცარზე. საქართველოში კი, მირიან მეფის ძეს, ბაქარს შემოუტანია IV საუკუნის ბოლოს და მისივე ძალისხმევით აგებულ წილკნის საეპისკოპოსო ტაძარში დაუბრძანებია. სასწაულმოქმედი ხატის წინ თურმე ხშირად გულმხურვალედ ლოცულობდა წმინდა მღვდელმთავარი ისე წილკნელი, რათა მისგან ძალა და მადლი მიეღო. მის თაყვანსაცემად და კურნებათა მისაღებად, არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არამედ მთელი კავკასიიდან მოედინებოდნენ მორწმუნენი. ცნობილია, რომ წილკნის ღვთისმშობლის ხატი მადიდებელთაგან მხოლოდ ოქროს იწირავდა. ერთხელ, ჯვრისწერისას პატარძალს გონება დაუკარგავს, ერთ-ერთ მსლებელს მოუფიქრებია და წილკნის ღვთისმშობლის ხატისთვის ოქროს სამკაული შეუწირავს, პატარძალი მხოლოდ ამის შემდეგ მოსულა გონს.

1926 წელს წილკნის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განმსაცავში გადაუბრძანებიათ და დღემდე იქაა დაცული. წილკნის ტაძარში ამჟამად მისი ასლია დავანებული, რომელიც ასევე მრავალ საკვირველებას იქმს, განსაკუთრებით უშვილო წყვილთა შეენევა — ხატის წინაშე გულწრფელი და რწმენით აღვლენილი ლოცვის შემდეგ, არაერთ უშვილო წყვილს მიენიჭა შვილიერების მადლი.

ვისეიდ ჭავჭავაძის ბედისწერა და საკუთარი თავისთვის გამოტანილი განაჩენი

„თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს ნაშლით, რაც დაგტოვებ საქართველოს მიწაზე ისეთი მუხა დაფრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასოდეს აღმოფხვრით — თქვენ მე გამანადგურებთ, იმას კი — ვერა“, — ეს ის უკანასკნელი სიტყვები იყო, რომლებიც მიხეილ ჯავახიშვილმა დაუტოვა ეპოქას იმ განაჩენის საპასუხოდ, რომელმაც მისი სიცოცხლე ხელყო.

და მართლაც, მწერალს სასიკვდილოდ გაუსწორდნენ, მაგრამ იმ „მუხის“ აღმოფხვრა მაინც ვერ შეძლეს. ფიზიკურმა ანგარიშსწორებამ ვერ მოსპო გონსა და სულის დანატოვარი ნაკვალევი. მას ვერც დრო მოერია და ვერც ადამიანები.



ირმა ახალაია

ბედისწერასავით აღევნებული ტრაგიზმი

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, თავიდანვე ტრაგედიისათვის ყოფილა განწირული. განსაცდელი თითქოს ბედისწერასავით სდევდა.

ყველაფერი მის ოჯახში დატრიალებული შემზარავი ფაქტიდან დაიწყო. სწორედ იმ დროს მიხეილ ჯავახიშვილი ცხოვრების მნიშვნელოვან გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა. მისი ოჯახი არაფერს ზოგავდა, რათა ყირიმში სასწავლებლად გამგზავრებულ ყმანვილს სათანადო განათლება მიეღო, ტრაგედიაც სწორედ იმ პერიოდში მოხდა.

მიხეილ ჯავახიშვილის უმცროს დაზე — სოფიოზე უგონოდ შეყვარებულმა ვაჟმა, სანდრომ ეს გრძნობა საბედისწეროდ აქცია. 14 წლის სოფიო, რომელიც თავმობეზრებული იყო ვაჟის სიყვარულით, სხვაზე დაინიშნა. ოჯახის მიერ ამ გადანყვეტილების მიღება იმანაც განსაზღვრა, რომ ვაჟის მშობლები, სოფიოს თვალისჩინის ნაკლის გამო, შვილს არჩევანს უწუნებდნენ. სოფიოს სხვაზე დანიშვნამ ვაჟი გაახელა. რამაც გადააწყვეტინა, საყვარელი ქალი უჩუმრად გაეტაცა, მაგრამ... წინააღმდეგობის განევის გამო, მიხეილ ჯავახიშვილის დედას თავი ნაჯახით გაუპეს, სოფიოს კი, გულსა და თავში ცული დაჰკრუნს. მთელი სოფელი ამ ტრაგედიამ შეაძრწუნა. ტრაგედიის თავიდათავი — სანდრო კი, საჰყრობილეში გადაყვანის დროს დაბრმავ-

და, ხოლო 3 თვის შემდეგ, დარდისაგან გარდაიცვალა.

ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ მიხეილმა დიდხანს არაფერი იცოდა, რადგანაც მამა ძლიერ უფრთხილდებოდა შვილის მომავალს და ამიტომაც, ამის შესახებ არაფერი უცნობებია.

მიხეილ ჯავახიშვილმა უცნაურ ვითარებაში შეიტყო ყოველივე: ძველი გაზეთიდან, რომელშიც მეგობრის მიერ საქართველოდან გაგზავნილი ამანათი იყო გახვეული. ბუნებრივია, ამან ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა.

სერგო ორჯონიკიძის გამოქომაგება

ქალი, რომელმაც მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად უდიდესი ტრაგედია გადაიტანა, ლუბა ჯაჭვამე იყო, ის მწერალმა 1912 წელს ვლადიკავკაზში გაცივო და მასზე დაქორწინდა. ლუბა ჯაჭვამემ კარგად იცოდა მეუღლის სულიერი განცდების შესახებ და მთელი არსებით უფრთხილდებოდა მას. მათ ერთად იმდენად რთული და განსაცდელით სავსე გზა განვლეს, რომ ამან კიდევ უფრო დააახლოვა. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც რეპრესიების პერიოდში მწერლის სულიერი სიმტკიცე შეირყა, სწორედ მის მეუღლეს უკავშირდება. ჩვეისტებმა ასეთი რამ მოუწყვეს პატიმარ მწერალს: დაანახვეს ქალი, რომელიც ისეთ კაბაში იყო გამოწყობილი, როგორშიც მანამდე, მასთან პაემანზე მისული ლუბა... ცოლად მიჩნეუ-

მიხეილ ჯავახიშვილი (შუაში) დედამამი-ვილებთან ერთად



ლი ქალის განწირულმა კვილიმა სულიერად გაანადგურა ჯავახიშვილი. ჯალათთა ხერხმა გაჭრა. მიხეილმა წამოიძახა: ყველაფერს ვაღიარებ, რასაც ბრალად მდებთ, ოღონდ ჩემს მეუღლეს ნუ აწამებთო!..

შიშმა, განსაცდელმა, ორი შვილის ამარა ციხის კართან გატარებულმა დღეებმა, გისოსებს მიღმა უსაყვარლესი მეუღლის ნატანჯმა მზერამ გული საბოლოოდ გაუტეხა მწერლის თანამეცხედრეს. მთელი ცხოვრება ყველას და ყველაფერს გაურბოდა. 1937 წლის შემდეგ, როდესაც მისი მეუღლის მიმართ სასტიკი განაჩენი აღსრულდა, საკუთარი თავიც თავადვე აწამა. მართალია, დაპატიმრებასა და გადასახლებას გადაურჩა, მაგრამ მისი წილი „საპყრობილე“ თავადვე „გამოიგონა“: ოთხ კედელში გამოკეტილი, 90 წლის ასაკამდე გლოვობდა მეუღლის ხვედრს. მთელი ამ ხნის მანძილზე, მხოლოდ ერთხელ იგრძნო შვება — როდესაც მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაციის შესახებ გამოაცხადეს. დროისა და ადამიანებისაგან შერისხული განზე გადაა. არავის და აღარაფერს ენდობოდა.

მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრებათა სერია 1923 წელს დაიწყო. ვერეს დადმართზე მიმავალი მწერალი ორმა ჩეკისტმა შუაში მოიქცია და ბნელ საკანამდე მიაცილა. ყოველამე აწამებდნენ, ტანჯავდნენ, სველი თოკებით სცემდნენ, ხორცს მარწუხებით აგლეჯდნენ. ბოლოს ბრალდებდა პოლიტიკური დანაშაულის ჩადენა წაუყენეს და დახვრეტა მიუსაჯეს. ქართველმა ინტელიგენციამ ამასთან შეგუება არ ისურვა და თხოვნით მიმართა სერგო ორჯონიკიძეს, შუამდგომლობა გაენა მწერლის გათავისუფლებაზე. მოხდა საოცრება — მან, ვინც უდიდესი კლასიკოსის, ვაჟა-ფშაველას შვილს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და თქვა: ვაჟა-ფშაველას ვაჟი კი არა, თავად ვაჟა-ფშაველაც რომ ყოფილიყო, იმასაც დავხვრეტდიო, ამჯერად გულმონყალბა გამოიჩინა და... ჯავახიშვილი

გაათავისუფლეს. შემდგომში, როდესაც მწერალი მოსკოვში შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს, სერგო ორჯონიკიძემ ამყადა მიიღო შემოქმედის შეხსენება, რომ ეს გარკვეულწილად, მისი დამსახურება იყო, რადგან სიცოცხლე სწორედ მისი წყალობით შეუნარჩუნეს.

ბერიას რევანში

მაგრამ ბედი უფრო ძლიერ განსაცდელს უზნადებდა. უსასტიკესი ჯალათი ლავრენტი ბერია პირადად გადაეკიდა მწერალს, რადგან ჯავახიშვილი ღიად და დაუფარავად გამოხატავდა მის მიმართ თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას.

ის და ბერია ქვიშხეთში ერთმანეთის მოპირდაპირე სახლებში ცხოვრობდნენ. ჯავახიშვილი, როგორც კი თვალს მოჰკრავდა აივანზე გამოსულ ჩეკისტს, პროტესტის ნიშნად, უმაღლე შედიოდა სახლში. ლავრენტის არაერთი მიპატიჟებაც უპასუხო და დატოვა. მეუღლე სთხოვდა მწერალს, ასეთი ღია აგრესია არ გამოემუღავნებინა ამ საშიში პიროვნების მიმართ, მაგრამ ამაზე ჯავახიშვილს ერთი პასუხი ჰქონდა — რა ვქნა, მე მაგათ გუნდრუქს ვერ ვუქმევ, არ შემიძლიაო.

ერთმა გარემოებამ კი, საბოლოოდ გადაწყვიტა მწერლის ბედი. გარკვეულ პირთა ბრძანებით გადაწყდა, რომ დანგრეულიყო ქართული სულიერებისა და არქიტექტურის საუკეთესო ნიმუში — მეტეხის ტაძარი. ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი სწორედ მიხეილ ჯავახიშვილი იყო, ვინც გაბედა და ბერიას პირისპირ დაემუქრა, რომ არ აპატიებდა ამის ჩადენას. მეტეხი დანგრევას გადაურჩა, მაგრამ... ჯავახიშვილი ვერ გადაურჩა ბერიას შურისძიებას. მწერალს ადრინდელი აგებული დამოკიდებულებისა და მუქარის სამაგიერო ჩეკისტმა სასტიკად გადაუხადა.

„ჩემი საქმე ცუდად არის, ცუდი სიზ-

მარი ვნახე, თითქოს კურკა (გრიგოლ ორბელიანი) თავისთან მიხმოზდა“, — უთქვამს დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე მწერალს, გიორგი შატბერაშვილისა და ალექსანდრე გომიაშვილისათვის. სწორედ იმ დღეს გაუნდვია მათთვის, რომ ის გვარად, არა ჯავახიშვილი, არამედ ტოკლიკაშვილი იყო, ადამაშვილად მამამისს გადაუკეთებია. შემდეგ, ვინაიდან მისი შორეული წინაპრები ყოფილან ჯავახიშვილები, თავადაც ამიტომ აურჩევია ეს გვარი. საუბრის ბოლოს კი უთქვამს: „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი, ჯერ არ შემისრულებია ღვთისგან დაკისრებული. თუ გადავრჩი...“

განაჩენი

1937 წლის 13 აგვისტოს ჯავახიშვილების კარზე კაკუნი გაისმა. სწორედ იმ დროს მწერალს შორეული ტრაგედია ესიზმრა. „მიხეილ ჯავახიშვილი აქ ცხოვრობს?“ თვით ეს შეკითხვა უკვე ყველაფერზე სცემდა პასუხს. განაჩენი გამოტანილი იყო... მწერლის ოჯახში შემადრწუნებელი სცენა გათამაშდა. მიხეილის ქალიშვილი — ქეთევანი პერანგისამარა კვილით აწყდებოდა კედლებს. იქვე იატაკზე გონწასული მეუღლე ეგდო... სიმშვიდეს მხოლოდ თავად მიხეილი ინარჩუნებდა. მისთვის ყველაფერი ცხადი იყო.

მისათვის, რომ წაყენებული ბრალდება ელიარებინა, სასტიკად აწამეს, რკინის ჯოხებს ურტყამდნენ, კისერზე თოკებით გადაბმულს წიგნებით სავსე ჩემოდნებს ჰკიდებდნენ და დასცინოდნენ, მარწუხებით ფრჩხილები დააცალეს. სისხლის შხეფები საკნის კედლებს ხვდებოდა...

საბოლოოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-მ მუხლებით გათვალისწინებული ბრალდებები წაუყენეს, რომლის მიხედვითაც, განსასჯელი დახვრეტას იმსახურებდა.

„ჯავახიშვილო!“ — გაისმა საკანში გამყინავი ხმა. „ჯალათებო, სისხლისმსმელებო, თქვენ მწერალს გვართმევთ, არ მოგცემთ მიხეილ ჯავახიშვილს, ის ჩვენია!“ — აირივნენ პატიმრები. მაგრამ მათი ხმა არაფერს წყვეტდა.

შაშურკინი, რომლის სახელის ხსენებაც კი იმ დროს ყველას ზარავდა, განაჩენის აღსასრულებლად ემზადებოდა.

...ორმოს წინ დასახვრეტად გაყვანილი 20 პატიმარი დააყენეს. მათგან გამოყვეს მიხეილ ჯავახიშვილი, რადგან ჯალათს საგანგებო დავალება ჰქონდა მიღებული ბერიასაგან... ეპოქის უდიდესი მწერალი განაჩენის აღსრულებას მშვიდად ელოდა. შაშურკინმა მას რევოლვერი კეფაზე მიაბაჯინა და...

„...თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს წაშლით, რაც დავტოვე. საქართველოს მიწაზე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასოდეს აღმოფხვრით... თქვენ მე გამანადგურებთ, იმას კი — ვერა...“


პეტრე მშვენიერაძე — წყალბურთელი, რომელსაც სტალინმა სასამართლოში უჩივლა

წყალბურთში მშვენიერაძეების დინასტიამ ყოფილ საბჭოთა კავშირში იმხელა კვალი დატოვა, რომ სპორტის აღნიშნულ სახეობაზე ლაპარაკი მათი გვარების ხსენების გარეშე შეუძლებელია. ეს გასაკვირი არ არის, რადგან თითოეული მათგანი, როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში ლიდერი გახლდათ. სათავე კი ყოველივეს პეტრე მშვენიერაძემ დაუდო, რომელიც წყალბურთში ისეთივე მასშტაბის ფიგურა იყო, როგორც კალათბურთში — ოთარ ქორჭია. უბრალოდ, ამ უდიდეს სპორტსმენებს შორის განსხვავება ისაა, რომ ქორჭიამ მთელი თავისი ცოდნა ქართულ კალათბურთს შეაღწია, ხოლო უფროსმა მშვენიერაძემ, ისევე როგორც მისმა შვილებმა, დიდება რუსულ წყალბურთს მოუტანეს. თუმცა, ამას ცხადია, ობიექტური მიზეზები ჰქონდა, რადგან თავის დროზე, ბატონმა პეტრემ თბილისი იმიტომ დატოვა, რომ საქართველოში ღია საცურაო აუზიც კი არ იყო.

ღამა თაბაბარი

პეტრე მშვენიერაძე 1929 წელს თბილისში დაიბადა. წყალბურთის მომავალმა ვარსკვლავმა, 14 წლის ასაკში საცურაო აუზს მიაკითხა, რომელიც ომის პერიოდში საქართველოს დედაქალაქში ერთადერთი გახლდათ. მასში მოხვედრის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ ცხადია, აუზი ამდენ ხალხს ვერ დაიტევდა. ამიტომ, მშვენიერაძემ მის ტერიტორიაზე მოსახვედრად მარტივი ხერხი გამოიყენა და საწყალსონო კომპლექსში შეღწევა მესერზე გადაძრომით გადამწყვიტა. მან ჩანაფიქრი კი განახორციელა, მაგრამ მოულოდნელად პირისპირ მწვრთნელ ლუკა იაკობიძის შეეჩეხა, რომელიც შემდგომში მშვენიერაძის პირველი მწვრთნელი გახდა. ეტყობა, პეტრეს სახეზე სანადეულის ასრულების იმხელა სურვილი იყო აღუქმდელი, რომ იაკობიძემ იგი საცურაო სექციის ულაპარაკოდ ჩაწერა. 1944 წელს, მშვენიერაძემ ჭაბუკ მოცურავეთა შორის ჩატარებულ საბჭოთა კავშირის პირველობაზე იასპარეზა და ბრასით ცურვაში როგორც 100, ასევე 200 მეტრ მანძილზე ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ცოტა ხანში, ის წყალბურთმა გაიტაცა და თბილისის „დინამოში“ მოხვდა, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატში იმ დროისთვის არცთუ ისე ცუდი შედეგი აჩვენა და მეექვსე ადგილი დაიკავა. მშვენიერაძე „დინამოში“ ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა გახლდათ და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პეტრე 1949 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს. მაშინ, ქვეყნის პირველმა გუნდმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან რამდენიმე ამხანაგური თამაში ჩატარა და მეტოქეთა კარში გოლების ნახვარზე მეტი მშვენიერაძემ გაიტანა, რომელიც ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე თამაშობდა.

მართალია, თბილისელ წყალბურთელს რჩევას მწვრთნელებიც აძლევდნენ, მაგრამ 1951 წლამდე ცდილობდა, ოსტატობა სხ-



მას ესმოდა, რომ კალათბურთელთა მწვაგასად, წყალბურთელებსაც ძლიერი და მოქნილი ხელები უნდა ჰქონოდათ.

ვებისგან დამოუკიდებლად ავმალეხებინა, არც მისაბაძი ჰყოლია ვინმე. თუმცა იმავე წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრები, წყალბურთში მოდის ერთ-ერთ კანონმდებლებს — უნგრელებს შეხვდა და მშვენიერაძემ პირველად ნახა ლეგენდარული იშტვან სივოშის თამაში. უნგრელის ბურთის ფლობის ვირტუოზულმა ტექნიკამ, სანტიმეტრებით გამოზომილმა მოძრაობებმა, ძალების ეკონომიურად ხარჯვამ და მინიმალური დანაკარგებით მაქსიმალური შედეგის მიღწევამ, ქართველი მოხიბლა. მშვენიერაძეს მეტოქის არ მორიდებია და სთხოვა მას, საკუთარი საიდუმლოებები გაეხადო. უნგრელი არც დაფიქრებულა, ქართველის შეთავაზებას ისე დათანხმდა. მართლაც, სივოში აუზში ჩავიდა და პეტრეს როგორც თავისი საფირმო ტყორცნები, ასევე ფინტები აჩვენა. ნანახმა მშვენიერაძე, ცოტა არ იყოს, გააკვირვა, რადგან პრინციპში მან ყოველივე ეს იცოდა, თუმცა აღნიშნულ ილეთებს ის მაშინ იყენებდა, როდესაც ხელს არავინ უშლიდა, ხოლო სივოში იმავეს, მეტოქესთან ორთაბრძოლისას აკეთებდა. რა თქმა უნდა, მშვენიერაძემ კოლეგას ჰკითხა

— თუ როგორ ახერხებდა ყოველივე ამას. პასუხად კი მიიღო — ჩემი ფეხების მოძრაობას დააკვირდი და ყველაფერს მიხვდები! მშვენიერაძე ყურადღებით უყურებდა, როგორ მუშაობდა წყალქვეშ სივოში ფეხებით. მისი თხოვნით უნგრელს კინოფირიც გადაუღეს, რაც იმ პერიოდში დიდი იშვიათობა გახლდათ. საბოლოოდ პეტრემ დაასკვნა, რომ სივოში ქვედა კიდურებს ძალიან მარჯვედ ხმარობდა, რის ხარჯზეც ორთაბრძოლისას თითქმის არასოდეს იძირებოდა, რაც არ უნდა ფიზიკურად ძლიერი მეტოქე ჰყოლოდა.


ამის შემდეგ, მშვენიერაძე იშტვანს დაუმეგობრდა. ერთხელ უნგრელმა ასეთი რჩევა მისცა: „მსაჯეს პრეტენზიით არასოდეს მიმართო და მიმიკით არ აჩვენო, რომ მცველი წესებს არ ღვევს, რათა ჩაგდროს. ერთი სიტყვით, არ ეცადო, მას შენს სასარგებლოდ ჯარიმმა გამოსტყუო. წყალზე, რაც შეიძლება კარგად დაიმარჯე თავი და არბიტრს დაანახვე, რომ მცველი შენზე, როგორც ტომარაზე, ისე ჩამოკიდებული. სწორედ ეს იქნება ნამდვილი წყალბურთი, რომელიც ძლიერ მამაკაცთა თამაშს წარმოადგენს. იყავი ძლიერი და ფეხები განავითარე. მე თავს წყალში ისე ვგრძნობ, როგორც მიწაზე. დამამსოვრე ჩემი სიტყვები და დიდი წყალბურთელი გახდები“. მშვენიერაძემ სივოშის სიტყვები გაითავისა და თანდათანობით ფეხების მუშაობის ოპტიმალური ვარიანტის ძებნა დაიწყო. იგი წყალს ზემოთ ტანის დაჭერას სწავლობდა და დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ამას თამაშის დროს გააკეთებდა თუ ვარჯიშისას, მისთვის მთავარი გახლდათ, ყოველთვის წყალს ზემოთ ყოფილიყო და არა წყალს ქვემოთ. ქართველის მთავარი მასწავლებელი სივოში გახლდათ და თავდაპირველად მშვენიერაძე თამაშისას მას ჰბაძავდა. ეს უნგრელ წყალბურთელთა მთავარმა მწვრთნელმა რაიკი ბელამ შეამჩნია და უთხრა: „სივოშის კოპირება საჭირო არ არის, რადგან ასლი ორიგინალზე უკეთესი არასოდეს იქნება. შენი თვითმყოფადობა და მონაცემები სწორი ვარჯიშის შემთხვევაში იმის საშუალებას მოგცემს, რომ იშტვანზე ნაკლებად არ იოთამაშო“. მშვენიერაძემ გამოცდილი სპეციალისტის დარიგება ყურადილო და დამატებით, ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვარჯიში დაიწყო, რადგან იცოდა, ამის გარეშე, დიდი სპორტსმენი ვერ გახდებოდა.

მას ესმოდა, რომ კალათბურთელთა მსგავსად, წყალბურთელებსაც ძლიერი და მოქნილი ხელები უნდა ჰქონოდათ. თანაც კალათბურთელებისგან განსხვავებით, წყალბურთელები ბურთის ტყორცნისას, მაჯის მოძრაობას არ იყენებდნენ. მშვენიერაძე პირველი აღმოჩნდა, რომელიც სპორტის აღნიშნულ სახეობაში ბურთს მაჯის დახმარებით ისროდა. თუმცა მანამდე ხელის ეს ნაწილი სიმძიმეებით ვარჯიშით განავითარა. მას ისეთი ძლიერი მაჯა ჰქონდა, რომ ასაკში შესულს ხელს შვილებიც კი ვერ უწევდნენ. გარდა ამისა, პეტრე სპეციალურ ვარჯიშებს აკეთებდა წყალბურთის ბურთით, რომელიც ჩვეულებრივზე

გაცილებით მძიმე გახლდათ. თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს, ფრენბურთს, რადგან მიაჩნდა, რომ ასე კოორდინაციას განვიითარებდა. იგი მუდმივად სიასხლეს ეძებდა და ექსპერიმენტებს ატარებდა, რომელთაგან ზოგიერთი იმედგაცრუებით მთავრდებოდა. მაგალითად, ერთი პერიოდი გადაწყვიტა შტანგით ევარჯიშა, მაგრამ ამან ისეთი ეფექტი არ მოუტანა, რასაც ელოდა. ცხადია, მუდმივად ახლის დაუფლება მხოლოდ მისი ცნობისმოყვარეობით გამოწვეული არ იყო და ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში წყალბურთელთა წვრთნის მეთოდური პროგრამა არ არსებობდა. მწვრთნელებმა უბრალოდ არ იცოდნენ, მალა-ლი დონის საერთაშორისო კლასის წყალბურთელი როგორ აღეზარდათ. არსებული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა სპორტსმენს თავად უხდებოდა და ამიტომ მიიჩნევენ მას ყოფილი საბჭოთა კავშირის წყალბურთის მამამთავრად, ადამიანად, რომელმაც ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

მშვენიერადის დაულალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და ქართველი იმ პერიოდში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო წყალბურთელი გახდა. თუმცა, თბილისის „დინამოში“ სათანადო პირობების არქონის გამო, მან გუნდის შეცვლა გადაწყვიტა და მოსკოვის „დინამოში“ გადავიდა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე სპორტის ამ სახეობაში ფლაგმანად მიიჩნეოდა. მოსკოველთა სახელით მშვენიერადემ ქვეყნის ჩემპიონატი 10-ჯერ მოიგო, ხოლო ნაკრებთან ერთად კი, ორ ოლიმპიადაზე იასპარეზა. 1956 წელს მისი კაპიტნობით გუნდმა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაო მოიპოვა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, რომში — ვერცხლი. გარდა ამისა, ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისა (1962) და ბრინჯაოს (1958) მედლებს დაუფლდა. მშვენიერადის თამაში ვისაც უნახავს, ამბობს, რომ არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალის მქონე ქართველის დამარცხება ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ. მათ ხშირად დაუფიქსირებიათ თამაშის დროს ეპიზოდები, როდესაც ბურთიანად წყალს ზემოთ აღმართულ პეტრეზე მეტოქის მცველი იყო ჩამოკიდებული, მაგრამ იგი ასეთ სიტუაციამშიც ასერხებდა კარის დალაშქრას. მას საკუთარ არსენალში მთელი რიგი ილეთები ჰქონდა და მონინალმდევის კართან ზურგიით მყოფსაც შეეძლო ბურთი ისე წაგდება, საერთოდ არ შემოტრიალებულიყო, ან კიდევ უკუდარტყმა განეხორციელებინა. თანამედროვეთა თქმით, ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არც ერთ ცენტრალურ თავდასმხმელს არ ჰქონია და დღემდე არა აქვს ქართველის მსგავსი უნივერსალური ტექნიკა. მშვენიერადე ნამდვილი ლიდერი იყო, რომელსაც მატჩის ბედის შემოტრიალება მარტოს შეეძლო და ამიტომაც ავტორიტეტიდან გამომდინარე, ქვეყნის ნაკრების კაპიტნობა ჩააბარეს. მან, თავის

დროზე, სივოშის დარიგება კარგად გაითავისა და თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში, წყალბურთელთა შორის ერთადერთ გამონაკლის ნარმოადგენდა, რომელიც პრაქტიკულად თამაშის წესებს არ არღვევდა და მეტოქეთა წყალქვეშა მუჯღუგუნებს არ პასუხობდა. მისი თამაშის მომსწრენი იხსენებენ, რომ მატჩის მსვლელობისას მშვენიერადე პარტნიორებს დროდადრო ერთი ფრაზით მიმართავდა — „მალლა, მალლა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ კარის წინ მდგომი თანაგუნდელებს სთხოვდა, პასი მაქსიმალურ სიმაღლეზე გაეკეთებინათ, რადგან ქართველი წყლიდან მეტოქეებზე მალლა ამოდიოდა და ბურთს



პეტრეს ბრალად სამსახურში გამოუცხადებლობა წაუყენეს. წყალბურთელის პროცესს დინამოელთა მთელი გუნდი დაესწრო.

მომენტალურად კარისკენ გზავნიდა. ის ფაქტი, რომ წყალს ზემოთ წელამდე მყოფს ამ დროს მხრებზე ორი მეტოქე ეკიდა, სპორტსმენს ნაკლებად ალღევდა. თუმცა დროთა განმავლობაში, საბჭოთა და საზღვარგარეთულ გუნდებში გამოჩნდნენ წყალბურთელები, რომლებიც თამაშის დროს არავფერს თავილობდნენ და ოღონდ ოპონენტისთვის ხელი შეეშალათ, წყალქვეშ ნებისმიერ სერქს იყენებდნენ. ამიტომ, მშვენიერადის შეძახილს — „მალლა, მალლა“, სულ უფრო ხშირად ენაცვლებოდა მიმართვა მსაჯისადმი, რათ ამ უკანასკნელს ამა თუ იმ დარღვევაზე ყურადღება გაემახვილებინა. არბიტრებს კი ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მშვენიერადის სჯეროდათ, რადგან წლების განმავლობაში მას შეუბღალავი რეპუტაცია ჰქონდა. სხვა მოთამაშეთა პრეტენზიებს კი უმეტეს შემთხვევაში არ ითვალისწინებდნენ. მონინალმდეგეებს პეტრეს შეჩერება ძალიან უჭირდათ და ამისთვის ათასგვარ სერქსს მიმართავდნენ. ერთ-ერთმა წყალბურთელმა, გვარად პორეიკომ ამისთვის ფრიად ორიგინალური რამ მოიფიქრა. კერძოდ, იგი თამაშამდე ნიორს ჩაღვჭავდა ხოლმე და მშვენიერადესთან ორთაბრძოლი-

სას ქართველს ნივრის არომატს შეაფრქვევდა. ასეთ დროს პეტრე ისე ბრაზდებოდა, რომ ზოგჯერ ავიწყდებოდა კიდევ, რომ საცურაო აუზში იმყოფებოდა.

მშვენიერადის ცხოვრება იმ ეპოქის სხვა გამოჩენილ პიროვნებათა მსგავსად, წინააღმდეგობებით აღსავსე გახლდათ. იოსებ სტალინის შვილმა, ვასილი სტალინმა მისი საქმე სასამართლოსაც კი გადასცა, რადგან პეტრემ წყალბურთში, სამხედრო-საჰაერო ძალების იმ გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა, რომელსაც უშუალოდ უმცროსი სტალინი მუშავებდა. ერთი პერიოდი მშვენიერადემ მოსკოვის „დინამო“ დატოვა და ეს მამინ მოხდა, როდესაც მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო საჰაერო ძალებს ვასილი სტალინი მეთაურობდა. ამ უკანასკნელმა სპორტის მეცენატობა გადაწყვიტა და ფეხბურთის, კალათბურთის, ჰოკეის, ფრენბურთის, საჰაერო ძალების გუნდები ჩამოაყალიბა. სპორტსმენებს, რომელთაც იქ იწვევდნენ, მშვენიერადე სავარჯიშო და საცხოვრებელ პირობებს უქმნიდნენ. თუმცა მთავარი უბედურება ის იყო, რომ სტალინი ყველა პრობლემას აღნიშნული ეპოქის სტილში — ბრძანებით ან დამინებით წყვეტდა. სტალინის მხედველობის არეში მშვენიერადე მოხვდა, რომელიც მანამდე, ორი წელი მოსკოვის „დინამოში“ გამოდიოდა და ბელადის შვილის ბრძანებით, სამხედროთა გუნდში ჩარიცხეს. მშვენიერადემ ახალ კოლექტივთან ერთად, ქვეყნის ჩემპიონატი კი მოიგო, თუმცა მალევე დარწმუნდა, რომ „მფრინავთა“ გუნდში როგორც მოთამაშეს, გაზრდის საშუალება არ ექნებოდა, ამიტომ „დინამოში“ დაბრუნება გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ პეტრე სამხედრო არ იყო, მისი საქციელი იმ დროს არსებული საომარი მდგომარეობის წესებით შეაფასეს და სასამართლოს გადასცეს. პეტრეს ბრალად სამსახურში გამოუცხადებლობა წაუყენეს. წყალბურთელის პროცესს დინამოელთა მთელი გუნდი დაესწრო. საკუთარი ამალით სასამართლო დარბაზში გენერალ-ლეიტენანტი ვასილი სტალინიც გამოცხადდა. სხლომა ოთხი საათი გაგრძელდა. ყველას გასაოცრად, ამ წინის მანძილზე მოსამართლე ახალგაზრდა ქალი მშვენიერადეს იცავდა. საბოლოოდ, იგი გამართლეს და პეტრე „დინამოს“ დაუბრუნდა, რომლის შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კიდევ ექვსჯერ გახდა.

ომის შემდგომ პერიოდში სპორტი რომ გასამხედროებული იყო, ამაზე ერთი შემთხვევაც მოწონებს, რომელსაც ბატონს პეტრე ხალისით იხსენებდა: „1946 წელს 17 წლის ასაკში საქართველოს ნაკრებთან ერთად ბაქოში ჩავდი, სადაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკაიდა ტარდებოდა. თითოეული სპორტსმენი საკუთარ სახეობაში გამოდიოდა, მაგრამ ყველასთვის აუცილებლობას წარმოადგენდა გასამხედროებული კროსის სირბილი. თან დისტანციის ბოლომდე გავლა სავალდებულო იყო, რადგან იქ ნაჩვენები შედეგი საერთო გუნდურ ჩათვლაზე დიდად მოქმედებდა. სპორტსმენებს

რვა კილომეტრი სრული ალჭურვილობით — ჩექმებით, შაშხანით, აირწინალით, ხელყუმბარითა და ზურგჩანთით უნდა გაერბინათ. ძალიან ცხელოდა და განსაკუთრებით მათ, გაუჭირდათ, რომლებიც ჩვეულებისამებრ მზადების პერიოდში გრძელ დისტანციებზე არ დარბოდნენ. ამის გამო, ათლეტთა ნაწილი ერთმანეთს ეჯახებოდა, ჩერდებოდა და ზოგიერთი დასასვენებლად მიწაზეც ჯდებოდა. თუმცა მეგობრების დახმარებით კვლავ ფეხზე დგებოდნენ და სირბილს აგრძელებდნენ. ისე მოხდა, რომ კროსის დროს უდიდესი ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე გავიცანი. ჩვენ ერთად საკმაო ხანს მივრბოდით, მაგრამ თანდათან დაღლა დამეტყო და ცნობილმა ფეხბურთელმა გამისწრო. ამ დროს ის შემობრუნდა და მკითხა — „ხომ არ დაგებმაროთ? მოდი რაიმეს გამოგართმევთ.“ ვუპასუხე: „არ არის საჭირო ბატონო ბორის, უმჯობესია, თქვენ მომცეთ რაიმე ნივთი“. ამ დროს ორივემ ყურადღება ერთ-ერთ მონაწილეს მივაცვიეთ, რომელიც კროსისთვის თავის დასაღწევად საერთოდ საპირისპირო მხარეს გაიქცა. ჩვენ მას დავენიეთ და დისტანციის დამთავრებაში დავეხმარეთ. ფინიშის შემდეგ, მე და პაიჭაძემ ტვირთი მოვისხსენით და ერთმანეთს ვაკავებდით, რომ არ ნავეცუულიყავით“.


კარიერის დასრულების შემდეგ, მშვენიერადაა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისტი დიპლომი ჰქონდა, მოსკოვში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. იგი საცხოვრებლად რუსეთის დედაქალაქში გადავიდა, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ინსტიტუტში სისხლის სამართალს ასწავლიდა და პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა. თუმცა ბატონ პეტრეს სპორტი არასოდეს მიუტოვებია და მისი ორივე ვაჟი — უფროსი ნუგზარი და უმცროსი გიორგი, ასევე ცნობილი წყალბურთელები გამოვიდნენ. პირველმა მათგანმა, რომელიც საერთაშორისო სპორტის ოსტატი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან ერთად ქვეყნის ჩემპიონატი სამჯერ მოიგო, ხოლო 1973 და 1974 წლებში ნაკრების რიგებში ჯერ მსოფლიოს, შემდეგ კი ევროპის პირველობაზე ვერცხლის პრიზიორი გახდა. რაც შეეხება გიორგის, მან მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ექვსჯერ მოიპოვა, ხოლო ნაკრებთან ერთად ოლიმპიადებზე, მსოფლიო ჩემპიონატებზე და მსოფლიო თასზე გაიმარჯვა. მამის თაობაზე ნუგზარმა ფრიად საინტერესო ამბავი გაიხსენა: „ერთხელ, მშობლებთან და მამის მეგობარ ვალენტინ პროკოპოვთან ერთად რინის ტბაზე გავემგზავრეთ. ძალიან ცხელოდა და ყველას გაგრილება გვსურდა, მაგრამ ტბაში ჩასვლა არ გვიფიქრია, რადგან წყლის ტემპერატურა მხოლოდ პლუს 7 გრადუსი იყო. მე ბავშვი ვიყავი და მამას ვკითხე — „ნუთუ აქ ბანაობა შენც კი არ შეგიძლია?“ ამ დროს დედაჩემმა მიპასუხა — „მამა ისეთივე ადამიანია, როგორიც სხვები, შეიძლება, ფეხზე კუნთი გაუნასკვოს და დაიხრჩოს“. უკან არ დავიხიე და

ვუთხარი — „შენ არ ამბობდი, რომ მამა ყველაზე გაბედული და ძლიერია“?! დედა შეეცადა დავეწინარებინე, მაგრამ გვიანი იყო, რადგან მამა უკვე ტანსაცმელს იხდიდა. მას ხმა აღარ ამოუღია, რადგან იცოდა, მეუღლის გადანყევტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. პროკოპოვმა მეგობარი არ მიატოვა და წყალში მამასთან ერთად შევიდა. მათ მანამდე იცურეს, ვიდრე მეორე ნაპირზე არ გავიდნენ. ნაპირზე გადასულენმა ხელი დაგვიქინეს და მივხვდით, რომ უკანა გზაზე დაბრუნებას ასევე ცურვით აპირებდნენ. ერთადერთი, რაც დედამ მოახერხა, ის იყო, რომ კატერი დაიქირავა და მეორე ნაპირზე გასულმა მამა დაარწმუნა, რინის ტბა ხელმეორედ აღარ გადაეცურა“.

მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი წყალბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **იური ბრიგოროვსკი** პეტრე მშვენიერადაა შესახებ ასეთი აზრისა:

„მშვენიერადაა საკუთარ თამაშით ყველას რამდენიმე ათწლეული გაუწნო. მე მას სიგრძეში მსტომელ ამერიკელ ბობ ბიმონს შევადარებდი. ამ უკანასკნელმა მეხიკოს ოლიმპიადებზე 8 მეტრი და 90 სანტიმეტრი როდესაც დასძლია, ყველამ ჩათვალა, რომ ეს 21-ე საუკუნეში ნახტომი გახლდათ. წყალბურთის სპეციალისტები ბევრს დაობენ, ვინ უფრო ძლიერი გახლდათ — მშვენიერადაა თუ მისი მუდმივი მეტოქე უნგრელი სივოში? არ უნდა დაგვაინყდეს, რომ სივოშს ხელს მალალი დონის პარტნიორები უწყობდნენ, რომლებიც საკუთარ ლიდერს გამოზომილი პასებით ამარაგებდნენ და მეტოქეებსაც წარმატებით უფოკავდნენ. თან უნგრელის წინააღმდეგ ბლოკი სუსტი მეტოქეები თამაშობდნენ... ასე რომ, სივოშთან შედარებით მშვენიერად გაცილებით გამოჩენილი ოსტატი იყო. ერთხელ, საბჭოთა კავშირის ნაკრები უნგრეთში ვიყოფებოდით და ამხანაგური თამაშის დროს მშვენიერადაა მასპინძელთა გუნდს „ვათხოვეთ“. უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში იგი სასწაულებს სჩადიოდა. საინტერესოა, რომ შვილების განვრთნისას, პეტრე მათ ყოველივეს დანაწილებით ასწავლიდა და ამ უკანასკნელთ იმპროვიზაციისთვის ადგილიც აღარ რჩებოდათ. ამიტომ მიმაჩნია, რომ არც ნუგზარს და არც გიორგის მამისთვის არ უფლობიათ“.

მშვენიერადაა ასო მეგობრობა აკავშირებდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტსა და დიდი თეატრის სოლისტთან ოპერის მომღერალ ზურაბ სოტკილავესთან, რომელიც შემდეგს ჰყვება: „მშვენიერადაა შავი ზღვის სანაპიროზე სოფელ კინდლში გავიცანი, სადაც ის ოჯახთან ერთად ხშირად ისვენებდა. აფხაზეთში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებამდე, იქ ყოველწელს ჩავდიოდით და მეგობართა პატარა წრეც შევქმენით. ჩვენ ხშირად ვთამაშობდით ფეხბურთს, ზოგჯერ ქანცის განწყობადაც, მაგრამ პეტრესთვის ეს მაინც ცოტა იყო, მით უმეტეს, რომ ჩემზე ათი წლით უფროსი გახლდათ. ამის გარდა, ჭადრაკითაც ვერთობოდით და სპორტის ამ სახეობაში კაკოს (როგორც მას უახლოესი ქართველი მეგობრები ეძახდნენ) ჩვენ შორის მარ-



ჩემს გოგონებს ცურვა მან ასწავლა. ხშირად ისინი კისერზე შეუსვია და მღვაში ისე შესულა.

თლაც ბადალი არ ჰყავდა. ჩემს გოგონებს ცურვა მან ასწავლა. ხშირად ისინი კისერზე შეუსვია და ზღვაში ისე შესულა. მშვენიერადაა მხოლოდ ის არ მომწონდა, რომ იგი ღვინოს არა მარტო თავად არ სვამდა, არამედ სხვებსაც უშლიდა. ჩვენ ოჯახებით კოტეჯებში ვცხოვრობდით და თუ რომელიმე მათგანიდან სიმღერის ხმას გაიგებდა, მაშინვე სწორ დასკვნას აკეთებდა — „იქ ღვინოს სვამენ“. პეტრე კოტეჯში შემოვიდა და გვეტყოდა — „ჩვენ ხომ დასასვენებლად და სპორტული ცხოვრების წესისთვის ჩამოვედით“. ასე რომ, უფროსი მეგობარი, არც დაღვეის საშუალებას მაძლეოდა და არც სიმღერის. სამაგიეროდ, მეუღლესთან ერთად მოსკოვში ჩემს კონცერტებზე ხშირად დავდიოდა. ერთი სიტყვით, პეტრე მშვენიერი ადამიანი იყო — ჭკვიანი და კეთილი. სხვათა შორის, 1989 წელს, როდესაც მშვენიერადაა მოსკოვის რესტორან „სევასტოპოლში“ 60 წლის იუბილე გადაუხადეს, სოტკილავემ უფროს მეგობარს საგანგებო სიმღერა მიუძღვნა, რომელსაც „ბომბარდირი“ ეწოდებოდა. ასაკის მიუხედავად, ბატონი პეტრე სპორტულ ცხოვრებას არასოდეს შეშვებია და ზამთარ-ზაფხულ ფეხბურთის თამაშთან ერთად, საცურაო აუზსაც ხშირად სტუმრობდა. კაცმა, რომელიც ავად არასოდეს გამხდარა, 2002 წლის 31 დეკემბერს, თავი შეუძლოდ იგარძნო. შვილებმა ექიმებს გამოუძახეს და ანალიზების შედეგი შემამოფოთებელი აღმოჩნდა, რადგან მშვენიერადაა ლეიკოზი ანუ სისხლის გათეთრება დაუდგინეს. ვერაგმა დაავადებამ მთასავით კაცი დაადნო და გამოჩენილი წყალბურთელი 2003 წლის, ივნისში 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მან თბილისში საკუთარ სახლში დაბრუნება მოითხოვა, რათა ახლობლებს დამწვიდობებოდა. მშვენიერადაა მოსკოვში ტროეკუროვის სასაფლაოზე დაკრძალეს. გასვენებაში ჩამოსულმა მეგობრებმა თბილისიდან მინა დედამისის საფლავიდან და ასევე იმ ადგილიდან ჩაიტანეს, სადაც გასული საუკუნის 40-იან წლებში აუზი იყო და ბატონი პეტრე კარიერას იწყებდა. ■

ვიდუტბია მეძებრის ატამუნებრივი სიგამხდრე თუ...



როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს, დევიდ ბექჰემის მეუღლემ მოახერხა წონაში მომატება. მესამე ვაჟიშვილის — დევიდის გაჩენის (ვიქტორიამ დევიდი შარშან თებერვალში გააჩინა) შემდეგ, ვიქტორიას წონასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნა. ამის შესახებ თავად დევიდ ბექჰემმაც აღნიშნა ინტერვიუში — მან განაცხადა, რომ ძალზე განიცდის ცოლის არ-

აბუნებრივ სიგამხდრეს. უკანასკნელ ხანებში კი, ვიქტორიამ იმდენად კატასტროფულად დაიკლო წონაში, რომ საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. ამით ძალიან შეწუხებულები იყვნენ მისი თაყვანისმცემლები, რომლებმაც მხოლოდ მას შემდეგ ამოიხუნთქეს შვებით, რაც ამ ცოტა ხნის წინ, თავიანთი კერპის ახალი სარეკლამო ფოტოები იხილეს — ფოტოსურათებზე გამოსახულ შილიფად ჩაცმულ ვიქტორიას ლამის ჯენიფერ ლოპესივით დამრგვალებოდა თქოები. თუმცა, ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ, კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით მიღწეული ტრიუკია. ამის თაობაზე ბრიტანულ პრესაში არაერთი სტატია გამოქვეყნდა. მიუხედავად ყველაფრისა, ყოფილი „სპაის გოგონას“ თაყვანისმცემლებს მტკიცედ სჯერათ, რომ ეს ვიქტორიას „ნამდვილი კილოგრამებია“.

ჯასტინ ციმბერლიუი: „ზრდგამტბრილი მბმტელი ვიყავი!“

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ჯასტინ ციმბერლიუიკმა დაუფარავად აღიარა, რომ ბავშვობაში საოცრად შეუხედავი იყო და საკუთარ თავზე ბევრი მუშაობა დასჭირდა იმისთვის, რომ ნამდვილი სექსსიმბოლო გამხდარიყო.

„ბავშვობაში ცუდი კანი და საშინლად დაუმორჩილებელი, აქეთ-იქიდან უშნოდ გამოჩრილი, გაბურძნილი თმა მქონდა. საოცრად გამხდარი და უშნოდ ანონილი გახლდით. შეიძლება ითქვას, რომ გარეგნულად ზედგამოჭრილი ბროკოლი (ბრიუსელის კომბოსტო) ვიყავი! მოკლედ, რბილად რომ ვთქვა, საკმაოდ შემზარავი გარეგნობით გამოვიჩრეოდი,“ — განუცხადა ჟურნალისტებს ჯასტინ ციმბერლიუიკმა.



ბმბი უილიამსის სენსაციური განცხადება

პოპმომღერალმა რობი უილიამსმა სენსაციური განცხადება გააკეთა, მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღიარა: „არასოდეს მოვიყვან ცოლს, რადგან არ ძალმიძს იმ სიამოვნებაზე უარის თქმა, რომელსაც ასეულობით მეგობარი გოგონას ყოლა მანიჭებს“.

გაზეთი Life იტყობინება, რომ უკვე მრავალი წელია, რაც მომღერალი პირადი ცხოვრების მოწყობას ცდილობს, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა. ორიოდე წლის წინ, რობი იფიცებოდა — მექალთანეობაზე ხელს ავიღებ და დავღვინდებიო, მაგრამ როგორც ჩანს, არაფერი გამოუვიდა. მხოლოდ ამ ბოლო ორი წლის მანძილზე, პლეიბოი რობიმ სულ ცოტა, ხუთი მეგობარი გოგონა მანაც გამოიცვალა. ამ ცოტა ხნის წინ კი, გამოიტყდა — საცოლეს აღარ ვეძებ, რადგან სხვა ქალებთან სექსზე უარს ვერასოდეს ვიტყვიო!



სკატლუფ იმჰანსონის პაფტა-პაფტა უმმკამბი



სკარლეთ იოჰანსონს, რომელსაც არაერთგზის დაუმსახურებია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ქალბატონის ტიტული, თურმე გარეგნობის შეცვლა არა მარტო ეკრანზე, არამედ ცხოვრებაშიც ძალიან ჰყვარებია. სკარლეთის თავგადაკლული კინომანობის ამბავი, მისი ახლო ბლებებისთვის კარგა ხანია, ცნობილია. გადაღებისგან თავისუფალ დროს, მსახიობი თურმე სშირად სტუმრობს კინოთეატრებს, სადაც ახალი სურათების გარდა, სიამოვნებით ნახუ-

ლობს იმ ფილმებს, რომლებშიც თავად მონაწილეობს. მაგრამ იმისთვის, რომ ის ქუჩასა თუ კინოთეატრში არ იცნონ, ვარსკვლავი თურმე პატარ-პატარა ეშმაკობებსაც მიმართავს. როგორც წესი, მსახიობი საღამოს სვანსებზე დასწრებას ამჯობინებს და კინოთეატრებს, არც მეტი, არც ნაკლები, მამაკაცად გადაცმული სტუმრობს. შენიღბვისას, მშვენიერი სკარლეთი უღვაშებს ინებებს, თავზე მამაკაცის შლაპას იხურავს, შავ სათვალეს ირგებს და ასე უჩვეულოდ გამოწყობილი, ისე შეუმჩნეველად შედის კინოდარბაზში, რომ არავის ყურადღებას არ იპყრობს. ასე რომ, ამ პატარ-პატარა ეშმაკობების წყალობით, მსახიობი მისთვის სასურველი ფილმების მშვიდ გარემოში ყურებას ახერხებს.

ბრეს ცთელ ნამიჯს უჯნცბტლოუნ

როგორც ჩანს, მსოფლიოს ყველაზე პოპულარული წყვილის — ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის ურთიერთობაში პირველი სერიოზული კრიზისი მნიშვნელოვანია. გაზეთ Express-ის ინფორმაციით, ანჯელინა ბრედს ეჩხუბა, თავის ნივთებს ხელი დასტაცა და მალიბუს მამულში მდებარე მათი ვილა ბავშვებთან ერთად სასწრაფოდ დატოვა. გარკვეული ხნის მანძილზე, ის ბავშვებთან ერთად ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ სასტუმროში აპირებს ცხოვრებას. ჩხუბის უმთავრესი მიზეზი, პიტის მიერ მათ შორის არსებული მოლაპარაკების დარღვევა გახდა — ბრედმა და ჯოლიმ მოილაპარაკეს, რომ პატარა შილოს დაბადებიდან ერთი წლის მანძილზე, ისინი ყოველგვარ სამუშაოზე უარს იტყვოდნენ, მაგრამ როგორც დაბადებიდან ორიოდე თვეც არ იყო გასული, რომ პიტი ლას-ვეგასში ბლოკპასტერის — „ოუშენის 13 მეგობარი“ გადაღებებზე გაემგზავრა. უფრო მეტიც, მან უარი თქვა ანჯელინასა და ბავშვების თან წაყვანაზე. ბოიფრენდის ასეთმა საქციელმა, ცოტა არ იყოს, გაანაწყენა ჯოლი. ბრედთან ერთად სურათზე მომუშავე ერთ-ერთი გრიმიორის თქმით, გადაღების დაწყების პირველ დღეებში, ანჯელინა დღეში 10-ჯერ მაინც ურევავდა პიტს. ასევე ცნობილი გახდა ისიც, რომ ჯოლი ტელეფონით შეეხიანა ლას-ვეგასში მყოფ მეგობრებს და — ბრედს მიმიხედეთო, — სთხოვა.



სავარაუდოა, რომ სწორედ მეგობრებმა შეატყობინეს ანჯელინას იმის შესახებ, რომ პიტმა ერთი საღამო კაზინო „ბელაჯოში“ გაატარა და „ბლეი-ჯეკის“ თამაშისას სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ბრედს კი დიდი ხანია, პირობა აქვს მიცემული ანჯელინასთვის, რომ სიგარეტის მოწვევას სამუდამოდ თავს დაანებებს! თავად ჯოლის სიტყვებზე დაყრდნობით, ჟურნალი Star Magazine იტყობინება, რომ მოკლე ხანში ანჯელინა ბავშვებთან ერთად აფრიკაში აპირებს საცხოვრებლად გადასვლას. როგორც რეაქცია ექნება ამან მის ბოიფრენდს, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ჟურნალისტები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ მან ჯოლის პირობა წაუყენა — ისე ნუ მექცევი, თითქოს პატარა ბავშვი ვიყო და ჩემს თვალთვალს და ჯაშუშობას თავი დაანებებო.

ლთს-ანჯალოუსში „ები“ დააბიგეს



ამ პრესტიჟული ჯილდოს გადაცემის ცერემონია წლეულს 58-ედ გაიმართა. „ემის“ ყველაზე დიდი „მოსავალი“, კატეგორიაში „დრამატული სერიალი“, კომპანია „ფოქსის“ მიერ გადაღებულ ტრილერს — „24“ — გადაეცა, რომელშიც მთავარ როლს

კიფერ საზერლენდი ასრულებს. ეს ფილმი 12 ნომინაციაზე იყო წარდგენილი და სულ 3 ჯილდო მიიღო: „საუკეთესო სერიალი“, „საუკეთესო რეჟისურა“ და „მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი“.

ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად მარიშვა ხარჟიტა დაასახელეს, რომელიც სერიალში — „კანონი და წესრიგი: სპეციალური კორპუსი“ შექმნილი სახისთვის დააჯილდოეს.

ბუპტი ტბუჯტ სმიფი დაპადიმბტულია

ჟურნალი „ფორბსი“ იუწყება, რომ გასულ კვირას, ნიუ-იორკში დააპატიმრეს ცნობილი რეპერი ტრევერ სმიტი, რომლის სცენური ფსევდონიმია — Busta Rhymes. პოლიციის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს ძიების დეტალების გამჟღავნებისგან და მხოლოდ ის განაცხადეს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა რეპერის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიება მის დაპატიმრებამდე ერთი კვირით ადრე დაამთავრეს.



ამ საქმესთან დაკავშირებით, არც მუსიკოსის მენეჯერებს და არც მის ადვოკატს, კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სტატიაში აღნიშნულია, რომ 2006 წლის თებერვალში რეპერი დაბარებული გახლდათ პოლიციის განყოფილებაში, სადაც მან ჩვენება მისცა მისი ერთ-ერთი დაცვის წევრის მკვლელობასთან დაკავშირებით. მომღერლის მცველი ისრაელ რამირესი ხმის ჩამწერი სტუდიის წინ ჩაცხრილეს.

გარდა ამისა, სტატიის ავტორი ახსენებს მკითხველს, რომ რეპერის წინააღმდეგ საქმე იყო აღძრული თავყვანისმცემლებზე თავდასხმის ბრალდებით. ორმა ახალგაზრდამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში იმასთან დაკავშირებით, რომ რეპერმა და მისმა თანმხლებმა მცველმა ისინი სრულიად უმიზეზოდ სცემეს მას შემდეგ, რაც მათ მომღერალს ავტოგრაფი სთხოვეს.

უნსან კასელი ნამბი უდცს ბტსულ მათიას გააცნტმს



ეს მოხდება რეჟისორ დევიდ კრონენბერგის ახალ პროექტში — Eastern Promises — თრილერში, რომლის გადაღებები ძირითადად, ლონდონშია დაგეგმილი. უოტსი განასახიერებს მედას, რომელიც ცდილობს, დაადგინოს რუსი მეძავის ვინაობა და უნებლიეთ, რუსეთის სპეცსამსახურების ჩახლართულ ოპერაციაში იქნება ჩათრეული. სპეცსამსახურები საზღვარგარეთ რუსულ მაფიასთან ბრძოლას ახორციელებენ.

ვენსან კასელს ერგო ვინმე პეტრიდის როლი, რომლის ოჯახიც რუსი მეძავებით „დასახლებულ“ საროსკიპოს ფლობს.

სცენარი ფილმისათვის დაწერა სტივ ნაიტმა, რომელმაც ფილმზე — Dirty Pretty Things — მუშაობით გაითქვა სახელი.



პაპ ლომიძე

...ნამდვილად არ ჰგავდა სხვებს. უშუალო და თბილი, ტკივილს ატარებდა, რომელიც გამომხილა კიდეც. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს მისი უკანასკნელი ინტერვიუ აღმოჩნდებოდა. თითქმის ყველა მისი სანუხარი, საზოგადო და საქვეყნო საქმესთან იყო დაკავშირებული. საქართველოში ცხოვრება უსიამო, შენელებული კადრებით მიდისო, ამბობდა. ალბათ ამ ნუხილმა მოინელა მისი გული, რომელიც ახლა უკვე ნამდვილად „დამუნჯდა“ და ამიერიდან, მართლაც ვერავინ წარმოვიდგენს, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო დაბერებული ლევან ზაქარეიშვილი. გასულ კვირას, ის გულის შეტევით გარდაიცვალა. ასე დააკლდა კიდეც ერთი ლამაზი ფერი თბილისს...

განსაკუთრებული აღიარება მისი შემოქმედებიდან ორ ფილმს — „მამას“ და (ობერპაუზენის ფესტივალზე მოიპოვა წარმატება) „თბილისი-თბილისს“ ხვდა წილად. ამ უკანასკნელის გადაღება რეჟისორმა ჯერ კიდეც გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. დიდი ხნის შემდეგ, დასრულებული „თბილისი, თბილისი“ კანის საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამაში — „რეჟისორთა ორკვირული“, ასევე — საერთაშორისო ფესტივალზე სინგაპურში, ლინცში, სტოკჰოლმში, მიუნხენში წარადგინეს. დაჯილდოვდა საუკეთესო სცენარისტისთვის 2005 წლის, შავი ზღვის ქვეყნების პირველ საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელიც კონსტანცაში ჩატარდა. პრიზი „საუკეთესო რეჟისორისთვის“ და კინოპრესის პრიზი „სპილო“ ხვდა წილად დსთ-სა და ბალტიისპირეთის მე-14 საერთაშორისო კინოფესტივალზე „კინოშოკი“. მოსკოვში „თბილისი, თბილისი“ რუსეთის კინოაკადემიის ყოველწლიური ნაციონალური პრემიით — „ნიკა“ აღინიშნა, როგორც „დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების საუკეთესო ფილმი“.

2005 წლის მაისში, კანის ფესტივალზე არც ერთი რუსული ფილმი არ დაუშვეს, „თბილისი, თბილისი“ კი მიიწვიეს. ლევანი

„მერე რა, რომ 53 წლის ვხდები?! ასე მგონია, ისევ ბავშვი ვარ. ჩემში ამ განცდის არსებობა შესანიშნავი მეუღლის დამსახურებაც არის. სულ ბავშვით მიფრთხილდება. გულიც ბავშვური მაქვს, მგრძობიარე და მოსიყვარულე. მაგრამ ძალიან დავილაღე ამ უთავბოლო ცხოვრების მიზეზების გაცნობიერებით. ყოველ წუთში, ყოველ წამში ფრწმუნდები, რომ ცხოვრება ძალიან მარტივია, რომელსაც რატომღაც ვართულებთ ადამიანები. რატომ? განუწყვეტილი ვეკითხები ჩემს თავს და პასუხს ვერ ვპოულობ. ჩემი გულიდანაც არავინ მპასუხობს. თითქოს ეს დალოცვილიც რალაცისგან დაიბრუნა და დამუნჯდა. ეს სიმუნჯე აბერებს კაცს, მაგრამ მე მაინც ვერ წარმოვიდგენა, როგორ უნდა დავბერდე...“ — თქვა და სევდიანი მზერა სადღაც გაექცა... ცოტა ხანს მართლაც, ბავშვით გარინდული იჯდა.

„...ჩემი გულიდანაც არავინ მპასუხობს, თითქოს ეს დალოცვილიც დაბრუნდა...“
ქართულ კინოში როგორ ხაჯარეიშვილი იყავი

ძალზე კმაყოფილი იყო. „საკონკურსო ჩვენებაში ვუდი აღინისა და ჯორჯ ლუკასის ფილმებიც კი არ მონანილეობს, მათ პროდუქციას უბრალოდ, წარუდგენენ მაყურებელს... ასეთ კონკურსში მონანილეობა ჩემთვის უკვე წარმატებას ნიშნავს — შეიძლება ვთქვათ, რომ ჩემმა ფილმმა და მთელმა გადაღებმა ჯგუფმა უკვე აიღო პრიზი“, — ამბობდა იგი.

რომ არა ქართულ კინოინდუსტრიაში შექმნილი პრობლემები, 53 წლის რეჟისორი იმაზე მეტს მოასწრებდა და შეძლებდა, ვიდრე დაგვიტოვა. პირველი კინოფილმი — „გარსევანი“ 1984 წელს გადაიღო. მას მოჰყვა: „ნისლი“, „თემო“, „მამა“ და „ისინი“. საქართველოში გართულებული მდგომარეობის გამო, 1991-დან 1997 წლამდე შემოქმედებაში იძულებითი პაუზა ჰქონდა. შემდეგ დაიწყო „თბილისი, თბილისი“ გადაღება. წლები საუკუნესავით გაინელა ქართულ კინოინდუსტრიაში გამეფებული ე.წ. უძრავის ხანის გამო და ერთ დღეს, როდესაც რეჟისორს საშუალება მიეცა, დიდი ხნის წინ დაწყებული ჩანაფიქრისთვის ხორცი შეესხა, აღმოაჩინა, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო: ამ დროისთვის, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ამქვეყნად აღარ იყო... თავიდან დაამტკიცა მთავარი როლები შემსრულებლები — ცნობილი მსახიობი და რეჟისორი ბაადურ ნულაძე და ახალგაზრდა გიორგი მასხარაშვილი... თუმცა, რეჟისორს მიაჩნდა, რომ „თბილისი, თბილისი“ ყველა როლი — მთავარია. „აქ ყველა თავის ცხოვრებას თამაშობს, ამიტომაც შეუძლებელია, ვინმეს მთავარი ან მეორეხარისხოვანი უწოდო“.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაღლილა უსაშველოდ განწვლილი გადაღების პროცესის გამო, მაინც დადებითად აფასებდა, ერთი შეხედვით, დაკარ-

გულ წლებს. მიაჩნდა, რომ შეცვლილმა სცენარმა ფილმის წარმატება განაპირობა.

„ახლა რომ ვკითხულობ სცენარის პირველ ვარიანტს, ძალზე სუსტი მეჩვენება, მუსტი აქვს, მაგრამ მარილი აკლია. იქ მხოლოდ ის ჩანს, რაც მაშინ განვიცადე, როცა ჩემი ყოფილი პედაგოგი, პროფესორი ჯიხურში გამყიდველად დავინახე და ერთმანეთს თვალი ავარიდეთ. სწორედ იმ წუთში გამიჩნდა ფილმის გადაღების იდეა. ამის მერე, ჩემს მეგობართან, ან განსვენებულ ავთო ლომიძესთან დავინყე ბაზრობაზე სიარული. ავთოს დიდი სანყოფი ჰქონდა, იქ თავს ძალიან კომფორტულად ვგრძობდი — იყო ლუღი, მშრალი თევზი და ირგვლივ ტრიალებდა ხალხი, რომელსაც ჩემი ფილმი უნდა „შეექმნა“. ფილმის ყველა პერსონაჟს პროტოტიპი ჰყავს. ჩემი ფილმი რეალური სინამარია. ყოველთვის ვცდილობ, ფილმის გმირებსა და ჩემ შორის აბსოლუტური განსხვავება იყოს, მაგრამ... თუ მაინცდამაინც ვინმე მგავს „თბილისი, თბილისიში“, ეს არის ახალგაზრდა რეჟისორი, რომელსაც ფილმში გიორგი მასხარაშვილი ასრულებს“, — იხსენებდა ლევან ზაქარეიშვილი. ისე კი, საკუთარ შემოქმედებასა და ცხოვრებაზე მეტად, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ფიქრი ანუხებდა და ემოციურად მსჯელობდა: „ამბობენ, ქვეყანა შენდებაო, მაგრამ თუ საზოგადოების კულტურული განვითარება არ ხდება, ვერც ერთი ქვეყანა ვერ აშენდება. კულ-



„თბილისი, თბილისი“ ყველა როლი — მთავარია.

ტურა არ არის საახალწლოდ მონყობილი ბალეტი ყინულზე და სხვა ამდაგვარი მოუხები. არც ის არის კულტურის განვითარების მიმანიშნებელი, სოკოსავით რომ მრავლდება თეატრები. სამწუხაროდ, არა მარტო ჩვენთან, ყველა ქვეყანაში იგივე ხდება. თითქოს უხილავი ხელი ცდილობს, ხალხი ზომბირებული ჰყავდეს, კულტურას სრულიად მოსწყვიტოს. ზომბირების საშუალება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია — ზოგან შიმშილი და სიღატაკეა, ზოგან, პირიქით — ფუფუნება. მაგალითად, ძველ რომში ხალხის დამორჩილების უმთავრესი იარაღი, პური და სანახაობა იყო. პურმა და სანახაობამ კი, ძველი რომი დალუბა... კულტურას დიდი ყურადღება სჭირდება. ამბობენ, ჯერჯერობით, ეს ფუფუნებაა საქართველოსთვის. ფუფუნება კი არ არის, გადარჩენის შანსია. ხელოვნებას რაღაცით უნდა დაეხმარონ, უნდა შეიქმნას თუნდაც ისეთი ორგანიზაციები, როგორც „კინოცენტრია“.

მისარია, რომ მეც ვინანობდი ამ საქმეში. ერთბაშად არაფერი აშენდება, მათ შორის, არც ქართული კინოინდუსტრია, მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს შენება?! მით უმეტეს, რომ საამისოდ, საქართველოს საკმარისი ინტელექტუალური რესურსი აქვს“.

სამწუხაროდ, ლევან ზაქარეიშვილის ინტელექტუალური რესურსი დაუხარჯავი დარჩა. იქნებ, სიკვდილის სიახლოვესაც გრძობდა და ამიტომაც ნუხდა?.. იმ დღეს, როდესაც ამ ინტერვიუს ვინერდი, „ნიგნის სახლში“ ვისხედით, ჩაის „თანხლებით“ ვლაპარაკობდით. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ქვრივი ნინო ქადაგიძე შემოვიდა, ბატონი ლევანი ადგა, მიესალმა და უთხრა, რომ მას ძალიან დააკლდა ზურაბ ჟვანია... მერე მე მისხნიდა: „თბილისი, თბილისი“ რომ ბოლოს და ბოლოს, დასრულდა, ეს ან განსვენებული ბატონი ზურაბის დამსახურება; 2000 წელს, თავიდან დაწყებული გადაღება დავასრულე, მაგრამ ფილმი 2 წელი გაუხმოვანებული იდო; შარშან საერთაშორისო კინოფესტივალზე თბილისში ჩამოსულმა სელექციონერებმა ნახეს ეს მასალა და ბატონი ზურაბისთვის უთქვამთ — გვეგონა, ლევან ზაქარეიშვილი აფხაზეთის ომში იღალატებდა, არადა, ცოცხალი ყოფილა, იქნებ, მიეხმაროთ, ასეთი კარგი მასალა გასახმოვანებული უდევსო; ასე დავასრულე, ბატონი ზურაბის წყალობით, ფილმზე მუშაობაო. მერე დასძინა — ისე, სიკვდილი უცნაურად დასდევს ამ ფილმს: ჯერ იყო და, ბატონი გივი ჭიჭინაძე გარდაიცვალა, მერე — ჩემი მეგობარი ავთო ლომიძეც წავიდა; აღარც ზურაბ ჟვანია... არ მიყვარს ადამიანებზე წარსულში ლაპარაკი, მაგრამ მსიაშოვნებს, როდესაც ვილატას იხსენებ და მასზე კარგი სათქმელი არ გეღვევაო...

გამიძილა, რომ ახალი ფილმისთვის სცენარს წერდა, ისევ — საერთო ტკივილზე, აფხაზეთიდან დევნილებზე. ისევ ხშირად სტუმრობდა ბაზრობებს. „სცენარი დაწერეთ მე და ლამა იმედაშვილმა, მისი მოთხრობის მიხედვით. ბაზრობებზე კი, ვსწავლობ ახალ სლენგს, რომელიც

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულების, ლტოლვილებისა და აქაურების სამეტყველო ენის სინთეზით შეიქმნა. ესეც, რა თქმა უნდა, სცენარისთვის მჭირდება. ლამა მოთხრობას „ქართული ბესტსელერი“ ჰქვია, ფილმს კი „კავკასიურ ბესტსელერს“ დავარქმევთ, რადგან ის, რაზეც ფილმს ვიღებთ, მთელი კავკასიის სენია“, — დასძინა ლევანმა მაშინ. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა...

ალბათ ასრულდება ოცნებაც, რომელზეც სიცოცხლის ბოლო წუთამდე ფიქრობდა: „ზოგჯერ მიფიქრია აფხაზეთის ამბებზე ფილმის გადაღება, მაგრამ ჯერ ეს ნაადრევად მიმაჩნია. ალბათ ათ წელიწადს



არ მიყვარს ადამიანებზე წარსულში ლაპარაკი, მაგრამ მსიაშოვნებს, როდესაც ვილატას იხსენებ და მასზე კარგი სათქმელი არ გეღვევაო...

მანც მაგ თემას ვერ მივევარები. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაანალიზებელი. ჩვენ ვებრძოდით არა აფხაზებს, არამედ რუსებს და იმ ომმა არა მარტო ქართველების, არამედ აფხაზების გენოფონდიც გაანადგურა. ეს იყო სამინელი და აბსურდული ომი. ტყუილად კი არ დაარქვა გოგა ხანდრავამ აფხაზეთზე გადაღებულ თავის ფილმს — „ოცნებების სასაფლაო“. გოგამ შესანიშნავად აჩვენა, თუ რა სულელურად იღუპებოდნენ ბიჭები, რომელთაც არ იცოდნენ, რა იყო ნამდვილი ომი, სანადირო თოფებით მიდიოდნენ ფრონტზე. მაგრამ ყველაფერი ეს წარსულის კუთვნილებაა უკვე დროს იმის საშუალება უნდა მივცეთ, რომ ოცნებების სასაფლაო გაქრეს და ქართველებმაც და აფხაზებმაც ოცნებების ასრულებისთვის ერთად ვიზრუნოთ“.

„გზასთან“ საუბრისას, ლევან ზაქარეიშვილი ცნობილმა მსახიობმა, რეჟისორის ბოლო ფილმში მთავარი როლის შემსრულებელმა ბაადურ წულაძემ გაიხსენა. თურმე, ბატონი ბაადურის გადაღებას იმ ფილმშიც აპირებდა, რომლის სცენარზეც პირველად, „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ილაპარაკა.

ბაადურ წულაძე:
— ძალიან დაფუხლოვდით და გავუგეთ ერთმანეთს, „თბილისი, თბილისზე“ მუშაო-

ბის დროს. მერე მეუბნებოდა — შენთვის როლი მიქვს ახალ სცენარშიცო. სამწუხაროდ, არ დასცალდა სცენარზე დეტალური აზრობა... მოგახსენებთ, მსახიობისა და რეჟისორის თანამშრომლობა, მათ შორის ურთიერთგაგების დამყარება არ არის იოლი საქმე. ჩვენ კი, თითქოს უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის. საერთოდ, არ მომწონს, როდესაც პერსონაჟი სიბრალულის გრძობას იწყებს. ამიტომაც, როდესაც მოხუცი პროფესორის როლი უნდა მეთამაშა, ვეძებდი გასაღებს. გამახსენდა რეჟისორ ყორყ მელიესის ამბავი. ეს დიდი რეჟისორი მოხუცებულობაში იჯდა ერთ-ერთ ვაგბალზე პატარა ჯიხურში და სათამაშოებს ყიდდა... ამის გახსენების შემდეგ მივხვდი — ვინ უნდა მეთამაშა. ის თავისთვის იჯდა, არც არავის აწუხებდა და არც თავს აცოდებდა. როდესაც გადაღებას ვიწყებდით, ლევანმა ეს ამბავი გაიხსენა და მითხრა — მინდა, მელიესი ითამაშო. ამით მგონი, ყველაფერი ნათქვამია... მართლა ბავშვივით ემოციური იყო. საოცრად ბედნიერი გახლდათ ანაბაში, სადაც სამი პრიზი ავიღეთ. გული მწყდება, ადამიანს რომ გაუმართლებს, მაშინ რომ მთავრდება სიცოცხლე. ვინ იცის, იქნებ, ეს კარგიც არის?.. რას გაიგებ, ცხოვრება რთული რაღაც არის... ძალიან სტკიოდა ქართული კინოს პრობლემები, არ ეპუებოდა არაფერს...

უფროსი კოლეგა — რაზო ჩხიკიძე ლევან ზაქარეიშვილს განსხვავებული ტიპის ხელოვანს უწოდებს:

— ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც ლევანი კინოსტუდიაში მოვიდა. მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, სადიპლომო ნამუშევარი უნდა მოემზადებინა. თავიდანვე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. გაშუღმებით დაუკმაყოფილებლობის განცდა ჰქონდა. ერთ დღეს იტყოდა — ეს საქმე ასე უნდა გავაკეთო, სურათი ასე უნდა გადავიღო... თითქმის მეც კვერს რომ დაეჯერავდი და მეგონა, გადაღებას დაიწყებ- მეთქი, — სრულიად ახალი და კიდევ უფრო უკეთესი გადაწყვეტილებით მოვიდოდა. ეს თავისება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შემორჩა. ფილმის ძირითადი თემისა და ფორმის გაუთავებელ ძიებაში იმყოფებოდა. მახსენდება ის პერიოდი, როდესაც ქართულ კინოინდუსტრიაში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მდგომარეობა დამძიმდა. ლევანს „თბილისი, თბილისის“ 30% გადაღებულ იქონდა და უეცრად ყველაფერი შეწყდა. ძალიან შედრწუნდა შექმნილი სიტუაციის გამო, მაგრამ... კინოში ძალზე ბევრს ნიშნავს, როდესაც ადამიანს დაფიქრებების, საკუთარი გადაწყვეტილების შემოწმების საშუალება ეძლევა. ლევანმა სწორედ ამისთვის გამოიყენა უძრავის პერიოდი. იმ დროისთვის, „თბილისი, სტამბოლის“ სახელწოდებით უკვე მომზადებული სცენარი, კიდევ უფრო გააღრმავა და მიაღწინა იმ რეზულტატს, რომელიც ყველამ ვნახეთ. ლევანი უძრავობის პერიოდშიც მძიებელი იყო, ფარ-ხმალი არასოდეს დაუყრია... ■

„დავიბადე ბორჯომში და თბილისში ცხოვრების გზის მოსაძებნად ჩამოვედი...“

„ის ბორჯომიდან არის, მას „ქუჩის ბიჭსაც“ ეძახიან, რადგან იმ ვაგუფიდან არის, რომელმაც თავის დროზე ეს სახელი დაირქვა და თავი საზოგადოებას ასე წარუდგინა. ზურა ხაჩიძე ამ ვაგუფის ლიდერი იყო ყოველთვის და დღესაც ასე.“

— ქვეყანაში, 90-იან წლებში, არეულობის პერიოდში, როდესაც უმრავლესობას ხელში იარაღი ეჭირა, ჩვენ, პატარა ბიჭებს ბორჯომში სურვილი გაგვიჩნდა, მიკროფონი აგველო ხელში, თბილისში წამოვსულიყავით და გზაზე დავმდგარიყავით. ახლა წარსულს რომ ვიხსენებ, გოცნებული ვარ, ეს ყველაფერი როგორ შევქელით. ისეთი ვითარება იყო ჩვენ გარშემო, რომ ოთხ ბიჭს მიკროფონის ხელში ალებს სურვილი წესით, არ უნდა გაგვჭენოდა.

— მიკროფონიან ბიჭებს თბილისი როგორ შეგხვდათ?

— სხვათა შორის, არცთუ ისე კარგად. ბევრი წყენა და გულის ტკივილი ახლდა ამ ყველაფერს. ადამიანები, ვიღაც-ვიღაცები გამოდიოდნენ სიტყვებით; მათ ერთი სული ჰქონდათ, როდის მოვმორდებოდით თბილისს და აღარ დაგვინახავდნენ. გვემუქრებოდნენ კიდევც...

— ვინ იყვნენ ეს ადამიანები?

— ისინი, ვისაც იმ დროს ჩვენში კონცერტების მონყოლა-ორგანიზება ხელწინფებოდათ. ესენი იყვნენ ძირითადად, გაუნათლებელი ადამიანები.

ბელი ადამიანები.

— თქვენ როგორ ხვდებოდით მათ ასეთ სურვილებს?

— ჩვენ ვამბობდით, რომ ბორჯომი არის მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი, რომ ჩვენს ქალაქში არაერთ ბუმბერაზ მუსიკოსს დაუდგამს ფეხი, მათ შორის — ჩაიკოვსკისაც... ჩვენი დიალოგი ძირითადად პრესის მეშვეობით მიმდინარეობდა. ეს სირთულეები საწყის ეტაპზე გვექონდა. მერე და მერე, თბილისმა ჩაგვიხუტა, არაერთი მეგობარი შევიძინეთ.

— როდესაც დედაქალაქსკენ საფაღ გზას დაადექით, არ გეგონა, რომ თბილისში გარკვეული პრობლემა შეგექმნებოდა?

— არა. ასეთი პრობლემა თუ გვექმნებოდა, ეს არ დამიშვია. თუმცა, მატერიალურ პრობლემას ველოდი. ისე, მატერი-ალური მდგომარეობა უფრო მალე მოგვარდა, საქმე აუწყო: ვწერდით სიმღერებს, გამოვდიოდით კონცერტებზე... ჩვენ ყოველთვის გვემაყუბოდა ჩვენი ბორჯომელობა და ამას ხაზს ვუსვამდით.

— როგორი იყავი მაშინ?

— ძალიან ენერგიული, თავდაჯერებული, დარწმუნებული იმაში, რომ სანადღეს მივალწვედი. მიზნის მისაღწევად თავს არ ვზოგავდი... ხელში მიკროფონი ავიღეთ-მეთქი, რომ ვამბობ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თუ სამშობლოს დასჭირდებოდა, ხელში იარაღს არ ავიღებდით და არ ვიბძობოდით.

ლში იარაღს არ ავიღებდით და არ ვიბძობოდით.

— სად ცხოვრობდი?

— ნაქირავებ ბინაში. თბილისის თითქმის ყველა უბანი მაქვს მოვლილი. პირველად, ლოტკინის დასახლებაში ვცხოვრობდი, ქალაქის ბოლოს, გარეუბანში, ტყესთან ახლოს. მაგრამ ცხოვრებას იმის მიხედვით იწყებ, თუ რისი საშუალებაც გაქვს. სულ 40 დოლარით ჩამოვედი. მერე იმას მივალწვეთ, რომ 2,000 დოლარი გვექონდა შემოსავალი. ძალიანაც მინდოდა პრესტიჟულ ადგილას ცხოვრება, მაგრამ... ბევრჯერ ფეხითაც გვიწვედა სიარული.

— ბორჯომში ხშირად ჩადის არა?

— ახლა — არც ისე ხშირად, მაგრამ როცა იქ ვარ, ვეცდილობ, მეგობრები, ახლობლები მოვიხატო. ისე, სიმართლე რომ გითხრა, გული იქით მაინცდამაინც არ მიმინევს; რაღაც, თითქოს წარსულთან მამბრუნებსო; ისევე ძველი დრო მგონია — ის, როცა ვიწყებდით...

— იქ ვინ გაყავს?

— ბებია, მამა, დედინაცვალი, ოჯახის არაჩვეულებრივი წევრი — მამაჩემის მეუღლე.

— რამდენი კოლომეტრა ბორჯომამდე?

— 178. 1 საათსა და 10 წუთში ჩავდივარ ხოლმე.

— დღეს თბილისელი ხარ?

— ალბათ, ვერადროს ვიქნები თბილისელი, თუმცაღა ამ ქალაქის მტვერს დიდი ხანია, ვსუნთქავ — 16 წლის ასაკიდან. თბილისში ჩამოვყალიბდი, აქ შევიგრძენი, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებელი ცხოვრება. მე ვარ ბორჯომში დაბადებული და ცხოვრების გზის მოსაძებნად, თბილისში წამოსული ადამიანი. ■



ჯაბა ბოჯგუასა და ეთერ კაკულიას კლიპი გადაღებულია

შოუმენმა ჯაბა ბოჯგუამ ყველა თაობისთვის ცნობილ მომღერალ ეთერ კაკულიასთან ერთად დუეტი ჩაწერა. იმის გამო, რომ ორივე მეგრელია, „დიდ-ოუ ნანა“ იმღერეს ერთად. მათ ერთი კვირის წინ ამ ნამუშევარზე კლიპიც გადაიღეს.

ეთერ კაკულია:

— ვნერვიულობდი. არ ვიცოდი, ჯაბა როგორ გაართმევდა თავს ჩემთან ერთად სიმღერას. მაგრამ არაჩვეულებრივად იმღერა. ლამაზი ხმის ტემბრი ჰქონია. სიმღ-

ერაც თბილი გამოვიდა.

ჯაბა ბოჯგუა:

— რატომღაც მგონია, რომ ეს ნამუშევარი ყველა თაობის ადამიანს მოეწონება. რადგან მეგრული სიმღერები უყვართ. ერთი კვირის წინ ამ სიმღერაზე კლიპიც გადავიღეთ. რეჟისორი ლევან ტორონჯაძე ჩვენთან მუშაობით უკმაყოფილო არ დარჩენილა.

როგორც ამბობენ, ეთერ კაკულიასა და ჯაბა ბოჯგუას ერთობლივ კლიპს მყაყურებელი სექტემბერში იხილავს. ის ჯერჯერობით მონტაჟის პროცესშია. ■



დათო ფორჩხიძე: „საფრანგეთს 2:1-ს მოვუგებთ!“

— დათო, ფეხბურთმა გაგაგო-
ვა?

— რადგან ფეხბურთში, მსოფლიო ჩემპიონატში აქტიურად ვიყავი ჩართუ-
ლი, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ
გავგიჟდი. ფეხბურთი ჩემი ცხოვრების
განუყოფელი ნაწილია.

— ბურთი მრგვალი რომ არ
იყოს, როგორ იქნებოდა?

— მაშინ ბურთი აღარ იქნებოდა.

— შენზე ამბობენ, „სახეში“
კარიერა რომ არ დაენყო, ფეხ-
ბურთელი იქნებოდა და „დინამო-
ში“ „გაქაჩავდაო“...

— „სახეში“ დანყებულ ჩემს კარი-
ერას არაფერს ვუნუნებ, მშვენივრად
გამომივიდა. რომ მივხვდი, ფეხბურთ-
ში ვერ „გაქაჩავდი“, თავი დავანებე.

— კარგი და, ფეხბურთელი
რომ ყოფილიყავი, ვისი მსგავსი
იქნებოდი?

— ზიდანის...

— მოგნონს მისი ნამოქმედარი
მსოფლიო ჩემპიონატზე?..

— რა თქმა უნდა! ჩემთვის მისი ეს
საქციელი მნიშვნელოვანი არ არის.
ზიდანი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეს
საქციელი.

— რა არის ფეხბურთი?

— ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა. თუ
ფეხბურთი იმას „მოახერხებს“, რომ
ამერიკაშიც №1 სპორტი გახდება, მა-
გარი იქნება. ამერიკა ჯერ ვერ ცნობს
ამ სპორტს.

— ფეხბურთის ყურებისას
იგინები?

— არა მარტო ყურებისას, თამაშის

დროსაც.

— ბილნი სიტყვე-
ბი რომ არ არსე-
ბობდეს, ადამიანები
აგრესიას როგორ
გამოსატავდნენ?

— ალბათ იტყოდნენ
— „შე ცუდო“, „შე არა-
პროფესიონალო“... ისე,
ფეხბურთელები
შეეჩვივნენ, დედას რომ
აგინებენ, მათთვის ეს
ჩვეულებრივი მოვლენაა.

— როგორ გგონია

— ბურთს აგინებენ,
ფეხბურთელს თუ მსა-
ჯს?

— ბურთს არავინ აგ-
ინებს, მაშინაც კი,
როდესაც ის ტრანექტო-
რიას იცვლის. ძირითადად, გინებით
მსაჯს ან ფეხბურთელებს „აჯილდოე-
ბენ“.

— საყვარელი გუნდის გამარ-
ჯვებას როგორ გამოსატავ?

— ვყვირი, ვხტუნაობ, მიხარია...

— ჩვენ ერთი გუნდი ვართ?..

— ჩვენ ერთი გუნდი ვართ — ეს
სლოგანია. ვართ თუ არა ერთი გუნდი
— 2 სექტემბერს გამოჩნდება, საფრანგე-
თი-საქართველოს მატჩზე.


— მიდინარ თამაშზე?

— რა თქმა უნდა! ბილეთი უკვე მაქვს.

— ვის გულშემატკივრობ?

— რასაკვირველია, საქართველოს.

— როგორ გგონია — ჯერ
გუნდი იყო თუ გულშემატკივარი?



— ჯერ ორი-სამი
კაცი იყო, რომელიც
ბურთს აგორებდა. მერე
— თეორეტიკოსები,
თამაშის სტრატეგია
ჩამოაყალიბეს. ბოლოს
გულშემატკივარი გაჩნ-
და.

— ფეხბურთის
ჰიმნის დანერა არ
გინდა?

— ჰიმნი ბევრი მაქვს
დანერილი, მაგრამ ფეხ-
ბურთისთვის ჯერ არ
დამინერია. ასეთი რამ
მხოლოდ დაკვეთით
ხდება. ჯერ არავის
დაუკვეთია.

— პელე, მარა-
დონა თუ რონალ-

დინო?

— ზიდანი(!).

— რატომ?

— იმიტომ, რომ რონალდინო —
მოჩვენება, მირაჟია. რეკლამებისთვის
შექმნილი ფეხბურთელია. მაგას ისევე
ბექშემი მირჩევნია.

— ბურთს ვის კარში გაიტან-
დი?

— მოწინააღმდეგის.

— შენი ფრთიანი ფრაზაც
მითხარია...

— ჩვენ ერთი გუნდი ვართ, — უკვე
ძველია, ჯობია — გოლ!

— რა ანგარიშით დამთავრდე-
ბა მატჩი?

— 2:1-ს მოვიგებთ.

— ვნახოთ.

სკანდალურ რუსებს ბათუმში ელიან...

სამოდელი სააგენტო „მაქსიმუმი“ და
ბათუმის მერია თურმე, სერიოზულ სამზა-
დისში არიან. ისინი 5 სექტემბერს
საქართველოში სკანდალურ რუსულ
ჯგუფს „რეფლექს“ ელოდებიან.
ჯგუფი ბათუმის სტადიონზე გამა-
რთავს კონცერტს. როგორც ჩანს,
საქართველოში ჩამოსვლა და კონ-
ცერტის გამართვა რუსი მომლ-
ერლებისთვის უკვე ტრადიციად
იქცა, კარგად აქვთ დაცდილი...

„რეფლექსი“ ბათუმში ორი დღით
ჩამოვა. გადაწყვეტილი აქვთ, ქალა-
ქი დაათვალიერონ. მათ მოითხოვეს
ამისთვის VIP კლასის ავტომანქანები,
სადაც მხოლოდ მძღოლი უნდა

იჯდეს. გემოვნებაც, როგორც ჩანს, ჰქო-
ნიათ... სურთ, ქართული სამზარეულოსა
და მამაკაცების გაცნობა, ოღონდ, ეს ყვე-



ლაფერი — კონცერტის შემდეგ...

ჯგუფი უკვე 6 წელია, არსებობს. გა-
მოშვებული აქვს 7 ალბომი. მსოფლიო
მასშტაბით 14 ფან-კლუბი აქვთ გახ-
სნილი და 13 პრიზი — ალბულები.
„თუ გინდა, წარმატებას მიიღწიო,
თვითონ იზრუნე ამაზე“, — ალა პუგა-
ჩოვას ეს სიტყვები ჯგუფის დევიზად
იქცა. ასე რომ, სექსუალური და სკან-
დალური იმიჯის მქონე რუსებს
ქართველები ბათუმში ელიან,
რისთვისაც სერიოზულად ემზადე-
ბიან. ქერათმიანი ლამაზმანები —
ირინა, ალიონა, ყენია და დიჯეი
სილვერი ბათუმისკენ იღებენ გეზს.

kviris astrologiuri prognozi

(31 agvisto – 6 seqtemberi)

პერიოდი 2103-2004

ეს კვირა თქვენთვის მშვიდი იქნება, შეგიძლიათ ნაყოფიერად იმუშაოთ და ობიექტურად შეაფასოთ მიმდინარე მოვლენები. არაფერი შეგიშლით ხელს მეთოდურად განახორციელოთ თქვენი გეგმები და გადაჭრათ პრობლემები. მთავარია, სწორად განსაზღვროთ თქვენი მიზნები და ამოცანები.

კვირი 2104-2005

შედარებით უკეთესი პერიოდია რომანტიკული შეხვედრებისათვის. ამასთან შესაძლებელია, ძველი კავშირების აღდგენაც. თქვენი თავდაჯერება და სტაბილურობა დაგეხმარებათ მოხიბლოთ ახალი პარტნიორები და სპონსორები, რომელთაც შეიძლება რაღაც ახალი საქმე შემოგთავაზონ.

ტყუნი 2105-2106

სურვილი გაგიჩნდებათ, შეცვალოთ საკუთარ გრძნობები, სურვილები, გეგმები და მისწრაფებები. მოსალოდნელია სერიოზული ცვლილებები კარიერაში, ხოლო ურთიერთობები ახლობლებთან და კოლეგებთან შეიძლება დაგეხმარებოდეთ, ამიტომ ფლობთ მეტი ყურადღება გამოიჩინოთ მათ მიმართ.

პიკი 2206-2207

ამ კვირას თქვენ კვლავ მზად იქნებით აქტიური საქმიანობისთვის. თანაც ისეთ ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც დაგეხმარებათ ახალი პროექტისან გეგმის შემუშავებაში. ეს კი, უახლოეს მომავალში შემოსავალს მოგიტანთ. შეიძლება ახალი ადამიანები გაიცნოთ, რომლებთანაც რომანტიკული ან ურთიერთხელსაყრელი ურთ-

იერთობები ჩამოგიყალიბდებათ.

ლიზი 2307-2308

თქვენ ამ პერიოდში საქმიანი ურთიერთობით გამოირჩევით. მძაფრდება თქვენი გუჟანი და ინტუიცია, რამაც შეიძლება სარგებელი მოგიტანოთ. ეს ხელსაყრელი დროა ახალი ფინანსური პროექტებისა და სასარგებლო კონტაქტების დასაწყობლად. ახალი გეგმების განხორციელებაში მყარი და სანდო ურთიერთობები დაგეხმარებათ.

ახლწული 2408-2309

იგრძნობთ, რომ უსამოყენა უკან მოიჭოვით. მიხვდებით, რომ ყველაფერი გაცილებით მარტივად არის, ვიდრე თქვენ გეგონათ. თქვენ კვლავ მზად ხართ აქტიური საქმიანობისთვის, რაც დაგაჰყავიფილებთ როგორც მორალურად, ისე მატერიალურად.

სასწორი 2409-2310

ყურადღებით იყავით რომანტიკული კავშირების მიმართ. ნებისმიერმა მიზეზმა ან ფუჭმა დანაპირებმა შეიძლება ჩხუბი, სკანდალი და ოჯახური კონფლიქტი გამოიწვიოს. ნუ დაივიწყებთ თქვენს მთავარ გეგმებს და მიზნებს.

მოკილი 2410-2211

ამ პერიოდში თქვენი ემოციური მდგომარეობა არასტაბილურია. ამიტომ მოგიჩვენებთ მუდმივად მიაქციოთ ყურადღება საკუთარ კარიერასაც და პირად ურთიერთობებსაც. გასსოვდეთ, რომ თავდაჯერებულობა დაგეხმარებათ, ბრძნულად იმოქმედოთ და არ დაემუშავთ ყოფილი კონფლიქტების გარჩევის დონეზე.

მზილწული 2311-2112

თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ, იმ მიზანს მიაღწიოთ, რომელზედაც რამდენიმე წელია ფიქრობთ. კარგი პერსპექტივები იშლება ფინანსური საქმიანობისთვის, საქმიანი თანამშრომლობის გაფართოებისა და კავშირების გამყარებისთვის. ამიტომ გამსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ თქვენს რეპუტაციას.

თხის რაბ 2212-2001

თქვენი ენერგეტიკა ნელ-ნელა მატულობს. შეიძლება იღბლიანი გამოდგეს ახალ სამსახურში გადასვლა, შორეული მგზავრობა და მნიშვნელოვანი კავშირების დამყარება. ძალიან კარგი პერიოდია საქმიანი ან სასიყვარულო პარტნიორობისათვის.

პირწყული 2101-1902

თქვენს ცხოვრებაში კვლავ დადებითი პერიოდია. თქვენ შეძლებთ თქვენი ფინანსური პრობლემების გადაჭრას პარტნიორებისა და გავლენიანი მეგობრების მხარდაჭერით. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული ხართ, კარგი იქნება თუ გამოიხატოთ დროს ახლობლებთან და ნათესავებთან ურთიერთობისთვის, რათა გაამყაროთ ოჯახური და ნათესაური კავშირები და ხელსაყრელი ატმოსფერო შექმნათ შინ.

თიფზი 2002-2003

ფრიად ხელსაყრელი პერიოდია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, პოპულარობის მოსახვეჭად და დასახული მიზნების მისაღწევად. ცუდი არ იქნება, თუ სამოგზაუროდ წახვალთ. ახალი ნაცნობობა და მეგობრული კონტაქტები შეიძლება თქვენთვის ბედნიერი აღმოჩნდეს და თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები მოიტანოს...

გამოვიდა სამბეგბრის ნომერი



თქვენ სოც გამოვნახიანი
აკითხვალნი გრკანდაბით...

C კლასის ახალი Mercedes



კომფორტული ანალოგი, არამედ ნამდვილი სპორტული სედანი ყოფილიყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მანქანა არა მარტო სწორ, „მომრიალებულ“ გზებზე, არამედ სამთო „ბილიკებზეც“ მოხდენილად ივლის.

„მერსედესის“ მარკის ეს ყველაზე უბრალო და ხელმისაწვდომი ნიმუში 1,8 ლ მოცულობის 4-ცილინდრიანი კომპრესორიანი ძრავით იქნება აღჭურვილი, რომელიც 150-დან 190 ცხ.ძ-მდე სიმძლავრეს განავითარებს. უფრო შეძლებულ ავტომოყვარულებს მიეცემა შესაძლებლობა, შეიძინონ 2,5 ლ (210 ცხ.ძ.) ან 3,5 ლ (270 ცხ.ძ.) მოცულობის V6 ძრავით აღჭურვილი მოდიფიკაციები. მარკის ნამდვილი ფანატებისთვის კი, განკუთვნილი იქნება სატიუნინგო ფირმის — AMG-ის მიერ დამზადებული, 5,4 ლ მოცულობისა და 400 ცხ.ძ. სიმძლავრის V8 აგრეგატით აღჭურვილი მოდიფიკაცია.

„მერსედეს-ბენცის“ C კლასის ახალი თაობის ოფიციალურ პრემიერამდე ვერ კიდევ ბევრი დრო დარჩა (ამ მოდელის წარმოდგენა ჟენევის საერთაშორისო ავტოსალონზე, გაისად, მარტშია დაგეგმილი), მაგრამ მიუხედავად ამისა, საავტომობილო პრესაში უკვე გამოჩნდა მისი პირველი ფოტოსურათები. როგორც ჩანს, ის ამ კლასში ყველაზე „დაქოქილი“ მანქანა იქნება.

არ ეჭვლიტათ იმის გამო, თუ როგორი იქნებოდა ახალი C კლასი, რომელიც ჩვეულებრივ, ყველაზე კარგად იყიდება „მერსედესის“ მოდელებს შორის. სწორედ ამიტომ, ის უკვე ნაცად სტილშია დამზადებული. ამასთანავე, გერმანელმა ავტომწარმოებლებმა გადანყვიტეს, რომ C კლასი, არა მასზე პრესტიჟული და კომფორტული კლასის



კომპანიის შესჯერებმა გადანყვიტეს, ტვინი

ყველაზე უვნებელი ავტომანქანები

სულ ცოტა ხნის წინ, სხვადასხვა პოპულარულ საავტომობილო გამოცემაში გამოქვეყნდა რეიტინგი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვერჯერობით, რბილად რომ ვთქვათ, დიდად აქტუალური არ გახლავთ, მაგრამ მაინც საინტერესო უნდა იყოს. გერმანულმა საავტომო-

ლი „ნონა“ აქვს, ქულათა საერთო მაჩვენებელში, 40% — გაზი CO-ს, 35% — კანცეროგენების, 20% — ხმაურის და 5% — გარემოსათვის მიყენებული იმ პირდაპირი ზიანის წილად მოდის, რომელიც შეიძლება, კონკრეტულმა მანქანამ, მისი საკონსტრუქტორო თავისებურებების გამო მიაყენოს გარემოს.

გები „ტყუპმა“ — Citroen C1/Peugeot 107 — უჩვენა. გერმანული მანქანებიდან ათულში მოხვდა Volkswagen Polo BlueMotion.

აღნიშნული რეიტინგის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მას წინსწრებით — ერთი წლით ადრე ადგენენ და მასში, გერმანულთათვის დამახასიათებელი პედანტურობით, ახლო მომავლისთვის დაგეგმილი ყველა მოდელიცაა გათვალისწინებული. სწორედ ამან შეუშალა ხელი Opel Corsa ECO 1.0-ის შესაძლო წარმატებას, რომელიც შარშან მეზ ადგილზე მოხვდა...



პირველ ათულში — იაპონიის ავტომწარმოების ნიმუშთა მოძალეზაა. ეკოლოგიური პროდუქციის გამომშვებთა შორის, უდავო ლიდერი, ამ ქვეყნის ორი კონცერნია — Toyota (Daihatsu-სთან ერთად) და Honda. ევროპელებიდან, საუკეთესო შედე-

ბილო კლუბმა — Verkehrsclub Deutschland, უკვე მეჩვიდმეტედ შეადგინა და გამოამზეურა მსოფლიოს ყველაზე ეკოლოგიური მანქანების სია. ევროპის ქვეყნებში გავრცელებული 350-დან, გარემოსთვის ყველაზე უსაფრთხო 10 ავტომობილი დასახელეს.

ამ სფეროში მინირეგულაცია მოახდინა Honda Civic Hybrid-მა, რომელიც კომბინირებული — ბენზინის და ელექტროძრავათია აღჭურვილი. მან ბოლო 2 წლის ლიდერი — Toyota Prius დაჯაბნა.

აღნიშნული რეიტინგი საეციალური მეთოდით დგება: მანქანას რამდენიმე კატეგორიის მიხედვით ავასებენ; თითოეულს განსაზღვრუ-



დასაწყისი იხ. გვ. 6

საქართველომ კიდევ ერთ, ზეგრად უფრო მნიშვნელოვან მიზანსაც მიიღწია — დამყარა კონტროლი კოდორის ხეობის ზემო ნაწილზე და ამით, პრაქტიკულად, აფხაზეთს დაემუქრა. აღნიშნულ პლაცდარმს ხომ მომავალში, გალის მიმართულებით წინსვლის უზრუნველყოფა შეუძლია, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ამ რაიონში რაოდენობრივად ქართული მოსახლეობა ქარბობს.

7. არსებული რესურსების გონივრულად გამოყენებამ და მომგებიანმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ თბილისის სამცხე-ჯავახეთის სომხური მოსახლეობის შინაგანი პოტენციალის სრული ნეიტრალიზების საშუალება მისცა. აღნიშნული ფაქტორის აღმოფხვრამი გადაწყვეტილი როლი ახალქალაქიდან რუსული ჯარის ნაწილების გაყვანამ და აგრეთვე, სომხეთის სრულმა პასიურობამ ითამაშა. კონკრეტულად ერევანს რაც შეეხება, მისი ნეიტრალიზაციის მიხედვით სააკაშვილის მცდელობების შედეგია. მან ამ მიზნით, სომხეთის პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანთან ორმხრივი შეხვედრების მთელი რიგი ჩაატარა. რუსული გავლენისა და ადგილობრივი, უპირატესად სომხური მოსახლეობის რუსეთზე ორიენტაცია, რომელიც ახალქალაქში 1829 წელს დაიწყო, დასრულებულია.

8. საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანაში ენერგეტიკული სიტუაციის მონესრიგება შეძლო. მან ამისთვის მარტივი და აბსოლუტურად პროდუქტიული სვლა გამოიყენა. თბილისმა ანგარიში გაუწია „რაო ექსის“ სურვილებს, მაგრამ რა მისცა რუსეთს, საქართველოს ენერგეტიკაში ენ. სამეთაურო სიმაღლეების დაპყრობამ? გამოუმუშავებული და გამანაწილებელი სიმძლავრეების მართვა ნამდვილად რუსულ კომპანიებს გადაეცა ან ისინი დაავალდებულა, რომ ქართული ეკონომიკის ამ სტრატეგიული დარგის სათანადო მდგომარეობა შეენარჩუნებინა. ამ კუთხით ყველა მათი მიღწევა კი, რომლებიც ნგრევის ხანგრძლივ პერიოდს მოჰყვა, სააკაშვილის ხელისუფლების აქტივში ჩაინერა. ამჟამად ელექტროენერგით მომარაგებაში წყვეტა აღარ არის და საქართველოს ყოველმა მცხოვრებმა იცის, რომ ეს იმის პრეზიდენტის პირადი დამახურებაა. ისიც ნიშანდობლივია, რომ რუსეთის მხრიდან საგაზო-სატრანზიტო ინფრასტრუქტურის, კერძოდ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს აშენებ-

ული, რუსეთ-საქართველო-სომხეთის გაზადენის დაპატრონების ყოველ ცდას საქართველოსა და აშშ-ს (!) გაავთრებული წინააღმდეგობა ხედება.

9. საქართველო ამერკავკასიაში ამერიკის მთავარი საყრდენი ხდება, პრეზიდენტი კი არ მალავს, რომ წარმოადგენს ოპერატორს, რომელიც რეგიონის პოლიტიკოსებს ვაშინგტონის პოზიციებს აცნობს.

სურვილის შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

მაგრამ სიტუაცია მთლად უღრუბლოდ რომ არ მოგეწონოთ, ალბათ, ზოგიერთი იმ პრობლემის ჩამოთვლაც ღირს, რომელთა წინაშეც საქართველოს ხელისუფლება დგას. ცხადია, რომ ქართული მხარის მთავარ პრობლემებზე, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გადაუჭრელი კონფლიქტები, განსაკუთრებით კი, აღნიშნული რესპუბლიკების ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის განწყობილება რჩება. საქართველოს, უკრაინის გამოც მნიშვნელოვანი პრობლემები გაუჩნდა. უკრაინულ პოლიტიკურ ასპარეზზე ძალების ახლებურმა განლაგებამ საგრძნობლად გაურთულა მდგომარეობა სააკაშვილს, რომელსაც რეგიონალურ ანტირუსულ მისიამში საკვანძო პარტნიორის დაკარგვის საფრთხე ემუქრება. თუ უკრაინა პრიორიტეტად მაინც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკას აღიარებს, საქართველოს დამხარების ამერიკული პროგრამა პერსპექტივაში ესოდენ მნიშვნელოვანი აღარ იქნება. საქართველო ამერიკისთვის, პირველ რიგში, თავისი შემაკავშირებელი (სატრანზიტო) ფუნქციის გამოა საინტერესო. ანტირუსული სარტყლიდან უკრაინის გამოსვლა საქართველოს ოპერატიული და პოლიტიკურ პოზიციებს მკვეთრად ამცირებს. შემთხვევითი როდი იყო, რომ ვიქტორ იანუკოვიჩის მიერ პრეზიდენტ-მინისტრის პოსტის დაკავებისთანავე, საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა: „უკრაინის მაგალითმა გვიჩვენა, რომ გამოუცდელ პარტნიორთან კოალიციის შექმნა არ შეიძლება. უკრაინის პრეზიდენტს ქვეყნის არჩულ გზაზე დაბრუნება გაუჭირდება“.

მიუხედავად ამისა, სანქტ-პეტერბურგის დიდი რეიანის სამიტის წინ, აშშ-ში ვიზიტის დროს, როგორც ჩანს, სააკაშვილმა პრეზიდენტ ბუშის კეთილგანწყობის განმტკიცება მაინც მოახერხა. ეს კეთილგანწყობა იმითაც მყარდება, რომ ამერიკის პრეზიდენტი, მასზე „თავდასხმის“ საქმის გახსნის გამო, საქართველოს წინაშე ვალშია. სწორედ აშშ-ში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ შეწინააღმდეგა საქართველო, საერთაშორისო საფაქრო ორგანიზაციაში რუსე-

თის მიღებას და აგრეთვე, კოდორის ხეობაში ოპერაციაც განახორციელა...

ხელისუფლების ზოგიერთი პრობლემა სააკაშვილის გუნდის ცალკეული წევრებისა და თავად მათი ლიდერის გაუაზრებელი ქმედებებისა და განცხადებების შედეგია. ასეთთა შორისაა ის ცაიტინოტი, რომელიც სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრასთან მიმართებაში შექმნა თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით — 2007 წელს ცხინვალში შეჭვადებით.

მოსკოვის მისამართით ზედმეტად აგრესიულ რიტორიკასაც უკუეფექტი მოჰყვა. მანამდე უკიდურესად გაუხედავმა, რუსეთის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ მთელი რიგი მკვეთრი განცხადებები გააკეთა. ქართული და რუსული მხარეების გაცხარებული პოლიტიკა სპონტანურ დათმობებსა თუ უბრალოდ, კეთილი ნების შესტებს ნამდვილად აღარ უტოვებს ადგილს.

ქართველი პოლიტიკოსების გაუნონასწორებლობის „მადლიერი“ უნდა იყოს ის ათუულათასობით ადამიანიც, რომელიც ოდესღაც, მეღვინეთითა და მინერალური წყლის ნარმობით იყო დაკავებული. მათ ხომ ფაქტობრივად, საკუთარი საექსპორტო პროდუქციის 80%-ის გასაღების ბაზარი დაკარგეს. სააკაშვილის „ანგარიშზე“ აგრეთვე, საქართველოს ხელისუფლების მიერ ინფორმაციის მკაცრი და ეფექტური კონტროლიც.

სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების პრობლემის გადაჭრის მიზნით, ქართველი ერის კონსოლიდაციის მისაღწევად, მიხეილ სააკაშვილმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, ოპოზიციაზე, საზოგადოებრივ და ბიზნესექტორზე ზემოქმედების არაერთი არაპოპულარული მეთოდიც გამოიყენა. სადღეისოდ, პრეზიდენტის მმართველობის დემოკრატიულობა ფრიად საეჭვოდ მოჩანს. ამ კუთხით, ქართველ ხალხს ძირითადად, ფანტასტიკურად გაბერილი პოპულიზმით კვებავენ. მეორე მხრივ, ცხადია, რომ სააკაშვილის წინაშე მდგარი უმწვეფი ამოცანები და დროის დეფიციტი მისგან სერიოზულ და რისკიან ქმედებას მოითხოვს. რევოლუციით შობილი რეჟიმები თავადაც ყოველთვის რევოლუციის შიშით არიან შეპყრობილი, ამიტომაც უბრალოდ, განწირული არიან რევოლუციური რღვევებისთვის. როცა რევოლუციით შობილი რაღაცას რისკავს, ის ვერაფრით გაუწევს ანგარიშს იმათ, ვისაც გარისკვა არ სურს... სწორედ ამის შედეგია ის გარემოებაც, რომ ბოლო ხანებში ქართველმა ოპოზიციონერებმა მზერა ლონდონის მიაპყრეს, სადაც ზოგიერთმა მათგანმა უკვე გამართა, დანარჩენებს კი, შემდგომში აქვთ გადაწყვეტილი ოლიგარქების — პატარკაციშვილისა და ბერეზოვსკის ინტერნაციონალურ ტანდემთან კონსულტაციების გამართვა...

ალბათ, ღირს იმის შესენება, რომ ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტიცაა, ლონდონში თავის გულითად მეგობარს ბერეზოვსკის შეუერთდა. მანამდე კი, თბილისში, ქართველი ხელისუფლების მისამართით მთელი რიგი ბრალდებებით გამოვიდა. პატარკაციშვილის თქმით, ხელისუფალნი თავს ნებას აძლევდ-

პრეპარატი ფინსი გაძლევთ უნიკალურ შანსს
ფსორიაზი
მგზავთ ენათ საუკუნოდან
ნიტროდამპიტი
სეზონალური
ნიკიტხეტი
საუკუნოვანი გამომდილიაბის მქონე,
ყვალაზა ვეფეხური, არაპორრონალური
მაღაბოს საშუალებით
სხელი ხაზი: 39 66 03

ნენ, ცენზურისთვის დაექვემდებარებინათ მისი ტელეარხი „იმედი“, აგრეთვე, სამთავრობო სტრუქტურებთან შექმნილი სხვადასხვა ფონდის სასარგებლოდ, ბიზნესისთვის ფული გამოეძალათ. ამ დროისთვის, ქართველმა ოლიგარქმა „ცენზურის“ ქვეშ ისეთი მედია-კონგლომერატის შეტყუებაც კი მოასწრო, როგორც რუპერტ მერდოკის News Corporation-ია. ზოგიერთი მონაცემით, მერდოკმა „იმედის“ მნიშვნელოვანი წილი შეისყიდა.

ამრიგად, ქართული ოპოზიციის მხარდაჭერას ლონდონში ქეძს. თავად ოპოზიციონერების, კერძოდ — „ახალი მემარჯვენების“ ლიდერის, დავით გამყრელიძის, რესპუბლიკური პარტიის ლიდერის, დავით უსუფაშვილისა და სხვათა მიერ პირდაპირ თუ ირიბად დადასტურებულმა რეალობამ შესამჩნევად შეამოთა ხელისუფლების ბანაკის წარმომადგენლები. ყოველ შემთხვევაში, მმართველი პარტიის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის დეპუტატმა გიგა ბოკერიამ განაცხადა: „მიღებული ინფორმაციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსულტაციების დროს, მსჯელობა ორ ძირითად საკითხზე — ოპოზიციის დაფინანსებასა და საგარეოდ, თბილისის მერის პოსტზე პატარაკაციშვილის, როგორც ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის წამოყენებაზე მიმდინარეობდა“.

როგორც ჩანს, პატარაკაციშვილთან თამაში მიხეილ სააკაშვილის გეგმიური მას შემდეგ აღარ შედის, რაც ბიზნესმენმა ქართულ პოლიტიკურ პირამიდაში თავის ადგილზე პრეტენზია განაცხადა. სხვათა შორის, სანამ ცნობილი გახდებოდა, რომ ოლიგარქი, ხელისუფლების ფინანსისტის სტატუსს არ დასჯერდებოდა, პატარაკაციშვილის მსხვილ საინვესტიციო პროექტებს სააკაშვილი „ვარდისფერი ხელისუფლების“ წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის დასადასტურებლად იყენებდა...

ჩვენი მიზანი, მოცემული პროცესის განვითარების ყველა პერიპეტეიასა და სცენარის გაანალიზება წამდგვიად არ ყოფილა. ამიტომაც ვაკეთებ კონსტატირებას, რომ: საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც დღეს რეგიონში განსაკუთრებულ მისიას ასრულებს, სერიოზული ოპონენტი გაიჩინა. ქართველი ოპოზიციონერების მხერა ნისლიანი ალბიონისკენაა მიმდარებული, ხოლო ერთ-ერთი მთავარი შიდარეპორტი — ტელერადიოკომპანია „იმედი“, ფაქტობრივად, დასავლური კორპორაციის ხელშია გადასული.

თუმცაღა, ეს ყველაფერი რუსეთისთვის ცოტა რამეს თუ ცვლის. გავრისკავ და სიტუაცია წამგებინად შევაფასებ. ასეთი შეფასების მიზეზი მარტოა: ქართული პოლიტიკური ელიტის ყველა ნიშა — ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, შესაბამისად, ამ ქვეყნის საზოგადოებრიობაც, მთლიანად დასავლეთზეა ორიენტირებული. ცხადია, ქართველ მოღვაწეთა გარკვეული ნაწილი რუს კოლეგებთან საესებით ნორმალურ ურთიერთობას ინარჩუნებს, მაგრამ მათ საქართველოში უმაღლესი იარაღის იარაღის ანებებენ. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ეს მამინაც კი შეუფერხებლად ჭრის, როცა ვინმე იმაზე უფრო ნაკლებად მარგინალურ

იდებებს გამოთქვამს, ვიდრე თავად ხელისუფლებმა სთავაზობს საზოგადოებას.

ამასთანავე, მაინც ძალზე დიდი და პრიმიტიული შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ქართული საზოგადოებრიობა რუსეთისა და რუსებისადმი მტრულადაა განწყობილი. უფრო სწორია იმის თქმა, რომ რუსეთისგან საქართველოში კარგს არაფერს ელიან. მეტიც, გაურკვეველ-გაუზრებელია არა მარტო საქართველოსადმი, არამედ მთლიანად რეგიონისადმი რუსეთის დამოკიდებულებაც. რუსეთი სისუსტის დემონსტრირებას ახდენს. სუსტებს კი, არა მარტო ანგარიშს არ უწევს, მათ არც პატივს სცემენ. ამის დასტურად, თბილისში რუსეთის საელჩოს წინ გამართული სამარცხვინო აქციებიც კმარა. მთელი კვირის განმავლობაში საელჩოს შენობის ფასადზე დარჩენილი საქართველოზელი წარწერებისა და გამოსახულებების პროექცირება ხდებოდა, რომელთა გამო, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტაც კი უზრიალი იქნებოდა. მით უმეტეს მაშინ, როცა ასეთი გადაწყვეტილებების გამო, უვიზოდ დარჩენილი საქართველოს მოქალაქეების მიერ განცდილი ზარალი მთლიანად მისი ხელისუფლების სინდისზე იქნებოდა. მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დუმილი არჩია.

დავუშვათ, რომ ამიერკავკასიაში ამერიკის პოლიტიკის ეფექტურობის საფუძვლიან, ოპერატიული და ანალიტიკური ინფორმაცია, მისი მაქსიმალურად ოსტატური ფლობა და აგრეთვე, მკვეთრად გამოხატული პრიორიტეტების მიღწევის ნაცადი ტაქტიკა წარმოადგენს. რეგიონში აქტიური ყოფნის შედარებით მოკლე პერიოდში, აშშ-მა ზუსტად განსაზღვრა თავისი პარტნიორი ქვეყნების (რომლებიც მზად არიან ტერიტორიით მომსახურების ანდა რესურსებით უზრუნველყოფისთვის), მონიშნულმდეგ ქვეყნების და ა.შ. ჩამონათვალი. ცხადია, ჩავარდნისგან არც ამერიკული მხარეა დაზღვეული, მაგრამ ჩავარდნის ვაშინგტონისთვის, რუსეთისგან განსხვავებით, მხოლოდ ფინანსური და ტაქტიკური შედეგები თუ მოაქვს. რუსეთი კი, რისკავს, საკუთარი სამხრეთი საზღვრის სტაბილურობით იმ რეგიონში, რომელიც ფთქებადსამიმ ჩრდილოეთ კავკასიასთან ასობით არტერიითაა დაკავშირებული.

ამერიკისგან განსხვავებით, რუსული მხარე ბალანსირებას და მოცდას ამჯობინებს, ამიტომ გამოწვევებსა და პრობლემებზე გვიან რეაგირებს. ცდილობს, მთლიანად საბაზრო ურთიერთობების დამყარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის აშენებას, მაგრამ არც წამყვანი რეგიონული ძალის სტატუსზე ამბობს უარს. ამასთან, ისიც ცხადია, რომ არც საქართველოს, არც სომხეთსა და არც აზერბაიჯანს რუსეთთან ევროპულ პირობებზე და (რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია) ტარიფებზე დამყარებული წმინდა საბაზრო ურთიერთობების განვითარება უბრალოდ, არ შეუძლიათ. ამრიგად, ოდესღაც სუბსიდირებული ქვეყნები უბრალოდ, იძულებული არიან, დახმარება (სუბსიდები) სხვაგან ეძებონ. ამერიკელები ასეთ ნიშებს ყოველთვის ხალისით იკავენ, დატოვებით კი, როგორც ნესი, ძალზე უხალისოდ ტოვებენ...

საქართველო და მისი მბჟუტავი კონფლიქტებისადმი რუსეთის დამოკიდებულება უკიდურესად ნინალმდეგობრივია. მოსკოვი ერთმნიშვნელოვნად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, უკვე კარგა ხანია არარსებულ და სისხლის ღვრის გარეშე ძნელად აღსადგენ საზღვრებში და ამით თავს ორაზროვან მდგომარეობაში იყენებს. პოლიტიკოსთა და ექსპერტთა საზოგადოებისთვის ნათელია — ამ შემთხვევაში, რუსეთის პოზიცია გადაწყვეტილია. თუმცა, რაზე წავა ან რა გადაწყვიტა მოსკოვმა, — ამას დაბეჯითებით ვერავინ იტყვის. ყოველ შემთხვევაში, ამიერკავკასიაში ამაზე არც რუსეთის მტრებმა და არც მოყვარეებმა არაფერი იციან. თუ პირველი გაურკვეველობა რუსეთისთვის კარგია, მეორეზე ამას წამდვილად ვერ ვიტყვი.

ამკარაა, რომ აწმინდა და კოდორის შემდეგ, საქართველოს შემდგომ ნაბიჯად, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის გალის რაიონში ქართული ანკლავების გამოყენება იქნება. რუსეთის ომი საქართველოსთან მთელ კავკასიურ სივრცეში უკიდურესად უსიამოვნო ექსცესებს გამოიწვევს. ისმის კითხვა: რამდენად გათვალეს რუსმა ანალიტიკოსებმა ყველა მომხრე და მონინალმდეგ აზრი? დღევანდელი მდგომარეობით, მოცემულ კითხვაზე პოზიტიური პასუხის გასაცემად ძალზე მჭიდვ საფუძველი გვაქვს. ამ ფლანგზე გაურკვეველობის გაჭიანურებით, რუსეთმა მთელ რეგიონზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი ბერკეტები დაკარგა. დროა, მოსკოვმა მკვეთრად და ცალსახად განსაზღვროს საკუთარი პრიორიტეტები და მათ შესახებ ხმაშლაც განაცხადოს. ანდა, უბრალოდ აღიაროს, რომ ამ რეგიონის პრობლემები მისთვის გადაუჭრელ თავსატეხს წარმოადგენს და მათ გადაჭრაში დახმარება იმავე საქართველოს სთხოვოს. უკვე აღარ შეიძლება თავის ისე დაჭერა, თითქოს არსებული პრობლემები არ არსებობს. მეტად აღარ შეიძლება თავის იმით დაიმედება, რომ ამიერკავკასიაზე გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, იქ საკუთარი პოზიციების შენარჩუნება კვლავ რეალური იქნება. უკვე აღარ შეიძლება იმის გაუთვალისწინებლობა, რომ თუ ამიერკავკასიიდან გასვლას დაიწყებ, შემდეგ ამის შექერება — ყოველ შემთხვევაში, საკუთარი სურვილით, — ძალიან გაგიჭირდება.

სწორედ ასეთ დასკვნებამდე მიყვავართ მაგალითად, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის მხრიდან სრული უარის თქმას. ბოლო ორი წლის მანძილზე მოლაპარაკებების პროცესში ხომ მთლიანად ამერიკული მხარე დომინირებს თუ ამის შემწევა რუსეთში არ სურთ, მთელი ამიერკავკასიისთვის ეს სრულყოფილად აშკარაა.

ზემოთ ნათქვამისთვის რეზიუმეს ვაკეთების შემდეგ, უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთი, სამხრეთ კავკასიისგან პრაგმატული ეკონომიკური პოლიტიკის დახმარებით გამიჯნვას ვერასდროს შეძლებს. ასეთ ტაქტიკას მესამე ძალების პოლიტიკური გავლენის გაფართოება და სერიოზული პრობლემები მოჰყვება. ციატნოტი, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებამ თავი ჩაიგდო, რუსეთსაც ეხება. საათის ისრები ორივე მხარისთვის ერთნაირი სიჩქარით მიდრის...“

როგორი აზრის ბრძანდებით საკუთარ თავზე?

ამაზე პასუხს სულ იოლად მიიღებთ, როცა უპასუხებთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს, თუ როგორ მოიქცეოდით ამა თუ იმ სიტუაციაში. ყოველი პასუხი ქულათა განსაზღვრული რაოდენობით ფასდება, რის მიხედვითაც შეძლებთ, განსაზღვროთ საკუთარი ხასიათი...

1. თქვენ დაბადების დღეზე საჩუქრად მიიღეთ ყვავილების ლარნაკი, რომელიც სულაც არ მოგწონთ. რას იზამთ?

- ა) გააჩუქებთ ლარნაკს — 2;
- ბ) აგრძნობინებთ სტუმარს, რომ მას უკეთესი საჩუქრის შერჩევაც შეეძლო და რომ ეს ლარნაკი სულაც არ მოგწონთ — 6;
- გ) ისეთ ადგილას შეინახავთ, რომ რაც შეიძლება იშვიათად მოგხვდეთ თვალში — 10.

2. ფოსტალიონმა შეცდომით თქვენს საფოსტო ყუთში მეზობლის ღია საფოსტო ბარათი ჩააგდო. როგორ მოიქცევით?

- ა) თავიდან ბოლომდე ჩაიკითხავთ ბარათს და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნებთ მას ადრესატს — 6;
- ბ) შეცდომის აღმოჩენისთანავე ბარათს მეზობლის საფოსტო ყუთში ჩაუშვებთ — 10;
- გ) სანაგვეში გადაუძახებთ, როგორც თქვენთვის სრულიად უსარგებლო ნივთს — 2.

3. მაღალანაზღაურებადი, მაგრამ თქვენთვის სრულიად უინტერესო სამუშაო შემოგთავაზეს. დათანხმდებით თუ არა ამგვარ წინადადებას?

- ა) არა, თქვენთვის საინტერესო სამსახურის ძებნას განაგრძობთ, რადგან



- მიგაჩნიათ, რომ ეს საუკეთესო ვარიანტი სულაც არ გახლავთ — 10;
- ბ) დათანხმდებით, მაგრამ ეჭვიც არ შეგეპარებათ იმაში, რომ უკეთესს იმსახურებთ — 2;
- გ) დაუფიქრებლად დათანხმდებით — 6.

4. წვეულებაზე ერთ-ერთი სტუმარი პყვება იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც თქვენთვის უკვე ცნობილია, როგორ მოიქცევით?

- ა) ხელმეორედ ყურადღებით მოისმენთ ამ ამბავს — 10;
- ბ) ყველას გასაგონად ირონიულად შენიშნავთ, რომ ეს თქვენთვის კარგა ხანია, ცნობილია — 6;
- გ) მოსაუბრეს თხრობას შეაწყვეტინებთ და ამბის მოყოლას თავად განაგრძობთ — 2.

5. თქვენთვის შემთხვევით ცნობილი გახდა, თუ როგორ შეიძლება, უფასოდ ისარგებლოთ ტელეფონ-ავტომატით, მონეტების გარეშე. რას მოიმოქმედებთ?

- ა) დაუყოვნებლივ აცნობებთ ამის თაობაზე სატელეფონო კომპანიას — 10;
- ბ) ამ ამბავს არავის გაუმხელთ — 2;
- გ) ოჯახის წევრებსა და ახლო მეგობრებს აუცილებლად მოუყვებით ამის შესახებ — 6.

6. პარკში მიმავალმა შენიშნეთ, რომ მოზარდები ფრთამოტეხილ ჩიტს აწვალავენ. როგორი რეაქცია გაქნებათ?

- ა) აუცილებლად დატუქსავთ მოზარდებს — 6;
- ბ) ეცდებით, დახმარება აღმოუჩინოთ ფრთამოტეხილ ჩიტს — 10;
- გ) ისე განაგრძობთ გზას, რომ ყურადღებასაც არ მიაქცევთ ამ ამბავს — 2.

ტესტის შედეგები

50 და მეტი: საოცარი მოთმინების უნარით გამოირჩევით. ირგვლივ მყოფები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უჩვეულოდ გულგია ადამიანი ბრძანდებით. ნებისმიერ ადამიანთან დამეგობრების უნართაც ხართ დაჯილდოებული. ოღონდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ პრინციპულობის გამოჩენა გიჭირთ. ამას თავადაც კარგად აცნობიერებთ, მაგრამ ძალას ვერ პოულობთ საიმისოდ, რომ საკუთარი თავიც და ირგვლივ მყოფებიც კრიტიკულად შეაფასოთ.

30-49: ერთი წამითაც არ გეპარებათ ეჭვი იმაში, რომ მაქსიმალურად კეთილგონიერი ადამიანი ბრძანდებით. სხვათა შორის, საკუთარი თავის რწმენის წყალობით, ძალისხმევას არც იმისათვის იშურებთ, რომ ამაში ოჯახის წევრები, მეგობრები და ნაცნობებიც დაარწმუნოთ.

18-29: უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ მერყევი ხასიათის პატრონი ბრძანდებით. ამა თუ იმ სიტუაციას თქვენზე გასაოცარი გავლენის მოხდენა შეუძლია, სწორედ ამიტომაც, რომ თქვენ ყოველთვის სიტუაციისდა მიხედვით მოქმედებთ. ზოგჯერ საოცრად ყურადღებიანი ბრძანდებით, ზოგჯერ კი — მენჭრილმანე და ეჭვიანი.

17 და ნაკლები: ირგვლივ მყოფები თქვენზე ხშირად ამბობენ, რომ პედანტი და ეგოისტი ადამიანი ხართ. საოცარი უპრინციპობით გამოირჩევით, არავის ენდობით და შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ საერთოდ, ადამიანებზე რწმენა გაქვთ დაკარგული. მიუხედავად ზემოთქმულისა, თუკი ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ საკუთარი ნაკლის გაცნობიერების უნარი, გულს ნუ გაიტყნობთ: ძალისხმევის მეშვეობით სომ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

წინა ნომრის სკანოკრილის პასუხები

1. შამპინიონი; 2. ამანი; 3. ფიცარი; 4. მოდა; 5. ცინიზმი; 6. რანდა; 7. დიქცია; 8. ზაქი; 9. ფალავანი; 10. ვერდი; 11. მილიცია; 12. ფიზიკა; 13. მინუსი; 14. რამბაზანი; 15. ილინოისი; 16. ალიზი; 17. ცეცე; 18. ნუტრია; 19. დასი; 20. ხუნდი; 21. კორა; 22. კამიტალი; 23. პუში; 24. არენა; 37. ტაბლა; 38. რენო; 39. დასტაქარი; 40. შუქი; 41. ვარია; 42. ბიშონი; 43. ტომ; 44. ფინალი; 45. აპათია; 46. ემისია.

სურათზე: შარლიზ ტერონი; კიანუ რივზი.

27-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ; 4-ბ.

ხონჩით მიხითედი მონახიქობა

ქვეყნად ყველაფერი ხდება და ალბათ, არც ის არის გასაკვირი, რომ გერმანიაში მცხოვრები მოკრძალებული მეშახტე ფრანსის ვაიატი ერთ მშვენიერ დღეს, განას (აფრიკა) ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი „მიკროსკოპული“ სამეფოს მონარქი გახდა.

თავისი ისტორიული სამშობლო მომავალმა მონარქმა 30 წლის წინ დატოვა. იმხანად ამ აფრიკულ ქვეყანაში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული და მან თავის გადარჩენის მიზნით, ევროპას მიაშურა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩასულმა ფრანსის ვაიატმა ლტოლვილის სტატუსი მიიღო და გარკვეული ხნის შემდეგ, ვესტფალის შახტში ქვანახშირის მწვრეტელად დაინიშნა. ამასობაში, ანტრაციტის მოპოვებაში ჩაფლულ ფრანსისს საერთოდ გადაავიწყდა თავისი სამეფო წარმომავლობის შესახებ. ვაიატი ხომ განის ცენტრალურ ნაწილში მდებარე აუტუს ოქის მმართველი ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ. ევროპაში პრინცის ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, მის სამშობლოში უამრავი რამ მოხდა... საბოლოოდ კი, ბიძამისის — მეფე უტაპი III-ის გარდაცვალების შემდეგ, აუტუს ტახტზე ვაკანსია გაჩნდა. სამეფო ოჯახში გამართულ თათბირზე გადაწყდა, რომ გერმანიაში მცხოვრები მეშახტე პრინცი ქვეყნის მართვას სხვა კანდიდატურებზე უკეთ გაართმევდა თავს და ფრანსის ვაიატი გასამეფებლად აუტუსში მიიწვიეს. სამშობლოში დაბრუნებული კი, მალე მეფედაც აკურთხეს — ფრანსის ვაიატი, უტაპი III-ის სახელით ავიდა ტახტზე.

გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებამდე, მომავალმა მონარქმა მეგობრებთან ერთად გამოსათხოვარი წვეულება გამართა — მან ყოფილი კოლეგები დუისბურგის ერთ-ერთ ლუდის ბარში მიიპატიჟა და გულუხვადაც გაუმასპინძლა. მეგობრებთან გამომშვიდობებისას უავგუსტოეს პერსონას არ დაუმალავს, რომ ის გერმანიის მოქალაქეობის შენარჩუნებას აპირებს.

წინაყის მეშვეობით მოპოვებული თავისუფლება

18-მა ინდონეზიელმა პატიმარმა სწორედ ცხარე წინაყის მეშვეობით მოახერხა ციხიდან გაქცევა. ეს ყოველივე შემდეგნაირად მოხდა: კუნძულ სუმატრაზე მდებარე ქალაქ პემატანგ სიანტარის ციხეში საუზმობის დრო იყო, მაგრამ წყლით სავსე პლასტმასის ბოთლებით აღჭურვილმა პატიმრების მოზრდილმა ჯგუფმა, იმის მაგივრად, რომ სასადილოში წასულიყო, ციხის ჭიშკართან მდგომი მეციხოვნეებისკენ აიღო



გეზი. ციხის ზედამხედველებთან მიახლოებისას, მათ თავიანთ მცველებს პირდაპირ სახეში შეასხეს წყალი და... ჰოი, საოცრება! სიბრაზისგან ყველა მათგანი ერთდროულად

აღრიცხა და გარკვეული ხნით მხედველობის უნარი დაკარგა. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პატიმრებს ზედამხედველებისთვის გასაღებების აცმა წაერთმიათ, ჭიშკარი გაეღოთ და გაქცეულიყვნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ პატიმრებს ცხარე წინაყები ჩაელაგებინათ წყალში და ამ სითხის მეშვეობით მოხერხებინათ ზედამხედველების დროებით გაუწებებლობა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ციხის უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ციხის არსებობის მანძილზე, ეს პირველი შემთხვევაა, როცა პატიმრებმა გაქცევის მიზნით, ამ ორიგინალურ ხერხს მიმართეს; ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვეულებრივი წინაყის მეშვეობით, რომელიც ფართოდ გამოიყენება ინდონეზიურ სამზარეულოში, პატიმრები გაქცევას მოახერხებდნენო?! — დასძინა მთავარმა მეციხოვნემ.

მოგვიანებით, ძებნის შედეგები უკვე პოლიციის ინსპექტორმა დენ მარტინმა აცნობა საზოგადოებას. მისი თქმით, სამართალდამცავთა ოპერატიული მუშაობის შედეგად, მათმა უწყებამ 16 პატიმრის დაკავება შეძლო, ორი მათგანი კი ჯერ კიდევ იძებნება.

იკონური სენსაცია

სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იკონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულუბის დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩანეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოერდეს. სწორედ ამოხსნილ სუდოკუმში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

1	3	6	9	4	8	2	5	7
7	2	4	1	3	5	9	6	8
5	8	9	7	6	2	1	3	4
6	7	8	5	2	3	4	9	1
3	9	2	4	8	1	5	7	6
4	5	1	6	9	7	8	2	3
2	1	7	3	5	4	6	8	9
8	6	3	2	1	9	7	4	5
9	4	5	8	7	6	3	1	2

6	8	3	5	1	4	2	9	7
4	9	1	2	7	3	6	8	5
2	5	7	8	6	9	4	1	3
9	2	5	1	3	8	7	4	6
7	1	6	4	2	5	9	3	8
3	4	8	6	9	7	1	5	2
5	7	2	3	4	1	8	6	9
8	6	4	9	5	2	3	7	1
1	3	9	7	8	6	5	2	4

4	3	9	7	8	1	2	5	6
1	5	6	3	2	9	4	7	8
7	8	2	4	5	6	9	1	3
8	1	7	9	4	3	5	6	2
3	9	5	8	6	2	7	4	1
6	2	4	5	1	7	8	3	9
9	7	8	1	3	4	6	2	5
5	6	3	2	7	8	1	9	4
2	4	1	6	9	5	3	8	7

* მარტივი

		6	3		7	4		
		1		4		6		
2	3			9			7	8
9			7		4			6
	4	3				7	1	
8			2		6			5
4	2			6			5	7
		5		7		3		
		9	1		5	2		




* * საშუალო

			5	7	1			
		1		6		3		
	2		9		4		1	
6		4				5		1
5	9						3	4
1		8				6		9
	8		1		6		5	
		3		5		2		
			3	8	2			


* * * რთული

6								7
	9	1					6	8
		7	8		9	4		
9			1		8			6
			4	2	5			
3			6		7			2
		2	3		1	8		
	6	4				3	7	
1								4

ეთიკოკუნიონზები



687/30



TB STARS

პრემიუმი ჯილბუჯი სანტი ბუჩაქიშვილი



ლხმალელა

ბუჩაქიშვილი



ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 მ² - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
ავტოაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დასვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ფართობი 5000 მ²
მოწოდებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი